ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

თორნიკე ზურაბაშვილი

იდენტობის საკითხი ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში (1990-2021 წწ.)

ნაშრომი წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კორნელი კაკაჩია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

პროფესორი

თბილისი

2023

ეძღვნება მამაც უკრაინელ ერს

Присвячено хороброму українському народу

სამადლობელი

მადლობა ჩემს ოჯახს, განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს, ანა წურწუმია-ზურაბაშვილს, რომლის მხარდაჭერისა და თანადგომის გარეშე ვერც აკადემიური ცხოვრების ამ საპასუხისმგებლო საქმეს შევეჭიდებოდი და ვერც წინამდებარე ნაშრომს მოვიყვანდი სისრულეში. მადლობა ჩემი ოჯახის პატარა წევრებს, თუთას და თედოს, რომლებიც ბავშვური მოუთმენლობით, თუმცა მაინც გაგებით ეკიდებოდნენ მამის მუდმივად დატვირთულ და დამღლელ გრაფიკს. მადლობა მშობლებს, ძმას, ბებიას, პაპას, მამიდებსა და ბიძას წერის პროცესში გამოხატული ინტერესისა და გულშემატკივრობისთვის.

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, კორნელი კაკაჩიას სწავლის, სწავლებისა და კვლევის ყველა საფეხურზე გამოჩენილი უპირობო ნდობისთვის. მადლობას ვუხდი ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის უფროს მკვლევარს, ჰელგე ბლაკისრუდს, რომელმაც ფასდაუდებელი დახმარება გამიწია სადისერტაციო ნაშრომსა და სამეცნიერო სტატიებზე მუშაობისას.

ასევე, კვლევის პროცესში მოცემული პრაქტიკული რჩევებისთვის მადლობას ვუხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, სალომე დუნდუას, მალხაზ მაცაბერიძესა და თეონა მატარაძეს, აგრეთვე, სადოქტორო პროგრამის კოორდინატორს, ირმა ჩხეიძეს. და ბოლოს, დიდი მადლობა ჩემს სამსახურს, ნორვეგიის საელჩოს საქართველოში. რომ არა მათი მუდმივი მხარდაჭერა და მოქნილობა, წინამდებარე ნაშრომის შესრულებას უთუოდ გაცილებით მეტი დრო დასჭირდებოდა.

წინამდებარე კვლევა განხორციელდა ნორვეგიის კვლევითი საბჭოს მხარდაჭერით, პროექტის „კომპეტენციის გაღრმავება თანამშრომლობით: საქართველოს სტრატეგიული გზა ევროპისკენ“ (GEOPATH) ფარგლებში, რომელსაც ერთობლივად ახორციელებდნენ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი და ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი.

This research was supported by a grant from the Research Council of Norway, project number 287815, "Competency through Cooperation: Advancing knowledge on Georgia's strategic path", implemented by the Georgian Institute of Politics (GIP) and the Norwegian Institute of International Affairs (NUPI).

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია ეროვნული იდენტობის ორი ძირითადი კომპონენტის, გარე სამყაროსა და მასში ქვეყნის ადგილის, როლისა და მისიის შესახებ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არსებული წარმოდგენებისა და აღქმების შესწავლა დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში მოხდა საქართველოს პრეზიდენტების (ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი, გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი) მიერ 1990 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს პარლამენტში წარმოთქმული ყოველწლიური მოხსენებების ანალიზი, კერძოდ, მათი განცხადებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის, საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობისა და მისი საერთაშორისო როლის შესახებ. უფრო კონკრეტულად, წინამდებარე კვლევით სამ ურთიერთდაკავშირებულ კითხვას ეცემა პასუხს: როგორ და რა სიხშირით არის წარმოდგენილი საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნები, აქტორები და სხვადასხვა გეოგრაფიული არეალები (დასავლეთი, ევროპა, რუსეთი, კავკასია, ახლო აღმოსავლეთი და სხვ.) ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში; რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამა თუ იმ ქვეყანას, აქტორსა და გეოგრაფიულ არეალს ქართველი პოლიტიკური ლიდერები (რომელია მათთვის მტრული, მეგობრული, მისაბაძი ან არასასურველი აქტორები); და ბოლოს, როგორ ახდენენ ისინი საქართველოს ადგილის, როლისა და მისიის წარმოჩენას გარე სამყაროსთან მიმართებით. ნაშრომის ზოგადი თეორიული ჩარჩოა კრიტიკული გეოპოლიტიკა, ხოლო მისი საბაზისო ანალიტიკური მოდელი - „ჩვენ-სხვა“ დიადა, რომლის თანახმად, კოლექტიური იდენტობა, ანუ „ჩვენ“ გარე სამყაროსთან, „სხვებთან“ ურთიერთობის, „შეპირისპირების“ პროდუქტია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაშრომი შეისწავლის იმას, თუ ვინ არიან „სხვები“ საქართველოსთვის და ვინ ვართ „ჩვენ“ მათთან მიმართებით. კვლევის ფარგლებში, გამოყენებულია კონტენტანალიზისა და ინტერპრეტაციული დისკურსანალიზის მეთოდები, კერძოდ, დათვლილია როგორც გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა სიხშირე, ისე ცალკეულ წინადადებებში გაცხადებულ და ნაგულისხმევ იდენტობათა რაოდენობა. მეტი თვალსაჩინოებისთვის, რაოდენობრივი მონაცემების მიმოხილვა შეივსო ტექსტების თვისებრივი ანალიზითაც, მათ შორის, მოხდა ძირითადი გეოპოლიტიკური ხედვების გამოკვეთა. კვლევა ნათელს ჰფენს, თუ რა ადგილი ეთმობა საგარეო პოლიტიკურ საკითხებს საპრეზიდენტო გამოსვლებში, მათ შორის, რომელ გარე აქტორებსა და სივრცეებზე და რა სიხშირით მახვილდება ყურადღება სახელმწიფოს მეთაურების მიერ და რა მახასიათებლებით ხდება მათი აღწერა, აგრეთვე, იმას, თუ როგორ იყენებდნენ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ლიდერები სხვადასხვა დისკურსულ ნარატივებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ახსნისა და ლეგიტიმაციის საქმეში. ამით, ნაშრომს წვლილი შეაქვს ქართული ეროვნული იდენტობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიმდინარე მსჯელობებში.

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკური ელიტა, პოლიტიკური დისკურსი, ევროპა, რუსეთი.

Abstract

This research aims at studying the two major components of the Georgian national identity - perceptions and images of the external world and of the place, role and mission of Georgia in it in the political elites of the country of the post-independence period. For that purpose, as part of the research, annual Parliamentary addresses delivered by the Presidents of Georgia from 1990 to 2021 (Zviad Gamsakhurdia, Eduard Shevardnadze, Mikheil Saakashvili, Giorgi Margvelashvili, and Salome Zurabishvili) were analysed, namely, their statements on Georgia's foreign policy trajectory, relations with individual countries and Georgia's role in the international arena. More specifically, the research addressed the following questions: how were various countries, external actors and geographic spaces represented in the political discourse of Georgia (the West, Europe, Russia, Caucasus, Near East, and others); what meanings were attached to these countries, external actors and geographic areas by Georgian political leaders (were they hostile, friendly, exemplary or negative role models), and what was the perceived place, role and mission of Georgia in these spatial constructions. The research draws on the theoretical framework of critical geopolitics, with its basic analytical model being the "self-other" dyad, according to which, a collective identity, or the "self", is the product of relations, of comparisons with "others". In other words, the research examines who the "others" are for Georgia, and who the Georgians are in relation to them. The research uses a combination of content and discourse analysis, namely, it counts the number of references of geographic spaces and actors, as well as the expressed and implied identities in the texts of the Parliamentary addresses. For more clarity, quantitative findings are complemented with qualitative textual analysis, including by drawing major geopolitical visions. The research sheds light on the place of the foreign policy issues in the Presidential rhetoric, including the extent and the breadth of emphasis drawn on external actors and spaces, as well as on how they are described and narrated. It also explains how political leaders are employing discursive narratives to explain and justify their foreign policy choices and decisions. Through that, the research contributes to the ongoing discussions on Georgian identity and foreign policy both in the Georgian and foreign academic literature.

Keywords: identity, foreign policy, political elite, political discourse, Europe, Russia.

სარჩევი

1. შესავალი 11

2. კვლევის მიზნები 14

3. თეორიული ჩარჩო 17

3.1 კრიტიკული გეოპოლიტიკა 17

3.2 „ჩვენ“ და „ისინი“ ეროვნული იდენტობის კვლევებში 21

3.3 „ჩვენ“ და „ისინი“ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში 23

3.4 შეჯამება 25

4. მეთოდოლოგიური ჩარჩო 28

4.1 კრიტიკული გეოპოლიტიკა, როგორც მეთოდოლოგიური ჩარჩო 28

4.2 საპრეზიდენტო მოხსენებების ტრადიცია საქართველოში 30

4.3 საგარეო პოლიტიკური წინადადებების გამოყოფა 32

4.4 კვლევის მეთოდი: ვინ არიან „სხვები“? 34

4.5 კვლევის მეთოდი: ვინ ვართ „ჩვენ“? 36

5. ლიტერატურის მიმოხილვა 39

5.1 ეროვნული იდენტობის კვლევები 39

5.2 საგარეო პოლიტიკის კვლევები 48

5.3 შეჯამება 57

6. კვლევის მიგნებები 60

6.1 რაოდენობრივი მიგნებები (ზოგადი) 60

6.2 რაოდენობრივი მიგნებები (პრეზიდენტები) 68

7. კვლევის მიგნებები: ვინ არიან „სხვები“? 77

7.1 დასავლეთი/ევროპა 77

7.2 მსოფლიო/საზღვარგარეთი 99

7.3 რუსეთი/დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა 109

7.4 საერთაშორისო ორგანიზაციები 127

7.5 შავი ზღვის რეგიონი 133

7.6 კავკასია 140

7.7 აზია 147

7.8 საერთაშორისო თანამეგობრობა/მეგობარი ქვეყნები 152

7.9 სამეზობლო/რეგიონი 158

7.10 საბჭოთა კავშირი 161

7.11 ახლო აღმოსავლეთი 166

7.12 პოსტ-საბჭოთა სივრცე 169

7.13 სხვა რეგიონები 171

8. კვლევის მიგნებები: ვინ ვართ „ჩვენ“? 172
8.1 განსაკუთრებული/წარმატებული 172
8.2 დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული 181
8.3 ღია/კონკურენტული ეკონომიკა 192
8.4 საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიმღები 198
8.5 რუსეთთან დაპირისპირებული/რუსეთის მიერ ოკუპირებული 201
8.6 რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური 213
8.7 საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი 221
8.8 გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი 226
8.9 დასავლური/ევროპული 233
8.10 საგარეო რჩევების/საერთაშორისო სტანდარტების გამტარებელი 239
8.11 აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე 242
8.12 საერთაშორისო მხარდაჭერის/ყურადღების მქონე 244
8.13 საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე 247
8.14 კონფლიქტებში საერთაშორისო ჩართულობის მომხრე 249
8.15 საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე (კონფლიქტები) 252
8.16 ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი 256
8.17 გლობალური მშვიდობის დამცველი 260
8.18 წამყვანი სახელმწიფო კავკასიაში/რეგიონში 263
8.19 დიასპორული/გლობალური ერი 266
8.20 კოსმოპოლიტური/გარე სამყაროსადმი გახსნილი 268
8.21 რეგიონული თანამშრომლობის მომხრე 270
8.22 მშვიდობისმოყვარე 271
8.23 სამართლისა და ღირებულებების დამცველი 274
8.24 პოსტ-საბჭოთა სივრცესთან ინტეგრირებული 277
8.25 აქტიური კავკასიური პოლიტიკის მქონე 277
8.26 სანდო პარტნიორი (სამეზობლო) 278
8.27 დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრირებული 279
8.28 ცვლილებების კატალიზატორი 279
8.29 საფრთხის წყარო და ჩამორჩენილი 280
8.30 მრავალვექტორული და პრაგმატული 282
8.31 სხვა იდენტობები 285
9. კვლევის მიგნებების განხილვა 286
9.1 ძირითადი გეოპოლიტიკური ხედვები 286
9.2 კვლევის მიგნებების სამეცნიერო ლიტერატურასთან შედარება 294

10. დასკვნა 298
11. გამოყენებული მასალები 304
12. ბიბლიოგრაფია 309
დანართი #1: პრეზიდენტების გამოსვლებში ნახსენები გეოგრაფიული/პოლიტიკური ერთეულები მათში შემავალი აქტორებისა და სივრცეების მიხედვით 319
დანართი #2: იდენტობის კატეგორიები ანალიზის სხვადასხვა ეტაპის მიხედვით...321

ცხრილები და გრაფიკები

დიაგრამა #1: საგარეო პოლიტიკური წინადადებების პროცენტული მაჩვენებლები პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 60
დიაგრამა #2: საგარეო პოლიტიკური წინადადებების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით - გვ. 61
დიაგრამა #3: იდენტობის შუალედური კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლები - გვ. 62
დიაგრამა #4: იდენტობის საბოლოო კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლები - გვ. 63
დიაგრამა #5: იდენტობის კატეგორიების სახეები (არსებული, მომავალი, წარსული) პრეზიდენტების მიხედვით (წინადადებათა %-ებში) - გვ. 64
დიაგრამა #6: იდენტობის კატეგორიების სახეები (არსებული, მომავალი, წარსული) წლების მიხედვით (წინადადებათა %-ებში) - გვ. 65
დიაგრამა #7: არსებული იდენტობის კატეგორიები - გვ. 65
დიაგრამა #8: მომავალი იდენტობის კატეგორიები - გვ. 66
დიაგრამა #9: წარსული იდენტობის კატეგორიები - გვ. 67
დიაგრამა #10: გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა რაოდენობა - გვ. 68
დიაგრამა #11: იდენტობის კატეგორიები ზვიად გამსახურდიას გამოსვლებში - გვ. 69
დიაგრამა #12: გეოგრაფიული სივრცეები და აქტორები (ხსენებათა რაოდენობა) ზვიად გამსახურდიას გამოსვლებში - გვ. 69
დიაგრამა #13: იდენტობის კატეგორიები ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში - გვ. 70
დიაგრამა #14: გეოგრაფიული სივრცეები და აქტორები (ხსენებათა რაოდენობა) ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში - გვ. 71
დიაგრამა #15: იდენტობის კატეგორიები მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში - გვ. 72
დიაგრამა #16: გეოგრაფიული სივრცეები და აქტორები (ხსენებათა რაოდენობა) მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში - გვ. 73
დიაგრამა #17: იდენტობის კატეგორიები გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში - გვ. 74
დიაგრამა #18: გეოგრაფიული სივრცეები და აქტორები (ხსენებათა რაოდენობა) გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში - გვ. 75
დიაგრამა #19: იდენტობის კატეგორიები სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებში - გვ. 76
დიაგრამა #20: გეოგრაფიული სივრცეები (ხსენებათა რაოდენობა) სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებში - გვ. 76
დიაგრამა #21: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც განსაკუთრებული/წარმატებული ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 173
დიაგრამა #22: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 182
დიაგრამა #23: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც დასავლური/დასავლეთთან ინტეგრირებული ქვეყანა' პროცენტული წილი წლების მიხედვით - გვ. 191

დიაგრამა #24: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც ღია/კონკურენტული ეკონომიკის მქონე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 192
დიაგრამა #25: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული/რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 202
დიაგრამა #26 : იდენტობის კატეგორიების 'საქართველო, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული ქვეყნისა' და 'საქართველო, როგორც რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური ქვეყნის' პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით - გვ. 203
დიაგრამა #27: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 214
დიაგრამა #28: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 222
დიაგრამა #29: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 226
დიაგრამა #30: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც დასავლური/ევროპული სახელმწიფო' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 234
დიაგრამა #31: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც აქტიური/ერთიანი საგარეო რჩევების/საერთაშორისო სტანდარტების გამტარებელი ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 240
დიაგრამა #32: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 242
დიაგრამა #33: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც საერთაშორისო მხარდაჭერის/ ყურადღების მქონე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 244
დიაგრამა #34: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 248
დიაგრამა #35: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 257
დიაგრამა #36: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც გლობალური მშვიდობის დამცველი' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 261
დიაგრამა #37: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც წამყვანი სახელმწიფო კავკასიაში/რეგიონში' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 263
დიაგრამა #38: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 272
დიაგრამა #39: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც სამართლისა და ღირებულებების დამცველი' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით - გვ. 274

1. შესავალი

ეროვნული იდენტობის საკითხის შესწავლას ქართულ სააზროვნო სივრცეში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქართველების, როგორც კოლექტიური ერთობის იდენტობის - სამყაროში მათი ადგილის, როლისა და მისიის - გააზრების პირველი მცდელობები მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართული პრესის ფურცლებზე ჩნდება. მოგვიანებით, ეროვნულ იდენტობას მეცნიერების თვალით ეხმიანებიან ნოე ჟორდანია, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე და გერონტი ქიქოძე. ეროვნული იდენტობის სახელმწიფოს დონეზე გააზრების მცდელობები ჩნდება 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას, თუმცა, ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, ქართული ეროვნული იდენტობის შესახებ საჯარო მსჯელობა თითქმის ქრება და ის მხოლოდ ირიბად, საბჭოთა ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებში ნარჩუნდება. ეროვნული იდენტობის მეცნიერულმა კვლევამ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კვლავ იჩინა თავი და მომდევნო ათწლეულებში მყარად დამკვიდრდა, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. ამავე პერიოდიდან იწყება ეროვნული იდენტობის შესახებ პოლიტიკურ ელიტებში აქტიურად მსჯელობაც, მათ შორის, მანამდე ტაბუდადებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საქართველო-დასავლეთის პოლიტიკური ურთიერთობები. საგულისხმოა, რომ მეფის რუსეთისა და საბჭოთა საქართველოსგან განსხვავებით, ეს საკითხი ამიერიდან არა მხოლოდ სამეცნიერო განსჯის, არამედ პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი გახდა; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ელიტებს სახელმწიფოს მართვა ცვალებად სამყაროში, არასტაბილური სახელმწიფოების გარემოცვაში და ურთიერთგადამკვეთი რეგიონული პროექტების ფონზე მოუწიათ. შედეგად, საგარეო პოლიტიკის შესახებ მსჯელობამ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მსჯელობის ორი საკვანძო თემა კი ისაა, თუ რა ადგილი, როლი და მისია უნდა ჰქონდეს საქართველოს საერთაშორისო სისტემაში და რომელ პოლიტიკურ სივრცეს ეკუთვნის ან უნდა დაუახლოვდეს იგი. საქართველოს ხელისუფლებების მიერ გატარებული ზოგადი დასავლური ორიენტაციის

მიუხედავად, დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე პოლიტიკური ლიდერების ხედვამ საქართველოს საგარეო ურთიერთობების შესახებ არაერთი ცვლილება განიცადა: ზვიად გამსახურდიას ნატივისტური იდეები ჯერ ედუარდ შევარდნაძის პრაგმატულმა წარმოდგენებმა ჩაანაცვლა, შემდეგ კი, მიხეილ სააკაშვილის იდეალისტური შეხედულებებითა და ქართული ოცნების „ზომიერი," „ნულოვანი პრობლემების" სტრატეგიით გაგრძელდა. პოლიტიკის ცვლილების კვალდაკვალ, იცვლებოდა პოლიტიკურ დისკურსში საქართველოს როლის წარმოჩენაც; ქვეყანა ხან ქრისტიანული ღირებულებების „დამცველად" გვევლინებოდა, ხან ევროპულ და აზიურ კულტურათა „გზაგასაყარად", და ხანაც დემოკრატიის „შუქურად" მოიაზრებოდა. საქართველოს მსგავსად, არაერთგვაროვანი წარმოდგენები განვითარდა როგორც უშუალო სამეზობლოს, ისე შორეული გეოგრაფიული და პოლიტიკური სივრცეების მიმართ.

საკითხის საკვანძო სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, გარე სამყაროს მიმართ პოლიტიკურ ელიტებში არსებული წარმოდგენები და საგარეო სივრცეების/აქტორების მიმართ საქართველოს თვითაღქმის საკითხი ქართული ეროვნული იდენტობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ არსებულ ლიტერატურაში სათანადოდ შესწავლილი არ არის. არ არსებობს სპეციალიზებული კვლევა, რომელიც სრულად და ამომწურავად დაფარავდა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ეროვნული იდენტობის ამ ორი შემადგენელი კომპონენტის საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დისკურსში არსებობას, ხოლო ის რამდენიმე მცირე გამონაკლისი, რომელიც ამ თემას პირდაპირ ან ირიბად ეხმიანება, მხოლოდ საგარეო პოლიტიკური აზროვნების ერთ კომპონენტს განიხილავს და არა ორივეს ერთად. ამასთანავე, საკვლევ საკითხზე არსებული ნაშრომები არ ხასიათდება სისტემური მიდგომით; ავტორთა ფოკუსში ექცევა არა ხანგრძლივი საკვლევი პერიოდები, არამედ ცალკეულ პრეზიდენტთა ან ცალკეულ პოლიტიკურ ძალთა დისკურსები ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ არასათანადოდ ხდება საქართველოს ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში გარე სამყაროს (ორგანიზაციები, ქვეყნები, რეგიონები, მსოფლიო) ფაქტორის კონცეპტუალიზება. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ საკითხებს ეხმიანება. მისი მიზანია გარე სამყაროსა და მასში ქვეყნის ადგილის, როლისა და მისიის შესახებ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არსებული წარმოდგენებისა და აღქმების შესწავლა

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, რასაც ის საქართველოს პრეზიდენტების მიერ პარლამენტში წარმოთქმული ყოველწლიური მოხსენებების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის საფუძველზე აღწევს. ნაშრომის ზოგად თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია კრიტიკული გეოპოლიტიკა - სამეცნიერო ტრადიცია პოლიტიკური გეოგრაფიის, პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინების მიჯნაზე, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს გეოგრაფიული კონცეფციებისა და მახასიათებლების მეშვეობით სწავლობს, ხოლო მისი საბაზისო ანალიტიკური მოდელი - „ჩვენ-სხვა“ დიადა, რომლის თანახმად, კოლექტიური იდენტობა, ანუ „ჩვენ“ გარე სამყაროსთან, „სხვებთან“ ურთიერთობის, მათთან „შეპირისპირების“ პროდუქტია. კვლევის ფარგლებში, გამოყენებულია კონტენტანალიზისა და ინტერპრეტაციული დისკურსანალიზის მეთოდები. კერძოდ, დათვლილია როგორც გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა სიხშირე, ისე ცალკეულ წინადადებებში გაცხადებულ და ნაგულისხმევ იდენტობათა რაოდენობა. მეტი თვალსაჩინოებისთვის, რაოდენობრივი მონაცემების მიმოხილვას თან ერთვის ტექსტების თვისებრივი ანალიზიც; შედეგები წარმოდგენილია როგორც ცალკეული პრეზიდენტების, ისე სრულად, ყველა პრეზიდენტის მიხედვით. ამასთანავე, სხვადასხვა მეთოდით მიღებული შედეგები განზოგადებულია ძირითადი გეოპოლიტიკური ხედვების სახით.

ნაშრომის შემდეგი თავი ეთმობა კვლევის მიზნების განხილვას, მესამე და მეოთხე თავებში კი, წარმოდგენილია ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩოები. შემდეგ, მეხუთე თავში საუბარია საკვლევ საკითხზე არსებული ლიტერატურის შესახებ. მეექვსე თავში წარმოდგენილია ანალიზის შედეგად მიღებული ძირითადი რაოდენობრივი მონაცემები. ნაშრომის მომდევნო, მეშვიდე თავში განხილულია გარე სამყაროს წარმოჩენის საკითხი სხვადასხვა რეგიონისა და აქტორის მიხედვით, ხოლო მერვე თავში - საუბარია პრეზიდენტების მოხსენებებში გამოკვეთილ იდენტობებზე. მეცხრე თავი ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს ძირითადი გეოპოლიტიკური ხედვების სახით წარმოადგენს და მთავარ მიგნებებს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ კონსენსუსურ შეხედულებებს ადარებს, ხოლო მეათე - აჯამებს მთლიან ნაშრომს და გამოკვეთს სამომავლო საკვლევ საკითხებს.

2. კვლევის მიზნები

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია ეროვნული იდენტობის ორი ძირითადი კომპონენტის, გარე სამყაროსა და მასში ქვეყნის ადგილის, როლისა და მისიის შესახებ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არსებული წარმოდგენების შესწავლა დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. ამ მიზნით, კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს ხუთი პრეზიდენტის (ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი, გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი) მიერ 1990 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს პარლამენტში წარმოთქმული ყოველწლიური მოხსენებები, კერძოდ, მათი განცხადებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის, საზღვარგარეთის ცალკეულ სახელმწიფოებთან ურთიერთობისა და საქართველოს საერთაშორისო როლის შესახებ. უფრო კონკრეტულად, წინამდებარე კვლევით სამ ურთიერთდაკავშირებულ კითხვას ეცემა პასუხი: 1) როგორ და რა სიხშირით არის წარმოდგენილი საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნები, აქტორები და სხვადასხვა გეოგრაფიული არეალები (დასავლეთი, ევროპა, რუსეთი, კავკასია, აზია, ახლო აღმოსავლეთი და სხვ.) ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში; 2) რა მნიშვნელობებს ანიჭებენ ამა თუ იმ ქვეყანას, აქტორსა და გეოგრაფიულ არეალს ქართველი პოლიტიკური ლიდერები (რომელია მათთვის მტრული, მეგობრული, მისაბაძი ან არასასურველი ქვეყნები); 3) და ბოლოს, როგორ ახდენენ ისინი საქართველოს ადგილის, როლისა და მისიის წარმოჩენას გარე სამყაროსთან მიმართებით.

საგულისხმოა, რომ წინამდებარე კვლევის მიზანი საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ეროვნულ იდენტობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა არ არის. კვლევის მიზანია აღწეროს ქართული საგარეო პოლიტიკური დისკურსის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, აგრეთვე, ის, თუ რა არგუმენტებისა და მოსაზრებების მოშველიებით ხდებოდა ცალკეული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების საზოგადოებისთვის განმარტება და დასაბუთება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევის მიზანი ის კი არაა, თუ რატომ აირჩია საქართველომ დასავლეთთან დაახლოება და რუსეთისგან დისტანცია, არამედ ის, თუ რა დისკურსულმა პრაქტიკებმა გახადა ეს არჩევანი ქართული საზროვნო სივრცისთვის და საზოგადოებისთვის გასაგები, მისაღები და შესაძლებელი. ამ მიდგომის

საფუძველია ეროვნული იდენტობის მკვლევრის, როქსან ლინ დოტის მოსაზრება, რომ იდენტობისა და გარე სამყაროს ურთიერთმიმართების ანალიზისას, „როგორ“-ით ნაწარმოები კითხვები სოციალური მოვლენებისა და საგნების შესახებ უფრო კომპლექსურ და ამომწურავ სურათს გვიხატავს, ვიდრე „რატომ“-ით დაწყებული კითხვები, რადგან სწორედ პირველი მიდგომით არის შესაძლებელი იმის გაგება, თუ რა მნიშვნელობები ენიჭება ცალკეულ საგნებსა და მოვლენებს (Doty 1993, 4).

ნაშრომის ერთ-ერთი ქვე-მიზანია საკვლევ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სიცარიელის შევსება. კერძოდ, ის მიზნად ისახავს სრულად და ამომწურავად დაფაროს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ეროვნული იდენტობის „საგარეო“ კომპონენტის ქართულ პოლიტიკურ დისკურსში არსებობის საკითხი და ამ პროცესში, იხელმძღვანელოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სისტემური და ყოვლისმომცველი კვლევის შედეგს, რომელიც განიხილავს როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელ ცალკეულ ელემენტებს, ისე მათი ურთიერთმიმართებისა და დროში გარდაქმნის საკითხს.

საკვლევი საკითხი რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გარე სამყაროს მიმართ არსებული წარმოდგენები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში, მათ შორის, კონკრეტული პრაქტიკებისა და გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის საქმეში. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები სწორედ დისკურსების მეშვეობით ცდილობენ მათი ამომრჩევლებისა და სხვა პოლიტიკოსების დარწმუნებას ამა თუ იმ კონკრეტული ნაბიჯის ავკარგიანობაზე. გამონაკლისი არც საქართველოა; საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის უცვლელობის მიუხედავად, ბოლო 30 წლის განმავლობაში ქართველი პოლიტიკოსები საკმაოდ განსხვავებულ მოსაზრებებსა და არგუმენტებს იყენებდნენ ამა თუ იმ გეოგრაფიული სივრცისა და რეგიონის აღსაწერად. კვლევა სწორედ ამ საკითხს ეხმიანება: ის ნათელს ჰფენს, თუ რა ადგილი ეთმობა საგარეო პოლიტიკურ საკითხებს საპრეზიდენტო გამოსვლებში, მათ შორის, რომელ გარე აქტორებსა და სივრცეებზე და რა სიხშირით მახვილდება ყურადღება სახელმწიფოს მეთაურების მიერ. ეს ყოველივე კი, ხელს უწყობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის იდეური საფუძვლებისა და პოლიტიკური ელიტის აზროვნების

უკეთ გაგებას და ამით, წვლილი შეაქვს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესახებ უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიმდინარე მსჯელობებში.

წინამდებარე კვლევა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის საქართველოს საგარეო პოლიტიკის განვითარებას კონცეპტუალურ დონეზე სწავლობს, ერისა და ეროვნული იდენტობის სივრცული განზომილების შესახებ დისკურსების ანალიზის მეშვეობით. უფრო კონკრეტულად, ავტორი სიღრმისეულად აანალიზებს თუ როგორ არის წარმოჩენილი საქართველოს როლი, ადგილი და მისია სხვა სივრცით კატეგორიებთან მიმართებით - თუ რა როლს თამაშობს გარე სამყარო ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირებაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა საქართველოს წარმოჩენა სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერისა და პოლიტიკური პარტიის მმართველობისას. ერის კოლექტიური იდენტობისა და მისი საერთაშორისო სისტემაში პოზიციონირების სიღრმისეულ შესწავლას დამატებითი წვლილი შეაქვს ქართული იდენტობის კვლევებში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს იდენტობისა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთმიმართების კვლევას სამეცნიერო ლიტერატურაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევის მეთოდოლოგია შერჩეულია ისე, რომ ადვილად იყოს მისი სხვა, მსგავს კვლევებზე გამოყენება, მათ შორის, სხვა ქვეყნების მაგალითებზე. შესაბამისად, აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია არა ერთი შემთხვევის სიღრმისეული ანალიზისთვის, არამედ უფრო ფართოდ, სახელმწიფოების გეოპოლიტიკური იდენტობების უკეთ შესაცნობად.

3. თეორიული ჩარჩო

3.1 კრიტიკული გეოპოლიტიკა

წინამდებარე ნაშრომის ზოგადი თეორიული ჩარჩოა გეოპოლიტიკა, სამეცნიერო ტრადიცია პოლიტიკური გეოგრაფიის, პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინების მიჯნაზე, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს გეოგრაფიული კონცეფციებისა და მახასიათებლების გამოყენებით სწავლობს. გეოპოლიტიკა ესაა საერთაშორისო პოლიტიკის „განსივრცების" პრაქტიკა, რომელიც სამყაროს წარმოაჩენს, როგორც ადგილებს, რომელთაც „გარკვეული ტერიტორია, ხალხი და ამბები" ახასიათებთ (Ó Tuathail & Agnew 1992, 192). ტერმინი „გეოპოლიტიკა" პირველად შვედმა პოლიტიკის მეცნიერმა და გეოგრაფმა, რუდოლფ ჩელენმა 1899 წელს გამოიყენა (Atkinson & Dodds 2000, 1) და საფუძველი დაუდო ახალ სამეცნიერო მიმდინარეობას ადგილებისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესახებ. განასხვავებენ გეოპოლიტიკის ორ ქვემიმდინარეობას, კლასიკურ გეოპოლიტიკას და კრიტიკულ გეოპოლიტიკას (critical geopolitics), იგივე გეოპოლიტიკის კრიტიკას.

კლასიკური გეოპოლიტიკა სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო პოლიტიკის წარმართვის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად ისეთ გეოგრაფიულ მახასიათებლებს მიიჩნევს, როგორიცაა ადგილმდებარეობა, რესურსები და ტერიტორია (Ó Tuathail 1999, 107). ამასთანავე, კლასიკური გეოპოლიტიკა საერთაშორისო პოლიტიკას ურთიერთსაწინააღმდეგო გეოგრაფიულ ცნებათა დაპირისპირების არეალად განიხილავს: მაგალითად, „სახმელეთო ძალა" „საზღვაო ძალის" წინააღმდეგ, „ოკეანური ძალა" „კონტინენტური ძალის" წინააღმდეგ, „აღმოსავლეთი" „დასავლეთის" წინააღმდეგ და ა.შ. გვხვდება სამყაროს ისეთ გეოგრაფიულ კატეგორიებად დაყოფაც, როგორიცაა „შუაგული მიწა" (heartland), „შიდა ნახევარმთვარე" (rimland), „ნგრევის ზონა" (shatter belt) და ა.შ. (Ó Tuathail 1999, 113). ამ სამეცნიერო ტრადიციის მიმდევრები იყვნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან რუდოლფ ჩელენი, ფრიდრიხ რატცელი, ალფრედ მეჰენი და ჰალფორდ მაკინდერი. კლასიკური გეოპოლიტიკა განსაკუთრებით პოპულარული მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იყო (Dalby & Ó Tuathail 1996, 451), თუმცა, გერმანულ მილიტარიზმთან მისი ასოცირების გამო, ის მეორე მსოფლიო ომის

შემდგომ პოლიტიკურად არასასურველ სამეცნიერო მიმდინარეობად გადაიქცა (Agnew 2013, 20). ამასთანავე, 1950-იან და 1960-იან წლებში ავტორთა ნაწილმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლებისა და პოლიტიკური მოვლენების მიზეზშედეგობრივი კავშირიც (Agnew 2013, 21). გეოპოლიტიკის დაღმასვლას ხელი ასევე შეუწყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ორპოლუსიანმა სამყარომ და ბირთვულმა საფრთხემ, რომელმაც საერთაშორისო პოლიტიკაში „სივრცული დეტალების" ადგილი აღარ დატოვა (Dijkink 1996, 11).

1970-იან წლებში სახელმწიფოს მართვის საქმეში გეოპოლიტიკური აზროვნების დაბრუნებამ, 1980-იანი წლებიდან კი საერთაშორისო პოლიტიკის კვლევაში გეოგრაფიული ფაქტორების კვლავ გამოჩენამ გეოპოლიტიკის სამეცნიერო ტრადიციას ახალი სიცოცხლე შესძინა (Atkinson & Dodds 2000, 9). თუმცა, გეოპოლიტიკის მკვლევართა ახალი თაობის წარმომადგენლებმა მანამდე არსებული დეტერმინისტული მოდელები მაინც უარყვეს და მთავარ საკვლევ საკითხად არა ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლების საერთაშორისო პოლიტიკაზე გავლენა, არამედ სამყაროს, ცალკეული გეოგრაფიული არეალებისა და ქვეყნების შესახებ არსებული წარმოდგენები გადააქციეს (Agnew 2013, 22). გეოპოლიტიკის თანამედროვე მკვლევართა აზრით, გლობალური პოლიტიკის გეოგრაფიული განზომილება კონსტრუირებულია და მისი კვლავწარმოება წარმოდგენებისა და რეპრეზენტაციების მეშვეობით ხდება (Atkinson & Dodds 2000, 9). შესაბამისად, „გეოგრაფია" არა ფიზიკური მოცემულობა, არამედ სამყაროს შესახებ დისკურსულად ჩამოყალიბებულ ცოდნაა (Ó Tuathail & Agnew 1992, 195). გეოპოლიტიკის „დამფუძნებელ მამებთან" გეოგრაფიის რაობის თაობაზე არსებული ამ განსხვავების გამო, გეოპოლიტიკის თანამედროვე მიმდინარეობა კრიტიკული გეოპოლიტიკის სახელით გახდა ცნობილი. და მაინც, როგორც კლასიკური გეოპოლიტიკა, საერთაშორისო პოლიტიკას კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევრებიც გეოგრაფიის „თვალით" აკვირდებიან, რადგან ისინიც სივრცულ შემადგენელზე ამახვილებენ ყურადღებას (Dodds, Kuus & Sharp, 2013, 6; Moisio 2015, 224).

ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი პირველი მკვლევრის, ჯონ ეგნიუს თანახმად, კრიტიკული გეოპოლიტიკა სწავლობს იმას, *„თუ რა როლი აქვთ გეოგრაფიულ კონფიგურაციებსა და სამყაროს შესახებ წარმოდგენებს სახელმწიფოს მართვაში ჩართული პირების (პოლიტიკოსებისა და ექსპერტების) გათვლებში და თუ როგორ*

აისახება ეს კონფიგურაციები და წარმოდგენები საზოგადოების მოსაზრებებზე, მსოფლიოს რეგიონებად დაყოფის საკითხზე და [სხვადასხვა] ჯგუფებისა და ერების პოზიციონირებაზე მათში“ (Agnew 2013, 21). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრიტიკული გეოპოლიტიკის მთავარი საკვლევი საკითხია ის, თუ როგორ აღიქვამენ და წარმოაჩენენ გეოგრაფიულ სივრცეებსა და აქტორებს ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერები და საზოგადოებები და როგორ ხედავენ მათი ქვეყნის ადგილსა და როლს ამ სივრცეებთან და აქტორებთან მიმართებით. კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევართა თანახმად, სამყაროს შესახებ არსებული წარმოდგენების კვლევა მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო სფეროსთვის, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან სწორედ ასეთი აღქმები იყო მსოფლიოში მომხდარი მრავალი საზარელი მოვლენის შთამაგონებელი (Dijkink 1996, 4). ხშირად, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს წარმოდგენები[1] მოხსენიებულია როგორც რეპრეზენტაციები, კოდები, ხედვები, ნარატივები და წარმოსახვები (Mamadouh & Dijkink 2006, 355). მოცემული ნაშრომი იყენებს ტერმინს გეოპოლიტიკური ხედვები, რადგან ეს უკანასკნელი ნაშრომის მიზანს - შეისწავლოს საგარეო პოლიტიკური დისკურსისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთმიმართება - უფრო უკეთ ეხმიანება, ვიდრე ალტერნატიული ტერმინები. კერძოდ, ნაშრომი იყენებს ჰოლანდიელი მეცნიერის, ხერტიან დაიკინკის განმარტებას 1996 წელს გამოცემული წიგნიდან ‘ეროვნული იდენტობა და გეოპოლიტიკური ხედვები’ (National Identity and Geopolitical Visions), რომელიც ამ უკანასკნელს აღწერს, როგორც *„ნებისმიერ იდეას საკუთარსა და სხვას შორის ურთიერთობების შესახებ, რომელიც მოიცავს აღქმებს ერთის ან მეორის უსაფრთხოების ან უპირატესობის თაობაზე და/ან იდეებს საერთო მისიისა და საგარეო*

[1] ამ წარმოდგენების საკვლევად, სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ხერხს მიმართავს, მათ შორის, სწავლობენ ცალკეული პოლიტიკოსების, მედიასაშუალებებისა თუ ფილმების დისკურსებს (Mamadouh & Dijkink 2006, 356). განსხვავდება კვლევის გეოგრაფიული ფოკუსიც: სხვადასხვა დროს, კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევრების ყურადღების ცენტრში მოექცა ამერიკის შეერთებული შტატები (Agnew & Corbridge 1995; Dijkink 1996; Ó Tuathail 1996), არგენტინა (Dijkink 1996; Dodds 2000), პორტუგალია (Sidaway & Power 2005; Cairo 2006), დიდი ბრიტანეთი (Dijkink 1996), იტალია (Atkinson 2000), რუსეთი (Omelicheva 2012; Richardson 2016), ესტონეთი (Berg & Oras 2000), ჩეხეთი (Esparza 2010; Ouellette & Weiss 2015) და ა.შ. გეოპოლიტიკის მკვლევრებს შესწავლილი აქვთ რეგიონული ერთეულებიც, მაგ. ქურთეთი (Culcasi 2006) და ბასკეთი (Mansvelt Beck 2006).

პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ“ (Dijkink 1996, 11). დაიკინკის თანახმად, ქვეყნის ან ცალკეული ჯგუფის გეოპოლიტიკური ხედვის „იდეალური ტიპი“ ხუთ კომპონენტს მოიცავს: 1) ხაზგასმას ფიზიკური საზღვრების ბუნებრიობაზე ან ქვეყნის სულიერი და ფიზიკური ცენტრის (ძირითადად, დედაქალაქის) განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე; 2) მტრებისა და მეგობრების არსებობას; 3) მისაბაძი ან არასასურველი მოდელების გამოკვეთას; 4) საერთო მისიის მკაფიოდ ჩამოყალიბებას; და 5) ზებუნებრივი, ადამიანებისგან დამოუკიდებელი მოვლენების არსებობას (მაგ. მოდერნიზაცია, ისლამური ფუნდამენტალიზმი, თავისუფალი მეწარმეობა და ა.შ.) და მათი გამოყენების ან შეკავების აუცილებლობას (Dijkink 1996, 14).

დაიკინკი აღნიშნავს, რომ გეოპოლიტიკური ხედვები ეროვნული იდენტობის ცნებასთან არის გადაჯაჭვული, რადგან ამ უკანასკნელის ზოგიერთი მახასიათებელი - ისტორიული ტერიტორია, საერთო მეხსიერება და ტკვილისა და სიამაყის საზიარო განცდები - თავის თავში მოიაზრებს სხვა ჯგუფებისგან განსხვავებას, მათ შორის, რასისა და კულტურის მხრივ მათ მსგავს ერებთან (Dijkink 1996, 11). დაიკინკი განმარტავს, რომ ერ-სახელმწიფოებს - გეოპოლიტიკის მთავარ საკვლევ საგანს - მკაცრად დადგენილი იდენტობა არ გააჩნიათ, და რომ ისინი მუდმივად საჭიროებენ „საკუთარ თავსა“ და „სხვებს“ შორის გამყოფი ხაზების გავლებას (Dijkink 1996, 5). ამ მოსაზრებას იზიარებენ კრიტიკული გეოპოლიტიკის სხვა მკვლევრებიც, მათ შორის, ჯერარდ ტოლი და საიმონ დალბი. ავტორთა თანახმად, კრიტიკული გეოპოლიტიკა ფიზიკურ საზღვრებთან ერთად, სწავლობს კონცეპტუალურ საზღვრებსაც, რომელიც უსაფრთხო „შიდასა“ და არეულ „გარეს“ ერთმანეთისგან ასხვავებს. მათი თქმით, „კრიტიკული გეოპოლიტიკა [ესაა მეცნიერება] არა მხოლოდ სახელმწიფოს „გარეს“ შესახებ, არამედ „გარესა“ და „შიდას“, „აქაურობასა“ და „იქაურობას“, „შინაურსა“ და „უცხოს“ შექმნის შესახებ“ (Ó Tuathail & Dalby 1998, 3-4). დალბის მიხედვით, სწორედ მსგავსება-განსხვავების ეს მოდელია გეოპოლიტიკის საბაზისო პროცესის - ტერიტორიის დაყოფის, მასზე დავისა და მისი მართვის - საფუძველი. ტოლი და დალბი დასძენენ, რომ „გარესა“ და „შიდას“ შორის არსებული განსხვავებების გამოკვეთა საგარეო პოლიტიკის მეშვეობით ხდება (Ó Tuathail & Dalby 1998, 4). ამგვარად, საგარეო პოლიტიკა ეს არის საკუთარი თავისგან განსხვავებულის, „უცხოს ან ეგზოტიკურის შექმნის პროცესი“ (Dalby 1988, 419).

3.2 „ჩვენ“ და „ისინი“ ეროვნული იდენტობის კვლევებში

ნაშრომში გამოყენებული ანალიტიკური ჩარჩო ახლოს დგას ეთნიკური და ეროვნული იდენტობების კვლევებში დამკვიდრებულ „ჩვენ-ისინის“ (self-other) დიადასთან, რომლის თანახმად, ერები ყალიბდებიან სხვასთან, მათგან განსხვავებულ ჯგუფებთან შედარებებით, მათთან „შეპირისპირებით“. ამ მიდგომის მიხედვით, „ჩვენ“ ვართ „ჩვენ“, რადგან ჩვენ არ ვგავართ „სხვას“/ჩვენ არ ვართ „სხვები“ (Esparza 2010, 1). „სხვების“ სია მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ აქტორებს, როგორებიცაა ცალკეული პიროვნებები, ერები, იმპერიები, იდეოლოგიები, ისტორიული მოვლენები და ა.შ. (Esparza 2010, 1-2; Petersoo 2007, 119). აღსანიშნავია, რომ კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევართა მსგავსად, „სხვის“ ფენომენი ეროვნული იდენტობის მკვლევრებისთვისაც მუდმივად ცვალებადია (Petersoo 2007, 118; Esparza 2010, 3).

„ჩვენისა“ და „სხვის“ ფაქტორს ეთნიკური იდენტობების კვლევებში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. საკუთარი თავის „უცხოსთან“ შეპირისპირების თემა სხვადასხვა ფორმით გვხვდება, როგორც პრიმორდიალისტ[2], ისე მოდერნისტ[3] მკვლევრებში (Triandafyllidou 1998, 596). მიუხედავად ამისა, ეროვნული იდენტობის კონსტრუირებაში „სხვის“ ფაქტორის კვლევა სიღრმისეულად მხოლოდ 1990-იანი წლებიდან დაიწყო. ასე, მაგალითად, 1995 წელს გამოქვეყნებულ წიგნში ‘ევროპული საზოგადოებების ტრაექტორია 1945-2000 წწ.’ (The Trajectory of European Societies 1945–2000), გორან თერბორნი ამბობს, რომ იდენტობის ჩამოყალიბება სამი ძირითადი პროცესის შედეგად ხდება: 1) განსხვავებით (differentiation), ანუ, „მე“-ს ან „ჩვენ“-ის გარემოსგან, „სხვებისგან“ გამოყოფით; 2) საკუთარი სახე-ხატის (self-image) შექმნით; და 3) სხვების მიერ აღიარებით (Therborn 1995, 229). ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში „უცხოთა“ როლზე საუბრობს მაიქლ ბილიგიც. 1995 წელს გამოცემულ წიგნში ‘ბანალური ნაციონალიზმი’ (Banal Nationalism) ბილიგი წერს, რომ ნებისმიერი ეროვნული საზოგადოების „წარმოსახვა“ მხოლოდ „სხვა“, „უცხო“ საზოგადოებების „წარმოსახვის“ შედეგად ხდება: „სხვების გარეშე [ვერანაირი] ჩვენ

---

[2] პრიმორდიალისტების თანახმად, ერი/ეთნოსი ადამიანთა ორგანული საზოგადოებაა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ბიოლოგიური, კულტურული და ისტორიული კავშირები აერთიანებს.

[3] მოდერნისტების თანახმად, ერი/ეთნოსი სოციალური ორგანიზაციის თანამედროვე ფორმაა, რომელიც ინდუსტრიული რევოლუციის ფონზე წარმოიშვა.

ვერ იარსებებს“ (Billig 1995, 78). დისკუსიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანა ტრიანდაფილიდუმაც. სტატიაში ‘ეროვნული იდენტობა და სხვა’ (National Identity and the ‘Other’), ტრიანდაფილიდუ ამბობს, რომ ჯგუფის კოლექტიური თვითშეგნების ჩამოყალიბება საერთო მახასიათებლების გამოკვეთას[4] საჭიროებს; ეს მახასიათებლები ჯგუფის შიგნით იქმნება, თუმცა, მათი ეროვნული იდენტობის აქტიურ კომპონენტებად გადაქცევა მხოლოდ „სხვებთან“ ურთიერთქმედებით ხდება (Triandafyllidou 1998, 599). ტრიანდაფილიდუ განმარტავს, რომ ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია გარკვეული გარე ჯგუფის არსებობა, რომელთან შეპირისპირებითაც მოხდება ამ ჯგუფის ერთიანობისა და ერთგვაროვნების „გამოცდა“ (Triandafyllidou 1998, 598): „ერის იდენტობა განისაზღვრება და გადაიხედება მნიშვნელოვანი სხვების გავლენით, კერძოდ, სხვა ერების ან ეთნიკური ჯგუფების, რომლებიც ერისთვის, მისი განსხვავებულობისთვის, ავთენტურობისთვის და/ან დამოუკიდებლობისთვის საფრთხედ აღიქმებიან“ (Triandafyllidou 1998, 594).

საგულისხმოა, რომ ტრიანდაფილიდუ განასხვავებს ორი ტიპის „მნიშვნელოვან სხვას“ (significant Other) - შინაურს, რომელიც ჯგუფის ერთიანობას შიგნიდან უქმნის საფრთხეს (მაგ. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები) და გარეულს, რომელიც ერის ტერიტორიულ მთლიანობასა და კულტურულ დამოუკიდებლობას საზღვრებს მიღმიდან ემუქრება (მაგ. მეზობელი სახელმწიფოები და გაერთიანებები). თავის მხრივ, გარე „მნიშვნელოვანი სხვა“ სამ სხვადასხვა ქვეტიპს მოიცავს. პირველი, ესაა, იმ მრავალეროვანი სახელმწიფოს დომინანტი ერი ან ეთნოსი, რომლისგან თავის დაღწევასაც ცდილობს ერის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მყოფი ჯგუფი (Triandafyllidou 1998, 602). მეორე ქვეტიპი მოიცავს მტრულად განწყობილ ერებს ან სახელმწიფოებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ჯგუფის ტერიტორიაზე, ხოლო მესამე, ესაა ერები ან სახელმწიფოები, რომლებიც ჯგუფის ტერიტორიაზე პრეტენზიას არ აცხადებენ, თუმცა, ჯგუფისთვის დამახასიათებელ მითებსა და სიმბოლოებს თავისად მიიჩნევენ და ამით, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ამ უკანასკნელის განსაკუთრებულობასა და განსხვავებულობას (იქვე).

[4] მათ შორის, საერთო კულტურა, მითები, ტრადიციები, სიმბოლოები, ქცევის თავისებურებები და ა.შ.

ეროვნულ იდენტობაში „სხვების“ გავლენის საკითხმა ამ მიმართულების კვლევებში ფართო გამოხმაურება პოვა[5], თუმცა, მოსაზრებას, რომ „მნიშვნელოვანი სხვა“ აუცილებლად მტრული და საფრთხისშემცველი უნდა იყოს, ეროვნული იდენტობის სხვა მკვლევრების კრიტიკა მოჰყვა. ამ უკანასკნელთა მოსაზრებით, „მნიშვნელოვანი სხვა“ შესაძლოა დადებითიც იყოს და უარყოფითიც (Petersoo 2007, 1; Esparza 2010, 3; Morozov & Rumelili 2012, 31). ამ მხრივ, საკმაოდ კარგ განმარტებას გვთავაზობს დანიელ ესპარზა. კერძოდ, ესპარზას თანახმად, „სხვა“ უარყოფითია მაშინ, როდესაც ის ან მისი ცალკეული ელემენტია მიუღებელი და არასასურველი, ხოლო დადებითია მაშინ, როდესაც „სხვა“ ან მისი ცალკეული თვისებებია მოსაწონი და მისაბაძი (Esparza 2010, 1). ზოგიერთმა ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ „მნიშვნელოვანი სხვა“ შესაძლოა მხოლოდ სხვა ერი ან სხვა ქვეყანა არ იყოს. ავტორებს მაგალითად მოჰყავთ ევროპული იდენტობა, რომლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი იქონია როგორც საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურამ, ისე „მნიშვნელოვანმა სხვებმა“, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, საკუთარმა წარსულმა და მიგრანტებმა (Morozov & Rumelili 2012, 30).

3.3 „ჩვენ“ და „ისინი“ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში

„ჩვენისა“ და „სხვის“ შეპირისპირების საკითხი გვხვდება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაშიც, განსაკუთრებით პოსტსტრუქტურალისტ[6] მკვლევრებში. ამ მიდგომის მიმდევართა თანახმად, იდენტობა სტატიკური ფენომენი არ არის; ის შეფარდებითია და ვერ შედგება სხვასთან განსხვავების გამოკვეთის გარეშე. ამით, პოსტსტრუქტურალიზმი განსხვავდება საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული თეორიებისგან, ნეორეალიზმისგან და ნეოლიბერალიზმისგან, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებს რაციონალურ და უნიტარულ ერთეულებად წარმოგვიდგენენ და ამგვარად, იდეურ

[5] ამ მიმართულების კვლევებში განსაკუთრებით პოპულარულია ევროპული იდენტობის შესწავლა. მაგალითისთვის, იხილეთ ივერ ნეუმანი (1999), ვიაჩესლავ მოროზოვი და ბაჰარ რუმელილი (2010) და ჯასტინ გიბინსი (2014).

[6] პოსტსტრუქტურალიზმს ხშირად პოსტპოზიტივიზმის ან კრიტიკული კონსტრუქტივიზმის სახელწოდებითაც მოიხსენიებენ.

ფაქტორებს თითქმის სრულად უგულებელყოფენ (Tamaki 2010, 15). ამასთანავე, ნეორელისტი და ნეოლიბერალი მკვლევრებისთვის საკუთარი თავისა და გარე სამყაროს მიმართ არსებული წარმოდგენების შესწავლა არარელევანტურია, რადგან, მათი მოსაზრებით, აქტორები მხოლოდ ძალთა და შესაძლებლობათა მხრივ არიან განსხვავებულნი[7] (Tamaki 2010, 20).

ერთ-ერთი პირველი პოსტსტრუქტურალისტი მეცნიერი, ვინც ამ დისკუსიაში სიღრმისეული წვლილი შეიტანა, ესაა, დეივიდ კემპბელი. 1992 წელს გამოცემულ წიგნში, 'უსაფრთხოების წერა: შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და იდენტობის პოლიტიკა' (Writing Security: United States Foreign Policy and the Politics of Identity), ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მაგალითზე იკვლევს იმას, თუ რა გავლენა მოახდინა გარე საფრთხეების წარმოჩენამ ამერიკული იდენტობის ჩამოყალიბების საკითხზე. კრიტიკული გეოპოლიტიკის მკვლევართა მსგავსად, იდენტობა კემპბელისთვისაც მუდმივად ცვალებადი ფენომენია, ხოლო მისი შექმნა და კვლავწარმოება სხვასთან შედარებით, უსაფრთხო „შიდასა" და საფრთხისშემცველ „გარეს" შორის საზღვრების გავლებით ხდება (Campbell 1992, 8). ავტორი დასძენს იმასაც, რომ საგარეო პოლიტიკა ესაა პოლიტიკური პრაქტიკა, რაც ცალკეულ მოვლენებსა და აქტორებს უცხოდ, განსხვავებულად წარმოაჩენს (Campbell 1992, 69). კემპბელის მოსაზრებას, რომ იდენტობა მუდმივად ცვალებადია, იზიარებს კიდევ ერთი პოსტსტრუქტურალისტი მკვლევარი, როქსან ლინ დოტი. დოტი ამბობს, რომ „ეროვნული იდენტობა დასრულებული პროდუქტი არ არის; ის მუდმივად არის კონსტრუირებისა და ხელახლა კონსტრუირების პროცესში" (Doty 1996, 123). ავტორის მიხედვით, იდენტობა მოქნილია და ცვალებად ვითარებასა და კრიზისებს ერგება (Doty 1996, 126).

---

[7] ეროვნული იდენტობის „ჩვენ-სხვა" წაკითხვის კრიტიკას გვთავაზობს კონსტრუქტივიზმის ზოგიერთი მიმდევარიც. ამ მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამედროვე მეცნიერის, ალექსანდერ ვენდტის თანახმად, იდენტობის ოთხი სხვადასხვა ტიპიდან - პიროვნული, ტიპური (მაგ. დემოკრატიული), როლური (მაგ. მტერი და მოყვარე) და კოლექტიური - მხოლოდ როლური იდენტობა საჭიროებს „სხვას" (Wendt 1999, 224-233). კონსტრუქტივიზმსა და პოსტსტრუქტურალიზმს შორის არსებული განსხვავებების მიმოხილვისთვის გაეცანით ივერ ნეუმანის ნაშრომს 'სხვის გამოყენება: აღმოსავლეთი ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაში' (Uses of the Other: "The East" in European Identity Formation).

პოსტსტრუქტურალისტებისთვის ეროვნული იდენტობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული დისკურსის ცნებასთან. სწორედ დისკურსის მეშვეობით ხდება ეროვნული იდენტობის კონსტრუირება და კვლავწარმოება (Ellis 2007, 34). მოული და სიუტა აღნიშნავენ, რომ ეროვნული იდენტობის მარკერები (სიმბოლოები, ტრადიციები, მითები, ინსტიტუტები და სხვა) მხოლოდ მაშინ იძენენ არსს, როცა ხდება მათი ინტერპრეტაცია, მათთვის მნიშვნელობის მინიჭება (Mole & Ciută 2007, 210). დისკურსების მეშვეობით ხდება „შიდასა“ „გარეს“ დაყოფაც (Mole 2007, 158). საგულისხმოა ისიც, რომ მოულის თანახმად, ეროვნული იდენტობების საზღვრები და შინაარსი ძალაუფლების მქონე პირთა აღქმებს, პრიორიტეტებსა და მისწრაფებებს ასახავს (Mole 2007, 4). თავისი არსით, გეოპოლიტიკური ხედვაც დისკურსული ფენომენია[8]. პოსტსტრუქტურალისტების მსგავსად, კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევრებიც მიიჩნევენ, რომ სწორედ დისკურსების მეშვეობით ეძლევა ცალკეულ მოვლენებს, აქტორებსა და ადგილებს მნიშვნელობა/შინაარსი (Ó Tuathail & Agnew 1992, 195; Omelicheva 2016, 14).

3.4 შეჯამება

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევართათვის გეოპოლიტიკური ხედვა ესაა გარე სამყაროსთან მიმართებით საკუთარი თავის - როლის, მისიისა და ადგილის - პოვნის, აღქმისა და გამოკვეთის პროცესი, ხოლო სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ესაა იდენტობის ამ მდგენელების გეოგრაფიული ტერმინებითა და სიმბოლოებით „გადმოცემის/თარგმნის“ საშუალება (Dijkink 1996, 14). საგულისხმოა, რომ ეს ანალიტიკური ფორმულა პირდაპირ ეხმიანება რიჩარდ მოულის განმარტებას ეროვნული იდენტობის შესახებ, რომლის თანახმად, იდენტობა გადმოგვცემს „თუ როგორ წარმოვიდგენთ ჩვენსა და სხვების ადგილს სოციალურ სამყაროში“ (Mole 2007, 3).

ნაშრომის საბაზისო ანალიტიკური მოდელია „ჩვენ-სხვა“ დიადა, რომლის თანახმად, კოლექტიური იდენტობა, ანუ „ჩვენ“ არის გარე სამყაროსთან, „სხვებთან“

[8] გეოპოლიტიკის სამეცნიერო ტრადიციაში იდენტობის დისკურსულ კვლევებს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ამ საკითხზე მუშაობდნენ ხერტიან დაიკინკი, დეივიდ ნიუმანი, ჯონ შარპი, ჯეიმს სიდავეი, დეივიდ ატკინსონი, კლაუს დოდსი და ა.შ.

ურთიერთობის, „შეპირისპირების“ პროდუქტი, ხოლო „ჩვენისა“ და „სხვის“ ჩამოყალიბება ერთ დისკურსულ სივრცეში - „ჩვენის“, საკუთარი იდენტობის ფარგლებში ხდება. ამ თვალსაზრისით, გარე სამყარო და გარე სამყაროში მყოფი „სხვები“ ეროვნული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. საგულისხმოა ისიც, რომ გამოყენებული ანალიტიკური მოდელი თავის თავში მოიაზრებს ეროვნული იდენტობის მხოლოდ „საგარეო“, შეპირისპირებით შექმნილი ელემენტების შესწავლას, რამაც შესაძლოა დამოუკიდებლად, „სხვებთან“ ურთიერთობის გარეშე შექმნილი ფაქტორების უგულებელყოფა გამოიწვიოს (მაგ. ენა, სარწმუნოება, კულტურა, ჩვეულებები, ისტორია, მითები საერთო წარმოშობაზე და ა.შ.). უდავოა, რომ „ჩვენ-სხვა“ მოდელის ეს თვისება მის ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს, თუმცა, ამ ნაშრომის მთავარი მიზნისთვის - შეისწავლოს ქართველების თვითაღქმისა და თვითწარმოდგენის საკითხი საგარეო პოლიტიკურ დისკურსში - ეროვნული იდენტობის დამოუკიდებლად შექმნილი ელემენტების კვლევა ნაკლებად რელევანტურია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არ ნიშნავს მათ სრულად უგულებელყოფას; აღნიშნული ელემენტები კვლევის ფოკუსში ექცევა ყოველთვის, როცა მკაფიოა მათი „სხვასთან“ ან „სხვებთან“ შეპირისპირების ფაქტორი.

წინა ორი პარაგრაფიდან გამომდინარე, ამ ნაშრომის ძირითადი წანამძღვარი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: გეოპოლიტიკური ხედვები, უფრო კონკრეტულად კი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსში ასახული წარმოდგენები გარე სამყაროზე/აქტორებზე და ქვეყნის როლზე და ადგილზე მასში/მათთან მიმართებით, ამომწურავ პასუხს სცემს ქართულ ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან კითხვას - თუ როგორია გარე სამყაროსთან მიმართებით საქართველოს თვითაღქმა და თვითწარმოდგენა.

მეტი სიცხადისთვის, ნაშრომი დამატებით მოიხმობს დე სილიას, რეისიგლისა და ვოდაკის მიერ მათსავე სტატიაში ‘ეროვნული იდენტობის დისკურსული კონსტრუირება’ გამოყენებულ წანამძღვრებს: 1) ეროვნული იდენტობა ესაა წარმოსახვითი კონსტრუქტი, რომელიც ადამიანების გონებაში და მეხსიერებაში ცოცხლობს; 2) ეროვნული იდენტობა დისკურსულად, ენისა და სხვა სემიოტიკური საშუალებების მეშვეობით, პოლიტიკოსების, მოაზროვნეებისა და მედიის მიერ იქმნება, იცვლება და ქრება; 3) ეროვნული იდენტობა ესაა საზიარო იდეების, კონცეფციებისა და აღქმების ერთობლიობა; 4) ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება

განსხვავების/განსხვავებულობისა და გამორჩეულობის კონსტრუირებით ხდება; 5) ეროვნული იდენტობა თანმიმდევრული, სტაბილური და სტატიკური არ არის (De Cillia, Reisigl & Wodak 199, 153).

4. მეთოდოლოგიური ჩარჩო

4.1 კრიტიკული გეოპოლიტიკა, როგორც მეთოდოლოგიური ჩარჩო

იმის გათვალისწინებით, რომ გეოპოლიტიკური ხედვა დისკურსული არსით ფენომენია, დისკურსისთვის კი ტექსტი განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კრიტიკული გეოპოლიტიკის მეცნიერები კვლევის ძირითად წყაროდ ტექსტებს არჩევენ. თავად ტექსტები მრავალფეროვანია, დაწყებული სიტყვით გამოსვლებით (O'Loughlin & Grant 1990) და ოფიციალური დოკუმენტებით (Dalby 1990), დამთავრებული ჟურნალისტური სტატიებითა (Megoran 2004) და კომიქსის ეპიზოდებით (Dodds 2007). აღსანიშნავია, რომ კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევართათვის ტექსტი გაცილებით უფრო მეტია ვიდრე საკვლევი მასალის სახე. კრიტიკული გეოპოლიტიკის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ გლობალური სამყარო „თავისით არ არსებობს" და, რომ ტექსტები შესაძლოა „პოლიტიკური სამყაროს შემქმნელიც იყოს" (Muller 2013, 49-50). ეს კი, ბუნებრივად წარმოშობს კითხვას იმაზე, თუ ვისი სიტყვები უფრო მეტი მნიშვნელობის მატარებელია გარე სამყაროს „შექმნის" პროცესში. ამ მხრივ, იკვეთება კრიტიკული გეოპოლიტიკის სამი განსხვავებული მიდგომა: პრაქტიკული გეოპოლიტიკა, ფორმალური გეოპოლიტიკა და პოპულარული გეოპოლიტიკა (Agnew & Corbridge 1995, 48; Mamadouh & Dijkink 2006, 355). პრაქტიკული გეოპოლიტიკა ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მართვაში ჩართული ადამიანების - თანამდებობის პირების, პოლიტიკური ლიდერებისა და მაღალი რანგის სამხედროების - როლზე (Ó Tuathail 1996, 46) და მიიჩნევს, რომ ისინი გარე სამყაროს გამარტივებული სურათებით გადმოსცემენ (Ó Tuathail & Agnew 1992, 194). ამ მიდგომის თანახმად, სახელმწიფოს მართვაში ჩართული პირები მსოფლიოს რეგიონებად ყოფენ და მათ ისეთი მახასიათებლებით აღწერენ, როგორებიცაა „საფრთხე", „საშიშროება", „უსაფრთხოება" და ა.შ. (Atkinson & Dodds 2000, 10). ეს მათ განასხვავებს ფორმალური გეოპოლიტიკის აქტორებისგან - სამხედრო და უსაფრთხოების ექსპერტებისგან და სტრატეგიული მოაზროვნეებისგან, რომლებსაც გადმოცემისა და დასაბუთების უფრო ფორმალიზებული მოდელები ახასიათებთ (Ó Tuathail & Agnew 1992, 194), ისინი ასევე განსხვავდებიან პოპულარული გეოპოლიტიკის აქტორებისგან - ჟურნალისტებისგან და მედიის პროფესიონალებისგან - რომლებიც გეოპოლიტიკური აზროვნებისა და

წარმოდგენების ფართო საზოგადოებაში გავრცელებით არიან დაკავებულნი (Agnew & Corbridge 1995, 48).

პრაქტიკული გეოპოლიტიკა კრიტიკული გეოპოლიტიკის ლიტერატურაში ერთ-ერთი წამყვანი მიდგომაა. საკუთრივ პრაქტიკულ გეოპოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საპრეზიდენტო რიტორიკის, როგორც გეოპოლიტიკური ხედვების შესწავლის საშუალებას (Flint et al. 2009, 605). საგულისხმოა, რომ ერთ-ერთი პირველი მცდელობა პრაქტიკულ გეოპოლიტიკაში (და ზოგადად, კრიტიკულ გეოპოლიტიკაში) სწორედ ამერიკის პრეზიდენტების 1946-1987 წლების ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენებების კვლევა იყო[9] (O'Loughlin & Grant, 1990). მას შემდეგ, მსგავსი კვლევები ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების (Flint et al. 2009; Ambrosio et al. 2017), რუსეთის (Ambrosio & Vandrovec 2013; Baturo & Mikhaylov 2014) და ყაზახეთის მაგალითების შესახებაც (Ambrosio & Lange 2014).

პრეზიდენტების ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენებების ანალიზს რამდენიმე დადებითი მხარე აქვს. უპირველესად, ყოველწლიური მოხსენება ეს არის სახელმწიფოს მეთაურთათვის მიცემული შესაძლებლობა ფორმალურ ვითარებაში წარმოადგინონ მათი გეგმები და ხედვები, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური აუდიტორიისთვის (Ambrosio & Lange 2014, 539). ეს მათ უბიძგებს წინასწარ გადაწყვიტონ „რა გაითვალისწინონ და რა არა, რამდენი დრო დახარჯონ თითოეულ საკითხზე და როგორ წარმოაჩინონ ესა თუ ის მოვლენა, კონცეფცია და გეგმა“ (Ambrosio & Vandrovec 2013, 437). ეს ყოველივე კი მკვლევარს საშუალებას აძლევს აღნუსხოს ცალკეული პოლიტიკური ლიდერის პრიორიტეტები და გაიგოს თუ რა აზრს ატარებს და რა დატვირთვა ენიჭება ამა თუ იმ პოზიციას. ყოველწლიური მოხსენება განმეორებითიცაა, რადგან ის ერთსა და იმავე ადგილზე და ერთი და იმავე ფორმატის გამოყენებით ხდება, რაც მკვლევრებს საშუალებას აძლევს „დაინახონ დროითი ტენდენციები და დასკვნები სხვა პრეზიდენტებთან შედარებით გააკეთონ“

[9] თავის მხრივ, ჯონ ო'ლაფლინისა და რიჩარდ გრანტის კვლევა დაეფუძნა ალან ჰენრიქსონის სტატიას ამერიკელი დიპლომატების „გონებრივი რუკების“ (mental maps) შესახებ (Henrikson 1980). ჰენრიკსონის თანახმად, „გონებრივი რუკა“ ესაა გონების ორგანიზებული, თუმცა, მუდმივად ცვალებადი სტრუქტურა. ესაა მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანი იძენს, ახარისხებს, იმახსოვრებს, იხსენებს, აორგანიზებს და იყენებს (როგორც ფიქრით, ისე ქმედებით) ინფორმაციას გეოგრაფიული გარემოს შესახებ (Henrikson 1980, 498).

(Ambrosio et al. 2017, 3). ეს ორი ელემენტი, ერთობლიობაში, საპრეზიდენტო გამოსვლებს პოლიტიკური ლიდერების ხედვების შეფასებაში მნიშვნელოვან წყაროდ ხდის.

პრეზიდენტების ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენებები გამოსადეგია წინამდებარე კვლევის მიზნებისთვისაც. ერთი მხრივ, ამ გამოსვლების ანალიზი გარე სამყაროს აღქმისა და მასში საქართველოს როლის/ადგილის საკითხის თვისებრივად და რაოდენობრივად შესწავლის საშუალებას იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, დასკვნების განზოგადებას ხდის შესაძლებელს. სწორედ ამიტომ, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში არსებული გეოპოლიტიკური ხედვების შესასწავლად, ნაშრომი საპრეზიდენტო რიტორიკის კვლევის ანალოგიურ ჩარჩოს იყენებს. კერძოდ, კვლევის ფარგლებში, გაანალიზდება 1990 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს პრეზიდენტების მიერ პარლამენტში გაკეთებული მიმართვები და მოხსენებები.

4.2 საპრეზიდენტო მოხსენებების ტრადიცია საქართველოში

საქართველოში პრეზიდენტის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენებების ტრადიცია სათავეს იღებს 1994 წლიდან, როცა მაშინდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფოს მეთაურმა საკანონმდებლო ორგანოს პირველად მიმართა ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. 1997 წლიდან საპარლამენტო მოხსენების ტრადიციამ უკვე ფორმალური სახე მიიღო და კანონის მოთხოვნა გახდა. საპარლამენტო მოხსენება მალევე გადაიქცა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად, რისი მთავარი განმაპირობებელიც იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტის განსაკუთრებული როლი იყო, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მომდევნო ორ ათწლეულში პრეზიდენტებს საგარეო პოლიტიკის წარმართვის თვალსაზრისით დომინანტური პოზიცია ჰქონდათ. 1991 წლიდან 2013 წლამდე მოქმედ ყველა პრეზიდენტს - ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძეს და მიხეილ სააკაშვილს - თითქმის შეუზღუდავი კონსტიტუციური მანდატი გააჩნდათ საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე. ამას თან ერთოდა ისიც, რომ პრეზიდენტები აქტიურად იყენებდნენ ამ უფლებამოსილებას: ნიშნავდნენ საგარეო საქმეთა

მინისტრებს, აგზავნიდნენ ელჩებს, ერთვებოდნენ საერთაშორისო მოლაპარაკებებში, ახორციელებდნენ ვიზიტებს, საუბრობდნენ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე, განმარტავდნენ მათ გადაწყვეტილებებს და ა.შ.

საგულისხმოა, რომ 2013 წლიდან, 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლასთან ერთად, საგრძნობლად შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოსილებები. უფლებამოსილებების შეკვეცის პროცესი 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგადაც გაგრძელდა. ამის მიუხედავად, პრეზიდენტებს გიორგი მარგველაშვილს და სალომე ზურაბიშვილს შეუნარჩუნდათ გარკვეული კონსტიტუციური უფლებამოსილებები საგარეო ურთიერთობებში, მათ შორის, სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მოლაპარაკების, საერთაშორისო ვიზიტებისა და ელჩების დანიშვნა-გათავისუფლების თვალსაზრისით. რაც მთავარია, შენარჩუნდა საგარეო პოლიტიკის თემატიკაზე, მათ შორის, ქვეყნის როლისა და ადგილის შესახებ საჯაროდ საუბრის პრაქტიკა; შეზღუდული უფლებამოსილების მიუხედავად, საკვლევ პერიოდში გიორგი მარგველაშვილიც და სალომე ზურაბიშვილიც საკმაოდ აქტიურად ერთვებოდნენ მიმდინარე საგარეო პოლიტიკური საკითხების განხილვაში, აყალიბებდნენ მათ პოზიციებს და აფასებდნენ სხვათა მოსაზრებებს. ამასთანავე, გაგრძელდა საპარლამენტო მოხსენებებისა და ამ მოხსენებებში საგარეო პოლიტიკის შესახებ საუბრის პრაქტიკაც. შესაბამისად, პრეზიდენტები ახალ საკონსტიტუციო მოწყობაში კვლავ რჩებიან საგარეო პოლიტიკის თემაზე მოქმედ მნიშვნელოვან აქტორებად, მათ შორის, საქართველოს როლისა და გარე სამყაროს აღქმის შესახებ წარმოდგენების ფორმირებაში. ამიტომ, მართალია, სხვადასხვა საკონსტიტუციო უფლებების მქონე პრეზიდენტების შედარება წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგიურ შეზღუდვას წარმოადგენს, მთლიანობაში, ამ კვლევის მიზნებისთვის, ხუთივე პრეზიდენტის მოსაზრებების თანაბრად განხილვა მაინც მიზანშეწონილი და გამართლებულია.

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა 1991 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს საქართველოს სახელმწიფო მეთაურების - ზვიად გამსახურდიას (1991-1992), ედუარდ შევარდნაძის (1992-1995; 1995-2003), მიხეილ სააკაშვილის (2004-2013), გიორგი მარგველაშვილისა (2013-2018) და სალომე ზურაბიშვილის (2018-2023) - მიერ წარმოთქმული საპარლამენტო მოხსენებები. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი საპარლამენტო მოხსენება მხოლოდ 1994 წელს შედგა, წინა სამი წლის სიცარიელის

შესავსებად, მოძიებული იქნა 2 ალტერნატიული გამოსვლა. გამსახურდიას შემთხვევაში ესაა საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 7 ივნისის სხდომაზე გაკეთებული მიმართვა (ახალარჩეული პრეზიდენტის რანგში), ხოლო შევარდნაძის შემთხვევაში - მისი გამოსვლა მეცნიერებათა აკადემიის წინასაარჩევნო კრებაზე 1992 წლის 9 ოქტომბერს (სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის რანგში). ზვიად გამსახურდიას მმართველობის სრულად დასაფარად, კვლევა ითვალისწინებს 1990 წელსაც. ამ წლის საკვლევ მასალად აღებულია მისი გამოსვლა უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარის სტატუსით[10]. აღსანიშნავია ისიც, რომ 2008 წლის საკვლევ ტექსტად აღებულია მიხეილ სააკაშვილის 20 იანვრის საინაუგურაციო სიტყვა, რადგან მისი ყოველწლიური მოხსენება, წინა მოხსენებებისგან განსხვავებით, საკმაოდ გვიან, 2008 წლის 16 სექტემბერს შედგა და, ძირითადად, რუსეთ-საქართველოს ომს მიეძღვნა და არა ზოგად პოლიტიკურ საკითხებს. დოკუმენტები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მამარდაშვილის ციფრული არქივის (http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library), საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდისა (president.gov.ge) და ამავე ვებგვერდის არქივის მეშვეობით შეგროვდა (https://www.president.gov.ge/ka/page/presidents-of-georgia).

4.3 საგარეო პოლიტიკური წინადადებების გამოყოფა

კვლევის მიზნებისა და საკვლევი კითხვების თავისებურებების გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. პირველ ეტაპზე განხორციელდა სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც, მოძიებულ იქნა საკვლევ საკითხზე, თეორიულ ჩარჩოსა და მეთოდოლოგიაზე არსებული ლიტერატურა. მეთოდოლოგიის ძიებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სხვა ქვეყნების მაგალითზე განხორციელებულ, მსგავსი ფორმატის აკადემიურ კვლევებზე. კვლევის შემდეგ ეტაპზე, მოხდა მოპოვებული მასალის ანალიზი, მათ შორის, პრეზიდენტების გამოსვლების კონტენტანალიზი და დისკურსნალიზი. ანალიზისას, პირველ ეტაპზე განხორციელდა ტექსტის საკვლევ

[10] რაოდენობრივი მიგნებების შესავსებად, დამატებით გამოყენებულია ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

ერთეულებად „ჩაშლა“. ამ მიზნით, ავტორმა იხელმძღვანელა ჯონ ო’ლაფლინისა და რიჩარდ გრანტის მიერ 1990 წელს, მათსავე სტატიაში, ‘საპრეზიდენტო გამოსვლების პოლიტიკური გეოგრაფია’ (The Political Geography of Presidential Speeches), გამოყენებული მიდგომით. ო’ლაფლინისა და გრანტის სტატიის თანახმად, საპრეზიდენტო გამოსვლებში დათმობილი ყურადღება ზუსტად გადმოსცემს იმ მნიშვნელობას, რასაც ტექსტის ავტორები ანიჭებენ ცალკეულ გეოგრაფიულ სივრცეებსა და საკითხებს (O’Loughlin & Grant 1990, 509). ეს ნიშნავს, რომ დოკუმენტებში გამოყენებული სიტყვების რაოდენობა ტექსტის ავტორების პრიორიტეტებისა და მოსაზრებების მანიშნებელია (იქვე). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტს საუბრობს პოლიტიკური ლიდერი ცალკეულ ქვეყნებსა და გეოგრაფიულ სივრცეებზე, მით მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ მათ პრეზიდენტის პრიორიტეტებში, ხოლო რაც უფრო ნაკლებს საუბრობს ამა თუ იმ ქვეყანაზე და სივრცეზე, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა ეთმობა მათ.

საკვლევი ერთეულის შერჩევისას, წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია თომას ამბროსიოს, პრესტონ ჰოფნერის, კევინ ტომფსონისა და კარი ვოტსონის მიდგომა, რომლითაც ავტორებმა 2017 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ‘ბარაკ ობამას ყოველწლიური მოხსენებების გეოპოლიტიკური დისკურსი’ (The Geopolitical Discourse of Barack Obama’s State of the Union Addresses) იხელმძღვანელეს. ავტორები იზიარებენ ო’ლაფლინისა და გრანტის გამოყენებულ ზოგად წანამძღვრებს საპრეზიდენტო გამოსვლებში დათმობილი დროისა და მნიშვნელობის შესახებ, თუმცა, საკვლევ ერთეულად იყენებენ არა სიტყვებს (რამდენჯერ არის მოხსენიებული ესა თუ ის ქვეყანა/სივრცე მთელ ტექსტში?), არამედ წინადადებებს (რამდენი წინადადება ეთმობა ამა თუ იმ ქვეყანას/სივრცეს?) (Ambrosio et al. 2017, 8). ავტორთა თანახმად, წინადადებების მიდგომა უფრო ზუსტად გადმოსცემს ცალკეული ქვეყნებისთვის და სივრცეებისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას (9). კერძოდ, ის თავიდან ირიდებს სიტყვების დათვლაზე დაფუძნებული მიდგომის ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: 1) იმ წინადადებების გამოტოვება, რომელშიც ესა თუ ის სივრცე/აქტორი პირდაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ მაინც მას ეხება; 2) ერთ წინადადებაში ნახსენები სივრცის/აქტორის იმდენჯერ დათვლა, რამდენჯერაც ეს აქტორია ნახსენები მოცემულ წინადადებაში (იქვე).

შესაბამისად, მოცემული კვლევისთვის, პირველ რიგში, დაჯამდა ტექსტში წინადადებათა სრული რაოდენობა და განცალკევდა საგარეო თემატიკის წინადადებები. ასეთ წინადადებად განიმარტა *წერტილით, ძახილის ნიშნით ან წერტილ-მძიმით დასრულებული ყველა ისეთი სიტყვათა ერთობლიობა, რომელიც საქართველოს როლისა და საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტების შესახებ საუბრობს ან მის წარსულ, არსებულ და სამომავლო კავშირ-ურთიერთობებზე საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებთან, ეთნოსებთან, რეგიონებთან თუ გაერთიანებებთან.* სრული მოცვისთვის, საგარეო თემატიკის წინადადებებში მოხვდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ გაკეთებული წინადადებებიც, აგრეთვე, საშინაო პოლიტიკაზე გაკეთებული ისეთი წინადადებები, სადაც გარე სამყარო, საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანა ან საერთაშორისო ორგანიზაციაა ნახსენები. საგარეო პოლიტიკური თემატიკის წინადადებათა გამოყოფამ შესაძლებელი გახადა მთლიან ტექსტში საგარეო პოლიტიკის საკითხების წილის რაოდენობრივი მონაცემებით დადგენა და გზა გაკვალა ტექსტების შემდგომი ანალიზისთვის.

4.4 კვლევის მეთოდი: ვინ არიან „სხვები“?

საგარეო თემატიკის წინადადებების გამოყოფის შემდეგ, ამბროსიოსა და სხვების მეთოდის თანახმად, დადგინდა „საგარეო პოლიტიკის წილი“ - საგარეო პოლიტიკური წინადადებების პროცენტული შეფარდება საპრეზიდენტო გამოსვლების ტექსტებთან მიმართებით.

შემდეგ ეტაპზე მოხდა „სპეციფიკური ადგილის წილის“ გამოთვლა. ამ მიზნით, პირველ რიგში, საგარეო პოლიტიკური წინადადებებს მიენიჭათ შესაბამისი სახელობითი კოდები (მაგ. ამერიკა, ავსტრალია, დასავლეთი, შუა აზია და ა.შ.)[11]. კოდების მინიჭება მოხდა ხელით. კოდირებისას გათვალისწინებულ იქნა არა მხოლოდ ის, მოხსენიებულია თუ არა ესა თუ ის აქტორი და სივრცე უშუალოდ კოდირებულ წინადადებაში, არამედ ისიც, თუ რა შინაარსის მატარებელია წინამორბედი და მომდევნო წინადადებები. საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევებში,

[11] კოდირება განხორციელდა 2022 წლის მაის-ივნისის პერიოდში ავტორის მიერ. შედეგები გადამოწმდა ავტორის მიერვე, 2023 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში.

როდესაც ერთ წინადადებაში ერთზე მეტი აქტორი ან სივრცე იყო ნახსენები, ერთ ერთეულ წინადადებას მიენიჭა იმდენი კოდი (შემდგომში „ხსენება“), რამდენჯერაც ესა თუ ის აქტორი ან სივრცე იყო ნახსენები[12]. შემდეგ ეტაპზე მოხდა კოდირებული მასალის Word-ის დოკუმენტებიდან Excel-ის სამუშაო ფაილებში გადატანა და მათი დაჯგუფება უფრო მსხვილი გეოგრაფიული/პოლიტიკური ერთეულების მიხედვით. საგულისხმოა, რომ გამსხვილება მოხდა „ქვემოდან-ზემოთ“, ინდუქციური მიდგომის გამოყენებით: მხედველობაში იქნა მიღებული ცალკეული აქტორებისთვის და სივრცეებისთვის მინიჭებული შინაარსი, აგრეთვე, ის, თუ როგორ აჯგუფებენ ამ აქტორებსა და სივრცეებს თავად პრეზიდენტები[13].

ეს გეოგრაფიული/პოლიტიკური ერთეულებია: დასავლეთი/ევროპა, მსოფლიო/საზღვარგარეთი, რუსეთი/დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, საერთაშორისო ორგანიზაციები, შავი ზღვის რეგიონი, საერთაშორისო საზოგადოება/თანამეგობრობა, კავკასია, საბჭოთა კავშირი, აზია/ევრაზია, სამეზობლო/რეგიონი, ახლო აღმოსავლეთი და პოსტ-საბჭოთა სივრცე (ერთეულებში შემავალი აქტორებისა და სივრცეების ჩამონათვალი იხილეთ დანართში #1).

კვლევის შემდეგ ეტაპზე, განხორციელდა გეოგრაფიული/პოლიტიკური ერთეულების რაოდენობრივი ანალიზი, მათ შორის, მოხდა ხსენებათა მთლიან რაოდენობაში მათი პროცენტული წილის გამოთვლა; იგივე გამეორდა წლების და პრეზიდენტების მიხედვით.

მიღებულმა შედეგებმა ნათელი სურათი შექმნა იმაზე, თუ რა ადგილი ეთმობა საგარეო პოლიტიკურ საკითხებს საპრეზიდენტო დისკურსში, მათ შორის, კერძოდ რომელ აქტორებსა და სივრცეებზე მახვილდება ყურადღება პრეზიდენტების მიერ. მეტი თვალსაჩინოებისთვის, რაოდენობრივი მონაცემების მიმოხილვა შეივსო ტექსტების თვისებრივი ანალიზითაც. უფრო კონკრეტულად, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ

[12] მაგალითად, თუ წინადადებაში ნახსენებია ერაყი, ამერიკა და ახლო აღმოსავლეთი, მოცემული წინადადება ითვლება სამ დამოუკიდებელ წინადადებად ერაყზე, ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთზე.

[13] მაგალითად, თუ წინადადებაში ნახსენებია ერაყი, ამერიკა და ახლო აღმოსავლეთი, მოცემული წინადადება ითვლება ორ ხსენებად ახლო აღმოსავლეთზე და ერთ ხსენებად დასავლეთზე/ევროპაზე.

გეოგრაფიულ/პოლიტიკურ ერთეულს ცალკეული პრეზიდენტების გამოსვლებში - რომელია მათთვის მტრული და მეგობრული, მისაბაძი და არასასურველი აქტორები და სივრცეები. ზოგად დასკვნებთან ერთად, წარმოდგენილია ისიც, თუ რა მახასიათებლებით ხდება ამა თუ იმ ერთეულის აღწერა და აზრობრივი დატვირთვა, აგრეთვე, ის თუ რა ენობრივი ტექნიკებს მოიხმობენ ამ აქტორებსა და სივრცეებზე საუბრისას, მათ შორის, რა მეტაფორები, ტერმინები და ცნებები გამოიყენება მათ შესახებ.

შესაბამისად, შერჩეული მეთოდის მეშვეობით, პასუხი ეცემა წინამდებარე ნაშრომის პირველ ორ საკვლევ კითხვას: 1) როგორ არის წარმოჩენილი საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნები და სხვადასხვა გეოგრაფიული არეალები საქართველოს პრეზიდენტების რიტორიკაში; და 2) რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამა თუ იმ ქვეყანას და გეოგრაფიულ არეალს საქართველოს პრეზიდენტები (რომელია მათთვის მტრული და მეგობრული, მისაბაძი და არასასურველი აქტორები)? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შერჩეული მეთოდით ვიგებთ თუ ვინ არიან „სხვები“ საქართველოსთვის და თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურებს მათ მიმართ.

4.5 კვლევის მეთოდი: ვინ ვართ „ჩვენ“?

მესამე საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად (როგორ ახდენენ გარე სამყაროსთან მიმართებით საქართველოს როლისა და ადგილის წარმოჩენას საქართველოს პრეზიდენტები?), ავტორმა გამოიყენა ბენტლი ალანის ინდუქციური დისკურსანალიზის მეთოდი, რომელიც ამ უკანასკნელმა 2016 წელს, მისსა და ტედ ჰოფის რედაქტირებულ წიგნში ‘იდენტობის დათვლა’ (Making Identity Count) წარმოადგინა. აღნიშნული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, ეროვნული იდენტობა ესაა იდეებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა საკუთარი თავისა და სხვების შესახებ (Allan 2016, 21). ამ მიდგომის თანახმად, არ არსებობს ქვეყნის ერთი იდენტობა; არსებობს მრავალი დისკურსული ფორმაცია ერის რაობისა და სხვებთან მისი მიმართების შესახებ, რომელთაგან ზოგი დომინანტია და ზოგიც სადაო (იქვე, 24-25). ალანის თანახმად, დისკურსები მუდმივად ცვალებადია, მათი სიმყარე კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ხშირად მოიხმობენ მას პოლიტიკური ელიტები; თუ

ისინი წლების განმავლობაში თანაბრად ავითარებენ ამა თუ იმ დისკურსს, ეს ნიშნავს, რომ დისკურსი ძლიერია. თავად დისკურსები იდენტობის კატეგორიებისგან შედგება, ანუ იმ მახასიათებლებისგან, რაც ერსა და მის წევრებს მიეწერებათ (იქვე, 26). ალანი იდენტობის ტექსტად ოპერაციონალიზებას ახდენს, რაც სრულადაა თავსებადი წინამდებარე ნაშრომის თეორიულ ჩარჩოსთან. საგულისხმოა ისიც, რომ სხვა მიდგომებისგან განსხვავებით, ალანის მეთოდი იდენტობის კატეგორიებს წინასწარი თეორიზების გარეშე, ინდუქციურად ადგენს, რაც მისი მეთოდის ვალიდურობას განაპირობებს (იქვე, 27).

ტექსტის შერჩეული მეთოდით ანალიზი რამდენიმე დონეზე წარიმართა: პირველ რიგში, მოხდა ამბროსიოს მიდგომით გამოყოფილი საგარეო პოლიტიკური წინადადებების კოდირება - ცალკეულ წინადადებას მიესადაგა იდენტობის ის კატეგორია (მაგ. ევროპული, დასავლური, მიუმხრობელი, საზღვაო, კავკასიური, კოსმოპოლიტური, მშვიდობისმოყვარე, ღირებულებების დამცველი და სხვ.), რომელიც შინაარსობრივად მისთვის ყველაზე მეტად იყო დამახასიათებელი[14]. იდენტობის კატეგორიის განსასაზღვრად, თითოეულ წინადადებას დაესვა კითხვა

[14] აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევის მიზნებისა და საკვლევი კითხვების გათვალისწინებით, მოხდა ალანის მეთოდის რამდენადმე ცვლილება. ცვლილებათაგან ერთ-ერთია ის, რომ საკვლევ ტექსტად შერჩეულია ყოველწლიური საპრეზიდენტო გამოსვლები პარლამენტში, ალანის მეთოდის თანახმად კი გამოყენებულია როგორც პოლიტიკური ლიდერების საეტაპო გამოსვლები, ისე საგაზეთო სტატიები, ისტორიის სახელმძღვანელოები, ნოველები და ფილმები. ამასთანავე, ალანის მეთოდისგან განსხვავებით, საკვლევ ერთეულად შერჩეულია არა პარაგრაფი, არამედ წინადადება. იმის გათვალისწინებით, რომ წინადადება უფრო მეტი სიზუსტით აღწერს ტექსტში ნაგულისხმევ აზრებს, ავტორმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკვლევ ერთეულად ამ უკანასკნელის არჩევა. აღსანიშნავია ისიც, რომ საკვლევ ერთეულად წინადადების გამოყენება თავსებადია ნაშრომში გამოყენებულ მეორე მეთოდთან. ამავდროულად, ტექსტის საკვლევი ერთეულისთვის მისასადაგებელი იდენტობების რაოდენობად განისაზღვრა ერთი კატეგორია, რამაც ავტორს შესაძლებლობა მისცა გამოეკვეთა ცალკეული იდენტობების პროცენტული მაჩვენებლები, როგორც წლების, ისე პრეზიდენტების მიხედვით. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონტექსტში იდენტობის კატეგორიების აბსოლუტური უმრავლესობა შინაარსით დადებითია, არ მომხდარა წინადადებების ვალენტობის (დადებითია, უარყოფითი, ნეიტრალური თუ ბუნდოვანი ესა თუ ის იდენტობა) განსაზღვრაც. არ მომხდარა იდენტობის კატეგორიების შეწონვაც: შედეგები წარმოდგენილია ნედლი რაოდენობებით.

როგორი იყო, არის ან უნდა იყოს საქართველო ამა თუ იმ ქვეყანასთან, გეოგრაფიულ სივრცესთან, საერთაშორისო აქტორთან ან გარე მოვლენასთან მიმართებით (იდენტობის კატეგორიების სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში #2). თითო წინადადებას მიესადაგა თითო კატეგორია. კოდების მინიჭება მოხდა ხელით. კატეგორიებთან ერთად, განისაზღვრა წინადადების დროითი განზომილებაც. კერძოდ, იდენტობის კატეგორიას მიეთითა შესაბამისი ტიპი (წარსული, არსებული, მომავალი), იმის მიხედვით, თუ რა სახის კითხვას პასუხობს აღნიშნული წინადადება. ანალიზის შემდეგ ეტაპზე, მოხდა კოდირებული მასალის Word-ის დოკუმენტებიდან Excel-ის სამუშაო ფაილებში გადატანა და იდენტობის კატეგორიების თემატურად გაერთიანება. იდენტობის კატეგორიები ჯერ შუალედურ კატეგორიებად დაჯგუფდა, შემდეგ კი, საბოლოო კატეგორიებად. სულ კოდირების საწყის ეტაპზე გამოირჩა 97 იდენტობის კატეგორია, გამსხვილების შედეგად კი, დარჩა 45 შუალედური კატეგორია და 14 საბოლოო კატეგორია[15]. კვლევის შემდეგ ეტაპზე განხორციელდა კოდირებული მასალის რაოდენობრივი ანალიზი, შესაბამისი მონაცემები კი აისახა ცხრილებზე. კვლევის ბოლო ეტაპზე მოხდა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ინტერპრეტაცია. ამ უკანასკნელის ფარგლებში, განხორციელდა დასკვნების საკვლევი კითხვის მიხედვით განხილვა და საქართველოს იდენტობის სადაო და კონსენსუსური კომპონენტების შეჯამება.

ამ მეთოდის გამოყენებით, გამოიკვეთა იდენტობის წამყვანი და ალტერნატიული დისკურსები და შესაძლებელი გახდა მათი დროში გარდაქმნის დანახვა. მიგნებებით ნათელი სურათი შეიქმნა იმაზე, თუ რა მახასიათებლებით გამოარჩევენ ქართველი ლიდერები საქართველოს ამა თუ იმ გეოგრაფიული სივრცისა და აქტორის მიმართ, აგრეთვე, იმას, თუ რა მახასიათებლების გამო მიაკუთვნებენ პრეზიდენტები გარე სამყაროს ცალკეულ სივრცეებს. შესაბამისად, შერჩეული მეთოდის მეშვეობით პასუხი გაეცა წინამდებარე ნაშრომის ბოლო საკვლევ კითხვას: როგორ ახდენენ საქართველოს მისიის, როლისა და ადგილის წარმოჩენას გარე სამყაროსთან და აქტორებთან მიმართებით საქართველოს პრეზიდენტები? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შერჩეული მეთოდით ვიგებთ თუ ვინ ვართ ჩვენ „სხვებთან“ მიმართებით.

[15] კოდირება განხორციელდა 2022 წლის მაის-ივნისის პერიოდში ავტორის მიერ. შედეგები გადამოწმდა ავტორის მიერვე, 2022 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში.

5. ლიტერატურის მიმოხილვა

5.1 ეროვნული იდენტობის კვლევები

ეროვნული იდენტობის შესწავლას ქართულ სააზროვნო სივრცეში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქართველების, როგორც კოლექტიური ერთობის იდენტობის გააზრების პირველი მცდელობები მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართული პრესის ფურცლებზე ჩნდება. ამ საკითხზე წერდნენ ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები. მოგვიანებით, ეროვნულ იდენტობას მეცნიერების თვალით ეხმიანებიან ნოე ჟორდანია, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე და გერონტი ქიქოძე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ეროვნული იდენტობის კვლევა და მასზე მსჯელობა ერთგვარად მინელდა, თუმცა, საბჭოთა ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის ფარგლებში ის მაინც შენარჩუნდა (ჩიქოვანი და სხვები 2014, 8; ჯამაგიძე 2019). ეროვნული იდენტობის მეცნიერული კვლევა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან კვლავ იჩენს თავს (თარგამაძე 2019, 3) და მომდევნო ათწლეულებში მყარად იკიდებს ფეხს როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა. ეროვნული იდენტობის საკითხისადმი დაინტერესება პიკს აღწევს ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს და თანაბრად მოიცავს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებს. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა დასავლურ სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრებული თეორიული მიდგომების ქართულ მაგალითზე მორგებისა და განხილვის ფართოდ გავრცელებაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეროვნული იდენტობის შესწავლა თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება, ძირითადი საკვლევი საგანი მაინც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული გამოღვიძების მოძრაობაა. ამ თემის შესახებ წერენ რონალდ სუნი (1996), ირაკლი ჩხაიძე (2009), ოლივერ რეისნერი (2009), გიგა ზედანია (2009), თინათინ ბოლქვაძე (2010), ზაალ კიკვიძე (2010), ცირა კილანავა (2013), ნინო ჩიქოვანი, ირაკლი ჩხაიძე, ივანე წერეთელი, დავით მაცაბერიძე და ქეთევან კაკიტელაშვილი (2014), მარიამ ჩხარტიშვილი (2011/2012; 2021), ქეთევან მანია (2011/2012), ტიმოთი ბლაუველტი და ანტონ ვაჭარაძე (2021), ზაალ ანდრონიკაშვილი (2021) და სხვები. ავტორთა მეორე ნაწილი, რომელთა უმრავლესობას უცხოელები შეადგენენ, საბჭოთა საქართველოს იდენტობისა და ნაციონალიზმის საკითხებით ინტერესდება (Jones 1989; Christophe 2002; De Leonardis 2016; Swann-Quinn 2019;

კეკელია 2019; Smith 2021). თანამედროვე ქართული ნაციონალიზმისა და იდენტობის საკითხებზე შექმნილი ნაშრომები ეკუთვნით ხათუნა მაისაშვილს (2010), ზვიად აბაშიძეს (2011), ნუცა ბათიაშვილს (2012; 2018; 2021), დიანა ბოგიშვილს, ირინა ოსეფაშვილს, ელენე გავაშელიშვილს და ნინო გუგუშვილს (2017), აგრეთვე, ნათია მესტვირიშვილს, მაია მესტვირიშვილს და თამარ ხოშტარიას (2021). ეროვნული იდენტობის საკითხს ეხებიან მეხსიერების მკვლევრებიც (Jones & Toria 2021). გვხვდება იდენტობის მარკერების სპეციალიზებული შესწავლაც, მათ შორის, ენის, (Smith et al. 1998), თვითსახელწოდების (ჩხარტიშვილი 2005) და მითოლოგემების (იაკობიშვილი 2005) შესახებ.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ქართული იდენტობის ფორმირებაში რელიგიის როლის კვლევები. ამ საკითხს ეხმიანებიან ქართველოლოგები სტივენ ჯონსი (Jones 1989)[16] და პოლ კრეგო (Crego 1994)[17]. რელიგიის საკითხი ქართველი მეცნიერების ყურადღების ცენტრშიც ექცევა. ქართული იდენტობის ორ განსხვავებულ - საერო და რელიგიურ - გაგებას შორის დაპირისპირებაზე წერენ გიგა ზედანია (2011) და ზაზა ვაჭრიძე (2012). თანამედროვე საქართველოში სეკულარიზაციის საკითხს ასევე ეხებიან ზაალ ანდრონიკაშვილი და გიორგი მაისურაძე (2010), თათია კეკელია (2012), ირინა სულხანიშვილი (2012) და კონსტანტინე ლადარია (2012).

წინამდებარე ნაშრომის თემაზე შექმნილი ლიტერატურიდან საყურადღებოა ხათუნა მაისაშვილის სადოქტორო ნაშრომი 'ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში' (2010). ნაშრომის ერთ-ერთი თავი ეძღვნება დისერტაციის საკვლევ პერიოდში (1990 წლის ოქტომბერი - 1992 წლის იანვარი) საქართველოს მიღმა არსებული გარემოს რეპრეზენტაციას ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის, მათთვის მინიჭებული ნიშან-თვისებებისა და მნიშვნელობების შესწავლას. საგულისხმოა, რომ კვლევის შედეგად გამოიყო 7 სივრცული ერთეული: საბჭოთა კავშირი, რუსეთი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები,

[16] ჯონსის თანახმად, ისლამისა და ქრისტიანობის გასაყარზე ყოფნამ საქართველოში ძლიერი ეთნო-რელიგიური იდენტობა შექმნა, თუმცა, მისივე თქმით, მეცხრამეტე საუკუნიდან ეკლესიის გავლენა შესუსტდა და მხოლოდ 1980-იან წლებში მოხერხდა მისი უწინდელი გავლენის აღდგენა (Jones 1989).

[17] კრეგო აღნიშნავს, რომ ქართველი ერი ცალკე ეროვნულ ერთეულად ძირითადად ისლამურ სამყაროსთან შეპირისპირებით ჩამოყალიბდა (Crego 1994, 3).

„ახლო საზღვარგარეთი”, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები (სომხეთი, აზერბაიჯანი), ჩრდილოეთ კავკასია და დასავლეთი, მათ შორის, ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები (2010, 115-116). მედიის მასალების ანალიზის შედეგად, ავტორი ასკვნის, რომ საბჭოთა კავშირი და რუსეთი მკაფიოდ წარმოჩინდებოდნენ, როგორც საფრთხისშემცველი ერთეულები (117-118). რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ სახელმწიფოებს არ ენიჭებოდათ (119), თუმცა, შეინიშნებოდა უკრაინის უპირობო მოკავშირედ წარმოჩენა (120). „ახლო საზღვარგარეთის”, ანუ ირანისა და თურქეთის გაშუქებაში სჭარბობდა მათი მტრულ და საფრთხისშემცველ სახელმწიფოებად წარმოჩენა (იქვე). ამის მიუხედავად, გვხვდებოდა თურქეთის, როგორც პოტენციური მოკავშირის განხილვაც (121). სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკები ორი სხვადასხვა კუთხით გვევლინებოდნენ: როგორც საქართველოს შიგნით სეპარატიზმის გაღვივების შესაძლო წყარო და როგორც ერთმანეთთან დაპირისპირებული ერები, რომელთა შორის შუამავლობაც საქართველოს უნდა ეკისრა (121-122). ამიერკავკასიისგან განსხვავებით, ერთმნიშვნელოვნად დადებითი იყო ჩრდილოეთ კავკასიის რეპრეზენტაცია; პრესაში მუდმივად საუბრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან კულტურულ და ისტორიულ კავშირებზე და ხაზს უსვამდნენ მათთან სამომავლო პოლიტიკური ერთობის საჭიროებაზე (122-123). რაც შეეხება დასავლეთს, მედიურ დისკურსში გვხვდებოდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი რეპრეზენტაცია, თუმცა, მაინც სჭარბობდა იმედგაცრუება ამერიკისგან და ევროპის ქვეყნებისგან მიღებული არასაკმარისი მხარდაჭერის გამო (124). საქართველოს დასავლეთთან დამოკიდებულება წარმოჩენილი იყო არა იმ დროის გადასახედიდან, არამედ ისტორიული წარსულის ჭრილში, საქართველოს განუხორციელებელი ევროპული მისწრაფებების თვალსაზრისით (125).

აღნიშვნას ასევე იმსახურებს ნინო ჩიქოვანის, ირაკლი ჩხაიძის, ივანე წერეთლის, დავით მაცაბერიძისა და ქეთევან კაკიტელაშვილის 2014 წელს გამოცემული ნაშრომი ‘იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918)’, სადაც ავტორები მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ქართულ პრესაში ჩამოყალიბებული იდენტობის ნარატივებს შეისწავლიან. კერძოდ, ავტორები „ჩვენ-სხვა“ მოდელით მიმოიხილავენ ეთნიკურად ქართველებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების (სომხები,

აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები და ებრაელები) იდენტობის ნარატივების ურთიერთმიმართებას[18]. ავტორთა თანახმად, განხილულ ჯგუფთაგან ქართველთათვის მკაფიო „სხვა“ მხოლოდ ეთნიკურად სომხები იყვნენ (172). კულტურულად განსხვავებულად მიიჩნოდნენ ოსებიც, თუმცა, უფრო ნაკლები სიმძაფრით (173). „სხვა“ ჯგუფად აღიქმებოდნენ აზერბაიჯანელებიც, თუმცა, მათი ეთნიკური მობილიზაციის დაბალი ხარისხის გამო, ქართველებისთვის ისინი საფრთხედ არ განიხილებოდნენ (172). რაც შეეხება აფხაზებს, ეს ჯგუფი ქართველებისთვის ახლო „სხვა“ იყო; „ის არც ჩვენ ჯგუფის წევრად აღიქმება და არც მკაფიოდ გამიჯნული სხვაა“ (167). არაერთგვაროვანი იყო ებრაელების მიმართ დამოკიდებულებაც; საკვლევი პერიოდის საწყის ეტაპზე დომინირებდა ებრაელის, როგორც „უცხოტომელის“ ნარატივი, თუმცა, მოგვიანებით, ებრაელის სახე დადებითი და უფრო შინაური გახდა (242).

საგულისხმოა დიანა ბოგიშვილის, ირინა ოსეფაშვილის, ელენე გავაშელიშვილისა და ნინო გუგუშვილის 2017 წელს გამოცემული წიგნი ‘ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია’, სადაც ავტორები ფოკუსჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების[19] საფუძველზე ცდილობენ ქართული ეროვნული იდენტობის ძირითადი ასპექტების დადგენას. სხვა საკითხებთან ერთად, ავტორები ინტერესდებიან რესპონდენტთა მოსაზრებებით საერთაშორისო საფრთხეების შესახებ. კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ რუსეთი ყველაზე თვალსაჩინო საფრთხედ აღიქმება როგორც ექსპერტებისა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელების, ისე ფოკუსჯგუფების მონაწილეების მიერ (248). ავტორთა თანახმად, რუსეთი წარმოჩენილია, როგორც გლობალური საფრთხე, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხე და როგორც ქვეყანაში ანტიდასავლური ღირებულებების გამავრცელებელი აქტორი (იქვე). ექსპერტების თანახმად, მოსახლეობაში საშიშროებად განიხილება თურქეთთან

[18] მართალია, ავტორთა ეს მიდგომა „შიდა სხვას” გულისხმობს, კვლევა წინამდებარე ნაშრომისთვის მაინც საყურადღებოა, რადგან საბაზისო ანალიტიკური ჩარჩო მისთვისაც „ჩვენ-სხვა” დიადაა.

[19] ფოკუსჯგუფები ჩატარდა მოსახლეობასთან, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუები ექსპერტებთან და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებთან (პოლიტიკოსები, მედიის, განათლების სფეროს, რელიგიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები).

დაახლოებაც - როგორც ისლამისა და თურქული იმპერიული გავლენის გავრცელების საფრთხე (258). კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ფოკუსჯგუფების მონაწილეები საქართველოს შემდეგ ყველაზე ძლიერ ემოციურ სიახლოვეს ევროპასთან გრძნობენ; მათი აზრით, ქართველების დასავლეთისკენ სწრაფვა თავისუფლების სურვილით არის განპირობებული, ევროპასთან თვითიდენტიფიკაციის მიზეზი კი საერთო ღირებულებები და კულტურული მსგავსებაა (354). ავტორთა თქმით, ევროპელი „სხვები", მსოფლიოს სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან შედარებით, ქართველებისთვის უფრო ნაკლებად უცხოები არიან, რადგან ეთნო-კულტურული მარკერების თანახმად, „ჩვენ-ჯგუფი", ანუ ქართველები ნაკლებ განსხვავებას ხედავენ საკუთარ თავსა თავსა და ევროპელებს შორის (355). ავტორები მიმოიხილავენ ეთნიკური და სექსუალური უმცირესობებისადმი საქართველოში არსებულ დამოკიდებულებებსაც და აღნიშნავენ, რომ ეს ჯგუფები ხშირად საფრთხედ, „უცხოებად" და „სხვებად" განიხილებიან, მათ შორის, მათი მიკუთვნებით საქართველოს გარეთ არსებულ „სხვა-ჯგუფებთან"; უფრო კონკრეტულად, ეს გამოიხატება იმაში, რომ სექსუალური უმცირესობები დასავლეთთან ასოცირდებიან, ხოლო ეთნიკური უმცირესობები - მათ ისტორიულ სამშობლოსთან (348).

დამოუკიდებელ საქართველოში გარე სამყაროს საფრთხედ წარმოჩენაზე წერს ელენე გავაშელიშვილიც (2012). ავტორის თქმით, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წევრთა ნაწილისთვის დასავლეთი სულიერებას მოკლებულ სივრცედ აღიქმება (Gavashelishvili 2012, 125), ამის ფონზე, რუსეთი დადებითად არის წარმოდგენილი (Gavashelishvili 2012, 129). დასავლეთის ორგვარ სახე-ხატზე წერს იდენტობის მკვლევარი ნუცა ბათიაშვილიც. 2012 წელს გამოცემულ სტატიაში 'ჩვენ-ჯგუფის მითი: ქართული ეროვნული ნარატივი და ქართველობის ძიება' (The 'Myth' of the Self: The Georgian National Narrative and Quest for 'Georgianness'), ბათიაშვილი წერს, რომ გარე სამყაროს საფრთხედ წარმოჩენა ზოგჯერ დასავლეთის ცნებასაც „ორლესულ ხმლად" აქცევს: ერთი მხრივ, ქართველებს დასავლეთი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზად ესახებათ, ხოლო მეორე მხრივ - როგორც კულტურული და სულიერი თვითმყოფადობისთვის ზიანის მომტანი (Batiashvili 2012, 195). ბათიაშვილი ამავე საკითხზე მსჯელობს 2018 წელს გამოცემულ წიგნში 'ერი ორ ხმაში: მეხსიერება და იდენტობა იმპერიის განაპირას' (The Bivocal Nation: Memory and Identity on the Edge of

Empire). ბათიაშვილი ამბობს, რომ მიუხედავად მიხეილ სააკაშვილის მცდელობებისა, ევროპა საქართველოს ისტორიული ცნობიერების ნაწილი გაეხადა, ბევრი ქართველისთვის დასავლეთი მაინც „კულტურულად უცნობ მიწად" რჩებოდა: „რომელიმე „სხვასთან" კულტურული მსგავსება წინააღმდეგობაში მოდიოდა ნაციონალისტურ კოსმოლოგიასთან, რომელიც საქართველოს კულტურის [სხვებთან] მიკუთვნების გარეშე არსებობასა და მისი საზღვრების ურღვეობაზე ამახვილებდა ყურადღებას (16).

საკითხს ეხმიანება ადრიან ბრისკუს 2018 წლის სტატიაც სახელწოდებით 'ევროპის ადგილი პოსტ-საბჭოთა საქართველოს მოდერნიზაციის დისკურსში' (The Place of „Europe" in the Post-Soviet Georgian Modernization Discourse). ბრისკუ იზიარებს მოსაზრებას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოს პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტებმა ქვეყნის ადგილი ევროპის პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში პოვეს. ავტორი აცხადებს, რომ თანამედროვე ქართულ დისკურსში ევროპა ორგვარად წარმოჩინდება: როგორც „კონცეპტუალური მემკვიდრეობა" და როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთეული, იგივე „ევროკავშირისეული ევროპა" (109). ავტორის თანახმად, ქართველები ევროპის პირველ - კულტურულ და ცივილიზაციურ - სახე-ხატს უფრო ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე მეორეს (126). აღნიშნულ დისკურსში ქრისტიანული მემკვიდრეობა ევროპისა და საქართველოს ძირითად საზიარო მახასიათებლად გვევლინება (იქვე). „ზედაპირული განცხადებები 'ღრმა ევროპული ფესვების', აღმოსავლეთში ევროპული ცივილიზაციის ავანპოსტობისა და თანამედროვე ევროპული ღირებულებების გაზიარების შესახებ პოსტ-კომუნისტური საქართველოს ძირითად ოფიციალურ დისკურსად იქცა", ამბობს ავტორი (იქვე). ბრისკუს თქმით, ეს დისკურსი ეხმიანება ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ უფრო ადრეულ, მათ შორის, საბჭოთა საქართველოში განვითარებულ მსჯელობებს ქვეყნის ევროპული იდენტობის შესახებ, თუმცა, ის განსაკუთრებით გაძლიერდა მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას. სააკაშვილმა ევროპასთან რელიგიურ-კულტურულ კავშირებს კიდევ ერთი ელემენტი დაუმატა, განაცხადა რა, რომ ქართველები „უძველესი" ევროპელები იყვნენ (113). ბრისკუ დასძენს, რომ 2000-იანი წლების შუიდან ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელები აქტიურად ცდილობდნენ საქართველოს რეგიონული იდენტობის „გაევროპულებასაც", კერძოდ, სამხრეთ კავკასიური ქვეყნის ნაცვლად,

საქართველოს შავი ზღვის აუზის ქვეყნად წარმოჩენას (114). ავტორი ასევე მიმოიხილავს, ევროპის, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ერთეულის წარმოჩენას ქართულ საზროვნო სივრცეში. მისი თქმით, 1990-იანი წლების დასაწყისში საკმაოდ ძლიერი იყო დისკურსი, რომ ევროპულ და დასავლურ ინსტიტუტებს საქართველოს დაცვის ზნეობრივი ვალდებულება გააჩნდათ (110). ბრისკუს თანახმად, აღნიშნული დისკურსი კვლავ ამოტივტივდა მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, ქვეყნის რუსული საფრთხისგან დაცვის კონტექსტში. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დისკურსს ხაზად გასდევს „უფრო იმედგაცრუება, ვიდრე კმაყოფილება" (116), რადგანაც ქვეყნის ელიტებში ევროპისა და დასავლეთის მიმართ მოლოდინები ყოველთვის გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე ამ უკანასკნელთა მზაობა მეტად დაახლოებოდნენ საქართველოს.

ევროპაში საქართველოს ადგილზე წერს ნინო ლეჟავაც. 2021 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში 'საქართველოს დაუმთავრებელი ძიება ევროპაში ადგილისთვის' (Georgia's Unfinished Search for Its Place in Europe), ლეჟავა ამბობს, რომ თანამედროვე საქართველო მის ევროპულ მისწრაფებებს უარყოფით ჭრილში, მისი მეზობლებისგან (რუსეთი, თურქეთი, ირანი) განმასხვავებელ ნიშნად განიხილავს (2021). ავტორის თქმით, ქართველებისთვის ევროპა უწინარესად რუსეთის საფრთხისგან დამცველია; მათ მიაჩნიათ, რომ დასავლეთს ქართველების, როგორც უძველესი ქრისტიანი ერის, მხარდაჭერის ზნეობრივი ვალდებულება გააჩნია. ავტორი დასძენს, რომ ქრისტიანულ მემკვიდრეობაზე ხაზგასმით, საქართველო თავს მეზობელი მუსლიმი ერებისგან განსხვავებულად წარმოაჩენს. ამ თვალსაზრისით, საქართველო ევროპის განაპირად მყოფ, ქრისტიანობის დამცველ ქვეყნად გვევლინება. ლეჟავა ასევე ამბობს, რომ ქართველები ევროპასთან დაახლოებას ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობად განიხილავენ. გარე სამყაროსთან მიმართებით საქართველოს როლის აღქმებზე ნინო ლეჟავა 2015 წელსაც საუბრობდა. სტატიაში 'წერილი თბილისიდან' (Letter from Tbilisi), ავტორი ამბობს, რომ 1990-იანი წლებიდან საქართველოს დამახასიათებელი ორი სივრცული მეტაფორა გაჩნდა: საქართველო, როგორც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი დერეფანი და საქართველო, როგორც ევროპის აივანი (2015). ავტორი ამბობს, რომ ეს მეტაფორები ხაზს უსვამს საქართველოს, როგორც მუდმივი მოლოდინის რეჟიმში მყოფი ქვეყნის სტატუსს გეოპოლიტიკური რუკაზე (იქვე).

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მოაზროვნეების ევროპისადმი დამოკიდებულებაზე წერენ გიორგი საბანაძე და ემზარ ჯგერენაია კრებულში 'ევროპა როგორც მასწავლებელი'. ავტორები აღნიშნავენ, რომ იმ პერიოდის ქართველი დამკვირვებლებისთვის ევროპა წარმოადგენს არა მხოლოდ განვითარების სასურველ მოდელს, არამედ ერთგვარ სარკეს, რომლითაც ისინი საკუთარ თავს იმეცნებენ (16). საბანაძისა და ჯგერენაიას თქმით, ქართველი ინტელექტუალები აღიარებენ ევროპის უპირატესობებს და აუცილებლად მიაჩნიათ საქართველოს მასთან დაახლოება, არგუმენტად კი, ის მოჰყავთ, რომ საქართველო ოდითგანვე იყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი და მასთან ჩამოშორება მისი ნების საწინააღმდეგოდ, გეოპოლიტიკური ვითარების გამო მოხდა (იქვე). საბანაძე და ჯგერენაია დასძენენ, რომ ქართველი დამკვირვებლებისთვის რუსეთი „ბოლო გაჩერება არ არის" და, რომ ის ევროპის გზაზე მიმავალი საქართველოსთვის მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი (19). ავტორები აღნიშნავენ იმასაც, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ინტელექტუალები საუბრობენ შავ ზღვაზე, როგორც ევროპასთან დაკავშირების საშუალებაზე (14).

ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში დასავლეთის/ევროპის წარმოჩენის საკითხზე წერს მარიამ ჩხარტიშვილიც. სტატიაში 'დასავლეთის კონცეპტუალიზაცია ქართული იდენტობის ნარატივში' (Conceptualization of West in Georgian Identity Narrative) ჩხარტიშვილი ანტიკურობიდან თანამედროვე ხანის ჩათვლით მიმოიხილავს ქართველების თვითაღქმის საკითხს და ასკვნის, რომ ევროპა-აზიის/დასავლეთი-აღმოსავლეთის დიქოტომიას ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა (2019). ავტორი აღნიშნავს, რომ პასუხს კითხვაზე „თუ ვინ ვართ ჩვენ" ქართველი მოაზროვნეები და მმართველები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად სცემდნენ (156). ჩხარტიშვილი ამბობს, რომ ევროპასთან თვითიდენტიფიკაცია შედარებით უფრო ახალი, თანამედროვე საქართველოსთვის დამახასიათებელი ფენომენია; ავტორის თანახმად, მეცხრამეტე საუკუნემდე ქართველები საკუთარ თავს უფრო აღმოსავლეთს მიაკუთვნებდნენ, ვიდრე ევროპას, რომელიც მათ ცნობიერებაში „სხვა" იყო (იქვე). ჩხარტიშვილი დასძენს, რომ რუსეთის იმპერიაში ყოფნისას, დასავლეთი-აღმოსავლეთის დიქოტომია ქართულ სააზროვნო სივრცეში აქტუალური არ ყოფილა და მან მხოლოდ 1910-ან წლებში, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე შეიძინა პრაქტიკული მნიშვნელობა (იქვე). ავტორის

თქმით, ქართველებისთვის ამ პერიოდის ევროპა ცალსახად დადებითი და მისაბაძი იყო, თუმცა, არსებობდა მისი, როგორც ქართული კულტურისთვის საფრთხისშემცველი სივრცის აღქმაც (157). ჩხარტიშვილის თანახმად, გასაბჭოების პირველ წლებში ქართველმა ინტელექტუალებმა დასავლეთი-აღმოსავლეთის პარადიგმით ფიქრი შეწყვიტეს, თუმცა, მოგვიანებით ამ საკითხზე მსჯელობა კვლავ განაახლეს, ძირითადად, ისტორიული ხასიათის ლიტერატურის ფურცლებზე (154). ავტორი მოკლედ მიმოიხილავს თანამედროვე საქართველოს ლიდერების დასავლეთისადმი/ევროპისადმი დამოკიდებულებებსაც (იქვე). კერძოდ, ის ამბობს, რომ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მეტყველებაში სჭარბობდა დასავლეთ-აღმოსავლეთის შერწყმის, სინთეზის ხაზი, თუმცა, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში წამყვანი დისკურსი ქართველების, როგორც სრულფასოვანი ევროპელების ნარატივი გახდა (157). ავტორის თქმით, ამ უკანასკნელი იდეის მატარებლები იყვნენ ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი და გიორგი მარგველაშვილი (154).

ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთმიმართებაზე წერს გიგი თევზაძე სტატიაში 'საქართველო აღმოსავლეთის და დასავლეთის გზისგასაყარზე'. თევზაძე ამბობს, რომ საქართველოს, როგორც ევროპის და აზიის გადაკვეთაზე/გზაგასაყარზე მყოფი ქვეყნის სახე-ხატს ხანგრძლივი ისტორია არ აქვს და ის მხოლოდ 1970-იანი წლებიდან ხდება დომინანტური თეორია (2009, 86-89). თევზაძე აღნიშნავს, რომ გადაკვეთის/გზაგასაყარის იდენტობამ განსაკუთრებული აღიარება ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას მოიპოვა; ავტორის თქმით, იდენტობის ამ კონსტრუქციამ პრეზიდენტ შევარდნაძეს შესაძლებლობა მისცა ერთდროულად დასავლეთთან და რუსეთთან ჰქონოდა კარგი ურთიერთობა და ამავდროულად, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციისთვის მიენიჭებინა იდეოლოგიური დატვირთვა (იქვე). თევზაძე დასძენს, რომ გადაკვეთის/გზაგასაყარის იდეა საქართველოს წარმოაჩენს, როგორც არცერთ მხარეზე მდგომს, მაგრამ „რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს" (იქვე). თევზაძე აღნიშნავს იმასაც, რომ 2003 წლის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ეს მოდელი შეინარჩუნა, იმის მიუხედავად, რომ სხვა საკითხებში შევარდნაძის მემკვიდრეობა უარყვეს (იქვე).

5.2 საგარეო პოლიტიკის კვლევები

ეროვნული იდენტობის მსგავსად, ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი. სხვადასხვა დროს ამ თემაზე მუშაობდნენ საგარეო პოლიტიკის როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრები, მათ შორის, გია ნოდია, ალექსანდრე რონდელი, კორნელი კაკაჩია, სტივენ ჯონსი, ლინკოლნ მიტჩელი, ტომას დე ვაალი, დონალდ რეიფილდი და სხვები. საგულისხმოა, რომ ავტორთა სიმრავლის მიუხედავად, მათი პუბლიკაციების უმეტესობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგად პრაქტიკას ან ცალკეულ გადაწყვეტილებებს ეხება, მათი მიზანი კი, ძირითადად, იმის ახსნაა, თუ რამ განაპირობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის ესა თუ ის ნაბიჯი ან რამ განსაზღვრა ქვეყნის ზოგადი ორიენტაცია. ავტორთა ერთი ნაწილის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი მისი იდენტობის განპირობებულია (Rondeli 2011; Nodia 2009; Kakachia 2012; Kakachia & Minesashvili 2015; Kakachia et al. 2019). იდენტობის, როგორც ამხსნელი ფაქტორის გამოყენებას ავტორთა მეორე ნაწილი არ ეთანხმება; ზოგი მათგანი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური არჩევანის მიზეზად მატერიალურ გათვლებსა (Jones 2003) და მფარველის ძიებას (O Beachain & Coene 2014) ასახელებს, ზოგიც კი უსაფრთხოების საჭიროებებსა (Wivel 2016) და ძალთა ბალანსის ფაქტორებზე (Oskanian 2016) ამახვილებს ყურადღებას. საგულისხმოა, რომ საგარეო პოლიტიკის შესახებ მიმდინარე აკადემიურ დისკუსიაში მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს როლის, მისი რაობისა და გარე სამყაროსთან მიმართების საკითხებს არასაკმარისი ყურადღება ეთმობა. ამის მიუხედავად, საერთაშორისო სისტემაში ქვეყნის ადგილის კონტექსტუალიზებას, განსაკუთრებით მის ბმას დასავლეთთან და ევროპასთან, საგარეო პოლიტიკის რამდენიმე მკვლევარი მაინც ახდენს. ერთ-ერთი მათგანია გია ნოდია. ის ამ საკითხს პირველად 1995 წელს მიმოიხილავს, სტატიაში 'საქართველოს იდენტობის კრიზისი' (Georgia's Identity Crisis). ნოდია ამბობს, რომ დასავლეთთან დაახლოება იმთავითვე იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ პოლიტიკური პრიორიტეტი. მისი თქმით, დასავლეთისკენ სვლის ძირითადი მამოძრავებელი ქვეყნის ქრისტიანული იდენტობაა. „მისი ისტორიის უმეტეს დროს, საქართველო მუსლიმი მეზობლებით გარშემორტყმული იყო და ქართული ელიტა შეეჩვია ქვეყნის,

როგორც აღმოსავლეთში ქრისტიანობის ავანპოსტად აღქმას", ამბობს ავტორი (1995). ნოდია დასძენს, რომ ქვეყნის დასავლურობამ მეცხრამეტე საუკუნეში, ქართველი განმანათლებლების წყალობით, საერო ხასიათი შეიძინა, როცა ქართული კოლექტიური იდენტობა უფრო დაუახლოვდა ამ უკანასკნელის ევროპულ მოდელებს (იქვე). ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ქართველი მეცნიერები ხშირად იმაზეც ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ მუსლიმი მეზობლებისგან და რუსეთისგან განსხვავებით, ქართული ფეოდალური სისტემის თავისებურებები - კერძო საკუთრება და ინდივიდუალიზმი - მსგავსებას ავლენდა მის დასავლურ ეკვივალენტთან, რაც, მათთვის, ქვეყნის დასავლურობის უტყუარობას უსვამდა ხაზს (იქვე).

ნოდიამ აღნიშნული თემები განავრცო 1998 წლის სტატიაში სახელწოდებით 'დასავლეთი ქართულ წარმოსახვაში' (The Georgian Perception of the West). ავტორის თქმით, ბოლო საუკუნეების ქართული იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი იდეა ის იყო, რომ „ქვეყნის ადგილი იქ არ არის, სადაც ის იმყოფება" (13). „მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების პერიოდის საქართველო პოლიტიკურად ჩართული იყო ისლამურ, განსაკუთრებით არაბულ, სპარსულ და თურქულ სამყაროებში, 1801 წელს კი, რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, მიიჩნეოდა, რომ ეს ყველაფერი მისი ნებისა და იდენტობის საწინააღმდეგოდ ხდებოდა", ამბობს ნოდია (იქვე). ქართველების წარმოსახვაში, ქვეყანას მეზობლებში არ გაუმართლა, ამიტომ, საქართველო მუდამ ცდილობდა სამეზობლოს გარეთ „სიკეთის ცენტრის" პოვნას და მასთან დაახლოებას (იქვე). ნოდიას თანახმად, აღნიშნული ცენტრი ქართველებისთვის მეცხრამეტე საუკუნიდან დასავლეთი/ევროპა გახდა, მასთან დაკავშირება კი, საქართველოს საკუთარ თავთან დაბრუნებად გადაიქცა (იქვე). ავტორის თქმით, ამავე ლოგიკით მოქმედებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, როდესაც მათ დასავლეთში დაიწყეს მფარველის ძიება (17). ავტორი ამბობს, რომ სწორედ ამ პერიოდიდან ხდება დასავლეთის მიმართ დახმარების მოლოდინი ქართული პოლიტიკური აზროვნების მახასიათებელი მუდმივი ელემენტი (20). ნოდიას თანახმად, უკვე 1980-იან წლებში ქვეყნის რაობისა და კუთვნილების შესახებ მიმდინარე განსჯა ორგანზომილებიან სივრცეში წარიმართა, სადაც ორ ძირითად მენტალურ კოორდინატად რუსეთი და დასავლეთი/ევროპა გვევლინებოდა (12). ავტორის თანახმად, სწორედ ამ „წარმოსახვით" კონსტრუქციაში გახდა ქართველებისთვის ევროპა/დასავლეთი ზნეობრივად უპირატესი, ობიექტური

აქტორი, რომლისგანაც ისინი, რუსეთის აგრესიის ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას ელოდნენ. ნოდიას თანახმად, ამ დისკურსის თანახმად, საქართველოს მხარდაჭერით დასავლეთი საკუთარ თავზე ზრუნავს, რადგან თავად საქართველო არის დასავლეთის განუყოფელი ნაწილი (20). ავტორის თქმით, „ძლიერი და ქველი" დასავლეთის მხარდაჭერის მოლოდინი შენარჩუნდა ედუარდ შევარდნაძის მმართველობისასაც, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა დასავლელ ლიდერებთან მისი პირადი კონტაქტების არსებობა. დახმარებასთან ერთად, დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ დასავლეთში სახელმწიფოსა და ინსტიტუტების მოდელების ძიებაც დაიწყო. ავტორის თანახმად, დამოუკიდებლობის პირველ წლებში დასავლეთთან წარმოქმნილმა პოლიტიკურმა გაუცხოებამ ბიძგი მისცა ახალ, შედარებით უფრო ნატივისტურ ხედვებს (25-27). სწორედ ასეთი იყო „იბერიულ-კავკასიური" ერთობის იდეა, რომელიც კავკასიაში მცხოვრები ხალხების ტომობრივ და ენობრივ კავშირებზე იყო დაფუძნებული, თუმცა, ამ იდეის სულისჩამდგმელის, ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროზე ადრე დასრულების გამო, ამ ხედვას განვითარება არ მისცემია (იქვე).

ავტორი მიმოიხილავს რუსეთისადმი ქართველების დამოკიდებულებასაც და აღნიშნავს, რომ ქართულ ელიტებში რუსეთის მიმართ საკმაოდ წინააღმდეგობრივი მოსაზრებები არსებობს. ნოდია ამბობს, რომ ერთი მხრივ, ქართველები რუსეთს მათი ფიზიკური გადარჩენისთვის და მათთვის „უცხო", ისლამური სამყაროდან „დახსნისთვის" ემადლიერებიან, ხოლო, მეორე მხრივ - მას თავისუფლებისა და თვითმყოფადობის საფრთხედ მიიჩნევენ (15). ავტორის თქმით, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდება ახალი დისკურსი, რომელიც აპირისპირებს ქართულ 'დასავლურობას' რუსულ 'აზიურ-დესპოტურ' ბუნებასთან (17). ამ მიდგომის თანახმად, ქართველების ეროვნული მახასიათებლები - ინდივიდუალიზმი და თავისუფლების სიყვარული - მკაფიოდ განსხვავდებოდა რუსული კოლექტივიზმისა და მორჩილების ტრადიციისგან (იქვე). ქართველების „ბუნებითი" დასავლურობის თეზისმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში (18). ნოდია ასევე აღნიშნავს, რომ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დასაწყისისთვის, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში რუსეთის ორგვარი აღქმა იყო დამახასიათებელი (31). მისი თქმით, შევარდნაძე და მისი

თანამოაზრეები განარჩევდნენ რუსული პოლიტიკური ელიტის კარგსა (დემოკრატები, პრო-დასავლელები) და ცუდ პოლიტიკურ ჯგუფებს (რეაქციული ძალები, კომუნისტები) (იქვე).

ნოდია ამავე თემას შეეხო 2009 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში 'ქართული ეროვნული იდეის შემადგენლები: ძირითადი მონახაზი' (Components of the Georgian National Idea: an Outline). ავტორი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის საქართველოს „ეროვნული პროექტის" ერთ-ერთი კომპონენტი ქვეყნის დასავლური, ევროპული არჩევანია (94). ნოდიას თანახმად, დასავლურობა/ევროპულობა საქართველოსთვის ეროვნული იდენტობის ერთგვარ ჩარჩოს წარმოადგენს, დასავლეთი/ევროპა კი დემოკრატიული რეფორმების შთაგონების წყაროდ და ქვეყნის მთავარ პარტნიორად გვევლინება (იქვე). „ეს ნიშნავს, რომ: ა) არსებითად, საქართველო ევროპის ნაწილია, ის ასეთად უნდა იქნას აღიარებული და გახდეს დასავლეთის ისეთი მთავარი ინსტიტუტების წევრი, როგორიცაა ნატო და ევროპული კავშირი; ბ) დასავლეთი ესაა ქართული სახელმწიფოს შენების მოდელი. ის შესაძლოა ჯერ არ იყოს თავსებადი ამ ნორმატიულ ჩარჩოსთან, თუმცა, ის ამ გზაზე დგას. გ) დასავლეთი საქართველოს მთავარი მეგობარი, მოკავშირე და მფარველია", ასე განმარტავს ქართული „ეროვნული პროექტის" ამ შემადგენელს ავტორი (იქვე).

ნოდიას თანახმად, „ეროვნული პროექტის" კიდევ ერთი კომპონენტი რუსეთის ფედერაციას უკავშირდება. მისი თქმით, საქართველო რუსეთს აღიქვამს ერთი მხრივ, როგორც ერთ-ერთ მეზობელსა და პოტენციურ პარტნიორს, ხოლო მეორე მხრივ - მას ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგედ მიიჩნევს (იქვე). ნოდია დასძენს, რომ საქართველოს „ეროვნული პროექტი" არასრულია, რადგან მისი ზოგიერთი ელემენტი, როგორიცაა ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება, ჯერ მიღწეული არ არის. შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ ფუძემდებლური საკითხებისადმი დამოკიდებულების კუთხით, ქვეყანა შესაძლოა სხვა მიმართულებითაც წავიდეს (95). ნოდიას მაგალითად ქვეყნის ევროპულობა მოჰყავს. ავტორი ამბობს, რომ საკითხის შესახებ ქართულ სააზროვნო სივრცეში განსხვავებული ხედვები არსებობს, და რომ ქართველ ინტელექტუალთა ნაწილი ქვეყნის იდენტობას უფრო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ერთგვარ „სინთეზად" ან „ხიდად" მიიჩნევს (იქვე).

კიდევ ერთი საყურადღებო ნაშრომია სტივენ ჯონსის 2003 წლის სტატია 'კულტურული პარადიგმების როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში' (The Role of

Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy). ავტორის თქმით, დასავლური/ევროპული იდენტობა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პარადიგმაა (90). იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ დასავლეთსა და ევროპას ქართველები იშვიათად განასხვავებენ. ჯონსის თქმით, ისინი თავს ევროპელებად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ არა-ევროპულ გარემოში არიან „მომწყვდეულნი" (103). ჯონსი აღნიშნავს, რომ დასავლურობა/ევროპულობა მჭიდროდაა დაკავშირებული კიდევ ერთ კულტურულ პარადიგმასთან - ქვეყნის ქრისტიანულ იდენტობასთან და დასძენს, რომ ამ ურთიერთმიმართებას ქართულ სააზროვნო ტრადიციაში ხანგრძლივი ისტორია აქვს (88-90). მისი თქმით, მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული ელიტებისა და ხალხის დისკურსებში ქვეყანა ხშირად წარმოჩინდებოდა, როგორც „ქრისტიანული, ევროპული და მებრძოლი-მოწამე", „ისლამურ სამყაროში დასავლური ქრისტიანული სამყაროს ავანპოსტი" (90-91). ავტორის თანახმად, საბჭოთა პერიოდში ისლამურ სამყაროსთან შეწყვეტილი კავშირების გამო, ქართველების ევროპულობის მსაზღვრელი თანდათან არა ისლამთან, არამედ კომუნიზმთან დაპირისპირება გახდა (92). ჯონსი დასძენს, რომ მსგავსი დისკურსი აღმოცენდა დამოუკიდებლობის შემდგომ წლებშიც, როცა საქართველო წარმოჩინდა, როგორც დემოკრატიული ბუფერი ერთი მხრივ ევროპასა და მეორე მხრივ, არასტაბილურ რუსეთსა და ირანს შორის (93). იგი აღნიშნავს, რომ „ქართველთა უმრავლესობისთვის, დასავლეთი კეთილდღეობას, დემოკრატიას, დამოუკიდებლობას, უსაფრთხოებას და ცივილიზებულ სამყაროში საქართველოს კუთვნილი ადგილის აღიარებას ნიშნავს" (101-102). ჯონსი ქვეყნის დასავლურობის ალტერნატიულ „კულტურულ ხედვად" პან-კავკასიურ იდეას ასახელებს, თუმცა, აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებას, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, ნაკლები მხარდაჭერა აქვს (93-95). ავტორი საქართველოს საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთ პარადიგმად ანტი-რუსულობას ასახელებს, თუმცა, განმარტავს, რომ დასავლეთისგან/ევროპისგან განსხვავებით, ქართველებში რუსეთისადმი დამოკიდებულებები საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო და არის (95-97). ჯონსის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები „ღრმად არიან განაწყენებულნი რუსეთის იმპერიალისტური ქცევით" (96), ისინი მაინც აღიარებენ რუსეთის ძალას და საქართველოს „ხანგრძლივ კულტურულ კავშირებს" მის ჩრდილოელ მეზობელთან (97). ჯონსი მიიჩნევს, რომ რუსეთის დუალისტური აღქმა ზვიად გამსახურდიას

მმართველობის დროს დაირღვა. გამსახურდიას მოსაზრებებს რუსეთის მიმართ, ავტორი ახასიათებს, როგორც მანიქეანურს, სადაც ერთ მხარეს „რუსეთისადმი მონობა" დევს, ხოლო მეორე მხარეს დასავლეთი, თავისუფლება და დამოუკიდებლობა (95). ჯონსი აღნიშნავს, რომ ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას დუალისტურმა ტრადიციამ კვლავ დაიბრუნა პოპულარობა (96).

საქართველოს რაობისა და გარე სამყაროში მისი ადგილის საკითხებს არაპირდაპირ ეხება კიდევ რამდენიმე პუბლიკაცია, მათ შორის, ალექსანდრე რონდელის 2001 წლის სტატია სახელწოდებით 'დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი' (The Choice of Independent Georgia). რონდელის თქმით, ევროპული/დასავლური ორიენტაცია თანამედროვე საქართველოში უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების საუკეთესო გზად მიიჩნევა (206). ავტორი აღნიშნავს, რომ ევროპასთან დაახლოების სურვილს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ღრმა ფესვები აქვს (იქვე). მისი თქმით, ქართველები ევროპას ქრისტიანობასთან აიგივებენ და თავს ევროპელებად მიიჩნევენ (იქვე). ავტორი ასევე ამბობს, რომ 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა საქართველოს რეგიონული ძალების - რუსეთი, ირანი და თურქეთი - ინტერესების დამაბალანსებელ ბუფერულ სახელმწიფოდ ქცევის იდეა (207). ჯონსის თანახმად, „ბუფერიზაცია", როგორც დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვების გზა 1991-1992-იანი წლების ერთ-ერთ მთავარ დისკურსად იქცა, თუმცა, რუსეთის ჩართულობამ საქართველოს შიდა საქმეებში და დასავლეთის შედარებითმა უმოქმედობამ, საქართველოს პოლიტიკური ელიტის იმედები დაამსხვრია (იქვე).

საკვლევ საკითხს მიმოიხილავს ტრეისი ჯერმანიც. 2015 წლის სტატიაში 'დასავლეთისკენ? საქართველოს ევრო-ატლანტიკური გზა' (Heading west? Georgia's Euro-Atlantic Path), ავტორი ამბობს, რომ საქართველოში არსებული დომინანტური დისკურსის თანახმად, საქართველო ევროპული სახელმწიფოა - „დასავლური ცივილიზაციის უძველესი ნაწილი, რომელიც 'ისტორიული კატაკლიზმების გამო,' (მისი ნების საწინააღმდეგოდ) დაშორდა საკუთარ ბუნებრივ გზას" (602). ჯერმანი დასძენს, რომ დღეს, საქართველო ცდილობს თანამედროვე სახელმწიფოდ გარდაქმნასა და დაახლოებას ევროპულ ოჯახთან, „რომელსაც ასწლეულების წინ ჩამოსცილდა" (იქვე). ავტორი ასევე ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ევროპული იდენტობა უფრო იდეურია, ვიდრე გეოგრაფიული სიახლოვით განპირობებული. იგი იმეორებს აზრს, რომ ქრისტიანობა საქართველოს ევროპული/დასავლური

ცივილიზაციის წევრობის ძირითად საფუძვლად გვევლინება (607). „ისტორიულად, მართლმადიდებელი ქრისტიანობა ქმნიდა იდენტობასა და იდეოლოგიას, რომელიც ქართველებს მათი მუსლიმი და სომეხი მეზობლებისგან განასხვავებდა", ამბობს ავტორი (იქვე). ჯერმანი მოკლედ ეხება მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას რუსეთის რეპრეზენტაციასაც და აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციის იმიჯი „მოუხერხებელი პარტნიორიდან" მთავარ საფრთხედ გარდაიქმნა (603).

საკითხს რამდენიმე სტატიით ეხმიანება კორნელი კაკაჩია. 2012 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში 'საქართველოს იდენტობაზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკა და ევროპული მომავლისთვის ბრძოლა' (Georgia's Identity-Driven Foreign Policy and the Struggle for Its European Destiny), კაკაჩია ამბობს, რომ საქართველო მის რეგიონსა და დასავლეთის მიღმა არსებულ გეოგრაფიულ არეალებს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. მეცნიერის თანახმად, რადგან მიიჩნევა, რომ საქართველო ევროპულ ცივილიზაციას „რთული ისტორიული გარემოებების" გამო დაშორდა, ევროპულ კავშირთან დაახლოება ისტორიული სამართლიანობისკენ გადადგმულ ნაბიჯად აღიქმება (6). კაკაჩია ამბობს, რომ გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ქვეყანას შეეძლო ისეთი იდენტობების გაძლიერება, როგორიცაა „პოსტ-საბჭოთა, კავკასიური ან თუნდაც ახლო აღმოსავლური", თუმცა, ავტორი დასძენს, რომ ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ ევროპულობაზე გააკეთა არჩევანი (7). კაკაჩიას თქმით, ევროპული იდენტობის ხაზგასასმელად საქართველო აქტიურად ცდილობს შავი ზღვის ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის წახალისებას და ამით მისი, როგორც შავი ზღვის აუზის აუზის ქვეყნის იდენტობის გაძლიერებას (6). თანადროულად, სულ უფრო მკაფიო ხდება რუსეთის სასიცოცხლო საფრთხედ და მისი, როგორც ევროპულ იდეასთან შეუთავსებელი სახელმწიფოს წარმოჩენა (7). მსგავს მოსაზრებებს წარმოადგენს ავტორი 2013 წლის სტატიაში, სახელწოდებით 'საქართველო: იდენტობა, საგარეო პოლიტიკა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია' (Georgia: Identity, Foreign Policy and the Politics of a "Euro-Atlantic Orientation"). კაკაჩია აღნიშნავს, რომ რადგან ლიბერალური დემოკრატია ევროპული ცივილიზაციის ნაწილად მიიჩნევა, დასავლური ტიპის დემოკრატიისკენ სწრაფვა „ქართული ქვეცნობიერის" ნაწილი გახდა (2). ავტორის თქმით, ქართული პოლიტიკური ელიტა მოდერნიზაციასა და ვესტერნიზაციას ურთიერთშემავსებლად განიხილავს (იქვე). კაკაჩია ამ საკითხს ავრცობს 2015 წელს, სალომე მინესაშვილთან ერთად დაწერილ სტატიაში

სახელწოდებით ‘იდენტობის პოლიტიკა: საქართველოს საგარეო პოლიტიკური ქცევის მიმოხილვა’ (Identity politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior). კვლევაში, რომელიც ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან ინტერვიუებს ეყრდნობა, ნათქვამია, რომ თანამედროვე საქართველოს პრო-დასავლური ორიენტაცია განპირობებულია ქართული პოლიტიკური ელიტის რწმენით, რომ ქვეყანა თავისი ისტორიის, ღირებულებებისა და დემოკრატიული მისწრაფებების გამო ეკუთვნის ევროპას (8). ავტორების თქმით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანის უმთავრესი საფუძველი დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული, დემოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბების სურვილია. ქართულ პოლიტიკურ ელიტაში არსებული მოსაზრებით, საქართველოს დემოკრატიული განვითარება მხოლოდ პრო-დასავლური საგარეო პოლიტიკის მეშვეობით არის შესაძლებელი. კაკაჩია და მინესაშვილი ასევე ამბობენ, რომ რუსეთი საქართველოსთვის „უცხო” ქვეყნად დიდწილად სწორედ ამ ღირებულებების გამო მიიჩნევა (იქვე). შესაბამისად, საქართველოს რუსეთთან დაპირისპირება აღქმულია როგორც იდეური შეჯახება, რუსეთი კი, როგორც ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის (და დემოკრატიზაციის) მთავარი შემაფერხებელი (იქვე). ავტორების თქმით, რუსეთი ქართველი პოლიტიკოსებისთვის უსაფრთხოების გამოწვევად განიხილება, სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კი - არასასურველ მოდელად (9).

საკითხს არაპირდაპირ მიმოიხილავს ჯერარდ ტოლიც. სტატიაში სახელწოდებით ‘რუსეთის კოსოვო: სამხრეთ ოსეთისთვის 2008 წლის აგვისტოს ომის კრიტიკული გეოპოლიტიკა’ (Russia's Kosovo: A Critical Geopolitics of the August 2008 War over South Ossetia), ტოლი რუსეთისა და საქართველოს მთავრობების გეოპოლიტიკურ ხედვებს მიმოიხილავს. კერძოდ, ტოლი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა კონფლიქტის ინტერნაციონალიზებას ეცადა იმით, რომ კონფლიქტი საქართველოს მომავალს და „უკრაინის, ბალტიური სახელმწიფოების, ევროპული დედაქალაქების, ნატოს, ევრო-ატლანტიკური ინსტიტუტებისა და ზოგადად, დასავლეთის” მომავალს დაუკავშირა (691-692). ტოლის თქმით, ქვეყნის ხელმძღვანელობა რუსეთთან ომის შესახებ საუბრისას ისეთ „გახმაურებულ ისტორიულ ანალოგებს” მოიხმობდა, როგორიცაა საბჭოთა კავშირის შეჭრა უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ავღანეთში (692). ტოლი ასევე აღნიშნავს, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთის ქმედებებს სხვადასხვა

განმარტება მოუძებნა, მათ შორის, ენერგორესურსებისა და ინფრასტრუქტურის კონტროლის სურვილი (692), აგრეთვე დაშინება და მმართველობის ცვლილების სურვილი (693).

ბოლო წლებში საქართველოს რაობისა და გარე სამყაროსადმი მისი მიმართების შესახებ მსჯელობაში კიდევ რამდენიმე ავტორმა შეიტანა წვლილი. საქართველოსა და უკრაინის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დისკურსში მათი ქვეყნების ევროპასთან მიმართებაზე წერენ კორნელი კაკაჩია, ბიძინა ლებანიძე და ვოლოდიმირ დუბოვიკი (2019). ავტორთა თანახმად, ერთი მხრივ, ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტები და საზოგადოებები ევროპულ კავშირსა და ნატოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზად განიხილავენ, ხოლო, მეორე მხრივ - ევროპასთან დაახლოებას „ევროპაში დაბრუნებად" აღიქვამენ. ევროპულთან ერთად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის კიდევ ორ დისკურსს გამოყოფს ანდერს ვიველი. ესენია, „დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხიდისა" და სამეზობლოსთვის დემოკრატიული ნორმების შემქმნელის (2016). საქართველოს გარე სამყაროსადმი აღქმებსა და დამოკიდებულებებს ეხებიან პალ კოლსტო და ალექსანდრე რუსეცკი. 2012 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, ავტორები ამბობენ, რომ თანამედროვე საქართველოში ევროპულობა წამყვანი დისკურსია (Kolstø & Rusetskii 2012, 146), რომელშიც ქრისტიანობა ევროპასთან დამაკავშირებელ ძირითად ელემენტად გევლინება. ავტორები აღნიშნავენ, რომ არსებობს ე.წ. გზაჯვარედინის დისკურსიც, სადაც საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებლის როლშია წარმოდგენილი (146). კოლსტო და რუსეცკი დასძენენ, რომ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში რუსეთის უარყოფითი წარმოჩენა დომინირებს (149), თუმცა, არსებობს რუსეთის, როგორც „მაღალი კულტურის" მატარებელი ქვეყნის წარმოჩენაც (151). საქართველოს პოლიტიკური ელიტის აზროვნებაში რუსეთის ადგილს ეხება თამარ გამყრელიძეც (Gamkrelidze 2019). მისი თქმით, სააკაშვილის პრეზიდენტობის ადრეულ წლებში რუსეთი პარტნიორად იყო წარმოჩენილი, თუმცა, მმართველობის ბოლოსკენ ის მთავარ მოწინააღმდეგედ გადაიქცა. გამყრელიძე ასევე ამბობს, რომ რადგან რუსეთი აღქმული იყო, როგორც ქვეყნის ევროპული ორიენტაციის მთავარი მოწინააღმდეგე, ის ქვეყნის ევროპულობის ე.წ. „გარე შემადგენლად" გარდაიქმნა (2019, 9). მსგავს აზრს ავითარებენ სალომე მინესაშვილი და პეტრა კოლმორგენი: მინესაშვილი ამბობს, რომ რუსეთი საქართველოს ევროპულობის „კონტრკონცეფციას" წარმოადგენს

(Minesashvili 2021, 136), კოლმორგენი კი ამბობს, რომ რუსეთი საქართველოს დასავლური იდენტობისთვის მკაფიოდ გამოხატული „სხვაა" და ის, საქართველოსთან შედარებით, ნაკლებად დემოკრატიულად და ღიად განიხილება (Colmorgen 2020, 118).

5.3 შეჯამება

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა და საკვლევი მიმართულებების მრავალფეროვნების მიუხედავად, ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ევროპულობა/დასავლურობა თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობისა და საგარეო პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი და განუყოფელი მახასიათებელია (Nodia 1995; Nodia 1998; Jones 2003; Nodia 2009; Kakachia 2012; Kakachia 2013; Kakachia & Minesashvili 2015; German 2015; ბოგიშვილი და სხვები 2016; Brisku 2018; Lejava 2021). ავტორთა თანახმად, ევროპისკენ და ზოგადად, დასავლეთისკენ სწრაფვა, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებაში წინსვლასა და განვითარებასთან არის გაიგივებული. ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართველებისთვის რუსეთი უმეტესად საფრთხედ/მტრულ სახელმწიფოდ აღიქმება (მაისაშვილი 2010; Kakachia 2012; Kakachia & Minesashvili 2015; ბოგიშვილი და სხვები 2016; Colmorgen 2020; Lejava 2021; Minesashvili 2021), თუმცა, არსებობს რუსეთის შედარებით ნეიტრალური სახე-ხატებიც (Nodia 1998; Jones 2003; Nodia 2009; German 2015). ავტორთა ნაწილი საუბრობს დასავლეთის უარყოფით რეპრეზენტაციაზეც; ისინი მიუთითებენ, რომ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში დასავლეთი და დასავლურობა ზოგჯერ ქვეყნის ტრადიციების, კულტურისა და ღირებულებებისთვის საფრთხედ წარმოჩინდება (Gavashelishvili 2012; ბათიაშვილი 2012; ბოგიშვილი და სხვები 2016; ჩხარტიშვილი 2019), ამ იდეის მედროშედ კი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო ჯგუფები გვევლინებიან (Nodia 2018; Siroky et al. 2017).

ქართული საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელია აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზის, ე.წ. გზაგასაყარის იდეებიც (Nodia 2009; თევზაძე 2009; Kolstø & Rusetskii 2012; Wivel 2016; Lejava 2021; Aprasidze 2022) და პან-კავკასიური (Nodia 1998; Jones 2003), თუმცა, ავტორთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს უკანასკნელი ხედვა საკმაოდ მეჩხრად არის ქართულ პოლიტიკურ დისკურსში

წარმოდგენილი. ავტორები საუბრობენ საქართველოს განსხვავებულ როლებზეც; გამოიყოფა ქვეყნის როგორც ქრისტიანობისა და დემოკრატიის დამცველის (Jones 2003), სამეზობლოსთვის დემოკრატიული ნორმების შემქმნელის (Wivel 2016), აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებლისა (Kolstø & Rusetskii 2012) და კავკასიაში მშვიდობის ხელშემწყობის როლები (მაისაშვილი 2010). ავტორები თანხმდებიან, რომ ქართველების თვითაღქმაზე დიდი გავლენა იქონია იმან, რომ ის ისლამური ქვეყნებითაა გარშემორტყმული (Jones 1989; Crego 1994; Nodia 1995; Nodia 1998; Jones 2003; Brisku 2018; Lejava 2021).

ეროვნული იდენტობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ამ ორ თემაზე შექმნილი ნაშრომები გარე სამყაროს აღქმისა და მასში საქართველოს როლის/ადგილის საკითხებს არასათანადოდ ეხმიანება. კერძოდ, გამოიკვეთა სამი ურთიერთდაკავშირებული ხარვეზი. 1) არ არსებობს სპეციალიზებული კვლევა, რომელიც სრულად და ამომწურავად დაფარავდა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ეროვნული იდენტობის ამ ორი შემადგენელი კომპონენტის საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დისკურსში არსებობას, ხოლო ის რამდენიმე მცირე გამონაკლისი, რომელიც ამ ორ თემას პირდაპირ ან ირიბად ეხმიანება, მხოლოდ საგარეო პოლიტიკური აზროვნების ერთ კომპონენტს განიხილავს და არა ორივეს ერთად; 2) საკვლევ საკითხზე არსებული ნაშრომები არ ხასიათდება სისტემური მიდგომით; ავტორთა ფოკუსში ექცევა არა ხანგრძლივი საკვლევი პერიოდები, არამედ ცალკეულ პრეზიდენტთა ან ცალკეულ პოლიტიკურ ძალთა დისკურსები ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის შესახებ. შესამჩნევია კვლევის მეთოდთა სიმწირეც. ნაშრომთა უმრავლესობა თვისებრივ კვლევებს ეყრდნობა, რაც გამორიცხავს დასკვნების რაოდენობრივად გადმოცემის შესაძლებლობას; 3) არასათანადოდ არის წარმოდგენილი თანამედროვე საქართველოს ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში გარე სამყაროს ფაქტორის არსებობისა და კონცეპტუალიზების საკითხიც. ავტორთა ნაწილი ამ თემას ზედაპირულად ან არათანმიმდევრულად იკვლევს; არ ჩანს თუ რა როლს თამაშობს გარე სამყარო (ორგანიზაციები, ქვეყნები, რეგიონები, მსოფლიო) და მასში საქართველოს როლის, მისიისა და ადგილის წარმოდგენის საკითხი ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირებაში.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, პასუხგაუცემელი რჩება სამი ფუნდამენტური კითხვა: თუ რომელ გარე სივრცეებზე, აქტორებზე და ქვეყნებზე რა სიხშირით საუბრობენ ქართველი პოლიტიკოსები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე? თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამა თუ იმ ქვეყენას, აქტორსა და გეოგრაფიულ არეალს ისინი (მტრულია, თუ მეგობრული, მისაბაძია, თუ არასასურველი და სხვა)? და თუ როგორ ახდენენ საქართველოს მისიის, როლისა და ადგილის ამ ქვეყნებთან, აქტორებთან და სივრცეებთან მიმართებით წარმოჩენას? ამ კითხვებზე პასუხი ქართულ საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაში გარე სამყაროს აღქმისა და მასში საქართველოს მისიის, როლისა და ადგილის წარმოდგენის საკითხის სისტემურ და ყოვლისმომცველ კვლევას მოითხოვს. შერჩეულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს როგორც ცალკეული დისკურსული ელემენტების გამოკვეთა და ანალიზი, ისე მათი ურთიერთმიმართებისა და დროში გარდაქმნის შესწავლა. ამისათვის კი საჭიროა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება. აღნიშნული ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება; ავტორი საქართველოს მაგალითს პრაქტიკული გეოპოლიტიკის ანალიტიკური ჩარჩოს მეშვეობით განიხილავს და ახდენს საქართველოს პრეზიდენტების გეოპოლიტიკური ხედვების ძირითადი ელემენტების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით დადგენას ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში.

6. კვლევის მიგნებები

6.1 რაოდენობრივი მიგნებები (ზოგადი)

კვლევის პროცესში გაანალიზდა 30 საპრეზიდენტო გამოსვლა. სულ გამოსვლებში შემავალი 12264 წინადადებიდან გამოიყო 3569 საგარეო პოლიტიკური შინაარსის წინადადება, რაც ტექსტების მთლიანი მოცულობის 29.1%-ს შეადგენს. ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ საგარეო პოლიტიკაზე საუბარს ყველაზე მეტი ყურადღება სალომე ზურაბიშვილმა და გიორგი მარგველაშვილმა დაუთმეს - მათ გამოსვლებში მთლიან წინადადებათა 42.8% და 35.3% ეხებოდა ამ საკითხს. მას მოჰყვებიან ზვიად გამსახურდია 30%-ით, ედუარდ შევარდნაძე 27.9%-ით და მიხეილ სააკაშვილი 27.6%-ით.

დიაგრამა #1: საგარეო პოლიტიკური წინადადებების პროცენტული მაჩვენებლები პრეზიდენტების მიხედვით*



** დათვლილია შესაბამისი პრეზიდენტის მოხსენებებში შემავალი წინადადებების სრული რაოდენობიდან*

ამასთანავე, ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ საგარეო პოლიტიკას, სხვა საკითხებთან შედარებით, ყველაზე მეტი ყურადღება 2007 (59.8%) და 2019 (50%) წლებში, მიხეილ სააკაშვილმა და სალომე ზურაბიშვილმა დაუთმეს. საგარეო

პოლიტიკაზე ყველაზე ნაკლებად 2005 (13.5%) და 2013 (13.1%) წლებში მიხეილ სააკაშვილი საუბრობდა.

დიაგრამა #2: საგარეო პოლიტიკური წინადადებების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით*



** დათვლილია შესაბამისი წლის მოხსენებაში შემავალი წინადადებების სრული რაოდენობიდან*

წინადადებათა კოდირებისა და მიღებული მონაცემების გამსხვილების შედეგად, გამოვლინდა იდენტობის ოთხი დომინანტური შუალედური კატეგორია: საქართველო, როგორც განსაკუთრებული/წარმატებული (10.5%), დასავლეთთან ინტეგრირებული (8.9%), ღია/კონკურენტული ეკონომიკის მქონე (7.6%) და საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიმღები (6.8%) ქვეყანა.

რიგით მომდევნო ოთხი კატეგორიაა რუსეთთან დაპირისპირებული (6.6%), რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური (6.6%), საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი (5%) და გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი (4.8%). ამ უკანასკნელს მოსდევს დასავლური/ევროპული და დასავლური/ევროპული სტანდარტების მქონე (4.6%), საერთაშორისო რჩევების/სტანდარტების გამტარებელი (4%) და აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე (3.9%) ქვეყნის იდენტობები. შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება საერთაშორისო მხარდაჭერის/ყურადღების მქონე (3.2%), საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე (3%), კონფლიქტებში საერთაშორისო

ჩართულობის მომხრე (2.2%), საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე-კონფლიქტები (1.9%), ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი (1.8%), გლობალური მშვიდობის დამცველი (1.8%), წამყვანი სახელმწიფო კავკასიაში/რეგიონში (1.7%), დიასპორული/გლობალური ერი (1.5%) და კოსმოპოლიტური/გარე სამყაროსადმი გახსნილი (1.4%). დანარჩენი იდენტობების მაჩვენებელი ჯამში 12.2%-ს შეადგენს.

დიაგრამა #3: იდენტობის შუალედური კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლები*



** დათვლილია საგარეო პოლიტიკური წინადადებების სრული რაოდენობიდან*

რაც შეეხება საბოლოო კატეგორიებს, შუალედური კატეგორიების მონაცემების გამსხვილების შედეგად (იდენტობის კატეგორიათა სრული ჩამონათვალი იხილეთ დანართში #2), გამოვლინდა იდენტობის სამი დომინანტური კატეგორია: საქართველო, როგორც ინტერნაციონალისტური/გარე სამყაროსადმი გახსნილი (22.6%), დასავლური/დასავლეთთან ინტეგრირებული (13.5%) და განსაკუთრებული/წარმატებული (10.5%) ქვეყანა.

რიგით შემდეგი სამი იდენტობის კატეგორიაა ღია/კონკურენტული ეკონომიკა (7.6%), რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული (6.6%) და რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური (6.6%). მათ მოსდევთ საქართველოს, როგორც

საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი ქვეყნის იდენტობა (5%), გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი (4.8%) და აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე (3.9%). შედარებით უფრო მცირე რაოდენობით გვხვდება ანტი-საბჭოთა (1.8%), გლობალური მშვიდობის დამცველის (1.8%), რეგიონის/კავკასიის წამყვანი სახელმწიფოს (1.7%) და დიასპორული ერის იდენტობებიც (1.5%). დანარჩენი იდენტობების მაჩვენებელი ჯამში 12.2%-ს შეადგენს.

დიაგრამა #4: იდენტობის საბოლოო კატეგორიების პროცენტული მაჩვენებლები*



** დათვლილია საგარეო პოლიტიკური წინადადებების სრული რაოდენობიდან*

ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ საგარეო პოლიტიკური ხასიათის წინადადებათა 76.1% არსებულ იდენტობებზე საუბრობს, ხოლო 20.2% - სამომავლო/სასურველ იდენტობებზე. მცირეა წარსული იდენტობების ხვედრითი წილი - 3.6%. პრეზიდენტებს შორის, არსებულ იდენტობებზე ყველაზე მეტად ედუარდ შევარდნაძე (81.87%) და მიხეილ სააკაშვილი (75.5%) საუბრობენ. მათ მოსდევენ ზვიად გამსახურდია 66.7%-ით, სალომე ზურაბიშვილი 66.3%-ით და გიორგი მარგველაშვილი 57.7%-ით. მომავალი იდენტობების მოხმობაში უპირობო ლიდერია გიორგი მარგველაშვილი; ასეთს მისი საგარეო პოლიტიკური წინადადებების 36.3% შეადგენს. მარგველაშვილს მოსდევს სალომე ზურაბიშვილი

27.6%-ით. რაც შეეხება წარსულ იდენტობებს, აქ ზვიად გამსახურდია ლიდერობს 16.2%-ით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი ედუარდ შევარდნაძეს აქვს - 1.9%.

დიაგრამა #5: იდენტობის კატეგორიების სახეები (არსებული, მომავალი, წარსული) პრეზიდენტების მიხედვით (წინადადებათა %-ებში)



იდენტობათა სახეების წლების მიხედვით განაწილება ცხადყოფს, რომ დამოუკიდებლობის პირველ ორ ათწლეულში საქართველოს თვითაღქმა პრეზიდენტების რიტორიკაში გაცილებით უფრო მეტად ჩამოყალიბებული იყო, ვიდრე ბოლო ათწლეულში. საგულისხმოა, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის შუა წლებიდან შეიმჩნევა არსებული იდენტობების თანდათანობითი კლება, მომავალი იდენტობების ზრდის ფონზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის იდენტობები სტაბილური აღარ არის და ცვლილებას განიცდის.

დიაგრამა #6: იდენტობის კატეგორიების სახეები (არსებული, მომავალი, წარსული) წლების მიხედვით (წინადადებათა %-ებში)



არსებულ იდენტობებს შორის, პროცენტულად ყველაზე მეტი შემდეგ კატეგორიებზე მოდის: განსაკუთრებული/წარმატებული (12.3%), რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული (8.3%), რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური (8%), საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიმღები (7.4%) და დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული (7.2%).

დიაგრამა #7: არსებული იდენტობის კატეგორიები*



** დათვლილია შესაბამისი ტიპის წინადადებების სრული რაოდენობიდან*

რაც შეეხება მომავალ იდენტობებს, აქ ყველაზე მეტი ყურადღება შემდეგ კატეგორიებს ეთმობა: დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული (17%), ღია/კონკურენტული ეკონომიკა (15.6%), საერთაშორისო რჩევების/სტანდარტების გამტარებელი (10.9%), დასავლური/ევროპული/--სტანდარტების მქონე (10.6%), გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი (5.1%) და საერთაშორისო მხარდაჭერის /ყურადღების მქონე (5.1%).

დიაგრამა #8: მომავალი იდენტობის კატეგორიები*



** დათვლილია შესაბამისი ტიპის წინადადებების სრული რაოდენობიდან*

წარსულ იდენტობებს შორის, წამყვანი კატეგორიებია ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი (26%), განსაკუთრებული/წარმატებული (18.1%), დასავლური/ ევროპული/--სტანდარტების მქონე (18.1%), საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიმღები (10.2%) და რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული 7(%).

დიაგრამა #9: წარსული იდენტობის კატეგორიები*



** დათვლილია შესაბამისი ტიპის წინადადებების სრული რაოდენობიდან*

იდენტობის კატეგორიებთან ერთად, ავტორმა ასევე შეაგროვა ხსენებათა რაოდენობა ცალკეული გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების შესახებ (სულ 5074). ნიშანდობლივია, რომ დასავლეთი/ევროპა 1305 (25.7%) ხსენებით აქაც მოწინავეა. რიგით მეორეა მსოფლიო/საზღვარგარეთი - 1133 (22.3%) ხსენებით. მას მოსდევს რუსეთი 714 (14%) ხსენებით და საერთაშორისო ორგანიზაციები 534 (10.5%) ხსენებით. შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიას ეხება 276 (5.4%) და 258 (5.1%) ხსენება, ხოლო აზიას/ევრაზიას და საერთაშორისო თანამეგობრობას - 247 (4.9%) და 232 (4.6%) ხსენება. სამეზობლოს/რეგიონს ახსენებენ 106-ჯერ (2.1%), ხოლო საბჭოთა კავშირს - 92-ჯერ (1.8%). ახლო აღმოსავლეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შესახებაა 84 (1.7%) და 42 (0.8%) ხსენება. დანარჩენ აქტორებს/სივრცეებს 51-ჯერ ახსენებენ (1%).

დიაგრამა #10: გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა რაოდენობა



6.2 რაოდენობრივი მიგნებები (პრეზიდენტები)

ზვიად გამსახურდია (1990-1991)

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა ზვიად გამსახურდიას სიტყვით გამოსვლები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 14 ნოემბრისა (უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში) და 1991 წლის 7 ივნისის სხდომებზე (საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის რანგში). აღსანიშნავია, რომ ორივე გამოსვლას წინ უძღოდა საერთო ეროვნული არჩევნები - 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები. შესაბამისად, ორივე შემთხვევაში, ზვიად გამსახურდიამ ტრიბუნა ახალი მანდატის ფარგლებში ქვეყნის შიდა და საგარეო გამოწვევებზე და ამ საკითხებზე მისი პოზიციების წარმოსაჩენად და ცხადყოფისათვის გამოიყენა. საკვლევი მასალის სიმცირის მიუხედავად, პრეზიდენტ გამსახურდიას გამოსვლების ანალიზი ნათელ სურათს ქმნის მისი საგარეო-პოლიტიკური წარმოდგენების შესახებ.

საგარეო პოლიტიკური წინადადებების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი წამყვანი იდენტობები: ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი (34.3%), ღირებულებებისა და სამართლის დამცველი (9.1%), საბჭოეთისადმი არაკონფრონტაციული (8.1%), საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი (7.1%) და ღია/კონკურენტუნარიანი ეკონომიკა (6.1%).

დიაგრამა #11: იდენტობის კატეგორიები ზვიად გამსახურდიას გამოსვლებში (%)


40
35
30
25
20
15
10
5
0
ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან შეპირპირი
სამართლისა და დირებულებების დამცველი
საბჭოთისადმი ორაზროვნად სამყაროში მყოფი
სიფრთხილეში/ცვალებად
ეკონომიკა
ანტი-ეუსტრატეგიული/წარმატებული
ანტი-ევროპული
ევროპა/ კონ ფერენციული
ბანსაუთრებული/ წარმატებული
ეკონომიკის
ანტი-ეუსტრატეგიული/ კონ ფერენციული
ეკონომიკის
ეკონომიკის
ეკონომიკის

ედუარდ შევარდნაძე (1992-2003)

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის 10 გამოსვლა. აქედან, 9 საქართველოს პარლამენტის შენობაში გაკეთდა; 6 - ოფიციალური მოხსენების სახით (1997; 1998; 1999; 2000; 2001; 2002), დანარჩენი სამი კი პრეზიდენტის/სახელმწიფოს მეთაურის პირადი ინიციატივით (1994; 1995; 1996). შევარდნაძის მმართველობის პირველი წლების შესაფასებლად, ასევე გაანალიზდა მისი გამოსვლა მეცნიერებათა აკადემიის წინაშე 1992 წლის 9 ოქტომბერს (სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის რანგში). გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, ედუარდ შევარდნაძეს 2003 წელს მოხსენება არ გაუკეთებია.

ტექსტების დამუშავებისას, გამოიკვეთა ედუარდ შევარდნაძისთვის დამახასიათებელი ხუთი ძირითადი იდენტობა: საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიმღები (12.5%), რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური (9.8%), ღია/კონკურენტული ეკონომიკა (7%), გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი (6.4%) და აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე ქვეყანა (6.3%). აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის რიტორიკაში რუსეთის რეპრეზენტაცია საგრძნობლად კომპლექსურია: ერთი მხრივ, აღიარებულია რუსეთის როლი და ინტერესი საქართველოში, ხოლო მეორე მხრივ, გაისმის მისდამი კრიტიკა და მისი დასავლეთით „დაბალანსების“ სურვილი.

დიაგრამა #13: იდენტობის კატეგორიები ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში (%)



** დათვლილია ედუარდ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკური წინადადებების სრული რაოდენობიდან*

რაც შეეხება გეოგრაფიულ სივრცეებსა და აქტორებს, ედუარდ შევარდნაძემ ყველაზე მეტი დრო მსოფლიოს/საზღვარგარეთს დაუთმო - 648 (22.3%). მას მოსდევს დასავლეთი/ევროპა და საერთაშორისო ორგანიზაციები, 602 (20.7%) და 468 (16.1%) ხსენებით. რიგით მეოთხე და მეხუთეა რუსეთი და კავკასია 361 და 191 ხსენებით, რაც გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა 12.4%-სა და 6.6%-ს შეადგენს. ამასთანავე, შევარდნაძემ 186-ჯერ ახსენა აზია ან ევრაზია. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტებს შორის, შევარდნაძე პროცენტულად ყველაზე მეტს საუბრობს საერთაშორისო ორგანიზაციებზე, კავკასიასა და აზიაზე/ევრაზიაზე.

დიაგრამა #14: გეოგრაფიული სივრცეები და აქტორები (ხსენებათა რაოდენობა) ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში



მიხეილ სააკაშვილი (2003-2013)

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის 10 საპარლამენტო მოხსენება. აქედან, 9 გამოსვლა გაკეთდა საქართველოს პარლამენტის შენობაში, ხოლო ერთი ავლაბრის საპრეზიდენტო სასახლეში. 2013 წელს, მმართველი პარტიის წინააღმდეგობის ფონზე, პრეზიდენტი სააკაშვილი იძულებული გახდა მოხსენება საქართველოს პრეზიდენტის სასახლიდან გაეკეთებინა.

ტექსტების ანალიზისას, გამოიკვეთა მიხეილ სააკაშვილის ხუთი ძირითადი იდენტობის კატეგორია: განსაკუთრებული/წარმატებული (24.2%), რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული (11.2%), ღია/კონკურენტული ეკონომიკა (11.1%), დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული (8.5%) და დასავლური/ევროპული/--სტანდარტების მქონე (6.9%). აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის რიტორიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის, მისი დემოკრატიისა და რეფორმების წარმატებაზე ხაზგასმას და ამით, სხვა ქვეყნების მიმართ მისი უპირატესობის გამოკვეთას. „განსაკუთრებულობა“ მისი გამოსვლების დომინანტური ხაზია და ეს მახასიათებელი სხვა პრეზიდენტებს შორის, დიდწილად, მხოლოდ მის რიტორიკას ახასიათებს.

დიაგრამა #15: იდენტობის კატეგორიები მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში (%)



** დათვლილია მიხეილ სააკაშვილის საგარეო პოლიტიკური წინადადებების სრული რაოდენობიდან*

რაც შეეხება გეოგრაფიულ სივრცეებს, მიხეილ სააკაშვილი ყველაზე მეტჯერ მსოფლიოს/საზღვარგარეთს ახსენებს - 344 (27.8%). მას მოსდევს დასავლეთი/ევროპა და რუსეთი/დსთ - 321 (25.9%) და 238 (19.2%) ხსენებით. რიგით მეოთხე და მეხუთეა შავი ზღვის რეგიონი და საერთაშორისო თანამეგობრობა 55 და 45 ხსენებით, რაც გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა 4.4%-სა და 3.6%-ს შეადგენს.

პრეზიდენტებს შორის, პროცენტულად რუსეთს ყველაზე მეტ დროს სააკაშვილი უთმობს.

დიაგრამა #16: გეოგრაფიული სივრცეები და აქტორები (ხსენებათა რაოდენობა) მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში



გიორგი მარგველაშვილი (2014-2018)

კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის 5 საპარლამენტო გამოსვლა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გამოსვლები პარლამენტს 2010 წელს დამტკიცებული საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ წარედგინა, რამაც საგრძნობლად შეზღუდა პრეზიდენტის გავლენა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და შესაბამისად, შეამცირა იმ საკითხთა ნუსხა, რომელზეც მანამდე პრეზიდენტის პირდაპირი უფლებამოსილება ვრცელდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2014 წლის გარდა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ყველა სხვა მოხსენება მმართველ პარტიასთან მიმდინარე ღია დაპირისპირების ფონზე გააკეთა, რამაც მის რიტორიკაში ერთიორად გაზარდა კრიტიკის დონე. ქართული ოცნების მიმართ არსებული ზოგადი ანტაგონისტური დამოკიდებულების მიუხედავად, პრეზიდენტი მარგველაშვილი მაინც ცდილობს საგარეო პოლიტიკა ქვეყნის პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების გამაერთიანებელ თემად წარმოაჩინოს.

ანალიზისას, პრეზიდენტის მოხსენებებში გამოიკვეთა ხუთი ძირითადი იდენტობა დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული (17.6%), დასავლური/ევროპული/--სტანდარტების მქონე (15.9%), რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული (9.3%), გლობალური მშვიდობის დამცველი (8.6%) და გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი (6.5%).

დიაგრამა #17: იდენტობის კატეგორიები გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში (%)



** დათვლილია გიორგი მარგველაშვილის საგარეო პოლიტიკური წინადადებების სრული რაოდენობიდან*

რაც შეეხება გეოგრაფიულ სივრცეებსა და აქტორებს, გიორგი მარგველაშვილი ყველაზე მეტჯერ დასავლეთს/ევროპას ახსენებს - 275 (48.6%). მას მოსდევს რუსეთი და შავი ზღვის რეგიონი, 80 (14.1%) და 47 (8.3%) ხსენებით. რიგით მეოთხე და მეხუთეა მსოფლიო/საზღვარგარეთი და საერთაშორისო თანამეგობრობა 41 და 31 ხსენებით, რაც გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა 7.2%-სა და 5.4%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტებს შორის, მარგველაშვილი პროცენტულად ყველაზე მეტს საუბრობს ევროპაზე/დასავლეთზე და შავი ზღვის რეგიონზე, ხოლო ყველაზე ნაკლებს - მსოფლიოზე/საზღვარგარეთზე.

დიაგრამა #18: გეოგრაფიული სივრცეები და აქტორები (ხსენებათა რაოდენობა) გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში



სალომე ზურაბიშვილი (2018-2021)

კვლევის მიმდინარეობისას, გაანალიზდა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის სამი საპარლამენტო მოხსენება. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მოხსენებები პარლამენტს პრეზიდენტის ახალი, შეზღუდული უფლებამოსილების ფარგლებში წარედგინა, რამაც საგრძნობლად შეცვალა სახელმწიფოს მეთაურის მიერ განხილული საკითხების ჩამონათვალი. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა პრეზიდენტისგან განსხვავებით, სალომე ზურაბიშვილი მმართველ პარტიას არცერთ გამოსვლაში ღიად არ დაპირისპირებია, რამაც ერთიორად შეამცირა შიდა პოლიტიკის საკითხებზე აქცენტი და შესაბამისად, კრიტიკა. ამ ყოველივეს ფონზე, თვალშისაცემია, საგარეო პოლიტიკის თემის წინ წამოწევა. პრეზიდენტი ზურაბიშვილი სამივე გამოსვლაში დაწვრილებით საუბრობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვითარებისა და პრიორიტეტების შესახებ, რაც კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს.

ანალიზის შედეგად, გამოვლინდა სალომე ზურაბიშვილისთვის დამახასიათებელი ხუთი ძირითადი იდენტობა: დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული (23.1%), რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული (11%),

განსაკუთრებული/წარმატებული (8%), საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი (8%) და საერთაშორისო რჩევებისა და სტანდარტების გამტარებელი (8%).

დიაგრამა #19: იდენტობის კატეგორიები სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებში (%)


25
20
15
10
5
0
დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული
რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული
გამსაჯდარებული/ოკუპირებული/წარმატებული
საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი
საერთ. რჩევების/სტანდარტების გამტარებელი
დიასპორული/გლობალური ეკონომიკა
წამყვანი საბელმწიფო ჯგუფებში/რეგიონებში
დია/ ერნ ევროპა/ევროპასთან მეგობრული
ბრიტ-საბჭოთა/ევროპელებების დამცველი
საქართველოსა და დირეტორების/ეკონომიკის/ეკონომიკურ
საერთ. მხარდამჭერი/ევროპული/—სტანდარტების მეტრე
დასავლური/ევროპული/ეკონომიკური
რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური
საერთ. თანამშრომლობის მიმხრე
ბლო

7. კვლევის მიგნებები: ვინ არიან „სხვები“?

7.1 დასავლეთი/ევროპა

ევროპა და ზოგადად, დასავლეთი საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსის უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული არეალია. დასავლეთი/ევროპა გვევლინება სხვადასხვა - მხარდამჭერის, მისაბაძი მაგალითისა და იდეური მოკავშირის - როლებში. აქედან პირველი, მხარდამჭერის სახე-ხატი განსაკუთრებით ძლიერია ედუარდ შევარდნაძის მოხსენებებში, ხოლო მეორე და მესამე - შემდგომი პრეზიდენტების გამოსვლებში. ფართოდ გვხვდება დასავლეთის, როგორც სავაჭრო პარტნიორის რეპრეზენტაციაც. ამავდროულად, პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველო დასავლური სამყაროს ორგანული ნაწილია, თუმცა, ის მას ისტორიული მოვლენების გამო ჩამოშორდა. ამ ფონზე, დასავლეთთან გაერთიანება, მასში „დაბრუნება“ ეროვნულ ამოცანად არის წარმოჩენილი. ბოლო სამი პრეზიდენტის გამოსვლებისთვის დამახასიათებელია დასავლეთისა და რუსეთის ორ დაპირისპირებულ ბანაკად განხილვა. ნიშანდობლივია ისიც, რომ 1990-იანი წლების შუიდან ევროპა გვევლინება, როგორც საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის უმნიშვნელოვანესი რგოლი - აღმოსავლეთიდან მომავალი სავაჭრო ტვირთებისა და ენერგო მატარებლების საბოლოო დანიშნულების წერტილი.

სულ დასავლეთი, ევროპა, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ნატო, ამერიკა და ევროპის ცალკეული ქვეყნები ნახსენებია 1305-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 25.7%-ს შეადგენს. ერთეულებს შორის ყველაზე მეტად ახსენებენ ევროპას (366), ევროპის ცალკეულ ქვეყნებსა (219) და ევროკავშირს (215). მათ მოსდევენ ნატო (188), ამერიკის შეერთებული შტატები (183), საკუთრივ დასავლეთი (55), ევროპის საბჭო (42) და ევროპის ცალკეული ქვე-რეგიონები (37). რაც შეეხება პრეზიდენტებს, ყველაზე მეტად დასავლეთს/ევროპას გიორგი მარგველაშვილი (48.5%) და სალომე ზურაბიშვილი (40.4%) ახსენებენ. ხსენების პროცენტებით მომდევნონი არიან მიხეილ სააკაშვილი (25.9%) და ედუარდ შევარდნაძე (20.6%). დასავლეთს/ევროპას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ზვიად გამსახურდია (5.5%). წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო დასავლეთს/ევროპას 2017 (58.3%), 2021 (54.9%) და 2013 (54.5%) წლებში დაუთმეს.

იმის გამო, რომ საქართველოს პრეზიდენტები ევროპასა და დასავლეთს მსგავსი მნიშვნელობით (და ხშირად ურთიერთმონაცვლეობით) ახსენებენ, აღნიშნულ სექციაში ევროპისა და დასავლეთის შესახებ მიგნებები წარმოდგენილია ერთობლივად. სექცია მოიცავს ევროპის ცალკეული ქვე-რეგიონებისა და ქვეყნების შესახებ ცნობებსაც. რაც შეეხება აშშ-სა და ნატოს, შესაბამისი მიგნებები წარმოდგენილია ცალკე სექციებად.

ზვიად გამსახურდია

დასავლეთზე/ევროპაზე საუბარი პირველად ზვიად გამსახურდიას გამოსვლებში გვხვდება. გამსახურდიას დამოკიდებულება დასავლეთისადმი იმ პერიოდის საგარეო პოლიტიკური ვითარების გამოძახილია. გამსახურდია მოელის, რომ ქვეყანა დასავლეთის მხარდაჭერას მოიპოვებს. 1990 წელს გამსახურდია მისი ხელისუფლების მთავარ საგარეო პოლიტიკურ ამოცანად საქართველოს ოკუპირებულ ქვეყნად ცნობასა და საბჭოთა ჯარების გაყვანას ასახელებს, გამოსავლად კი კრემლთან და დასავლეთის ქვეყნებთან მოლაპარაკების დაწყება ესახება. ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტი გამსახურდია დასავლეთის პოლიტიკას „გაურკვეველს“ უწოდებს, თუმცა, იმედს გამოთქვამს, რომ დამოუკიდებლობის მსურველი საბჭოთა რესპუბლიკები დასავლეთისგან მეტ მხარდაჭერას მიიღებენ (1991ა). მიუხედავად იმისა, რომ პირველი პრეზიდენტი ცალსახად არ მიუთითებს ქვეყნის ამა თუ იმ სივრცესთან მიკუთვნებაზე, ის მაინც აკეთებს რამდენიმე საგულისხმო მინიშნებას. კერძოდ, 1991 წელს, საქართველოს სამხედრო დოქტრინაზე საუბრისას, გამსახურდია აცხადებს, რომ ის „საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის“ შექმნისათვის ხელშეწყობას გაითვალისწინებს. პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ საქართველოს საერთაშორისო აღიარება „ევროპული და კავკასიური უსაფრთხოების პრობლემაა“ (1991).

ედუარდ შევარდნაძე

ის, რომ დასავლეთი/ევროპა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური არჩევანია ღიად პირველად 1992 წლის მოხსენებაში გვხვდება. აქ, შევარდნაძე აცხადებს, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია „თანდათანობით დასავლური, უპირატესად ევროპაცენტრული და ამერიკაცენტრული ხდება“. თუმცა, შევარდნაძე იქვე განმარტავს, რომ საქართველოს არჩევანი მესამე ქვეყნების წინააღმდეგ

მიმართული არ არის, და რომ ორმხრივი კავშირები თანაბრად უნდა განვითარდეს მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის, რუსეთთან (1992). საგულისხმოა, რომ შევარდნაძის მოხსენებებში ევროპა და რუსეთი დაპირისპირებულ მხარეებს არ წარმოადგენენ. პრეზიდენტი ამ მოსაზრებას გამოთქვამს 1995 წელს, როცა ამბობს, რომ რუსეთი „მიისწრაფვის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებისკენ“. „საქმე ის არის, რომ ევროპის, ასევე რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებშია იმ ბარიერების რაც შეიძლება სწრაფი მოშლა, რომლებიც ევროპის და მთელი მსოფლიოს ორ დაპირისპირებულ ბანაკად ფორმირებამ გამოიწვია“, აღნიშნავს იგი (1995). შევარდნაძე იმავეს ამბობს 1997 წელსაც, როცა აღნიშნავს, რომ რუსეთის ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ინტეგრაცია ცივი ომის დასრულების შედეგად განვითარებული „სასიკეთო მოვლენაა“, რასაც საქართველოც უნდა მიესალმოს.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე სწორედ რუსეთის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის კონტექსტში იწყებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებზე საუბარს. კერძოდ, 1995 წელს ის ამბობს, რომ საქართველო „ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანა, რუსეთის ჩათვლით, მიისწრაფვის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებისაკენ“. „ეს ჩვენი სტრატეგიული მიზანია“, დასძენს იგი (1995). იმავეს იმეორებს 1997 წელსაც, თუმცა, ამჯერად აზუსტებს, რომ „ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება“ საქართველოს ევროკავშირში და ევროპის საბჭოში ინტეგრაციის დასაჩქარებლად. პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ ევროპასთან ინტეგრაცია „ეს ჩვენი დიდი წინაპრების საუკუნეობრივი ოცნება იყო“ (1997).

> მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ რუსეთის ინტეგრირება ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ის სასიკეთო მოვლენაა, რომელიც „ცივი ომის“ დამთავრებამ მოიტანა და რომელიც დიდ სიკეთეს მოუტანს რუსეთსაც და მთელ მსოფლიოსაც. მაშ რატომ უნდა აეკრძალოს საქართველოს გაიაროს იმ გზაზე, რომლითაც რუსეთი და სხვა ქვეყნები მიდიან? რატომ ვერ უნდა მოერგოს საქართველო იმ ერთიან ეკონომიკურ, სამართლებრივ თუ მსოფლმხედველობრივ სივრცეს, რომელიც ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულა? პირიქით, მე მიმაჩნია, რომ ჩვენს და ჩვენი მეგობრების ინტერესებს შეესაბამება დაჩქარდეს საქართველოს ევროპასთან ინტეგრირება. (1997)

1998 წელს შევარდნაძე კვლავ აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობის საბოლოო მიზანი „თავდაპირველად ასოცირებული წევრის სტატუსის მიღება, შემდეგ კი გაწევრიანებაა“, ხოლო 1999 წელს ის ამბობს, რომ ევროკავშირში ასოცირებული წევრის სტატუსით მიღება „შორს არ არის“. იმავე სულისკვეთებით საუბრობს 2001 წელსაც, როცა აცხადებს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორი ევროკავშირისკენ არის მიმართული. „სწორედ ევროპა უნდა იქცეს ქვეყნის საბოლოო ნავსაყუდლად. ეს არის ხანგრძლივი, ურთულესი გზა, მაგრამ რაც მთავარია, ქვეყანამ ამ გზაზე უკვე გადადგა რამდენიმე მტკიცე და ძლიერი ნაბიჯი ევროპული გაერთიანების მხარდაჭერითა და ძალისხმევით“, ამბობს პრეზიდენტი (2001). შევარდნაძის ბოლო, 2002 წლის მოხსენებაში გამეორებულია, რომ ქვეყნის „ერთ-ერთი საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა“ და რომ ეს „არცთუ ისე შორეული მომავლის პერსპექტივაა“. შევარდნაძე საუბრობს საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებაც (1997; 2001). ის ევროპასთან ინტეგრაციის კონტექსტში ახსენებს ევროპის საბჭოსაც. 1999 წლის გამოსვლაში ის აცხადებს, რომ ევროპის საბჭოში გაწევრებით „მთავრდება ევროპულ ოჯახში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღების მთავარი ეტაპი“. „ეს ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვებაა“, ამბობს პრეზიდენტი (1999). მომდევნო წელს ის კვლავ აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭოში გაწევრებით საქართველოს ადგილმა და როლმა საერთაშორისო სისტემაში „საგრძნობი ცვლილებები განიცადა“. „ეს ჩვენი ქვეყნის ევროპის საერთო ოჯახში გაწევრიანების გზაზე უმნიშვნელოვანესი ეტაპის დასაწყისია“, დასძენს პრეზიდენტი (2000).

შევარდნაძის მოხსენებებში გვხვდება დასავლეთის/ევროპის სხვადასხვა რეპრეზენტაცია. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ თუ მმართველობის პირველ წლებში ევროპა უწინარესად დონორ აქტორად წარმოჩინდება (1992; 1994; 1995), მომდევნო წლებში ის თანდათანობით იძენს განვითარების სასურველი მოდელის სახეს. კერძოდ, შევარდნაძე მიიჩნევს, რომ დასავლეთი და მისი ცალკეული ქვეყნები სამაგალითონი არიან შეიარაღებული ძალების (1995), განათლების სისტემის (1998; 2000), ადგილობრივი თვითმმართველობისა (1999; 2001) და სოფლის მეურნეობის (1998; 1999) მიმართულებებში. გვხვდება ევროპის, როგორც სავაჭრო პარტნიორის სახე-ხატიც (2000). შევარდნაძე ემხრობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში

ევროკავშირის ჩართვასაც (1992; 1995; 1998; 2000). ევროპა გვევლინება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციით, მათ შორის, ე.წ. „დიდი აბრეშუმის გზის“ პროექტით დაინტერესებულ მხარედაც (1995; 1998; 1999; 2000; 2001). ასე, მაგალითად, 1998 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე აღნიშნავს, რომ საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო დერეფანს ევროკავშირი პრიორიტეტს ანიჭებს, ხოლო 1999 წელს ის ამბობს, რომ კავკასიის დერეფნის მიმართ ევროპულ სტრუქტურებში „მზარდი ინტერესი“ არსებობს. ამავე კონტექსტში ახსენებს იმასაც, რომ ევროპამ საქართველო და კავკასიის რეგიონი „გეოსტრატეგიული ინტერესების არეალად“ გამოაცხადა, მისმა სტაბილურობამ კი ევროპული ქვეყნებისთვის აქტუალობა შეიძინა (2000). „როცა ქვეყანა სჭირდება მსოფლიოს, სჭირდება ევროპას, მას გაცილებით მეტი გარანტიები აქვს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა“, ამბობს იგი (2001).

მიხეილ სააკაშვილი

უაღრესად საინტერესოა დასავლეთის/ევროპის წარმოჩენა მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში. პრეზიდენტი მის პირველივე გამოსვლაში აღნიშნავს, რომ ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი „ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“ სრული გაწევრებაა, თუმცა, შევარდნაძის მსგავსად, იქვე მიუთითებს, რომ დასავლურ ინტეგრაციასა და რუსეთთან ურთიერთობის განვითარებას შორის „ვერანაირ წინააღმდეგობას“ ვერ ხედავს (2004). სააკაშვილი მომდევნო წლებში კიდევ არაერთხელ აღნიშნავს, რომ საქართველოს ევროპული ორიენტაცია უნდა ჰქონდეს. მაგალითად, 2008 წელს ის ამბობს, რომ საქართველო „უფრო მტკიცე ნაბიჯით“ გააგრძელებს ნატოსკენ და ევროკავშირისაკენ სვლას, ხოლო 2009 წელს აცხადებს, რომ საქართველოს ამოცანაა კიდევ „უფრო მეტი ინტეგრაცია დემოკრატიულ სამყაროსთან“. 2010 წელს სააკაშვილი კვლავ ამბობს, რომ მისი მიზანი ევროპული საქართველოს შექმნაა.

> ჩვენი არჩევანი არის ევროპული, ცივილიზებული, მოდერნიზებული, დემოკრატიულ საქართველოს შენება. ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი არის დაბრუნება ევროპულ ოჯახში და ინტეგრაცია ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში ... ქართველ ხალხს უკვე არჩეული აქვს თავის გზა. ამ გზას

> მივყავართ ევროპისკენ, უფრო მეტი დემოკრატიისკენ, კეთილდღეობისა და მოდერნიზმისკენ. ამ გზას მივყავართ გაჯანსაღებისკენ. (2010)

ნიშანდობლივია მიხეილ სააკაშვილის ბოლო ორი გამოსვლაც. აქედან პირველში, ის აცხადებს, რომ დასავლური ინტეგრაცია საქართველოს „ისტორიული არჩევანი“ და „ეროვნული მონაპოვარია“. პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ „საქართველოს საზოგადოებას უკვე დამკვიდრებული აქვს ღირსეული ადგილი ცივილიზებულ, დემოკრატიულ სამყაროში და ჩვენ, როგორც ერი - უკვე ვართ დასავლეთის ნაწილი“ (2012). 2013 წლის მოხსენებაში პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ ამბობს, რომ ქვეყანა წარმატებით „დაადგა გზას ევროპული ოჯახისა და ევროპული ბედისკენ“. მისი თქმით, „ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველო ხელახლა დაიბადა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი და ევროპული სახელმწიფო“ (2013). სააკაშვილი ამავე გამოსვლაში გამოდის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკონსტიტუციო ვალდებულებად გადაქცევის ინიციატივით.

საყურადღებოა ისიც, რომ 2004 წლის მოხსენების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში თანდათან იკიდებს ფეხს დასავლეთისა და რუსეთის ორ დაპირისპირებულ ბანაკად განხილვა. ასე, მაგალითად, 2006 წელს პრეზიდენტი აცხადებს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში და ბალტიისპირეთში ნატოს გაფართოებას გარკვეული ძალები ეწინააღმდეგებოდნენ, „მაგრამ არაფერი გამოუვიდათ“, ხოლო 2010 წელს პრეზიდენტი ამბობს, რომ ევროპისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს „ბევრი დაბრკოლებების“ გადალახვა მოუწევს. „ბევრი მტერი გადაგვეღობება და შეეცდება გზიდან ჩამოგდებას“, ამატებს იგი (2010). 2012 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი კვლავ იმეორებს, რომ არსებობენ ძალები, რომლებსაც საქართველოს დასავლური ორიენტაცია აღიზიანებს. „ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, იმისათვის რომ არავის მივცეთ საშუალება შეგნებულად თუ შეუგნებლად დაგვაკარგვინოს ეს ეროვნული მონაპოვარი“, ამბობს პრეზიდენტი (2012).

საგულისხმოა, რომ სააკაშვილი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად განმარტავს დასავლეთთან ინტეგრაციის სიკეთეებს. მაგალითად, ევროკავშირში გაწევრებაზე საუბრისას, ის ამბობს, რომ ეს ნიშნავს „თითოეული ქართველისათვის ცხოვრების 3-ჯერ, 4-ჯერ მაღალ დონეს“ (2004). ამავდროულად, სააკაშვილისთვის დასავლური ინტეგრაცია ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის უზრუნველყოფის

საშუალებაა (2012; 2013). „თუკი ევროპას უგულებელვყოფთ, სუვერენიტეტს დავკარგავთ ... ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეჩერებისთანავე, ჩვენს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს ხარბად დაეწაფება ყოფილი იმპერია, რომელსაც საზღვრების არსებობის იდეა არაფრად ეპიტნავება“, აღნიშნავს პრეზიდენტი (2013). სააკაშვილისთვის ევროპა მოდერნიზაციის სინონიმიცაა. „მოდერნიზაცია შეიძლება ზოგიერთისთვის სიტყვის მასალა იყოს, მაგრამ ჩვენთვის ეს ნიშნავს იმას, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნიდან საქართველო ვაქციოთ ევროპულ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ“, აცხადებს პრეზიდენტი 2011 წელს.

პრეზიდენტ სააკაშვილს ქართველების ევროპულობის დასტურად საზიარო კულტურული ფასეულობები მოჰყავს. „საქართველოს მუდმივი ნავსაყუდელი, მისი ბუნებრივი გარემო, არის ევროპა, რომელთანაც გვაერთიანებს საერთო კულტურა, ისტორია და დემოკრატიულ ფასეულობათა მთელი სისტემა დაფუძნებული ადამიანის უფლებათა ხელშეუხებლობის, კანონის უზენაესობისა და საზოგადოების მშვიდობიანი და სამართლიანი განვითარების პრინციპებზე“, ამბობს პრეზიდენტი (2008). სააკაშვილისთვის ქვეყნის ევროპულობის კიდევ ერთი არგუმენტი ისაა, რომ საქართველო, ისტორიული თვალსაზრისით, ევროპაა, და რომ ევროპასთან ინტეგრაციით, ის საკუთარ თავსა და წინაპრების სახლს - „ევროპულ ოჯახს“ - უბრუნდება (2007; 2010; 2013). ამ მოსაზრების გასამყარებლად, მესამე პრეზიდენტი ხშირად იშველიებს ისტორიულ მაგალითებს და ამ გზით, ქართულ-ევროპულ კავშირებს უწყვეტ ჯაჭვად წარმოაჩენს. კერძოდ, ის მოიხმობს ანტიკური ხანის მითებს, ქვეყნის ქრისტიანულ მემკვიდრეობასა (2007) და შუა საუკუნეების ქართველი მეფეების დასავლელ მონარქებთან მიმოწერებს (2013), აგრეთვე, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი განმანათლებლების მცდელობებს გაევრცელებინათ ევროპული იდეალები (2011).

> საქართველო უბრუნდება თავის ისტორიულ - ევროპულ ოჯახს. ევროპელებმა პირველად საქართველო გაიცნეს როგორც ოქროს საწმისის სამშობლო. ახლა ევროპელებმა უნდა გაიცნონ როგორც უძველესი ევროპელების სამშობლო, რომელიც მიისწრაფვის მალე გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი. ჩვენი საგარეო პოლიტიკური ვექტორი გადის ევროპაზე და სწორედ ევროპასთან ინტეგრაცია არის ჩვენი უმთავრესი ამოცანა ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს

> მონაკვეთზე. ევროპა ხელახლა მოდის საქართველოში, ისევე როგორც საქართველო ხელახლა უშინაურდება მას. ევროპა ჩვენს ქვეყანაში პირველად შემოვიდა პრომეთეს მითით. შემოვიდა მაშინაც, როდესაც საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული სახელმწიფო გახდა. ეს მნიშვნელოვანია. ევროპა - ჩვენი საგარეო პოლიტიკის პირველი ლოზუნგია. (2007)

სააკაშვილის პოლიტიკური მეტყველებისთვის დამახასიათებელია ევროპასთან შედარებებიც. შედარებათა ერთ ნაწილში ევროპა განვითარების სასურველი მოდელია. სააკაშვილს სურს ევროპული დონის საპენსიო უზრუნველყოფა (2004), ტურიზმი (2006; 2007), ეკონომიკა (2005), ჯანდაცვა (2006; 2012), განათლება (2006; 2007; 2012), საგადასახადო სისტემა (2006), ტერიტორიული მოწყობა (2008), გზები (2006; 2009), სოფლის მეურნეობა (2010), სასამართლო (2010) და პოლიტიკური სისტემა (2011). გვხვდება ევროპელი ექსპერტების, როგორც მმართველობის სხვადასხვა მიმართულებით სპეციალიზებული გამოცდილების მქონე აქტორების წარმოჩენაც (2007; 2010; 2012). რაც შეეხება შედარებათა მეორე ნაწილს, აქ, ევროპა საქართველოს თანასწორ ან მასთან შედარებით წარუმატებელ აქტორად არის წარმოჩენილი. ამის მაგალითია განცხადებები, რომ საქართველოს ჰყავს საგარეო საქმეთა მინისტრი, „რომლის დონე შეშურდება ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას“ (2004), აქვს ევროპის მასშტაბით „უნიკალური“ სათხილამურო კურორტები (2006), ჰყავს „ერთ-ერთი ყველაზე რეფორმატორული მთავრობა“ ევროპაში (2007), აქვს ევროპის მასშტაბით „წამყვანი“ სამკურნალო დაწესებულებები (2007), აქვს ყველაზე დივერსიფიცირებული ენერგოსისტემა აღმოსავლეთ ევროპაში და აქვს ევროპის „ერთ-ერთი საუკეთესო“ მაჩვენებლები ოპტიმიზმის ხარისხის მიხედვით (2007). პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ საქართველო ევროპაში მესამე ქვეყანა იქნება, სადაც „ინტელის“ ქარხანა გაიხსნება (2011).

პრეზიდენტ სააკაშვილის მოხსენებებში დასავლეთი მხოლოდ საჯარო მმართველობის მაგალითი არაა. ესაა ერის მშენებლობის იდეოლოგიური საფუძველიც - სააკაშვილს სწორედ ევროპის ქვეყნებში ეგულება სოციალური მედეგობისა და ურღვეობის საუკეთესო მაგალითები. ამის ნათელი დადასტურებაა 2005 წლის მოხსენება, სადაც ის ამბობს, რომ „ლიტვაში ყველა პარტია, რომლებიც მუდმივად ქიშპობდნენ, ერთ დღეს გაერთიანდა და არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა; მათ

მოახერხეს საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა, რადგან ლიტვის დამოუკიდებლობა მათთვის მთავარი აღმოჩნდა“. „დამოუკიდებლობის გადასარჩენად, ჩვენც ასე უნდა ვისწავლოთ მუშაობა“, აცხადებს სააკაშვილი. მსგავსი სულისკვეთებით საუბრობს მომდევნო წელსაც: „[საქართველოს ჯარი] ყველანაირი გამოწვევის პირობებში, ყველაზე ძლიერი საფრთხის წინაშე დაიცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ისევე როგორც, თავის დროზე, ამას ფინელები, პოლონელები და საუკუნეების განმავლობაში ქართველები აკეთებდნენ“.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილისთვის ევროპა ეს არის საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის უმნიშვნელოვანესი დაბოლოებაც - სავაჭრო ტვირთებისა და ენერგო მატარებლების საბოლოო დანიშნულების წერტილი (2007; 2011). ევროპა გვევლინება სავაჭრო პარტნიორად (2006; 2007; 2010; 2011) და კონფლიქტების მოგვარების საკითხში მხარდამჭერადაც (2007). 2012 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი საუბრობს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო მიმოსვლის შესახებაც.

გიორგი მარგველაშვილი

გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში დასავლეთის/ევროპის შესახებ საუბარი კიდევ უფრო დინამიური ხდება. მარგველაშვილი მის პირველივე მოხსენებაში აცხადებს, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი წინაპრების მიერ არის გაკეთებული და ის „არასოდეს გადაიხედება“ (2014). „როგორც კი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ჩვენმა საზოგადოებამ საკუთარი მომავალი ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცეს დაუკავშირა“, ამბობს ის 2014 წელს. მომდევნო წლებში პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა, 2017 წელს კი ის ამბობს, რომ ქვეყანამ ევროკავშირში გაწევრების განაცხადის მომზადება უნდა დაიწყოს.

მარგველაშვილის მოხსენებებში დასავლეთის/ევროპის სახე-ხატი ცალსახად დადებითია. დასავლეთი/ევროპა გამორჩეულია განათლების ხარისხის (2014); პოლიტიკური კულტურის (2015; 2016; 2018), სამართლიანი სასამართლოს (2017), კონსტიტუციონალიზმის ტრადიციის (2016), სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა (2015; 2016) და არჩევნების გამჭვირვალობის თვალსაზრისით (2014; 2016). ამავდროულად, ევროპა საქართველოს წინსვლისა და სუვერენიტეტის

მხარდამჭერია (2014; 2017; 2018). „ევროპელ ლიდერებთან შეხვედრისას დავინახე, თუ რაოდენ დიდია მხარდაჭერა მათი მხრიდან; დავინახე, რომ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელები გულშემატკივრობენ საქართველოს და მის ევროპულ არჩევანს“, ამბობს ის 2014 წელს. ევროპასთან დაახლოება ეს არის საქართველოს საერთაშორისო პოზიციების გამყარების (2015), ეკონომიკური განვითარებისა (2014; 2015; 2016; 2017) და ქვეყნის გაძლიერების, მის „მნიშვნელოვან რეგიონულ მოთამაშედ“ გადაქცევის საშუალებაც (2016).

პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაწევრება - მის ისტორიულ „ოჯახში დაბრუნებაა“ (2016; 2017). მარგველაშვილი ამ კონტექსტშივე აღნიშნავს, რომ საქართველო, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით, ევროპის განუყოფელი ნაწილია.

> მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი ევროპულობა არის არა კონიუნქტურული, არამედ ის ბუნებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს ერს ისტორიის განმავლობაში ბევრჯერ მიუღია. ჩვენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები გვაღიარებდნენ ევროპულ ერად. ჩვენ არა უბრალოდ ვიყავით ქრისტიანულ-იუდეური კულტურის ნაწილი, არამედ ვქმნიდით კიდეც მას. ამიტომაც ევროპა ჩვენი ოჯახია, ჩვენი ღირებულებებია, ჩვენი მომავალია! იმავდროულად, ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიაა! (2014)

> ისტორიულად, კულტურულად, ჩვენ ევროპა ვართ - არა უბრალოდ მისი ნაწილი, არამედ - საუკუნეთა განმავლობაში ევროპის განვითარებისა და ქმნადობის აქტიური მონაწილეც. შესაძლოა გარკვეულწილად უფრო მეტი ღვაწლიც კი მიგვიძღვის; გეოგრაფიული სიშორიდან თუ გარკვეული მოწყვეტილობიდან გამომდინარე, ჩვენ ხშირად მარტო, მოკავშირეების გარეშე გვიწევდა იმ ღირებულებების დაცვა, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ევროპული ცივილიზაციისათვის. (2015)

> სწორედ ჩვენი თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, ჩვენი ისტორიული არჩევანის საფუძველზე, რომელიც ჩვენ და ჩვენმა წინამორბედებმა გავაკეთეთ, 2016 წელი მე გამოვაცხადე ევროპული სახელმწიფოს წლად. ეს არის კიდევ

ერთხელ გაგრძელება იმ ბრძოლის, რომელსაც ჩვენი წინა თაობები ახორციელებდნენ. ამ გზაზე ამბობდა ნოე ჟორდანია „მომავლის არ გვეშინია“, ამ მიზანს სახავდა ზურაბ ჟვანია, როდესაც ამბობდა - „მე ვარ ქართველი, და, მაშასადამე ვარ ევროპელი“. ამ გზაზე მე ვხედავ საქართველოს არა როგორც სტუმარს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში, არამედ როგორც სრულფასოვან წევრს ამ ერთობისა. (2016)

მარგველაშვილისთვის დამახასიათებელია რუსეთისა და ევროპის დაპირისპირებულ მხარეებად წარმოჩენაც. პრეზიდენტი ამბობს, რომ რუსეთი ცდილობს რბილი ძალის მეშვეობით მოახდინოს საქართველოში დასავლური ღირებულებების დისკრედიტაცია და ამით, საქართველო აიძულოს უარი თქვას ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე (2015; 2016). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ტერიტორიული პრობლემები მათი ევროპული, თავისუფალი არჩევანის გამო დასჯაა (2015; 2016). მარგველაშვილისთვის დამახასიათებელია ევროპული ინტეგრაციის, როგორც ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალებად წარმოჩენაც. პრეზიდენტის მოხსენებებში ევროპა გვევლინება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის სასურველ განვითარების მოდელად (2014; 2015). მარგველაშვილი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ევროპული ინტეგრაციის სიკეთეები თანაბრად უნდა იყოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომი (2014; 2016).

ჩვენს თანამოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, უნდა მივცეთ შესაძლებლობა საქართველოს ევროპული კურსით მიიღონ პირდაპირი სარგებელი. ურთიერთნდობის აღდგენის პარალელურად, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით უნდა ჩავრთოთ ევროკავშირთან ერთობლივ ეკონომიკურ, სავაჭრო, საგანმანათლებლო, ჰუმანიტარულ პროექტებში, რომლებიც განსაზღვრულია სახელმწიფო სტრატეგიით - „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“. აფხაზ და ოს თანამემამულეებს მინდა მივმართო იმავე სიტყვებით, რომლითაც მივმართე ჩემი წინასაარჩევნო საპროგრამო გამოსვლის დროს: ჩვენ გთავაზობთ ევროპულ ქვეყანას, თავისუფალ, განვითარებულ, დემოკრატიულ

> და მშვიდობიან სახელმწიფოში ცხოვრებას, რომელიც იქნება მისი ყველა მოქალაქის კეთილდღეობის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურულ იდენტობის შენარჩუნების და მათი პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტი. (2014)
>
> ჩვენ გვინდა, რომ ყველას გავუზიაროთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და გაძლიერების შედეგები, ის შედეგები, რასაც საქართველო ევროინტეგრაციის შედეგად იღებს ... საქართველოს სურვილი და მიზანია, რომ ევროკავშირთან ასოცირებით, მასთან თავისუფალი ვაჭრობითა და უვიზო გადაადგილებით წარმოქმნილი პრივილეგიები თანაბრად გავრცელდეს საქართველოს ყველა მოქალაქეზე; ევროპული საქართველო აფხაზთა და ოსთა თვითმყოფადობის შენარჩუნების, მათი პოლიტიკური და კულტურული უფლებების რეალიზების საუკეთესო გარანტი იქნება. (2015)

აღსანიშნავია, რომ მარგველაშვილისთვის ევროპა ეს არის საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის უმნიშვნელოვანესი რგოლი - აღმოსავლეთიდან მომავალი სავაჭრო ტვირთებისა და ენერგო მატარებლების საბოლოო დანიშნულების წერტილი (2014; 2015; 2016). პრეზიდენტი სწორედ მისი გეოპოლიტიკური ფუნქციით ცდილობს დასავლეთისთვის საქართველოს მნიშვნელობის დასაბუთებას (2016; 2017). ამასთანავე, მარგველაშვილი ცდილობს ქვეყნის პრობლემების საერთო-ევროპული პრობლემების დღის წესრიგად წარმოჩენაც. ასე, მაგალითად, 2016 წელს ის ამბობს, რომ „საქართველო - რუსეთის ურთიერთობები ევროპული პოლიტიკის ნაწილია“, და რომ ქვეყანამ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა გაწიოს, რათა პარტნიორები დაარწმუნოს, რომ „საქართველოს გარეშე ევროპული კეთილდღეობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი“. 2017 წელს ის კვლავ აღნიშნავს, რომ „ევროპული უსაფრთხოება, მათ შორის, საქართველოს და შავი ზღვის უსაფრთხოებით განისაზღვრება“.

სალომე ზურაბიშვილი

ევროპული ინტეგრაცია პრიორიტეტულია სალომე ზურაბიშვილისთვისაც. ეს მისთვის ისტორიული კანონზომიერება, „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ გზაა (2020; 2021). წინამორბედის მსგავსად, ევროკავშირი ქვეყნის განვითარების სასურველი

მაგალითია (2019; 2020; 2021), ხოლო ევროპული საქართველო - აფხაზებისთვის და ოსებისთვის მიმზიდველი მოდელი (2020). „აფხაზებსა და ოსებს მომავლის პერსპექტივა უნდა დავანახოთ, რომელიც იქ ნამდვილად აღარ ჩანს - პერსპექტივა ერთიან სახელმწიფოში პერსპექტივა რომელიც საფრთხეს კი არ შეუქმნის მათ, არამედ გზას გაუხსნის ევროპისკენ, ანუ - კეთილდღეობისკენ“, ამბობს ზურაბიშვილი (2020). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ ევროკავშირისკენ სვლა არავის წინააღმდეგ მიმართული არ არის (2019). გვხვდება ევროპის, როგორც რუსეთთან კონფლიქტში საქართველოს მხარდამჭერი აქტორისა (2021) და მისი, როგორც დემოკრატიული განვითარების ხელშემწყობის სახე-ხატებიც (2020).

ევროკავშირში ინტეგრაციის მხრივ მიღწეული შედეგები ზურაბიშვილისთვისაც სიამაყის წყაროა. „დამოუკიდებლობის აღდგენიდან არ გასულა 30 წელი და უკვე ვდგავართ ევროპის კართან, როგორც მოწინავე ასოცირებული წევრი ... ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ, ისტორიისთვის ამ მოკლე პერიოდში, საქართველო ევროკავშირთან თავისუფალ მიმოსვლასა და თავისუფალ ვაჭრობას მიაღწევდა“, ამბობს ის 2020 წელს. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი ევროპასთან ინტეგრაციის კონტექსტში ახსენებს კოლხეთსაც, რომელიც, მისი თქმით, „უძველესი დროიდან გვაკავშირებს ევროპასთან“ (2019).

პრეზიდენტი აქტიურად მსჯელობს ევროკავშირში განვითარებული მოვლენების შესახებაც. 2019 წელს ის აცხადებს, რომ ევროკავშირში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს „უპრეცედენტო პერსპექტივა“ ეხსნება, რითაც ქვეყანამ უნდა ისარგებლოს.

> ევროპის სამომავლო სახე დღეს იკვეთება; ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა 27 ქვეყანას საგანგებოდ მიმართა და შესთავაზა ახალი ევროპის კონცეფცია - „ყველასთვის ღია ევროპა“, რომელიც გაფართოებისა და გაწევრიანების არსებული მოდელების გადააზრებას მოითხოვს. იგი გვიხსნის ახალ გზებს, რათა უშუალოდ ჩავერთოთ „სხვადასხვა სიჩქარით“ წინ მიმავალ ევროპაში. ასეთ გზაზე ნაწილობრივ უკვე ვდგავართ, - გავხდით მთელი რიგი პროგრამებისა და ფორმატების მონაწილე და მივისწრაფვით სხვა მიმართულებებში ჩართვისკენ. ასეთი ნაბიჯ-ნაბიჯ „შესვლის“ გამოცდილება გვაქვს განათლების, უსაფრთხოების, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში. ვართ

ევროპოლის სრულყოფილი წევრი. ვითხოვთ, რომ საქართველო სრულფასოვნად იყოს ინტეგრირებული ევროპის კულტურულ სივრცეში. ჩვენ მიმართ მაღალია მზადყოფნა პარტნიორების მხრიდან, რათა გაითვალისწინონ ჩვენი, როგორც ასოცირებულ ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებული წევრის, განსაკუთრებული პოზიცია.

ზურაბიშვილის ოპტიმიზმი მომდევნო წელს რამდენადმე მცირდება. ის აცხადებს, რომ დიდი ბრიტანეთის გასვლის შემდეგ, ევროკავშირი „აღარ იქნება ისეთივე, როგორიც, თუნდაც, სულ რამდენიმე წლის წინ იყო - როცა საქართველო შეუდგა პარტნიორობისა და ასოცირების გზას“ (2020). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ კრიზისის ფონზე, ევროკავშირი „ჯერ ვერ ყალიბდება“ თუ როგორ უპასუხოს გაწევრების მსურველ მეზობლებს (იქვე). თუმცა, ზურაბიშვილი იქვე დასძენს, რომ გაფართოების პოლიტიკამ „ყველაზე დიდი გამარჯვება მოუტანა თვით ევროპას და მის ახალ წევრებს“ (იქვე).

ზურაბიშვილი ხაზს უსვამს, რომ ევროპაში საქართველოსადმი დაინტერესება იზრდება. ასე, მაგალითად, 2019 წელს ის ამბობს, რომ ევროპას „გაზრდილი ინტერესი“ აქვს შავი ზღვისა და კავკასიის სატრანსპორტო და ლოგისტიკური დერეფნის მიმართ, რაც საქართველოს „ახალ პერსპექტივებს“ უსახავს და „შავი ზღვის ორ სანაპიროს შორის ფიზიკურ კავშირს აყალიბებს“ (2019). ამავე კონტექსტში საუბრობს 2020 წლის აპრილში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეული შეთანხმების შესახებ, რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის არსებული უთანხმოების განმუხტვას ემსახურებოდა.

არნახული რამ მოხდა იმის დასტურად, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველო, მისი დემოკრატიულობა და მისი სტაბილურობა, ევროპისათვის და რაოდენ უკვე დაახლოებულები ვართ. ევროკავშირიდან მივიღეთ ყველაზე დიდი მხარდაჭერა და ვფიქრობ საკმარისად ვერ გავიაზრეთ და ვერც დავაფასეთ. არა მხოლოდ ფინანსური თუ მატერიალური, არამედ პოლიტიკური და მორალური, ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირის პერსონალური ჩართულობა, რათა გადალახულიყო პოლარიზაცია და პოლიტიკური ჩიხი და ქუჩაში გადატანილი პროცესები დაბრუნებულიყო პარლამენტში. ეს პატარა საქმე

ნამდვილად არ არის. ასეთი ჟესტი საქართველოს არ ახსოვს, თუ არ ჩავთვლით ომის მძიმე პერიოდს. (2020

რაც შეეხება ევროპის ცალკეულ ქვეყნებს, პრეზიდენტი გამოყოფს საფრანგეთსა და გერმანიას და მათთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების საჭიროებაზე საუბრობს (2019). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ მან განგებ შეარჩია ეს ქვეყნები მისი პირველი ოფიციალური ვიზიტების დანიშნულების წერტილად (იქვე).

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)

კიდევ ერთი დასავლური აქტორია ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც, ზვიად გამსახურდიას გარდა, ყველა სხვა პრეზიდენტის გამოსვლაშია ნახსენები. საგულისხმოა, რომ თუ 1990-იან წლებში ნატოს შესახებ მსჯელობა უფრო ზოგადი იყო, მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში, ალიანსთან დაახლოებამ ახალი იდეური და პოლიტიკური შინაარსი შეიძინა. პრეზიდენტებმა აქტიურად დაიწყეს ნატოსთან დაახლოებისა და მასში გაწევრების შესახებ საუბარი. საგულისხმოა, რომ ალიანსთან თანამშრომლობას ისინი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდისა და საერთაშორისო დონეზე მისი პოზიციების გაძლიერების საშუალებად წარმოაჩენენ, ხოლო ნატოსთან მიღწეულ შედეგებს (ვიზიტები, დადებითი შეფასებები, წვრთნები, მისიებში მონაწილეობა) - საქართველოს წარმატების დადასტურებად წარმოადგენენ. გვხვდება ნატოს, როგორც უსაფრთხოების გარანტორის სახე-ხატებიც.

აღსანიშნავია, რომ ნატოს შესახებ პროცენტულად ყველაზე მეტს გიორგი მარგველაშვილი საუბრობს[20] (28.7%). მას მოსდევენ სალომე ზურაბიშვილი (15.8%), მიხეილ სააკაშვილი (14%) და ედუარდ შევარდნაძე (7.9%).

ნატოსთან პარტნიორობის შესახებ აქტიურად საუბრობს ედუარდ შევარდნაძე. ალიანსთან თანამშრომლობა მისთვის საერთაშორისო დონეზე საქართველოს პოზიციების გაძლიერების საშუალებაა (1995; 1998; 1999; 2000). „ნატოსთან დაახლოება

[20] დათვლილია შესაბამისი პრეზიდენტის გამოსვლაში დასავლეთის/ევროპის ხსენებათა სრული რაოდენობიდან.

ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესების უკეთ დაცვის რეალურ საშუალებებს იძლევა“, ამბობს იგი (1995). შევარდნაძეს სურს ნატოს არმიების გამოცდილების გათვალისწინებაც (1992; 2000; 2001; 2002). „აუცილებელია გაფორმდეს სათანადო კონტრაქტები საქართველოს არმიაში უცხოელი სპეციალისტების მოსაწვევად, საჭიროა ნატოს და ნეიტრალური ქვეყნების არმიების გამოცდილების ათვისება“, აცხადებს პრეზიდენტი. შევარდნაძე ეხება ნატოსთან მეცნიერების სფეროში კავშირებსაც (1999; 2000; 2001). 1992 წელს ის საუბრობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ნატოს სამშვიდობო ძალების ჩართვაზეც.

საგულისხმოა, რომ შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებში ნატოს წარმოჩენა მოკლებულია პრაქტიკულ შინაარსს და ის უფრო საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაციის საშუალებად გვევლინება, თუმცა, პრეზიდენტობის ბოლო წლებში ეს თანამშრომლობა (და შესაბამისად, ნატოს რეპრეზენტაცია) უფრო ხელშესახებ ხასიათს იძენს. პრეზიდენტი იწყებს საუბარს საქართველოს სამხედრო ძალების ოცეულის კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობაზე (2000), ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში პირველი მრავალეროვნული წვრთნების ჩატარებაზე (2001) და ბოლოს, ალიანსში სრული ინტეგრაციის სურვილზე (2000). „აუცილებელია ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება, ამ სტრუქტურებში მომავალი ინტენსიური ინტეგრაციის მიზნით“, ამბობს ის 2000 წელს. ნატო-საქართველოს შესახებ საუბარი გვირგვინდება იმით, რომ 2002 წელს ედუარდ შევარდნაძე ალიანსში გაწევრების განაცხადს აანონსებს. პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველოს სწრაფვა „მდგრადი უშიშროების საიმედო სისტემაში“ ჩაბმის სურვილით არის ნაკარნახევი.

> ქართულ დიპლომატიას, შორეული წარსულიდან დღემდე არ ჰქონია უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საკუთარი ქვეყნის დაცულობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. ეს იყო ყოველთვის პრობლემათა პრობლემა ... სწორედ ამ გარემოებით (და არა რაიმე აპრიორული აკვიატებით) არის განპირობებული ჩვენი სწრაფვა მდგრადი უშიშროების იმ სისტემისაკენ, რომელიც ყველაზე ქმედითად უზრუნველყოფს პატარა სახელმწიფოთა სტაბილურ განვითარებას - მათი სუვერენიტეტის ხელყოფის გარეშე ... ამრიგად,

ნატოს პრაღის სამიტის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ შესაძლოა უკვე ოფიციალურად განაცხადოს სურვილი, შეუერთდეს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს. (2002)

პრეზიდენტი დასძენს, რომ ნატოში გაწევრება „არ არის იოლად გადასაწყვეტი მოკლევადიანი პერსპექტივა, მაგრამ არც სტრატეგიულად არარეალურია“ (იქვე). ედუარდ შევარდნაძის ხაზს აგრძელებს მიხეილ სააკაშვილიც. ის პრეზიდენტობის პირველივე წელს აცხადებს, რომ ნატოში გაწევრება მისი პრიორიტეტია. „ჩვენი მომავალი არის ევროპის კავშირის წევრობა და ყველა ჩვენთვის მნიშვნელოვან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრული გაწევრება“, ამბობს სააკაშვილი (2004). მომდევნო წლებში პრეზიდენტი ნატოში გაწევრების სურვილს კიდევ რამდენიმეჯერ გამოთქვამს, ძირითადად, ევროპასთან ინტეგრაციის კონტექსტში (2006; 2007; 2008). ამავე კონტექსტში საუბრობს გაწევრების სამოქმედო გეგმის, MAP-ის, მიღების შესახებაც. პრეზიდენტი ნატოში გაწევრებას იდეოლოგიურ დატვირთვასაც ანიჭებს; ის ორჯერ აცხადებს, რომ ალიანსი მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების დამცველი ორგანიზაციაა და, რომ საქართველოს თავადაც აქვს ამ ღირებულებების დაცვის ვალდებულება (2008; 2012). საგულისხმოა ისიც, რომ სააკაშვილი ნატოს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერების საშუალებად წარმოაჩენს (2004; 2007). ასე, მაგალითად, 2004 წელს ნატოს სტამბოლის სამიტზე მოწვევის შესახებ საუბრისას, პრეზიდენტი ამბობს, რომ მისთვის, „ფორმალობასთან შედარებით“, ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს „კონკრეტული დახმარების მიღებას“ შეიარაღებული ძალების გაძლიერების თვალსაზრისით. ამავდროულად, ნატო წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების გარე ძალებით უზრუნველყოფის საშუალებასაც.

> დღეს ვამბობ, რომ სულ მალე საქართველოს საზღვარი იქნება ნატოს საზღვარი. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა ის, რასაც ერთი წლის წინათ, ვერ ვიტყოდი - საქართველო ნატოს-თან ერთ ნაბიჯზეა ... რას ნიშნავს ეს? ეს ჩვენი ქვეყნის საზღვრების ურღვეობას, ქვეყნის ერთიანობისა და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საზღვრებს რამდენიმე ათასი დასავლური თვითმფრინავი, ყველაზე საუკეთესო არმიები და, რაც მთავარია, ყველაზე დემოკრატიული ფასეულობების მქონე უშიშროების

> პოლიტიკური სისტემა დაიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საზღვარს ჩვენი ზოგიერთი თავზეხელაღებული ყოფილი ძმა ისე დაუსჯელად ვეღარ გადმოლახავს, როგორც ეს ბოლო წლების განმავლობაში ხდებოდა. (2006)

საგულისხმოა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ სააკაშვილი ნატოს შესახებ მსჯელობას ერთიორად ამცირებს, მათ შორის, აღარ არ ახსენებს გაწევრების სამოქმედო გეგმას. ამის მიუხედავად, სააკაშვილი კვლავ არაერთხელ აღნიშნავს, რომ ნატოში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია და ის ამ კურსს არ გადაუხვევს (2009; 2010; 2011; 2012). „არასოდეს დავთმობთ ქართველი ხალხის თავისუფალ არჩევანსა და ევროატლანტიკურ კურსს“, ამბობს ის 2011 წელს, თუმცა, შემდგომ წელს აღნიშნავს, რომ ალიანსში სრულფასოვან გაწევრებას „ჯერ რამდენიმე წელი დასჭირდება“ (2012). პრეზიდენტობის ბოლო, 2013 წელს ის ისევ ხაზს უსვამს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შენარჩუნების აუცილებლობაზე და ამ არჩევანის საკონსტიტუციო ვალდებულებად გადაქცევის ინიციატივით გამოდის.

ნატოში გაწევრების თაობაზე საუბარს აქტიურად აგრძელებს გიორგი მარგველაშვილიც. საგულისხმოა, რომ ის მისი პრეზიდენტობის პირველივე წელს აღნიშნავს, რომ ქვეყანა ალიანსისკენ სვლას არ შეწყვეტს, თუმცა, იქვე დასძენს, რომ მისი არჩევანი, „არ ნიშნავს ვინმეს წინააღმდეგ გაერთიანებას“ (2014). „როდესაც ვსაუბრობთ თავდაცვაზე და ჩვენს გეგმებზე ამ მიმართულებით, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფება არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ“, ამბობს მარგველაშვილი (იქვე). ის, რომ ქვეყნის ნატოში შესვლა რუსეთისთვის საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს მარგველაშვილის მომდევნო წლის მოხსენებაშიც არის ნათქვამი. „ნატოსთან ჩვენი დაახლოება, არავის წინააღმდეგ არაა მიმართული და ემსახურება უსაფრთხოების განმტკიცებას რეგიონში. ეს კი ყველა ჩვენი მეზობლის ინტერესებში უნდა იყოს“, ამბობს ის (2015).

მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, ნატო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საშუალებად გვევლინება მარგველაშვილის გამოსვლებშიც (2016; 2017; 2018).

> ჩვენ გამოვიყენებთ ნატოს მიერ მოცემულ ყველა ინსტრუმენტს, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და გავაძლიერებთ ძალისხმევას

> საქართველოს ალიანსში გაწევრებისათვის. ეს არის სტრატეგიული მიზანი, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ და ამ მიზნის კვალობაზე, არა მარტო პოლიტიკურად ინტეგრაციისკენ ვმოღვაწეობთ, არამედ ყოველდღიურად ვზრდით ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას სწორედ ნატოს სტანდარტების შესაბამისად და ალიანსის პარტნიორებთან თანამშრომლობით. (2016)

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ალიანსსა და საქართველოს საერთო ვალდებულებები გააჩნიათ (2014; 2015; 2017), თუმცა, მარგველაშვილი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ნატოსგან ის გაცილებით მეტ მხარდაჭერას მოელის. „საქართველოს სერიოზული წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. „ჩვენ ჩართულნი ვართ ნატოსა და ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში. მაგრამ, როგორც კიდევ არაწევრი სახელმწიფო, სრულფასოვნად ვერ ვსარგებლობთ დაცულობის ევროატლანტიკური სისტემით. ბუნებრივია, რომ ამ ვითარებაში, პარტნიორებისგან მზარდ ყურადღებას ვითხოვთ“, ამბობს პრეზიდენტი (2015). 2015 და 2017 წლებში მარგველაშვილი საუბრობს ევროპის უსაფრთხოების სისტემაში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხის ინტეგრირებაზეც. „ევროპული უსაფრთხოება, მათ შორის, საქართველოს და შავი ზღვის უსაფრთხოებით განისაზღვრება“, აღნიშნავს პრეზიდენტი (2017). აღსანიშნავია ისიც, რომ ნატოსთან მიღწეულ შედეგებს (ვიზიტები, დადებითი შეფასებები, წვრთნები, მისიებში მონაწილეობა) მარგველაშვილი საქართველოს წარმატების დადასტურებად წარმოაჩენს (2014; 2015; 2016).

ნატოსთან ინტეგრაცია მთავარ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტად რჩება სალომე ზურაბიშვილისთვისაც. მარგველაშვილის მსგავსად, ზურაბიშვილიც პირველივე წელს ამბობს, რომ ნატოსკენ სვლა არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და „არც რაიმე აგრესიულ მიზნებს ისახავს“ (2019). ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე მიღწეული შედეგები მისთვისაც სიამაყის წყაროა (2019; 2020). „[30 წლის წინ] ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ, ისტორიისთვის ამ მოკლე პერიოდში, საქართველო ევროკავშირთან თავისუფალ მიმოსვლასა და თავისუფალ ვაჭრობას მიაღწევდა და გახდებოდა ნატოსათვის ერთ-ერთი ყველაზე სანდო და დაფასებული პარტნიორი“, ამბობს ის 2020 წელს. ამასთანავე, მარგველაშვილის მსგავსად, ისიც ცდილობს შავი ზღვის უსაფრთხოების ნატოს დღის წესრიგის ნაწილად წარმოჩენას (2019; 2020).

ამერიკის შეერთებული შტატები

დასავლეთის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტორია ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ). გამოსვლების ანალიზი აჩვენებს, რომ დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში, აშშ ძირითადად ფინანსური დახმარების წყაროდ არის წარმოჩენილი, თუმცა, შემდგომ წლებში ის უფრო მეტად კონფლიქტებისა და რუსეთთან დაპირისპირების საკითხებში საქართველოს მხარდამჭერ აქტორად გვევლინება. გვხვდება აშშ-ს, როგორც სამხედრო და ეკონომიკური პარტნიორის წარმოჩენაც.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს შესახებ პროცენტულად ყველაზე მეტს ედუარდ შევარდნაძე საუბრობს[21] (17.4%). მას მოსდევენ მიხეილ სააკაშვილი (13.3%), გიორგი მარგველაშვილი (10.5%) და სალომე ზურაბიშვილი (5.9%).

ზვიად გამსახურდია მის გამოსვლებში აშშ-ს საერთოდ არ ახსენებს, თუმცა, ეხება მის საპრეზიდენტო პროგრამაში. გამსახურდიას თქმით, აშშ-სთან მოლაპარაკებების გაფართოება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას წაადგება (1991ა). საერთაშორისო აღიარების კონტექსტში ახსენებს აშშ-ში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობის დაარსებისა და სავაჭრო ურთიერთობების დაწყების საკითხებსაც (იქვე).

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, ის მისი მმართველობის პირველივე წლიდან იწყებს აშშ-სთან მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ საუბარს. პრეზიდენტის თქმით, აშშ-სთან საქართველოს ურთიერთობა „განსაკუთრებული გულთბილობით ხასიათდება“ (1992). შევარდნაძე ამბობს იმასაც, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა „თანდათანობით დასავლური, უპირატესად ევროპაცენტრული და ამერიკაცენტრული ხდება“ (იქვე). აღსანიშნავია, რომ ის ემხრობა თავდაცვის, მმართველობის, სოფლის მეურნეობისა და ფინანსური რეგულირების სფეროებში აშშ-ს გამოცდილების გათვალისწინებასაც (იქვე). შემდგომ გამოსვლებში აშშ ძირითადად ფინანსური დახმარების წყაროდ არის წარმოჩენილი: ის გვევლინება როგორც ჰუმანიტარული დახმარების მომწოდებლად (1994; 1995; 1997; 1998; 2001; 2002), ისე დემოკრატიული რეფორმების მხარდამჭერად (2000; 2001). „პირდაპირ მინდა

[21] დათვლილია შესაბამისი პრეზიდენტის გამოსვლაში დასავლეთის/ევროპის ხსენებათა სრული რაოდენობიდან.

გითხრათ, რომ არ ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი გულუხვი დახმარება, შიმშილის, სიცივის და უბედურების წლებში ჩვენ ამოვწყდებოდით“, ამბობს ის 1997 წელს. „ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ უდიდეს დახმარებასა და თანადგომას, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდან გაგვიწია ამერიკის შეერთებულმა შტატებმა“, დასძენს ის 2002 წელს.

საგულისხმოა, რომ შევარდნაძე არაერთხელ უსვამს ხაზს აშშ-სთან ურთიერთობის მნიშვნელობას (1997; 1998; 2002). აღსანიშნავია ისიც, რომ თუ 1990-იანი წლების დასაწყისში შევარდნაძე მხოლოდ აშშ-ს შეიარაღებული ძალების გამოცდილების გაზიარების შესახებ საუბრობს (1992; 1995), მისი მმართველობის ბოლო წლებში ის იწყებს ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ საუბარსაც (2002). მაგალითად, აშშ-ს დაფინანსებული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის თაობაზე პრეზიდენტი ამბობს: „მე მგონი ჩვენ დღეს ჯერ კიდევ გვიჭირს ამ პროგრამის მნიშვნელობის შეფასება - მოვლენ ახალი თაობები რომლებიც დარწმუნდებიან იმაში, რომ ჩვენ მივიღეთ ერთადერთი ჭკვიანური, ბრძნული გადაწყვეტილება და მნიშვნელოვანია ის, რომ აქედანვე ვზრუნავთ მომავალი თაობებისათვის უსაფრთხოების სათანადო ბალანსის შესაქმნელად“ (2002). 1990-იანი წლების ბოლოდან ჩნდება აშშ-ს, როგორც ინვესტორის რეპრეზენტაციაც (1998; 2000). პრეზიდენტი საუბრობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში აშშ-ს პოტენციურ როლზეც. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ შევარდნაძეს სურს ამ საკითხზე აშშ-ს აქტიური მონაწილეობით (1997) ან თანათავმდჯომარეობით (2002) სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა. ამასთანავე, პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ კონფლიქტის ზონებში მოსახლეობის დაბრუნების შემთხვევაში, აშშ სათანადო დახმარებას გამოყოფს აფხაზეთის რეაბილიტაციისთვის (1998).

აშშ-ს შესახებ აქტიურად საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც. პრეზიდენტი მისი მმართველობის პირველივე წელს აღნიშნავს, რომ აშშ-სთან ურთიერთობის გაღრმავება მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომის შემდეგ სააკაშვილი ხაზს უსვამს ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობაზეც (2009; 2011; 2012). სააკაშვილისთვის ამერიკა წამყვანი სამხედრო ძალაა, რომელთან თანამშრომლობაც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას ემსახურება (2004; 2005; 2007; 2012). გვხვდება ამერიკის სავაჭრო პარტნიორად წარმოჩენაც (2007; 2009; 2011). პრეზიდენტი ახსენებს კონფლიქტებისა

და რუსეთთან დაპირისპირების საკითხებში აშშ-ს დახმარების მნიშვნელობასაც (2007; 2009; 2011). „უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სამშვიდობო პროცესის მტკიცე საერთაშორისო გარანტიების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს საერთაშორისო მოთამაშეების, კერძოდ, ევროკავშირის და აშშ-ის აქტიურ მონაწილეობას“, ამბობს ის 2007 წელს. „ამერიკის ადმინისტრაციის პირველივე ოფიციალურ განცხადებაზე ითქვა ის... [რომ] არასდროს არავინ არ შეეგუება საქართველოს დაშლისა და დაქუცმაცების გეგმას; არასდროს არავინ არ აღიარებს უკანონო ოკუპაციისა და ანექსიის შედეგებს“, დასძენს ის 2009 წელს. პრეზიდენტის გამოსვლებში გვხვდება ცივი ომის დროინდელი ნარატივებიც. ასე, მაგალითად, 2006 წელს ის ამბობს, რომ პრეზიდენტ ბუშის თბილისში ვიზიტი საქართველოსთვის „წარმოუდგენელი მოვლენა“ იყო. „ბერლინში პრეზიდენტ კენედის სიტყვის შემდეგ არც ერთ ამერიკის პრეზიდენტს ასეთი ამაღელვებელი, ძლიერი და კომპლიმენტებით სავსე სიტყვა არცერთი მებრძოლი ერის წინაშე არ უთქვამს“, აღნიშნავს მესამე პრეზიდენტი (2006).

ამერიკის შეერთებული შტატები სტრატეგიული პარტნიორია გიორგი მარგველაშვილისთვისაც. ის აქტიურად საუბრობს აშშ-სთან სამხედრო (2014; 2015; 2017; 2018) და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებაზე (2014; 2015; 2016; 2018). „საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან ... ჩვენი ურთიერთობის გაღრმავება საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია“, ამბობს პრეზიდენტი (2015). აშშ გვევლინება რუსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში მხარდამჭერადაც (2015; 2016). საგულისხმოა, რომ მარგველაშვილი გამოთქვამს ვაშინგტონში საქართველოს საკითხის უფრო აქტიურად დაყენების სურვილს (2014; 2016; 2017; 2018). „საქართველო უფრო აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი ვაშინგტონში და უფრო აქტიურად ჩანდეს შეერთებული შტატების პოლიტიკურ რადარებზე“, ამბობს ის 2016 წელს. „დღეს, თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაციის პირობებში, უმნიშვნელოვანესია ქართული პრობლემატიკის კიდევ უფრო გააქტიურება და ვაშინგტონის რადარებზე აქტიურად ასახვა“, დასძენს ის 2017 წელს. აშშ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სტაბილურობის მხარდამჭერია სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებშიც (2019; 2020; 2021).

7.2 მსოფლიო/საზღვარგარეთი

მსოფლიო/საზღვარგარეთი საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სივრცეა. ეს ერთეული საკმაოდ დადებითად არის წარმოდგენილი საპარლამენტო მოხსენებებში. საგულისხმოა, რომ საქართველოს უკლებლივ ყველა პრეზიდენტი ემხრობა გარე სამყაროსადმი გახსნილობას, მათ შორის, მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებს საზღვარგარეთთან. პრეზიდენტები დიდ ყურადღებას უთმობენ მსოფლიოში საქართველოს რეპუტაციის საკითხს. ამასთანავე, ქართველ ლიდერებს სწორედ აქ ეგულებათ რეფორმების განხორციელებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. მსოფლიო ეს არის საქართველოს პოლიტიკური დღის წესრიგის წარდგენისა და გაძლიერების არეალიც, აგრეთვე, მისი მიღწევებისა და განსაკუთრებულობის ხაზგასმის საშუალება. ნიშანდობლივია, რომ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მეტყველებაში „მსოფლიო“ მაღალი ხარისხის სინონიმადაც გვევლინება. ამავდროულად, დადებით დახასიათებასთან ერთად, გვხვდება მსოფლიოს ცვალებად და საფრთხისშემცველ სივრცედ აღქმაც. პრეზიდენტების თანახმად, გამოწვევები მრავალგვარია, მათ შორის, ეკონომიკური რყევები, პოლიტიკური არასტაბილურობა, სამხედრო საფრთხეები, ეკოლოგიური კრიზისები და ა.შ.

სულ მსოფლიო/საზღვარგარეთი ნახსენებია 1133-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 22.33%-ს შეადგენს. აქედან 570 საკუთრივ მსოფლიოს შესახებაა, ხოლო 563 - საზღვარგარეთის/უცხოეთის შესახებ. პრეზიდენტებს შორის, ყველაზე მეტს მსოფლიოზე/საზღვარგარეთზე ზვიად გამსახურდია (33.33%) საუბრობდა. მას მოსდევენ მიხეილ სააკაშვილი (27.8%), სალომე ზურაბიშვილი (25.6%) და ედუარდ შევარდნაძე (22.25%). ამ ერთეულს შედარებით ნაკლებ დროს უთმობს გიორგი მარგველაშვილი (7.23%). წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო მსოფლიოს/საზღვარგარეთს 2011 (46.9%), 1991 (40.74%), 2020 (38.5%) და 1992 (35%) წლებში დაუთმეს.

ზვიად გამსახურდია

მსოფლიოზე/საზღვარგარეთზე აქტიურად საუბრობს ზვიად გამსახურდია. გამსახურდიასთვის სამყარო სწრაფად ცვალებადია; ის მიიჩნევს, რომ საქართველოს ბედი მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული (1990; 1991). „საქართველოს საერთაშორისო ცნობის პროცესი გლობალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული“, ამბობს ის 1991 წელს. პრეზიდენტი ემხრობა გარე სამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო (1990; 1991), კულტურულ (1990) და პოლიტიკურ (1990; 1991) ურთიერთობებს. ის იმედოვნებს, რომ ქვეყნის სურვილს მოიპოვოს დამოუკიდებლობა მსოფლიოს მხარდაჭერა ექნება. „ვთვლით, რომ ქართველი ერის უფლებას და ურყევ ნებას - იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ექნება მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგომა“, აცხადებს გამსახურდია 1991 წელს. მსოფლიო ეს არის არა მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო ლეგიტიმაციის წყარო, არამედ მისი მიღწევებისა და გამორჩეულობის ხაზგასმის საშუალებაც. ასე, მაგალითად, 1990 წელს გამსახურდია ამბობს, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნებით „მთელი მსოფლიო განცვიფრებულია“. იმავე გამოსვლაში ის აცხადებს, რომ საქართველოს ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის „მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია“ (1990). მომდევნო წელს პრეზიდენტი კვლავ აღნიშნავს, რომ საქართველომ „მსოფლიოს წინაშე“ დაამტკიცა ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისადმი მისი ერთგულება (1991). აღსანიშნავია ისიც, რომ გამსახურდიას პოლიტიკურ მეტყველებაში საერთაშორისო სამართალი საგარეო და საშინაო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპად არის აღიარებული. „ჩვენ ვცნობთ მხოლოდ საერთაშორისო სამართალს და მასზე დავაფუძნებთ ჩვენი ქვეყნის შიდა კანონმდებლობას“, ამბობს იგი (1990). „საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს ერთიანი, მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში“, დასძენს პრეზიდენტი (1991). დადებით დახასიათებასთან ერთად, გვხვდება მსოფლიოს საფრთხისშემცველ სივრცედ აღქმაც. ამის მაგალითია ის, რომ გამსახურდია საუბრობს უცხოეთიდან „უკონტროლო მიგრაციაზე“ და „დემოგრაფიულ ექსპანსიაზე“ (1990). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ საქართველოს წარსულში „მტრულ გარემოში“ უწევდა არსებობა (1991).

ედუარდ შევარდნაძე

მსოფლიოს/საზღვარგარეთს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მეტყველებაშიც. ეს ერთეული მის მოხსენებებში საკმაოდ დადებითად არის წარმოდგენილი. უპირველესად, მსოფლიო ეს არის სივრცე, სადაც შევარდნაძეს სახელმწიფოს მშენებლობის საკითხში გამოცდილება ეგულება. პრეზიდენტი სწორედ უცხოეთის ქვეყნებში ეძებს რეფორმების განხორციელებისთვის საჭირო ცოდნას, მათ შორის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის (1992), თავისუფალი ეკონომიკური ზონების (1992), პარლამენტარიზმის (1992; 1995), ეროვნული უმცირესობების დაცვის (1995), ენერგეტიკული სისტემის (1995), შეიარაღებული ძალების (1995; 2001), სამოქალაქო საზოგადოებისა (1997) და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის (2002) თვალსაზრისით. მას სურს მსოფლიოსთან სამეცნიერო (1992; 1995; 1997; 1999; 2000) და კულტურული (1992; 1995; 1999; 2000) კავშირების გაღრმავება. პრეზიდენტი ემხრობა უცხოელი ინვესტორებისადმი საქართველოს გახსნილობას (1992; 1994; 1995; 1997; 1998; 1999; 2000; 2001; 2002) და მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში სრულ ინტეგრაციას (1992; 1994; 1995; 1997; 1999; 2000; 2001; 2002). „საბაზრო ეკონომიკისა და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროგრამის განხორციელებისას არ უნდა დავადგეთ იზოლაციონიზმის გზას, როგორც ეს წინა ხელისუფლებას მოუვიდა. იზოლაციონიზმი დამღუპველია“, ამბობს ის 1992 წელს. პრეზიდენტი ხშირად საუბრობს „ზოგადსაკაცობრიო“ ღირებულებებზე, როგორც საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპზე (1992; 1999; 2001; 2002). პრეზიდენტი ემხრობა კონფლიქტების მსოფლიო პრაქტიკისა და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით მოგვარებასაც (1996; 1997; 2000; 2001).

ამასთანავე, „მსოფლიო“ ხარისხის სინონიმიცაა. ასე, მაგალითად, შევარდნაძეს სურს „მსოფლიო“ სტანდარტის ცხოვრების დონე (1992), მეცნიერება (1992), პრესა (1992), ანტიკრიზისული გეგმა (1994), სასამართლო (1995; 1997), სამართლებრივი ბაზა (1996), კურორტების ქსელი (1998) და ა.შ. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტობის ბოლო წლებში შევარდნაძე აქტიურად საუბრობს იმაზე, რომ ქვეყანას უკვე აქვს „მსოფლიო“ სტანდარტის მიღწევები, მათ შორის, კანონები (1998), უშიშროების სამსახური (1998), შეიარაღებული ძალები (2000), საუნივერსიტეტო სისტემა (2000) და კონსტიტუცია (2001). პრეზიდენტი ცდილობს მსოფლიოში საქართველოს განსაკუთრებულობის ხაზგასმასაც. ამის მაგალითია განცხადებები, რომ ქართული კულტურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უნიკალურია (1992; 1998), რომ ქართველ სპორტსმენთა (1995;

1998), მეცნიერთა (1992; 1995; 2001; 2002) და კინოხელოვანთა (1999) მიღწევებს მსოფლიო იცნობს, რომ საქართველოს აქვს „მსოფლიოში აღიარებული“ კონსტიტუცია (2000), რომ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს „ერთგვარი ლიდერის რეპუტაცია“ აქვს (2000), და რომ საქართველო „მსოფლიოს ერთ-ერთ საკვანძო რეგიონში“ იმყოფება (2002).

მსოფლიო წარმოადგენს საინფორმაციო ომის ველსაც. ასე, მაგალითად, 1996 წელს შევარდნაძე ამბობს, რომ საერთაშორისო დონეზე ქვეყნის აქტიურობამ შედეგი გამოიღო - „მსოფლიომ დაინახა აგრესიული სეპარატიზმის საშინელი, ბარბაროსული სახე“. მომდევნო წელს პრეზიდენტი კვლავ აღნიშნავს, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის საქართველოს სასარგებლოდ ჩამოყალიბება ქვეყნის პოლიტიკის „ერთ-ერთი უმთავრესი“ საგარეო პოლიტიკურ ამოცანაა (1997). შევარდნაძე დასძენს, რომ „მიუხედავად სეპარატისტთა და მათ ძლიერ მხარდამჭერთა პროპაგანდისტული ძალისხმევისა, საქართველომ სერიოზულ წარმატებას მიაღწია“ (იქვე). პრეზიდენტი ამავე საკითხზე საუბრობს 2001 წელსაც. კერძოდ, ის ამბობს, რომ მისმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა მსოფლიოში „ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრებულიყო აზრი და პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თაობაზე“ (2001). „დღეს პლანეტაზე… არ არსებობს სახელმწიფო, ან ლეგიტიმური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არ აღიარებდეს აფხაზეთს საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად და მხოლოდ ამ კონტექსტში არ გულისხმობდეს კონფლიქტის მოგვარებას“, ამბობს იგი (იქვე).

ამავდროულად, გარე სამყარო გამოწვევებითაც არის სავსე. გამოწვევები მრავალგვარია - დაწყებული ეკონომიკური და ეკოლოგიური სირთულეებით და დამთავრებული სამხედრო და კულტურული საფრთხეებით. შევარდნაძე მის პირველივე გამოსვლაში აღნიშნავს, რომ მსოფლიო „არასტაბილური და საშიშფეთქებადია“ (1992). „ირგვლივ მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, დევალვაცია, პოლიტიკური შუღლი და ეთნიკური აშლილობა, ძმათამკვლელი ომი, უმუშევრობა, დეფიციტი, სულიერ და ზნეობრივ ღირებულებათა დევალვაცია“, ამბობს პრეზიდენტი (იქვე). მსოფლიოს, როგორც საფრთხისშემცველი სივრცის სახე-ხატი მომდევნო წლებშიც ხშირად გვხვდება. „მაფიოზური კლანები და

გაერთიანებები, რომლის შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით, არ არის მარტო ნაციონალური მოვლენა და მარტო საქართველოს საზღვრებით შემოფარგლული“, ამბობს ის 1996 წელს. 1998 წელს ის საუბრობს საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულზე, ნარკობიზნესზე და ტერორიზმზე, ხოლო 1999 წელს - საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულზე, ნარკობიზნესზე და იარაღით უკანონო ვაჭრობაზე. პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ ყველა ეს პრობლემა საქართველოზეც ახდენს გავლენას. 1999 წლიდან შევარდნაძე საუბარს იწყებს ფინანსური კრიზისის შესახებაც. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ კრიზისმა საქართველოს ეკონომიკური სისტემა „სერიოზული განსაცდელის წინაშე“ დააყენა (1999).

შევარდნაძე 1990-იანი წლების შუიდან აქტიურად იწყებს მტრულად განწყობილ „უცხო“ ძალებზე საუბარს. ამის მაგალითია განცხადებები, რომ ქართულ ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდების არაერთ მცდელობაში „უცხოეთის სპეცსამსახურების“ ხელი ურევია (1998), რომ „უცხო ძალამ“ ქართველ ხალხში შური და მტრობა დათესა (1999), რომ 1998 წლის გალის მოვლენები „გარედან ინსპირირებული“ იყო (1999), და რომ „ცალკეული ქვეყნების სპეცსამსახურები“ საქართველოში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან (2000). ბოლო ორ გამოსვლაში შევარდნაძე საუბრობს გლობალიზაციის უარყოფითი მხარეებზეც. პრეზიდენტი აცხადებს, რომ გლობალიზაცია ობიექტური პროცესია, თუმცა, ხაზს უსვამს, რომ საქართველომ მისი ეროვნული თავისთავადობა უნდა შეინარჩუნოს. „საქართველოს კულტურამ უნდა აირჩიოს ერთადერთი სწორი გზა გამდიდრდეს სხვა კულტურებთან ზიარებით და არ დაკნინდეს მათთან ასიმილირებით“, ამბობს ის 2001 წელს. „არათუ საქართველოს მომავალი განვითარება, არამედ თვით არსებობაც კი, როგორც თვითმყოფადი ერისა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შევძლებთ ამ გამოწვევებზე რეაგირებას და შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტას, რაც თანადროულობამ, გლობალიზაციის პროცესებმა წამოჭრა ჩვენი მრავლისმნახველი, ძირძველი და ღირსეული ერის წინაშე“, დასძენს ის 2002 წელს.

მმართველობის ბოლო წლებში პრეზიდენტი საუბრობს მსოფლიოსთვის საქართველოს მზარდ მნიშვნელობაზეც, ძირითადად, მისი სატრანზიტო დანიშნულების კონტექსტში. 1999 წელს ის ამბობს, რომ საქართველოს გავლით აზერბაიჯანული ნავთობის გატარებით ქვეყანას „გლობალური მნიშვნელობის ფუნქციას“ სძენს, მომდევნო წელს კი, აცხადებს, რომ საქართველომ „გლობალური

მნიშვნელობის სატრანზიტო ფუნქცია“ დაიკანონა. „მისი სტაბილურობის თემა აქტუალურია როგორც რეგიონისათვის, ასევე ევროპული ქვეყნებისთვის, თანამეგობრობის სივრცისთვის, მასზე გაივლის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნავთობსადენები“, აღნიშნავს იგი (2000).

საგულისხმოა, რომ საზღვარგარეთისადმი ზოგადი გახსნილობის მიუხედავად, პრეზიდენტი დროდადრო მაინც საუბრობს ექსპორტის წახალისებისა (1992; 2021) და საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის ლიცენზირების (1995) შესახებ. შევარდნაძე დანანებით აღნიშნავს იმასაც, რომ ქართველი მეცნიერები, უსახსრობის გამო, უცხოეთში მიდიან სამსახურის საძიებლად (1995; 1998).

მიხეილ სააკაშვილი

მსოფლიოს/საზღვარგარეთის რეპრეზენტაცია საკმაოდ ძლიერია მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში. სააკაშვილი გარე სამყაროსადმი მაქსიმალურ გახსნილობას ემხრობა; მისთვის ეს არის ინვესტიციების წყარო (2006; 2007; 2008; 2009; 2010; 2013) და პროდუქციის გასაღების ბაზარი (2006; 2009; 2011; 2013). ამასთანავე, მსოფლიო ეს არის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფართო სამოქმედო არეალი - მისი პოზიციების წარდგენისა და დაცვის საშუალება. ამ უკანასკნელის მაგალითია ის, რომ სააკაშვილს სურს რუსეთთან დაპირისპირების საკითხში მსოფლიოს მხარდაჭერის მოპოვება და მისი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა (2006; 2007; 2011). პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველო და მისი შეიარაღებული ძალები გლობალურ უსაფრთხოებას იცავენ (2007; 2008; 2012). მსოფლიო ქართველების თვითრეალიზაციის არენაცაა. სააკაშვილს სურს ქართველები მსოფლიოში მიმდინარე პროცესების აქტიურ მონაწილეებად, „მსოფლიო მოქალაქეებად“ იქცნენ (2011). პრეზიდენტი ამავე კონტექსტში საუბრობს უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლის გაძლიერებაზე (2006; 2011; 2012). „მოდერნიზაცია ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოქალაქე იყოს უფრო განათლებული, უფრო კონკურენტუნარიანი, ჰქონდეს თანამედროვე ცოდნა და თავს გრძნობდეს საქართველოს პატრიოტად, მაგრამ, ამავე დროს, მსოფლიო მოქალაქედ, კაცობრიობის მედროშედ“, ამბობს ის 2011 წელს. პრეზიდენტი ემხრობა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნებასაც (2005; 2008; 2010). საგულისხმოა ისიც, რომ სააკაშვილის მეტყველებაში ტერმინები „საერთაშორისო“ და „მსოფლიო“ მაღალი ხარისხის ნიშანია

(2006; 2007; 2011). ის საუბრობს „მსოფლიო“, „საერთაშორისო“ სტანდარტის პროგრამისტებზე, უნივერსიტეტებზე, გზებზე და ა.შ.

პრეზიდენტი დიდ ყურადღებას უთმობს მსოფლიოში საქართველოს რეპუტაციის საკითხს, განსაკუთრებით, მისი მმართველობის პირველ წლებში (2004; 2005; 2006; 2007; 2011). სააკაშვილი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებაში მის მოსვლამდე საქართველოს შელახული ავტორიტეტი ჰქონდა, თუმცა, აღნიშნავს, რომ მისი პრეზიდენტობისას ქვეყნის პრესტიჟი ამაღლდა. „საქართველო სულ სხვა ქვეყანა, დანარჩენი მსოფლიოსათვის განსაკუთრებულად მიმზიდველი გახდა. ძალიან ცოტა ქვეყანა ვიცი, რომელიც ასეთ ინტერესს იმსახურებს, ამაში, ვფიქრობ, გაზვიადებული არაფერია“, აცხადებს პრეზიდენტი (2005). „მოვედით იქამდე, რომ დღეს საქართველოს მთელ მსოფლიოში სცემენ პატივს - როგორც ქვეყანას, რომელიც საიმედო და პერსპექტიული პარტნიორია“, დასძენს იგი (2006).

> ჩვენ მართლაც დავიწყეთ იქიდან, სადაც სახელმწიფოები და ერები არსებობას ასრულებენ, დავიწყეთ სრული უუფლებობიდან, საერთაშორისო სისტემაში უავტორიტეტოებიდან. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი მყარი და კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო ავტორიტეტი, არასოდეს ჰყოლია ამდენი მეგობარი. საქართველო არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფიგურა, როგორც ახლა. საქართველო არასდროს ყოფილა თავისი საერთაშორისო მიზნების მიღწევასთან ასე ახლოს - ხელის გაწვდომაზე. (2006)

> გაპარტახებული და წარუმატებლობის ჭაობში ჩაფლული ქვეყნის ნაცვლად ვცხოვრობთ ახალ საქართველოში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი სახელმწიფოა. სტაგნაციაში გაყინული, მაჩანჩალა ქვეყნის ნაცვლად, ვცხოვრობთ ახალ საქართველოში, რომელიც მსოფლიომ ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად აღიარა. თავიდან ბოლომდე კორუმპირებული ქვეყნის ნაცვლად, ვცხოვრობთ ახალ საქართველოში, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის ტემპითა და შედეგით მთელი მსოფლიოს ლიდერია. (2007)

> შარშანდელი წელი იყო საქართველოს დიდი საერთაშორისო წარმატებებისა და აღიარების წელი. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი ინტეგრირებული საერთაშორისო სისტემაში როგორც დღეს; არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი დაფასებული და პატივცემული როგორც დღეს; არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი ძლიერი და მდიდარი თავისი მეგობრებითა და სტრატეგიული პარტნიორებით როგორც დღეს. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ პროგნოზირებადი, მდგრადი და თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკა და მოვახერხეთ საერთაშორისო არენაზე საქართველოს სტაბილური და სანდო პარტნიორის იმიჯის დამკვიდრება. (2007)

ამავდროულად, სააკაშვილისთვის მსოფლიო ეს არის ერთგვარი გარე „მსაჯული“, რომლის წინაშეც ხდება საქართველოს პოზიციონირება. ამის მაგალითია სააკაშვილის განცხადებები, რომ საქართველოს წარმატებას „გავზომავთ არა მხოლოდ იმით რასაც მივაღწევთ ქვეყნის შიგნით, არამედ იმითაც თუ რას ვიზამთ მის ფარგლებს გარეთ“ (2008), და რომ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის ქმედებები „ძალზე სამარცხვინოა“ მთელი მსოფლიოს თვალში (2010).

პრეზიდენტი მსოფლიოს ხშირად იყენებს შედარებებისთვისაც, ძირითადად, საქართველოს დადებითად წარმოჩენის მიზნით. სააკაშვილის თქმით, საქართველო მსოფლიოში საუკეთესოთა შორის არის ბიზნესის კეთების სიმარტივის (2006; 2010; 2011; 2012), კორუფციასთან ბრძოლის (2012; 2013), ტურიზმის მაჩვენებლების (2011; 2012), საგადასახადო ტვირთის სიმარტივისა (2007; 2010; 2012) და ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის (2011) თვალსაზრისით. პრეზიდენტის აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველო მთელი მსოფლიოსთვის მისაბაძი მაგალითია. ესაა ქვეყანა, „რომლის რევოლუციასაც სხვა რევოლუციები მოჰყვა“ (2006), რომელიც „მსოფლიოს ბევრ რეგიონში ცვლილებების კატალიზატორი გახდა“ (2007) და რომელიც ერთსულოვნებისა და სიმტკიცის მაგალითს აძლევს მთელ მსოფლიოს (2007). სააკაშვილს იმავე სულისკვეთების გზავნილი აქვს 2006 წელს, როცა ამბობს, რომ ჯორჯ ბუშის ვიზიტი მსოფლიოში „წარმოუდგენელი მოვლენა“ იყო, და რომ საქართველო „თავისუფლების შუქურაა“ მთელი მსოფლიოსთვის (2006). დადებითთან ერთად, გვხვდება უარყოფითი შედარებებიც. ასე, მაგალითად, პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველოს ჯანდაცვის სისტემა „ერთ-ერთი ყველაზე

ბარბაროსულია მთელ მსოფლიოში“ (2005), ხოლო მეცხოველეობის დარგი - „ერთ-ერთ ყველაზე დაბალ დონეზეა მთელი მსოფლიოს მასშტაბით“ (2009). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტობის მეორე ნახევარში მსოფლიო თანდათან უფრო საფრთხისშემცველი ხდება. პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს უარყოფითი გავლენა აქვს საქართველოზეც (2009; 2010; 2011), თუმცა, იქვე დასძენს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველო უკეთ უმკლავდება გამოწვევებს.

> საქართველო დღეს დიდი ეროვნული გამოწვევების წინაშე დგას. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და ომის ფონზე, ბევრი ქართველი განიცდის ... რა თქმა უნდა არ არსებობს წინასწარ გამზადებული რეცეპტები, რა თქმა უნდა სახელმწიფოს არა აქვს ულევი რესურსები, დღეს მთელი მსოფლიო ცდილობს მოიფიქროს გზები თუ როგორ გაუმკლავდეს ამ დაუნდობელ ეკონომიკურ სტიქიას. თქვენ იცით, რომ ბევრი სახელმწიფო, მათ შორის, ჩვენს სამეზობლოში, ვერ ახერხებს ამ გზების პოვნას და მათი ეკონომიკები უკვე სრულ კოლაფსში არიან. განსაკუთრებით კატასტროფულია ეკონომიკური მდგომარეობა იმ ქვეყნებში, სადაც ვერ მოხერხდა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. (2009)

მსოფლიოსადმი გახსნილობის მიუხედავად, პრეზიდენტი გარე სამყაროზე დამოკიდებულებას უარყოფით ჭრილშიც წარმოაჩენს, მათ შორის, საუბრობს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისა (2007; 2010; 2011) და უცხოურის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლების (2010; 2011) მიზანშეწონილობაზე.

გიორგი მარგველაშვილი

გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობისას მსოფლიოზე/საზღვარგარეთზე მსჯელობა საგრძნობლად მცირდება. ამის მიუხედავად, ამ ერთეულისთვის მინიჭებული მნიშვნელობები, დიდწილად, წინა პრეზიდენტების მსგავსია. წინამორბედების მსგავსად, გარე სამყარო მარგველაშვილისთვისაც მუდმივად ცვალებადი და საფრთხისშემცველია. პრეზიდენტის თქმით, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები - სამარი მოქმედებები, ეკონომიკური სირთულეები, დიდ ქვეყნებს

შორის არსებული დაძაბულობა - საქართველოზე უარყოფითად აისახება (2015; 2016). „გასული წლის ბოლოს და მიმდინარე წელს ლარის კურსის მკვეთრმა ვარდნამ და ეკონომიკური ზრდის სოლიდურმა შემცირებამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის საბიუჯეტო პარამეტრების ცვლილება“, ამბობს ის 2015 წელს. საფრთხეებთან ერთად, მსოფლიოში არსებული გამოწვევები საქართველოს ახალ შესაძლებლობებსაც უხსნის. „მუდმივად ცვლად, განვითარებად სამყაროში აუცილებელია ჩვენი შესაძლებლობებისა და კონკურენტული უპირატესობების სწრაფი და ეფექტიანი ათვისება“, აღნიშნავს პრეზიდენტი 2016 წელს. მარგველაშვილი ამავე კონტექსტში ახსენებს საქართველოს მონაწილეობას საერთაშორისო მისიებში. მისი თქმით, პარტნიორებთან ერთად გლობალური გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის საერთაშორისო პოზიციებს აძლიერებს (2014; 2015; 2016; 2017). ამავდროულად, მარგველაშვილისთვის მსოფლიო საქართველოს უპირატესობების, მისი რჩეულობის ჩვენების საშუალებაცაა (2014; 2015; 2016). ამ მოსაზრების კარგი გამოხატულებაა 2014 წლის მოხსენება, სადაც ის ამბობს, რომ გელათისა და იყალთოს აკადემიები „მსოფლიოს უძველეს საგანმანათლებლო კერათა რიცხვში არიან“. „განათლება და მეცნიერება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი იყო, რომლითაც ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს მსოფლიო რუკაზე წარმოვაჩენდით“, დასძენს იგი (2014). რაც შეეხება საზღვარგარეთს/უცხოეთს, პრეზიდენტი ამ ორსაც ხშირად მოიხმობს, ძირითადად, დადებითი შინაარსით. კერძოდ, გვხვდება საზღვარგარეთის, როგორც ინვესტიციების წყაროს რეპრეზენტაცია (2015; 2016; 2018). მარგველაშვილი საზღვარგარეთის თაობაზე მცირედით განსხვავებულად საუბრობს აქვს 2017 წელს, როცა ის ამბობს, რომ ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო, ინვესტორებს ხშირად უცხოელი მუშახელი ჩამოჰყავთ, რაც ქვეყნისთვის მათი საქმიანობის სარგებელს ამცირებს.

სალომე ზურაბიშვილი

მსოფლიოზე/საზღვარგარეთზე აქტიურად მსჯელობს სალომე ზურაბიშვილიც. გარე სამყარო მისთვისაც გამოწვევებით არის სავსე. პრობლემებს შორის, ის ასახელებს პოლარიზაციას (2019, 2020), ომებს (2019), პოპულიზმსა და პანდემიას (2020). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს პირდაპირი ზეგავლენა აქვს საქართველოზე. „საზღვრები ღიაა ჩვენთვის, ჩვენი საზღვრები კი -

სხვისთვის, და, რაც მთავარია, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ჩვენგან დამოუკიდებლად, ხოლო ჩვენთან მიმდინარე მოვლენები - მსოფლიოსგან დამოუკიდებლად ვეღარ მოიაზრება“, ამბობს ის 2020 წელს. ამის მიუხედავად, ზურაბიშვილი ემხრობა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩართვას, მათ შორის, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას (2020). ზურაბიშვილის თქმით, მჭიდრო კავშირები უნდა შენარჩუნდეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველებთან (2019; 2020). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო არენაზე საქართველოს „ჯერაც გამოუყენებელი პოტენციალი“ აქვს (იქვე). ამასთანავე, ის სწორედ მსოფლიოსთან შედარებებით ცდილობს საქართველოს უპირატესობების ხაზგასმას. კერძოდ, პრეზიდენტის თქმით, საქართველოს მსოფლიოში სამაგალითოა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების, სპორტული მიღწევების, ტურიზმის დონისა და საგანმანათლებლო შედეგების თვალსაზრისით (იქვე). აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიო ზურაბიშვილისთვის კულტურული ღირებულებების წარდგენისა და პოპულარიზების არეალიცაა. პრეზიდენტი ამბობს, რომ საჭიროა საქართველოსთვის „ტრადიციული“, „ისტორიული“ ღირებულების - შემწყნარებლობის - მსოფლიოსთვის უკეთ გაცნობა. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ეს ღირებულება „ყველგან და, ზოგჯერ ჩვენთანაც, რყევას განიცდის“ (2019). „შემწყნარებლობა, ზრდილობა და სოლიდარობა სწორედ ის ღირებულებებია, რომლის წყურვილიცაა დღევანდელ მსოფლიოში“, დასძენს იგი (2020). პრეზიდენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიოში საქართველოს რეპუტაციას (2019). გვხვდება უცხოელი ექსპერტების, როგორც სპეციალიზებული ცოდნის მქონე აქტორების რეპრეზენტაციაც (2021).

7.3 რუსეთი/დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

საპრეზიდენტო გამოსვლების ანალიზი რუსეთის მიმართ ორ განსხვავებულ ხედვას წარმოაჩენს. ერთის თანახმად, რუსეთი პოტენციური პარტნიორია, რომელიც შესაძლოა საქართველოს ინტერესებსა და მისი პოლიტიკის დღის წესრიგს წაადგეს, ხოლო, მეორის თანახმად, ესაა იმპერია, რომელიც ქვეყნის დამორჩილებასა და მის დასავლეთიდან ჩამოშორებას ცდილობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უფრო დომინანტური ხაზიაა, რუსეთის, როგორც პოტენციური პარტნიორის, სახე-ხატი წარმოდგენილია ხუთივე პრეზიდენტის პოლიტიკურ მეტყველებაში.

აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით მძლავრი იყო ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში; მეორე პრეზიდენტი საუბრობს რუსეთის, როგორც დიდი ქვეყნის, როლსა და ინტერესებზე საქართველოში და იმედს ამყარებს კონფლიქტურ რეგიონებში მის მხარდაჭერაზე. თვალშისაცემია ისიც, რომ, როგორც წესი, ხელისუფლებაში ახალმოსული პრეზიდენტები გაცილებით უფრო იმედიანად არიან განწყობილნი რუსეთის შესაძლო დადებითი როლის შესახებ, დროთა განმავლობაში კი, მათი რიტორიკა უფრო უარყოფითისკენ იხრება.

სულ რუსეთი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), ნახსენებია 714-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 14.1%-ს შეადგენს. აქედან, რუსეთი ნახსენებია 626-ჯერ, ხოლო დსთ 88-ჯერ. საგულისხმოა, რომ დსთ-ს ხსენებათა აბსოლუტური უმრავლესობა (83) ედუარდ შევარდნაძეს ეკუთვნის. რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტს რუსეთზე/დსთ-ზე მიხეილ სააკაშვილი საუბრობს (19.2%). მას მოსდევენ გიორგი მარგველაშვილი (14.1%), სალომე ზურაბიშვილი (13.6%) და ედუარდ შევარდნაძე (12.4%). რუსეთს/დსთ-ს მცირე დროს უთმობს ზვიად გამსახურდია (0.9%). წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო 1996 (43.2%) და 2018 (40%) წლებში ედუარდ შევარდნაძემ და გიორგი მარგველაშვილმა დაუთმეს.

ზვიად გამსახურდია

იმის გამო, რომ ზვიად გამსახურდიას მმართველობისას რუსეთის ფედერაცია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, მის გამოსვლებში რუსეთის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. ამის მიუხედავად, რუსეთზე მეტნაკლებად დეტალური საუბარია გამსახურდიას 1991 წლის საარჩევნო პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი განასხვავებს საბჭოთა კავშირსა და რუსეთის ფედერაციას და ამ უკანასკნელს საკმაოდ ნეიტრალურად წარმოაჩენს. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი ეს არის ტოტალიტარული იმპერია, რომელიც ყოველმხრივ ეწინააღმდეგება მასში შემავალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, რუსეთის ფედერაცია სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში პოტენციურ თანამოაზრედ მიიჩნევა. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მასსა და ბორის ელცინს შორის 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში ხელმოწერილ დოკუმენტში „ფაქტობრივად აღიარებულია“ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა (1991ა). გამსახურდია ამბობს

იმასაც, რომ ორ ქვეყანას შორის „თანასწორუფლებიანი და კეთილმეზობლური“ ურთიერთობები „ორივე მხარის ჭეშმარიტ ინტერესს“ წარმოადგენს (იქვე). გამსახურდია ემხრობა რუსეთის მონაწილეობას შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის რეგიონულ დონეზე თანამშრომლობაშიც (იქვე).

ედუარდ შევარდნაძე

შევარდნაძისთვის რუსეთი „ისტორიული“ და „დიდი“ მეზობელია, რომელთან თანამშრომლობაც ორივე ქვეყნის „სტრატეგიულ, ეროვნულ ინტერესებს“ შეესაბამება (1992). „საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თანასწორობისა და პარტნიორობის საფუძველზე ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან“, ამბობს იგი (იქვე). შევარდნაძე მომდევნო წლებში არაერთხელ აღნიშნავს, რომ რუსეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია (1995; 1997; 2002), მასთან ურთიერთობა კი მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა. პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ „რუსეთი მომავალშიც შეინარჩუნებს ერთ-ერთი გეოპოლიტიკური „ძალის ცენტრის“ სტატუსს“, შესაბამისად, „საქართველოს ინტერესებშია, თუ იგი წარმატებით მოახერხებს ბალანსირებას, ინტერესთა შეხამებას“ (1995). რუსეთთან „გაწონასწორებული“ პოლიტიკის გატარების მნიშვნელობაზე პრეზიდენტი 1998 წელსაც საუბრობს. კერძოდ, ის ამბობს, რომ რუსეთის ფაქტორის იგნორირება „ისევე დაუშვებელია, როგორც საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უგულებელყოფა“. 2001 წელს შევარდნაძე კვლავ აღნიშნავს, რომ მისი ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს „ისტორიულად მეგობარ, მეზობელ რუსეთთან“ ინტერესთა თანხვედრაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. მისივე თქმით, საქართველო მზად არის ითანამშრომლოს რუსეთის ახალ ხელისუფლებასთან და სრულად გაითვალისწინოს „ამ დიდი ქვეყნის ინტერესები კავკასიაში, საქართველოში... ინტერესთა თანხვედრის, ორმხრივი სარგებლიანობის, ორმხრივი კომპრომისების საფუძველზე” (2001). რუსეთი მნიშვნელოვან პარტნიორად სახელდება მომდევნო წელსაც; შევარდნაძის თქმით, მასთან თანამშრომლობა „თანასწორუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო, კომპლემენტარულობის პრინციპებზე“ უნდა იყოს აგებული. „კომპლემენტარულობის ფორმულა გულისხმობს რუსეთთან კეთილმეზობლობის იმგვარი მოდელის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის კანონიერ ინტერესთა

გათვალისწინებას საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის არანაკლებ კანონიერი ინტერესების პატივისცემის საფუძველზე“, განმარტავს პრეზიდენტი (2002)

პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკური მეტყველების კიდევ ერთი მახასიათებელია ის, რომ იგი გამუდმებით ცდილობს დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირების პარადიგმის უარყოფას. ამ თვალსაზრისით, საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანი დასავლეთსა და რუსეთს შორის კი არ აქვს გასაკეთებელი, არამედ მან სწორედ რუსეთთან თანხვედრით, რუსეთთან ერთად უნდა განვლოს დასავლური ინტეგრაციის გზა. „საქართველო ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანა, რუსეთის ჩათვლით, მიისწრაფვის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებისაკენ“, ამბობს ის 1995 წელს და დასძენს, რომ მსოფლიოს ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაყოფის მოშლა თავად რუსეთის „სასიცოცხლო ინტერესებშია“. იმავე სულისკვეთების გზავნილია 1997 წლის საპარლამენტო მოხსენებაში. პრეზიდენტის თქმით, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებული მოსაზრება - „ან რუსეთი და თანამეგობრობა, ან ევროპა“ - „ძველი მენტალიტეტისა“ და საერთაშორისო პროცესებისადმი „იდეოლოგიზებული მიდგომის“ მაგალითია (1997). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ რუსეთი „შთამბეჭდავ ნაბიჯებს“ დგამს ევროპული ინტეგრაციის გზაზე (იქვე). ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს შორის წინააღმდეგობის არარსებობაზე პრეზიდენტი შევარდნაძე მომდევნო წლებშიც ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, 2001 წელს ის ამბობს, რომ საქართველოს „პროდასავლური თუ პრორუსული“ ორიენტაციის თაობაზე დისკუსიები მას „სრულიად უსაგნოდ მიაჩნია“, ხოლო 2002 წელს - ის აცხადებს, რომ საქართველო უნდა იყოს არა დასავლეთსა და რუსეთს შორის პაექრობის, არამედ პარტნიორობის ადგილი. „კატეგორიულად ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, თითქოს აქ აუცილებელია ერთმნიშვნელოვანი არჩევანი“, ხაზს უსვამს იგი (2002). პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სისტემისკენ სწრაფვა „სრულებითაც არ გულისხმობს რუსეთის როლის იგნორირებას: მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაცია, უკვე თანასწორუფლებიანად მონაწილეობს ნატოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაში“, განმარტავს იგი (იქვე).

ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ მოთამაშესთან ერთად, შევარდნაძე რუსეთს ეკონომიკურ (1994; 1995; 1998; 2001) და სამხედრო პარტნიორადაც (1992; 1995) განიხილავს. რუსეთი

ასევე მოიაზრება შავი ზღვის აუზისა და კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმებში მონაწილედ (1995; 2000; 2001) და დონორ სახელმწიფოდ (1994; 1999). შევარდნაძის თქმით, მხარეები ასევე თანამშრომლობენ საერთო სახმელეთო და საზღვაო საზღვრებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხშიც (1999; 2000; 2001; 2002).

ზოგადი კეთილგანწყობის მიუხედავად, შევარდნაძე აქტიურად საუბრობს გადაუჭრელ პრობლემებზეც, ძირითადად, კონფლიქტის რეგიონების მიმართულებით. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესოა 1992 წლის გამოსვლა, სადაც შევარდნაძე ამბობს, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა, „გარკვეული აზრით, წინააღმდეგობრივია“. „უნდა გითხრათ, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკა კრიტიკას ვერ უძლებს“, აცხადებს სახელმწიფო საბჭოს მეთაური (1992). შევარდნაძე მწვავედ აკრიტიკებს რუსეთის პარლამენტს და სეპარატიზმის ხელშეწყობაში ადანაშაულებს. „რუსეთის პარლამენტის მიერ აფხაზეთში შექმნილი კონფლიქტის შესახებ მიღებული რეზოლუცია საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში, უპრეცედენტო ჩარევის ნიმუშია და მას შეიძლება შორს მიმავალი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში“, ამბობს იგი (იქვე). შევარდნაძე გმობს რუსეთის არმიის ქმედებებსაც: „აფხაზეთის ამბებში უაღრესად ნეგატიურად გამოიკვეთა ზოგიერთი რუსი გენერლის როლი ... ასეთი „მეგობრების“ მეოხებით დაიკავეს ექსტრემისტებმა და გადამთიელებმა გაგრა, განთიადი, ლესელიძე“, აღნიშნავს იგი (იქვე). შევარდნაძე ხაზს უსვამს იმასაც, რომ ე.წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებულ რაზმებში, „რომლებიც აფხაზი ექსტრემისტების მხარეზე იბრძვიან, უმრავლესობას რუსეთის მოქალაქენი წარმოადგენენ“ (იქვე).

მომდევნო წლებში პრეზიდენტი შევარდნაძე რუსეთისადმი კრიტიკას საგრძნობლად არბილებს. ასე, მაგალითად, 1994 წელს ის იმედს გამოთქვამს, რომ აფხაზეთში განლაგებული სამშვიდობო მისია ბოლომდე შეასრულებს მის მოვალეობას და დევნილთა დაბრუნებისთვის შესაბამის წინაპირობებს შექმნის. „პოლიტიკური ლოგიკის ყველა განზომილებით რუსეთმა ბოლომდე უნდა შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც იკისრა საქართველოსა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე“, ამბობს პრეზიდენტი (1994). „მოვლენებმა დაგვანახეს, რომ აფხაზეთსა და შიდა ქართლის პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია საქართველოს

რესპუბლიკის მჭიდრო სტრატეგიული კავშირი რუსეთის ფედერაციასთან“, ამბობს ის 1995 წელს. შემდეგ წელს შევარდნაძე ისევ აკრიტიკებს აფხაზეთში განლაგებულ სამშვიდობო ჯარს და მისიის ფორმატის ცვლილების ინიციატივით გამოდის. „არსებული სახის მანდატით სამშვიდობო ძალების ყოფნას აფხაზეთში არავითარი აზრი არა აქვს და ეს კარგად ესმით დღეს მათ, ვისაც ეს ეხება“, ამბობს იგი (1996). პრეზიდენტი ამტკიცებს იმასაც, რომ აფხაზ სეპარატისტებს „გარკვეული რეაქციული ძალები ბარაქიანად კვებავდნენ და კვებავენ, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საშუალებებით“ (იქვე). საკმაოდ კრიტიკულია შევარდნაძის მომდევნო, 1997 წლის მოხსენებაც. აქ, ის ამბობს, რომ საკონტროლო ზონის გაფართოებისა და დევნილთა დაბრუნების გარეშე „სამშვიდობო ძალების შენარჩუნება შეუძლებელი იქნება“. შევარდნაძე გამოდის მისიის გასვლისთანავე სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის ინიციატივით, რაშიც თავად რუსეთს სთავაზობს ორგანიზატორისა და მასპინძლის როლს (1997). 1998 წელს ედუარდ შევარდნაძე მოუგვარებელ კონფლიქტებს რუსეთთან ორმხრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ „გადაუჭრელ საკითხად“ ასახელებს, თუმცა, 1999 წელს აღნიშნავს, რომ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჩართვის ფონზე რუსეთის გააქტიურებამ, დასაბამი მისცა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის პირდაპირ დიალოგს. „ფაქტია, რომ მნიშვნელოვანწილად რუსეთის პოზიციაზეა დამოკიდებული გაეროს უშიშროების საბჭოს შეფასებათა პრინციპულობა და შესაბამის გადაწყვეტილებათა შესრულების ხარისხი“, ამბობს იგი (1999). 2000 წელს პრეზიდენტი კვლავ იმეორებს, რომ რუსეთს შეუძლია დიდი როლი შეასრულოს აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში, ხოლო 2002 წელს ის ამბობს, რომ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემათა სამართლიანი გადაწყვეტა“, მეგობრული ურთიერთობების სრულად აღდგენის უმთავრესი წინაპირობაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის ზონაში კონფლიქტის თვალსაზრისით, რუსეთის სახე-ხატი საგრძნობლად განსხვავებულია. პრეზიდენტი არაერთხელ უსვამს ხაზს რუსეთის ხელმძღვანელობის დადებით როლზე კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში (1992; 1994; 1998; 1999; 2000).

საგულისხმოა ისიც, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე აქტიურად ცდილობს საქართველოს კონფლიქტების საკითხი რუსეთის შიდა ვითარებას დაუკავშიროს. „ვფიქრობ, ჩრდილოეთ კავკასიაში და საერთოდ, კავკასიაში მიმდინარე პროცესების

ფონზე ჩვენი, ყველა ქალაქის და ყველა ხალხის საერთო ინტერესებშია, რაც შეიძლება ჩქარა მოგვარდეს ქართულ-ოსური კონფლიქტი“, ამბობს ის 1994 წელს. 1995 წელს შევარდნაძე იმედს გამოთქვამს, რომ „ჩეჩნეთში ომისა და მასში ჩეჩნეთის მხარეზე აფხაზეთის სამხედრო ფორმირებათა მონაწილეობის ფონზე“, რუსეთის პოზიცია „აშკარად ჩვენთვის სასარგებლოდ უნდა გამოიკვეთოს“. 1996 წელს პრეზიდენტი კვლავ გამოთქვამს იმედს, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე დაპირისპირების გათვალისწინებით, რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო წრეები აფხაზ სეპარატისტებზე ზემოქმედების ზომებს დათანხმდებიან. შევარდნაძე მიუთითებს იმაზეც, რომ რეგიონში არსებული პრობლემის გასაღები „აფხაზეთში დევს“ (2011). „აფხაზეთის ტრაგედიის შედეგებს რუსეთი საკუთარ ქვეყანაში იმკის“, დასძენს იგი (იქვე).

ედუარდ შევარდნაძის წუხილებს რუსეთისადმი კარგად აჯამებს 2001 წლის საპარლამენტო მოხსენება. პრეზიდენტის თქმით, 1994 წლიდან საქართველომ „გააკეთა ყველაფერი, რაც კი გონიერების ზღვარს არ სცილდებოდა“, რათა რუსეთთან ურთიერთობა გაეუმჯობესებინა, თუმცა, საქართველოს კომპრომისული ნაბიჯები მოსკოვმა სათანადოდ ვერ აღიქვა (2001).

> 1994 წლის 1 მარტს, საქართველოს პარლამენტმა, უმწვავესი დებატების შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საბოლოო გაწევრიანების შესახებ, რაც არც თუ უსაფუძვლოდ აღიქმებოდა რუსეთის პრიორიტეტული მონაწილეობით შექმნილ გეოპოლიტიკურ სისტემაში შესვლად. მანამდე, 1994 წლის 3 თებერვალს, თბილისში, რუსეთის პრეზიდენტთან, ბორის ელცინთან ერთად ხელი მოვაწერეთ სტრატეგიულ ხელშეკრულებას „მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ“, რომლის რატიფიცირება ცალმხრივად განხორციელდა მხოლოდ საქართველოს პარლამენტში ... 1995 წელს გაფორმდა ჩვენთვის არახელსაყრელი ხელშეკრულება საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დაარსების შესახებ. დოკუმენტში დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პოზიცია, რომ ამ დოკუმენტის რატიფიცირება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამართლიანად გადაწყდება აფხაზეთის პრობლემა ან, ყოველ შემთხვევაში, პირველი ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება ამ მიმართულებით ... ყველა

ჩამოთვლილი გადაწყვეტილების სანაცვლოდ, საქართველომ საპასუხოდ ფაქტიურად ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა ყველაზე მწვავე პრობლემათა გადაწყვეტის თვალსაზრისით. (იქვე)

საგულისხმოა, რომ პრეზიდენტის მიერ დასახელებულ ნაბიჯების შორის არის 1992 წლის 2 სექტემბერს, რუსეთის მონაწილეობით, მოსკოვში დადებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომლის დარღვევის შედეგად თბილისმა გაგრაზე კონტროლი დაკარგა. „სამწუხაროდ, მწარედ მოგვატყუეს და ეს უღმერთოდ ძვირი დაუჯდა საქართველოს, უღმერთოდ ძვირი“, ამბობს პრეზიდენტი (იქვე).

შევარდნაძე საუბრობს რუსეთთან სხვა სფეროებში წარმოქმნილ სიძნელეებზეც. ასე, მაგალითად, 1992 წელს ის აღნიშნავს, რომ ეკონომიკური პრობლემების მოგვარების სანაცვლოდ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები „ჩვენგან შეფარვით პოლიტიკურ დათმობებს მოითხოვენ“. პრეზიდენტი რუსეთს ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ქონების უსამართლოდ განაწილების გამოც მწვავედ აკრიტიკებს. ის აღნიშნავს, რომ რუსეთმა, საქართველოსთან შეუთანხმებლად, „ნახევრად ყაჩაღურად“, გაიტანა „უზარმაზარი მოცულობის“ სამხედრო სიმდიდრე, მათ შორის, თვითმფრინავები, საჰაერო თავდაცვის საშუალებები და ფოთის პორტში განლაგებული სამხედრო გემები (1997). „არ შეიძლება სახელმწიფოსთან გქონდეს სტრატეგიული ურთიერთობა და თვლიდე მას, ასე ვთქვათ, უმცროს პარტნიორად“, აცხადებს შევარდნაძე (იქვე).

ორმხრივ ურთიერთობებში კიდევ ერთი გადაუჭრელი პრობლემაა სამხედრო ბაზების საკითხი. ამ თემაზე საუბარს ედუარდ შევარდნაძე 1992 წელს იწყებს. მისი თქმით, საქართველოში განლაგებული რუსული არმიის შენაერთების ბედი „ცივილიზებული, ნორმალური მოლაპარაკების გზით“ უნდა გადაწყდეს. „ჩვენ კარგად გვესმის, რომ საჭიროა უცხოეთის შეიარაღებული ჯარების გაყვანა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, დროის განსაზღვრას კი ისევ დრო სჭირდება“, აცხადებს იგი (იქვე). პრეზიდენტი აღნიშნულ საკითხს 2000 წელს უბრუნდება. ის ამბობს, რომ საქართველო-რუსეთის შეთანხმება ამ უკანასკნელის ჯარის გაყვანის შესახებ „ისტორიული წარმატებაა“, თუმცა, იქვე დასძენს, რომ ამან ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობაში „არა და არ უნდა გამოიწვიოს რაიმე გაუგებრობა“ (2000). „სამხედრო ძალაზე დამყარებული მეგობრობა

არასდროს არ ითვლებოდა მტკიცედ და ხანგრძლივად“, განმარტავს პრეზიდენტი (იქვე).

მიხეილ სააკაშვილი

ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, რუსეთის ორი განსხვავებული სახე-ხატი გვხვდება მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებშიც. ერთი მხრივ, რუსეთი პოტენციური მეგობარია, რომელიც შესაძლოა საქართველოს დღის წესრიგს წაადგეს, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოა, რომელიც მის დამორჩილებას ლამობს. რუსეთის, როგორც პოტენციური მეგობრის, სახე-ხატი ფართოდაა წარმოდგენილი სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველ წელს. ახალარჩეული პრეზიდენტი რუსეთის მიმართ საგრძნობლად ოპტიმისტურად არის განწყობილი, განსაკუთრებით, კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით. იმის მიუხედავად, რომ სააკაშვილის თანახმად, რუსეთის უწინდელმა ქმედებებმა „სერიოზულად მოგვითხარა ძირი აფხაზეთშიც და საქართველოს სხვა რეგიონებშიც“, ის მაინც იმედოვნებს, რომ „თანმიმდევრული, პრინციპული, ღირსეული საუბრით“ ორი ქვეყანა საერთო შეხების წერტილებს გამონახავს (2004). „ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის არის ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან... სერიოზული პარტნიორული ურთიერთობის წარმოება რუსეთთან ჩემს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიმაჩნია“, ამბობს პრეზიდენტი (იქვე). სააკაშვილი ეხება რუსეთის მიმართ მისი წინამორბედის პოლიტიკასაც; იგი აცხადებს, რომ რუსეთის „ხელოვნურად გაღიზიანება“ მხოლოდ წინა ხელისუფლების „შინაგანი სისუსტეების კომპენსირებას“ ემსახურებოდა (იქვე). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ თბილისის „აგრესიული რიტორიკა“ „ძალიან ცუდად დამთავრდა ჩვენთვისაც და ჩვენი და რუსეთის ურთიერთობისთვისაც“ (იქვე). სააკაშვილი დასძენს იმასაც, რომ საქართველო არ აპირებს საგარეო პოლიტიკის დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ჭრილში განხილვას. „ჩვენ გვინდა ყველაფერი, რაც ჩვენთვის კარგია. ჩვენ გვინდა ამერიკაც, რუსეთიც, ევროპაც და ახლო აღმოსავლეთიც, თუ ეს წაადგება საქართველოს ინტერესებს“, აცხადებს პრეზიდენტი (2004)

მომდევნო წლებში რუსეთის სახე-ხატი უფრო და უფრო მტრული ხდება. 2005 წლის მოხსენებაში მიხეილ სააკაშვილი მიანიშნებს, რომ ქვეყნის მცდელობებს აღიდგინოს ტერიტორიული მთლიანობა „ძლიერი და აგრესიული ძალები ეწინააღმდეგებიან“,

თუმცა, კვლავ აღნიშნავს, რომ რუსეთთან არსებული პრობლემები დიალოგის გზით, „ორმხრივი კომპრომისით“ უნდა მოგვარდეს (2005). „ორივე მხარე თანაბრად უნდა წავიდეს კომპრომისებზე, ამასთან დაკავშირებით კი უნდა მოვილაპარაკოთ“, ამბობს პრეზიდენტი (იქვე). უკვე 2006 წელს რუსეთი გვევლინება როგორც იმპერია, „ბოროტი ძალა“, რომელიც ცდილობს ქვეყანაში არეულობა შექმნას და ხელი შეუშალოს მის დასავლურ მისწრაფებებს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას (2006). კრიტიკა კიდევ უფრო მწვავდება 2007 წლიდან, რასაც წინ უძღვის ქართულ პროდუქციაზე დაწესებული ემბარგო, საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან გაძევება და ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვა.

> ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გაგვიკეთეს ყველაფერი, რის თაობაზეც გვემუქრებოდნენ 1992 წლიდან... გვემუქრებოდნენ ბაზრის ჩაკეტვით, ბუნებრივი გაზის გაძვირებით; გვემუქრებოდნენ, რომ აღარ გვექნებოდა მოგზაურობის საშუალება, გაგვიმკაცრებდნენ სავიზო რეჟიმს, ან სულაც აღარ მოგვცემდნენ ვიზებს... წლის განმავლობაში: ჩვენ გამოგვიცხადეს ენერგობლოკადა; ზამთრის ყველაზე ცივ დღეებში გათბობის გარეშე დაგვიტოვეს ბავშვები; ... ყველაზე დიდი, ტრადიციული ბაზარი მთლიანად ჩაუკეტეს ქართველ ფერმერებს ... ეს არ იკმარეს - მასობრივად დაიწყეს ქართველების გამოძევება მთელი მსოფლიოსა ... ხარჯეს მრავალი მილიონი, რომ საქართველოსათვის მოეკერებინათ არასაიმედო პარტნიორისა და ინვესტიციებისათვის არახელსაყრელი ქვეყნის იარლიყი ... არაერთხელ სცადეს აემღვრიათ პოლიტიკური სიტუაცია ყველაზე ბინძური პოლიტიკური და, მათ შორის, ტერორისტული მეთოდების გამოყენებით. (2007)

ზოგადი დამოკიდებულების მსგავსად, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მიმართ რუსეთის როლის წარმოჩენამაც. მაშინ, როცა პრეზიდენტობის პირველ წელს, სააკაშვილი მოსკოვთან ამ საკითხზე „სერიოზული, პარტნიორული“ ურთიერთობის მომხრე იყო (2004), მომდევნო წლებში ის თანმიმდევრულად ავითარებს აზრს, რომ კონფლიქტების გადაწყვეტაში საერთაშორისო შუამავლების, განსაკუთრებით, გაეროს და ეუთოს ჩართულობაა საჭირო (2006; 2007). საგულისხმოა, რომ სააკაშვილი ასევე იწყებს საუბარს იმაზე, რომ კრემლი არა შუამავალი, არამედ კონფლიქტების მონაწილე

მხარეა. „ეს არ არის ეთნიკური კონფლიქტი - ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები ჩვენი არაკეთილმოსურნის მიერ მოგონილი არაკომპეტენტური ტერმინებია. ეს ტერიტორიული კონფლიქტებია - პოსტ-იმპერიული სივრცის გაყოფასთან დაკავშირებული დავა, თუ სად მთავრდება ყოფილი იმპერიის საზღვრები“, აღნიშნავს პრეზიდენტი 2006 წელს. „ქართულ-ოსური კონფლიქტი არ არსებობს. ეს არის იმპერიული ტექნოლოგიების მონაგონი“, დასძენს ის მომდევნო წელს.

2008 წლის მოხსენებაში პრეზიდენტი სააკაშვილი კრიტიკას საგრძნობლად არბილებს, აცხადებს რა, რომ ის კვლავ მზად არის რუსეთთან „ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობის და საერთო მოგების პრინციპებზე“ დაფუძნებული მოლაპარაკება აწარმოოს. „ოთხი წლის წინ მე ვიდექი აქ თქვენს წინაშე და მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელი გავუწოდე რუსეთს. დღეს მე იგივეს ვაკეთებ და კვლავ ვუწვდი პარტნიორობის ხელს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს“, ამბობს პრეზიდენტი (2008).

2008 წლის საქართველო-რუსეთის ომი ამ უკანასკნელის შესახებ რამდენიმე ახალ რეპრეზენტაციას აჩენს, მათ შორის, რევიზიონისტული ძალისა, რომელიც საქართველოში და მის მიმდებარე ქვეყნებში წარსული პრივილეგიების აღდგენას ცდილობს. სააკაშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყანამ უმძიმესი აგრესია გადაიტანა; რუსებმა დაბომბეს საქართველოს ქალაქები, დევნილად აქციეს ათასობით ადამიანი, მოკლეს ასობით სამხედრო და სამოქალაქო პირი და მიწასთან გაასწორეს უამრავი სოფელი (2009). სააკაშვილი დასძენს, რომ რუსეთი „დიდი და სახიფათო მტერია“, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას უპირისპირდება; რომლის „მკვეთრად გამოხატული“ მიზანი საქართველოს დაქუცმაცება და მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობაა (იქვე).

> [ეს არის] მტერი, რომელიც არ ცნობს საერთაშორისო სამართალს; არად აგდებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს; მთელ ცივილიზებულ სამყაროს შანტაჟისა და დაშინების ენით ელაპარაკება; ემუქრება მის სამეზობლოში მყოფ ყველა თავისუფლების მოყვარე ერს; მტერი, რომელიც წარსული დაპირისპირებებისაკენ ექაჩება მსოფლიოს; რომელიც ახალ სამხედრო უკანონო ბაზებს აშენებს საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ როდესაც ჩვენ, ამერიკის

> შეერთებული შტატები და მთელი დემოკრატიული სამყარო მოითხოვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაციას; რომელიც ცდილობს, რომ მთლიანად განდევნოს საქართველოდან საერთაშორისო პოლიტიკური ორგანიზაციები, იმისათვის რომ საკუთარი ბოროტების შემფასებელი აღარავინ დარჩეს; რომელიც არ თანამშრომლობს საერთაშორისო გამოძიებასთან და საკუთარი ოკუპაციის ზონაში არ უშვებს დამკვირვებლებს; მტერი, რომელიც დიქტატურით მართავს ქვეყანას და თანამშრომლობს საერთაშორისო ტერორიზმის კერებთან. (2009)

რუსეთის მტრულ ძალად წარმოჩენა სააკაშვილის მმართველობის მომდევნო წლებშიც ნარჩუნდება. 2010 წელს პრეზიდენტი ამბობს, რომ რუსეთი „ძლიერი და დაუნდობელი მტერია“, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის „მიწასთან გასწორება“ სურს (2010). „ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე იმყოფება, იგი ოკუპირებულია და მტერი არა მხოლოდ არ აპირებს პოზიციების დათმობას, ახალი შეტევით, ახალი პროვოკაციებითა და ახალი უბედურებით იმუქრება“, ამბობს იგი (იქვე). მსგავსი შინაარსი აქვს 2011 წლის მოხსენებაც; აქ, პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას იმპერიის აღდგენა სწადია. „ძალა, რომელიც ახლა ჩვენს დანაწევრებას ცდილობს, კაცობრიობის ისტორიული დინების საწინააღმდეგო მიმართულებით მოცურავედ იქცა და მისი მიზნის განხორციელებას მომავალი არ გააჩნია“, ხაზს უსვამს იგი (2011). რუსეთი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი, რევიზიონისტული იმპერიაა მომდევნო ორი წლის მოხსენებებშიც. „ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შეჩერებისთანავე, ჩვენს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს ხარბად დაეწაფება ყოფილი იმპერია, რომელსაც საზღვრების არსებობის იდეა არაფრად ეპიტნავება“, ამბობს პრეზიდენტი მის ბოლო, 2013 წლის გამოსვლაში.

არგუმენტების გასამყარებლად, სააკაშვილი მიმართავს ისტორიულ წარსულსაც. მაგალითად, იგი აცხადებს, რომ მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დროს, საქართველოს პროვინციული ვასალის როლში იყო დამცრობილი: „მოდით ერთი წუთით დავფიქრდეთ იმაზე თუ რა არის ამ გზის ალტერნატივა - ჩამორთმეული თავისუფლება და იმ დროში დაბრუნება, როდესაც ცენტრიდან უფროსები ჩამოდიოდნენ, რათა დამტკბარიყვნენ ჩვენი ღვინით და კონიაკით;

საქართველოსთვის შეეხედათ, როგორც ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის, ხოლო ქართველებისთვის - როგორც ამ მუზეუმის ექსპონატებისთვის თავის სუფრით, სიმღერით და ცეკვით“ (2010). სააკაშვილი იხსენებს იმასაც, თუ „როგორ ებრძოდა ‘ერთმორწმუნე’ მტერი ჩვენს ეკლესიას, როგორ გვართმევდნენ ავტოკეფალიას, გვითეთრებდნენ ხატებს და გვიკლავდნენ პატრიოტ მღვდელთმსახურებს“ (2010).
პრეზიდენტი სააკაშვილი არ სწყალობს რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობასაც. ასე, მაგალითად, 2010 წელს ის ამბობს, რომ რამდენიმე წლის წინ, საქართველო ყველაზე ენერგო-დამოკიდებული ქვეყანა იყო მთელ მსოფლიოში, „რაც პირდაპირ ითარგმნებოდა მის პოლიტიკურ სისუსტეში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ერთი ჩვენი მეზობელი ქვეყანა ენერგეტიკას ისევე იყენებს, როგორც ტანკსა და ქვემეხს და ძალიან ამაყობს ამით“. სააკაშვილი მცირედით განსხვავებულ მოსაზრებას წარმოადგენს 2012 წლის მოხსენებაში. რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების დაანონსებისას, ის რუსეთის სახელმწიფოსა და რუს ხალხს შორის ზღვარს ავლებს და აცხადებს, რომ საქართველოს სიკეთეებით რუსმა ტურისტებმა და მეწარმეებმაც თავისუფლად უნდა ისარგებლონ.

> ჩვენ მივესალმებით ეკონომიკურ ურთიერთობებს რუსეთთან, საქართველო არასოდეს დაგვიკეტავს რუსი ინვესტორებისა და ტურისტებისთვის. პირიქით, გვწამს, რომ იქ სადაც აქტიურობს ბიზნესი, ადგილი აღარ რჩება ტანკის მუხლუხებისთვის. ამიტომ, მზად ვართ უფრო დიდი შანსი მივცეთ მშვიდობას და გამოვდივართ ინიციატივით, რომ ცალმხრივად გავაუქმოთ სავიზო რეჟიმი რუსეთთან - დაე ყველა რუსმა ბიზნესმენმა იცოდეს, რომ საქართველო ისეთივე მიმზიდველი საინვესტიციო ქვეყანაა მისთვის, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის, კორუფციის, უკანონობისა და ბიუროკრატიული წნეხისაგან თავისუფალი; დაე, იცოდნენ რუსმა ტურისტებმა, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩამოსვლა საქართველოში და აქ მათ ქართველებისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით დახვდება ყველა; იცოდნენ, რომ მათ აქ არავინ დაუშლის მონატრებული ქართული ღვინისა და ბორჯომის დალევას. (2012)

საგულისხმოა, რომ სააკაშვილის ორივე საპრეზიდენტო ვადისთვის დამახასიათებელია რუსეთთან საქართველოს შეპირისპირებასაც. პრეზიდენტის თანახმად, საქართველოს აქვს რუსეთზე უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლები (2006; 2012), ხოლო თბილისს აქვს ისეთივე მაღალი დონის სასტუმროები, როგორც მოსკოვს (2006) და ისეთივე მაღალი ხარისხის საჯარო ტრანსპორტი, როგორც პეტერბურგსა და ყაზანს (2006).

გიორგი მარგველაშვილი

რუსეთისადმი საკმაოდ კრიტიკულად განწყობილია გიორგი მარგველაშვილიც. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი „აგრესიულ ფაზაში“ მყოფი სახელმწიფოა, რომელიც ნატოს არაწევრი სახელმწიფოების მიმართ, „იარაღის ჟღარუნის“ პოლიტიკას ატარებს (2018). მარგველაშვილის თანახმად, ამ ქვეყნებს შორის არის საქართველოც, რომელსაც რუსეთი „პრივილეგირებული ინტერესების სფეროების“ პარადიგმით უყურებს (2015). პრეზიდენტი ამბობს, რომ სწორედ ამ პოლიტიკის ნაწილია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ძალისმიერი მეთოდებით მისი სუვერენიტეტის შელახვა (2015).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში უმთავრეს საკითხად, გიორგი მარგველაშვილს ტერიტორიული მთლიანობა მიაჩნია. ის მის პირველივე გამოსვლაში აცხადებს, რომ რუსეთის მიერ ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია „ყველაზე მტკივნეული“, „ურთულესი“ პრობლემაა (2014). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ რუსეთი არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ახდენს დაკავებული ტერიტორიების მილიტარიზაციას, არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს და დგამს ნაბიჯებს ოკუპირებული რეგიონების ანექსიისკენ (2015). მარგველაშვილის თანახმად, რუსეთი ახდენს დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციასაც და ამ მიზნით, აქტიურად იყენებს „რბილ ძალას“ და „ადგილობრივი ანტიდასავლური ძალების კონგლომერატს“ (2015). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ რუსეთთან ეკონომიკურ დაახლოებას, შესაძლოა, თან რისკები ახლდეს. „არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთს ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის სურს“, ამბობს იგი (2016).

პრეზიდენტის მოხსენებებში გვხვდება ცივ ომთან პარალელებიც: 2017 წელს ის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დანარჩენი საქართველოსგან გამყოფ ხაზს

ბერლინის კედელს ადარებს, ხოლო 2018 წელს ამბობს, რომ რუსეთი ცივი ომის იმიტაციას ცდილობს მთელ მსოფლიოში.

მწვავე შეფასებების მიუხედავად, გიორგი მარგველაშვილის გამოსვლების ერთ-ერთი მთავარი ხაზი ის არის, რომ საქართველო მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ესწრაფვის რეგიონის ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის, რუსეთის ფედერაციასთან. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამორჩეულია 2014 წლის საპარლამენტო მოხსენება, სადაც პრეზიდენტი მარგველაშვილი რუსეთთან დაწყებული დიალოგისა და "რაციონალური" პოლიტიკის გატარების შესახებ საუბრობს. კერძოდ, მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებამ შეცვალა წინა მთავრობის "აგრესიული რიტორიკა", რომელსაც "არავითარი შედეგი" არ მოჰქონდა (2014). „შარშან რუსეთთან გავხსენით დიალოგის ახალი ფორმატი, რომლის ფარგლებშიც საუბარი დავიწყეთ ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ და ჰუმანიტარულ საკითხებზე", განმარტავს მარგველაშვილი, თუმცა, იქვე დასძენს, რომ „გარკვეული წინსვლის" მიუხედავად, ბორდერიზაციის პროცესის განახლებამ „არსებულ პოზიტივს სერიოზული ზიანი მიაყენა" (იქვე).

რუსეთთან არსებული პრობლემების ფონზე, გიორგი მარგველაშვილი საუბრობს დასავლეთის მეტი ჩართულობის შესახებაც. პრეზიდენტის თქმით, საქართველო აფასებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას რუსეთთან კონფლიქტში (2015; 2018), თუმცა, დასძენს, რომ ემხრობა მათი როლის კიდევ უფრო გაზრდას, მათ შორის, რუსეთთან მოლაპარაკებების (2014; 2015), დევნილთა დაბრუნებისა (2014) და ანტი-ანექსიურ პოლიტიკის (2017) საკითხებში. „საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცალკეულ კრიზისებზე მსჯელობა საკმარისი არაა; საჭიროა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თავისუფალი არჩევანის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის გაუვნებელყოფა", ამბობს მარგველაშვილი (2015). პრეზიდენტი „უაღრესად მნიშვნელოვნად" მიიჩნევს ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების როლის გაზრდას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების საქმეში (იქვე) და დასძენს, რომ ამ უკანასკნელთა ურთიერთობა საერთო-ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილი უნდა იყოს (2016).

ამ მოსაზრების ნაწილია ისიც, რომ მოლდოვას, უკრაინის და საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას, მარგველაშვილი ამ ქვეყნების მიერ გაკეთებული

ევროპული არჩევანის გამო „დასჯად“ წარმოაჩენს (2015). „საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, ის წარმატებული დემოკრატიული ქვეყნები, რომლებმაც „გაბედეს“ და გააკეთეს საკუთარი თავისუფალი არჩევანი, ტერიტორიული პრობლემების წინაშე დადგნენ“, ამბობს იგი (2016).

სალომე ზურაბიშვილი

რუსეთის მიმართ კრიტიკა ფართოდ გვხვდება სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ მეტყველებაშიც. პრეზიდენტი ზურაბიშვილი ხაზს უსვამს, რომ რუსეთის მხრიდან განხორციელებული „მუქარა, აგრესია, ზეწოლა, ომი და ოკუპაცია“ ეს არის კრემლის მცდელობა არ დაუშვას საქართველოს დასავლეთთან დაახლოება (2019). პრეზიდენტის თქმით, რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას და მის არჩევანს ვერ ეგუება (2020), თუმცა, იქვე დასძენს, რომ ამ ყოველივეს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე გავლენა არ ექნება და ქვეყანა კვლავაც განუხრელად გააგრძელებს დასახული მიზნისკენ სვლას (2019; 2020). „ჩვენ არ ვეგუებით და არც შევეგუებით ტერიტორიების ოკუპაციას, გატაცებებს და მცოცავ ხაზებს, რომელიც ძალადობისა და შანტაჟის პოლიტიკის ნაწილია“, ამბობს პრეზიდენტი და მიუთითებს, რომ „სუვერენული ქვეყნის სუვერენული უფლებაა, საკუთარი უსაფრთხოებისა და თავდაცვის გამყარებისათვის მოკავშირეები თავისუფლად აირჩიოს“ (2019).

ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ უნდა აღდგეს რუსეთთან მოლაპარაკების „მაღალი [დონის] პოლიტიკური ფორმატი“, რაში დახმარებაც, მისი თქმით, საქართველოს პარტნიორმა ქვეყნებმა უნდა აღმოუჩინონ (იქვე). „მათ უნდა გააგებინონ რუსეთს, რომ 21-ე საუკუნეში ნულოვანი ჯამის თამაში არავის ინტერესში აღარ არის და აგრესიული პოლიტიკა წარსულში ჩარჩენის გზაა“, განმარტავს პრეზიდენტი (იქვე). ზურაბიშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძველი მხოლოდ მის მიერ დაკავებული რეგიონების დეოკუპაცია შეიძლება იყოს. პრეზიდენტი საუბრობს რუსეთის მიმართ საზოგადოების ერთსულოვნების შენარჩუნების საჭიროებაზეც. მისი თქმით, რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენებით ცდილობს საქართველოს პროვოკაციაზე წამოგებას და საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას, რასაც ქვეყანამ სიმშვიდით და სიფრთხილით უნდა უპასუხოს (2020; 2021). „არ შეიძლება, ოკუპაციის საკითხი გამოყენებული იყოს შიდა ვიწრო პოლიტიკური მიზნებისთვის. არ შეიძლება, ერთმანეთს ბრალს ვდებდეთ

არასათანადო რეაგირებაში“, აღნიშნავს იგი (2020). „ყველამ, თეორიულად მაინც, ვიცით, რომ დაუშვებელია ამ თემებზე ჩვენს შორის აზრთა ნებისმიერი სხვადასხვაობა, რამეთუ ეს მხოლოდ ჩვენს მტერს აძლევს ხელს“, დასძენს პრეზიდენტი (2021).

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა საქართველოს საგარეო დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი პოლიტიკური ერთეულია. ამ სივრცეზე საუბარი, უმეტესად, ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას და რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში ხდება. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ დსთ რუსეთის საფარქვეშ მოქმედ ორგანიზაციად მოიაზრება, მას მაინც აქვს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები. საგულისხმოა, რომ რუსეთისგან განსხვავებით, დსთ-ს წარმოჩენა მეტწილად დადებითია. ის მოიაზრება აფხაზეთის კონფლიქტის საკითხში თბილისის ინტერესების გატარების საშუალებად, მათ შორის, რუსეთის ხელმძღვანელობაზე ზემოქმედების ბერკეტად.

დსთ-სთან და მის წევრ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე შევარდნაძე არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, დასავლეთზე სტრატეგიული ორიენტაციის პარალელურად, აუცილებელია განვითარდეს დსთ-ს ფარგლებში ურთიერთობები (1995). შევარდნაძე აღნიშნავს, რომ დსთ-ს ფორმატში თანამშრომლობა ხელს უწყობს მის წევრ სახელმწიფოებთან ორმხრივ თანამშრომლობასაც, მათ შორის, სამხედრო (1995), ეკონომიკურ (1994; 1995; 1997) და უსაფრთხოების (1996) სფეროებში.

რუსეთის მსგავსად, დსთ-ზე საუბარიც, ძირითადად, აფხაზეთის თემის გარშემო ტრიალებს. ამ მხრივ, დსთ განიხილება, როგორც საერთაშორისო აზრის საქართველოსკენ შემობრუნების საშუალება. „თუ პირველ ხანებში მსოფლიოს საზოგადოებას, უწინარესად, საინფორმაციო საშუალებების ძლიერი დეზინფორმაციული საქმიანობის გამო, მეტ-ნაკლებად სჯეროდა აფხაზ სეპარატისტთა ვითომდა სამართლიანი ბრძოლისა, ჩვენმა აქტიურობამ გაეროში, ევროკავშირსა და თანამეგობრობაში სასურველი ნაყოფი გამოიღო - მსოფლიომ დაინახა აგრესიული სეპარატიზმის საშინელი, ბარბაროსული სახე“, ამბობს

პრეზიდენტი (1996). ამასთანავე, შევარდნაძე იმედოვნებს, რომ დსთ-ს სამშვიდობო მისია აფხაზეთში მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებს და ხელს შეუწყობს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, მათ შორის, დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას (1994; 1996). აღსანიშნავია, რომ მმართველობის მეორე ნახევარში შევარდნაძე რამდენიმეჯერ ამბობს, რომ ის დსთ-ს სამშვიდობო მისიის საქმიანობით იმედგაცრუებულია (1996; 1997; 1999). „დასანანია, რომ დსთ-ში საკმარისად არსებული რესურსები არ იქნა სათანადოდ გამოყენებული აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და სხვა კონფლიქტების მოსაგვარებლად“, აცხადებს იგი (1999). კრიტიკის მიუხედავად, შევარდნაძე თანამეგობრობისადმი ერთგული მისი პრეზიდენტობის ბოლომდე რჩება. 1998 წელს ის საუბრობს დსთ-ს, როგორც რეგიონული ორგანიზაციის, ფარგლებში ინტეგრაციული პროცესების „ხელახალი გააზრების“ საჭიროებაზე, 1999 წელს კი სინანულს გამოთქვამს, რომ ეს თანამრომლობა „მეტად პასიურ ფაზაშია“. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციის სრულყოფისთვის, საჭიროა, როგორც სტრუქტურული რეფორმა, ისე „ჯანსაღი ინტეგრაციული პროცესების“ შემდგომი განვითარება (1999). ამის მიუხედავად, 2001 და 2002 წლებში ის აღნიშნავს, რომ ორგანიზაციას ჯერ არ ამოუწურავს მისი პოტენციალი და, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს დსთ-ში აქტიურობა.

პრეზიდენტი ცდილობს დსთ-ს თბილისის დღის წესრიგისთვის სასარგებლო ორგანიზაციად წარმოჩენასაც. ასე, მაგალითად, 1996 წლის 19 იანვრის გადაწვეტილებას, რომელიც სოხუმზე ზემოქმედების ზომებს ითვალისწინებს, ის „ორგანიზაციის პოლიტიკური საქმიანობის უმნიშველოვანეს ათვლის წერტილს“ უწოდებს (1996).

> პირველად საერთაშორისო სახის დოკუმენტში აისახა ჩვენი მოთხოვნა - არა მარტო დაგმობილ იქნეს სეპარატიზმი, არამედ გამოყენებულ იქნეს ზემოქმედების კოლექტიური ღონისძიებანი … გადაწყვეტილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ“ არა მარტო ცალსახად აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ახალ ფორმულასაც განმარტავს - თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურები ადასტურებენ, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ამიტომ ისინი აკრძალავენ ყოველგვარ სამხედრო და სხვა სახის

> დახმარებას, ხოლო საქართველოს მთავრობის გარეშე არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციებს აფხაზური მხარის ხელისუფლებასთან. (1996)

დსთ ესაა რუსეთის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ბერკეტიც. შევარდნაძე ორჯერ აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებაზე რუსეთის დაყოლიება დსთ-ს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელთა მხარდაჭერით მოხდა (1996; 2002). გვხვდება დსთ-ს, როგორც რუსეთის დომინირებით შექმნილი პოლიტიკური სივრცის წარმოჩენაც. შევარდნაძე ღიად ამბობს, რომ დსთ ეს არის „რუსეთის პრიორიტეტული მონაწილეობით შექმნილი გეოპოლიტიკური სისტემა“ (2001). პრეზიდენტი დასძენს იმასაც, რომ საქართველოს გაწევრების გადაწყვეტილება „დიდი მსოფლიო პოლიტიკის თანხმობით“ შედგა (1995). „თვით აშშ-ს ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ და მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა დადებითად შეაფასეს ეს აქცია, რადგანაც, ერთი მხრივ, ეს არ ემუქრება ჩვენს დამოუკიდებლობას და დემოკრატიას და მეორე მხრივ, ეს სავსებით მისაღებია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, მათი ეროვნული და გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ისევე, როგორც საქართველოსათვის“, ამბობს იგი (იქვე).

7.4 საერთაშორისო ორგანიზაციები

გარე სამყაროს კიდევ ერთი მნიშვნელოვან აქტორს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოს პრეზიდენტები სამი სხვადასხვა მნიშვნელობით მოიხმობენ. უპირველესაც, საერთაშორისო ორგანიზაციები ესაა საქართველოს მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემაში სრულფასოვნად მონაწილეობის საშუალება. ხუთივე პრეზიდენტი ემხრობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობას და ამას, სუვერენიტეტის განმტკიცების გზად და პრესტიჟის ამაღლების საქმედ განიხილავს. საერთაშორისო ორგანიზაციები თანმიმდევრულად გვევლინებიან საქართველოს მხარდამჭერებადაც, მათ შორის, კონფლიქტების, ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. საგულისხმოა, რომ საქართველოს პრეზიდენტები სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით გაეროს და ეუთოს, მეშვეობით ცდილობენ აფხაზეთისა და

ცხინვალის კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციას. გვხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც ქვეყნის წინსვლის ერთგვარი „საზომის“ სახე-ხატი; პრეზიდენტებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები მათ მიერ გატარებული პოლიტიკის წარმატებისა და ლეგიტიმაციის მაჩვენებელია.

სულ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, ნახსენებია 534-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 10.52%-ს შეადგენს. აქედან, საერთაშორისო პოლიტიკური და კულტურული ორგანიზაციები ნახსენებია 297-ჯერ, ხოლო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები 237-ჯერ. რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტს საერთაშორისო ორგანიზაციებზე ედუარდ შევარდნაძე საუბრობს (16%). მას მოსდევენ ზვიად გამსახურდია (5.5%), მიხეილ სააკაშვილი (3.47%) და სალომე ზურაბიშვილი (2.4%). საერთაშორისო ორგანიზაციებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს გიორგი მარგველაშვილი (1.94%). წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო საერთაშორისო ორგანიზაციებს 1995 (21.3%) და 2001 (19.9%) წლებში ედუარდ შევარდნაძემ დაუთმო.

საპრეზიდენტო გამოსვლებში საერთაშორისო ორგანიზაციებზე საუბარი ზვიად გამსახურდიას მმართველობისას იწყება. გამსახურდია ხაზს უსვამს, რომ მისი მთავრობა განუხრელად დაიცავს საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებსა და პრინციპებს (1990). იგი ემხრობა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებში საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობასაც (1991). გამსახურდია აღნიშნავს, რომ მისი მიზანი გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა და მათ საქმიანობაში აქტიური როლის შესრულებაა (1991ა). გაეროში საქართველოს გაწევრებას „ისტორიული მნიშვნელობის პოზიტიურ პროცესად“ აფასებს ედუარდ შევარდნაძეც (1992). გამსახურდიას მსგავსად, საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიურობა მასაც ქვეყნის იზოლაციის გარღვევის საშუალებად მიაჩნია. „საქართველოს სრული სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის უდიდესი როლი ეკისრება საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას, ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას სწორედ ისინი განსაზღვრავენ უკვე ტრადიციული, ჩამოყალიბებული სტრუქტურების სახით“, ამბობს პრეზიდენტი შევარდნაძე (1995).

შევარდნაძე აცხადებს, რომ სხადასხვა პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა მისი მთავრობის ყურადღების ცენტრშია. პრეზიდენტი დიდ დროს

უთმობს ეუთოს შესახებ საუბარს; ის ამ ორგანიზაციას საერთო-ევროპული უსაფრთხოების ინიციატივების წარდგენისთვის იყენებს (1997; 1999; 2000). შევარდნაძეს პრიორიტეტულად მიაჩნია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაც (2000; 2001). გვხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც მმართველობის სხვადასხვა მიმართულებით სპეციალიზებული გამოცდილების მქონე აქტორების, წარმოჩენა, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორიცაა საარჩევნო კანონმდებლობა (1994), საკონსტიტუციო რეფორმა (1995) და ანტი-კორუფციული ღონისძიებები (2000). საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარების გამო, შევარდნაძე არაერთხელ გამოთქვამს მადლიერებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერის მხრივ (1992; 1998; 1999; 2001; 2002), აგრეთვე, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების კუთხით (1999; 2001).

საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემდგომი პრეზიდენტებიც. მაგალითად, პრეზიდენტი სააკაშვილი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიღწეული წარმატება იმის ერთ-ერთი დასტურია, რომ „პირველად თანამედროვე ისტორიაში საქართველო ნამდვილი სახელმწიფო გახდა“. „30 წლის წინ ვერ წარმოვიდგენდით, რომ საქართველო გახდებოდა ღირსეული წევრი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც დღეს რეგიონალურ თუ გლობალურ გამოწვევებს უმკლავდება“, ამბობს პრეზიდენტი ზურაბიშვილი (2020). ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, მისი წარმატების ერთგვარ „საზომად“ გვევლინებიან. გვხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც ნეიტრალური დამკვირვებლებისა (2004; 2010; 2012; 2016; 2019) და რეფორმების მხარდამჭერი აქტორების, რეპრეზენტაციაც (2006). ამასთანავე, პრეზიდენტი მარგველაშვილი აცხადებს, რომ საქართველო მზადაა გაეროს მისიებში მონაწილეობისთვის (2014).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პრეზიდენტების მოსაზრებები კონფლიქტებში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შესახებ. მათ ჩართულობაზე საუბარს ედუარდ შევარდნაძე მმართველობის პირველივე წლებიდან იწყებს. მის გამოსვლებში საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდამჭერებად გვევლინებიან (1994; 1999). ამავდროულად, შევარდნაძისთვის საერთაშორისო ორგანიზაციები თბილისის პოზიციების საერთაშორისო დონეზე წარდგენისა და გამყარების პლატფორმაა (1992; 1995; 1996; 2001). „ჩვენ გაეროს მაღალი

ტრიბუნიდან განვაცხადეთ, რომ აფხაზეთი - საქართველოს განუყოფელი ტერიტორია იყო, არის და იქნება მუდამ!“, აცხადებს ის 1992 წელს. „თუ პირველ ხანებში მსოფლიოს საზოგადოებას … მეტ-ნაკლებად სჯეროდა აფხაზ სეპარატისტთა ვითომდა სამართლიანი ბრძოლისა, ჩვენმა აქტიურობამ გაეროში, ევროკავშირსა და თანამეგობრობაში სასურველი ნაყოფი გამოიღო - მსოფლიომ დაინახა აგრესიული სეპარატიზმის საშინელი, ბარბაროსული სახე“, ამბობს ის 1996 წელს. შევარდნაძე მსგავსი სულისკვეთებით საუბრობს 2001 წელსაც, როცა აცხადებს, რომ გაეროს გადაწყვეტილებებს „დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება ჩვენი შემდგომი წინსვლისათვის“.

საერთაშორისო ორგანიზაციები მოიაზრებიან კონფლიქტების თბილისისთვის სასარგებლოდ გადაწყვეტის საშუალებადაც. ამის დასტურია ის, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში გაეროს სწრაფი რეაგირების ძალების ჩართვას ემხრობა (1992), გაეროს წესდების მოთხოვნებისა და რეზოლუციების შესრულების აუცილებლობაზე საუბრობს და აფხაზეთის საკითხზე საერთაშორისო ტრიბუნალის ამოქმედების ინიციატივით გამოდის (1998). იგი წამოწევს მშვიდობისათვის იძულების ე.წ. ბოსნიურ ვარიანტსაც (1998). ამასთანავე, შევარდნაძე საერთაშორისო ორგანიზაციებს შუამავლის როლშიც მოიაზრებს (1997). პრეზიდენტი მიესალმება ეუთოს ცხინვალის რეგიონსა (1997; 1998) და აფხაზეთში (1999; 2000) გააქტიურებასაც. საგულისხმოა, რომ დადებით წარმოჩენას თან სდევს იმედგაცრუებაც. ასე, მაგალითად, 1995 წელს შევარდნაძე დანანებით აღნიშნავს, რომ გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტები „თითქმის ყველა ქაღალდზე დარჩა“. „პრაქტიკა აჩვენებს, რომ ... ქმედითი, სწრაფად შედეგის მომტან მოქმედებათა წარმოება გაეროს ყოველთვის არ ძალუძს“, აღნიშნავს პრეზიდენტი (1995). „არ შეიძლება გაერო ასე შემწყნარებლურად უყურებდეს აგრესიულ სეპარატიზმსა და გენოციდს... რეზოლუციების შეუსრულებლობა ზიანს აყენებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ გაეროს და უშიშროების საბჭოს საერთაშორისო პრესტიჟსა და ავტორიტეტს“, დასძენს იგი (1999).

საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც საქართველოს მხარდამჭერი აქტორების სახე-ხატი ძლიერია მომდევნო პრეზიდენტების გამოსვლებშიც. ასე, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი საჭიროდ მიიჩნევს გაეროსა და ეუთოს მონაწილეობას სოხუმთან და ცხინვალთან მოლაპარაკებებში (2007) და ემხრობა სამშვიდობო მისიებში

საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას (2009). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ რუსეთი ცდილობს საქართველოდან საერთაშორისო ორგანიზაციების განდევნას, „იმისათვის რომ საკუთარი ბოროტების შემფასებელი აღარავინ დარჩეს“ (2009). კონფლიქტის მოგვარებაში გაეროს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საკვანძო როლს ხედავს გიორგი მარგველაშვილიც (2014). მის გამოსვლებში მარგველაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარდგენილ დევნილთა დაბრუნების რეზოლუციას წლიდან წლამდე ემატება მხარდამჭერები (2015; 2016; 2018). „ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, არაღიარების პოლიტიკის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის, დევნილთა დაბრუნების საკითხებში“, ამბობს პრეზიდენტი (2015).

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები

პოლიტიკური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად, პრეზიდენტი შევარდნაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობასაც, განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მისთვის, უწინარესად, ესაა, როგორც კრიზისში მყოფი ეკონომიკის სტაბილიზაციისა და საბაზისო საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების საშუალება (1995; 1998), ისე ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციის ამაღლების შესაძლებლობა (1999). „ფინანსური რესურსების უკმარისობის პირობებში ბიუჯეტის შემოსავლების სერიოზულ წყაროდ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობების მიერ გამოყოფილი დახმარებები, გრანტები და სახელმწიფო კრედიტები იქცა“, ამბობს პრეზიდენტი 1995 წელს. „აუცილებელია საგარეო ვალდებულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, რაც ქვეყნის პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას ემსახურება და საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში მის საიმედოობას ადასტურებს“, დასძენს ის 1999 წელს.

პრეზიდენტი ემხრობა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლების აქტიურ ჩართვას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების

პროცესში, მათ შორის, მმართველობის რეფორმის (1999; 2000), ეკონომიკური პოლიტიკის (1994; 1995; 1998), საფინანსო პოლიტიკისა (1994; 1995) და სოციალური პოლიტიკის (1994; 2001) მიმართულებებით. შევარდნაძე აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ საქართველოში ენერგოსისტემის რეაბილიტაციის (1995; 1998; 1999; 2000), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლების (1995; 1998; 2000), განათლების რეფორმის (1997; 2000), კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა (1997; 1998; 1999; 2001) და სოფლის მეურნეობის განვითარების (1992; 2000) საქმეში. მას ასევე ეიმედება, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შემდგომ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები ძალისხმევას არ დაიშურებენ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის (1997).

მომდევნო პრეზიდენტები საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს ისეთივე სიხშირით აღარ მოიხმობენ. თუმცა, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში ნარჩუნდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, როგორც ქვეყნის წინსვლის ერთგვარი „საზომის“ სახე-ხატი. სააკაშვილისთვის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეფასებები მის მიერ გატარებული რეფორმების წარმატების მაჩვენებელი და საერთაშორისო დონეზე აღიარებაა (2006; 2007; 2013). ამ დამოკიდებულების მაგალითია 2006 წლის საპარლამენტო გამოსვლა, სადაც პრეზიდენტი სააკაშვილი დაწვრილებით აღწერს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეფასებებს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის კუთხით.

> საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა - სავალუტო ფონდმა, მსოფლიო ბანკმა და სხვა დონორმა ორგანიზაციებმა, 2005 წელი, საქართველოს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, ყველაზე წარმატებულ წლად აღიარეს და აღნიშნეს, რომ ქვეყანას მიმზიდველი პერსპექტივები აქვს, რადგან მთავრობა აგრძელებს დაწყებულ რეფორმებს, წარმატებით ახორციელებს პრივატიზაციის პროცესს, უზრუნველყოფს ენერგოსექტორის ეფექტიან რესტრუქტურიზაციასა და საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების ტენდენციას. (2006)

საერთაშორისო კულტურული ორგანიზაციები

პრეზიდენტების გამოსვლებში გვხვდება საერთაშორისო კულტურული ორგანიზაციებიც. საქართველოს პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ ამ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა (1998) და მის საზღვარგარეთ გაცნობას მოემსახურება (1990). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას (იუნესკოს), რომელიც თანმიმდევრულად გვევლინება ქართული კულტურის უანგარო მხარდამჭერად (1995; 1997; 1998; 2004; 2019).

7.5 შავი ზღვის რეგიონი

საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დისკურსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის აუზის ქვეყნებსა და ზოგადად, შავ ზღვას, როგორც რეგიონს. საქართველოს პრეზიდენტები ამ რეგიონს დანარჩენ ევროპასთან საზიარო სივრცედ განიხილავენ და ყოველმხრივ ცდილობენ იქ არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების ათვისებას. ამ მხრივ, საყურადღებოა ის, რომ თუ 1990-იან წლებში შავი ზღვა განიხილებოდა როგორც ერთიანი რეგიონი, 2000-იანი წლების შუიდან ის საქართველოსთვის ორი მიმართულებით „იყოფა“. კერძოდ, ჩნდება საქართველო-უკრაინისა (შემდგომში საქართველო-უკრაინა-მოლდოვის) და საქართველო-თურქეთის მიმართულებები. აქედან, პირველი მიმართულება, ძირითადად, ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან საქართველოს ინტეგრაციის თვალსაზრისით გვევლინება, ხოლო მეორე, უფრო ფართოდ, აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი რგოლის თვალსაზრისით ფიგურირებს. ორივე შემთხვევაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგადი ტრაექტორია შავი ზღვის გავლით დასავლეთის მიმართულებით არის მიპყრობილი. მთლიანობაში შავი ზღვის რეგიონი საქართველოს რეგიონული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია; საქართველო თავის თავს ამ რეგიონის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებს და საკუთარ მომავალსაც მის ფარგლებში ხედავს.

სულ შავი ზღვა, შავი ზღვის რეგიონი და მისი ცალკეული ქვეყნები ნახსენებია 276-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 5.44%-ს შეადგენს. ერთეულებს შორის ყველაზე მეტად ახსენებენ თურქეთსა (95) და უკრაინას (79). მას მოსდევს შავი ზღვა/შავი ზღვის რეგიონი (56), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (16),

მოლდოვა (12), სუამი (8), ბულგარეთი (6) და რუმინეთი (4). რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტად შავი ზღვის რეგიონს გიორგი მარგველაშვილი (8.28%) და ედუარდ შევარდნაძე (5.77%) ახსენებენ. ხსენების პროცენტებით მომდევნოა მიხეილ სააკაშვილი (4.44%). შავი ზღვის რეგიონს შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს სალომე ზურაბიშვილი (2.4%), ზვიად გამსახურდია კი მის გამოსვლებში ამ რეგიონს საერთოდ არ ახსენებს, თუმცა, თემას ეხება მის საპრეზიდენტო პროგრამაში. წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო შავი ზღვის რეგიონს 2005 (9.8%) და 2014 (20.5%) წლებში დაუთმეს.

შავი ზღვის რეგიონის თაობაზე საუბარს პირველად ზვიად გამსახურდია იწყებს. ის აღნიშნავს, რომ საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან - ბულგარეთთან, რუმინეთთან, უკრაინასთან, რუსეთთან და თურქეთთან (1991ა). გამსახურდია ემხრობა შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა რეგიონულ დონეზე სამომავლო თანამშრომლობასაც (იქვე). შავი ზღვის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების საჭიროებაზე საუბარს ედუარდ შევარდნაძეც აქტიურად აგრძელებს. შევარდნაძეს სურს შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა (1992; 2000) და შავი ზღვის ქვეყნებთან ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გაფართოება (1995), აგრეთვე, ენერგეტიკისა და ეკოლოგიის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავება (1995; 1998). შევარდნაძე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაზე (BSEC), რომელსაც საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ჩართვის საშუალებად (1995), სხვა ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავების გზად (2000) და რეგიონული დონის საერთაშორისო ორგანიზაციად (1998; 1999; 2000) განიხილავს. რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებზე საუბრისას, შევარდნაძე ახსენებს სუამსაც - რეგიონულ ორგანიზაციას საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის შემადგენლობით (1998, 2000).

შავი ზღვის რეგიონზე საუბარი შემდგომ წლებშიც გრძელდება, თუმცა, შედარებით ნაკლები სიხშირით. საგულისხმოა, რომ ის კარგავს ერთიანი რეგიონის სტატუსს და უფრო ევროპასთან დამაკავშირებელი ხიდის როლში გვევლინება. ამ კონფიგურაციაში, შავი ზღვა, კასპიის ზღვასთან ერთად, ევროპისა და აზიის შემაერთებელი რგოლი ხდება. ყურადღება მახვილდება როგორც საზღვაო გზებზე

(2007; 2019), ისე სახმელეთო გზაზე, თურქეთის გავლით (2007; 2015). გრძელდება შავი ზღვის აუზის ცალკეულ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებზე საუბარი, განსაკუთრებით უკრაინასთან. მოგვიანებით, გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებაში დასავლეთის გააქტიურების საჭიროებაზეც იწყებენ ხაზგასმას (2017; 2019; 2020). „ევროპული უსაფრთხოება, მათ შორის, საქართველოს და შავი ზღვის უსაფრთხოებით განისაზღვრება“, ამბობს პრეზიდენტი მარგველაშვილი 2017 წელს. „ევროკავშირსა და ნატოში ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი არა მხოლოდ არსებულ პროგრამებში მონაწილეობით, არამედ ჩვენი ინიციატივებისა და ახალი იდეების წარდგენით. კიბერუსაფრთხოება, უსაფრთხო შავი ზღვა და მისი ცენტრალურ საკომუნიკაციო არეალად გადაქცევა ასეთი საკითხებია“, განმარტავს პრეზიდენტი ზურაბიშვილი 2020 წელს.

შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან საქართველოს საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია თურქეთი. თურქეთი საპრეზიდენტო დისკურსში 1990-იანი წლების დასაწყისიდან ჩნდება; პრეზიდენტი გამსახურდია თურქეთს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებად ასახელებს და აღნიშნავს, რომ მასთან ეკონომიკურ სფეროში არსებული თანამშრომლობა, შესაძლოა, შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა რეგიონული თანამშრომლობის ხელშემწყობი ფაქტორი გახდეს (1991ა). თურქეთზე, როგორც საქართველოს „ისტორიულ მეზობელზე“ საუბარს ედუარდ შევარდნაძეც აგრძელებს (1992). „გვაქვს მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული სამეცნიერო კავშირები ჩვენს უახლოეს მეზობელთან თურქეთთან; ეს თანამშრომლობა მეზობლური სითბოთი და ურთიერთგაგებით გამოირჩევა“, ამბობს ის 1995 წელს, 1999 წელს კი აცხადებს, რომ ორ ქვეყანას შორის „სამაგალითო ურთიერთობა“ ჩამოყალიბდა. „ჩვენი საგარეო პოლიტიკის დიდ წარმატებად მიმაჩნია ამ ძლიერ და სწრაფად განვითარებად ევროპულ სახელმწიფოსთან უმჭიდროესი კავშირ-ურთიერთობის დამყარება“, დასძენს შევარდნაძე 2002 წელს.

შევარდნაძისთვის თურქეთი მრავალმხრივი პარტნიორია: ესაა დონორი სახელმწიფო (1995; 1998; 1999), სავაჭრო პარტნიორი (1994; 1995; 1998), ინვესტორი ქვეყანა (1995) და სამხედრო პარტნიორი (1992; 1995; 2000). ის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში თურქეთის ჩართვის სურვილსაც გამოთქვამს. „მე არ გამოვრიცხავ აფხაზეთის

კონფლიქტის მოგვარებაში... თურქეთის უფრო აქტიურ მონაწილეობას... დაე, თურქეთმაც თქვას თავისი სიტყვა... რადგანაც საფრთხე, რომელიც არსებობს, დიდია, ისეთი პოტენციალისაა, რომ შეიძლება საერთაშორისო კონფლიქტში გადაიზარდოს“, ამბობს ის 1992 წელს. იმავეს იმეორებს 2002 წელსაც, როცა აფხაზეთის საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ინიციატივით გამოდის და მასში უკრაინისა და თურქეთის ადგილსაც მოიაზრებს. პრეზიდენტი შევარდნაძე ხაზს უსვამს რეგიონული თანამშრომლობის პლატფორმებში თურქეთის დიდ მნიშვნელობაზე (1998; 2000), აგრეთვე, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის პროექტებში თურქეთის საკვანძო როლზე (1999; 2000; 2001).

თურქეთთან ურთიერთობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მიხეილ სააკაშვილიც. სააკაშვილისთვის თურქეთი „უმთავრესი“ სავაჭრო პარტნიორი (2007; 2008; 2010), ინვესტიციების წყარო (2010) და ეკონომიკური რეფორმების მისაბაძი მაგალითია (2010). პრეზიდენტი სააკაშვილი აქტიურად საუბრობს ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის პროექტებში თურქეთის როლზეც. ეს პროექტები, განსაკუთრებით ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, აზიისა და ევროპის დაკავშირების ინსტრუმენტად და საქართველოს გლობალური როლის ამაღლების საშუალებად გვევლინება. „ახალი გრანდიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები - ნავთობსადენი, გაზსადენი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, რომლებიც ხორციელდება და ზოგიერთს საფუძველი ჩაეყარა გასულ წელს, სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ რეალობას გვთავაზობს“, ამბობს ის 2007 წელს. სააკაშვილი იმავე სულისკვეთებით საუბრობს 2011 წელსაც, აღნიშნავს რა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა პეკინსა და ლონდონს დააკავშირებს. თურქეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია გიორგი მარგველაშვილისთვისაც როგორც ორმხრივი ურთიერთობების თვალსაზრისით (2015), ისე რეგიონული თანამშრომლობის მხრივ (2014; 2015; 2016). მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის „უაღრესად საინტერესო და მიმზიდველი“ თანამშრომლობის მიზანია ევროპასა და აზიაში მდებარე „ათეულობით ქვეყნისა“ და იქ მცხოვრები „ათეულობით მილიონი ადამიანის“ ერთმანეთთან დაკავშირება (2014). „ეს, ბუნებრივია, ზრდის ჩვენი ქვეყნის დაცულობას, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისა და კეთილდღეობის განვითარების შესაძლებლობებს“, დასძენს პრეზიდენტი (იქვე).

საქართველოსთვის შავი ზღვის რეგიონში მდებარე კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი აქტორია უკრაინა. თურქეთის მსგავსად, უკრაინაზე, როგორც პარტნიორზე საუბარი 1990-იანი წლების დასაწყისიდანვე ჩნდება; ზვიად გამსახურდია მას მნიშვნელოვან პარტნიორად მოიაზრებს (1991), ხოლო შევარდნაძე - „ისტორიულ მეზობელს“ უწოდებს (1992). შევარდნაძე მომდევნო წლებშიც პერიოდულად უსვამს ხაზს უკრაინასთან ორმხრივი ურთიერთობების მიღწევებზე და არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას. „დიდი იმედების მომცემია ჩვენი ურთიერთობა უკრაინასთან... პრეზიდენტ კუჩმას უაღრესად შედეგიანმა ვიზიტმა დაადასტურა ორი ქვეყნის თანამშრომლობაში დიდი და ჯერ კიდევ გამოუყენებელი პოტენციალის არსებობა“, ამბობს პრეზიდენტი შევარდნაძე 1995 წელს. შევარდნაძისთვის უკრაინა „უშუალო მეზობელია“ (1995), რომელთანაც ქვეყანას „განსაკუთრებული ურთიერთობები“ აკავშირებს (1997), მათ შორის, სამხედრო (2001) და ეკონომიკურ სფეროებში (2001). უკრაინა გვევლინება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში საქართველოს პოლიტიკის დღის წესრიგის მხარდამჭერადაც (1996; 2002). „აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად მიზანშეწონილად მიგვაჩნია… მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია… ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის თანათავმჯდომარეობით, უკრაინისა და თურქეთის აქტიური მონაწილეობით, როგორც ჩვენი უახლოესი მეზობლებისა“, ამბობს ის 2002 წელს.

უკრაინის საკვანძო პარტნიორად წარმოჩენა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის წლებშიც ნარჩუნდება (2006; 2007; 2008). სააკაშვილისთვის უკრაინა „ჭეშმარიტი მეგობარია“ (2005), რომლის გარეშეც საქართველოს ძალიან „გაუჭირდებოდა“ (2006). პრეზიდენტი სააკაშვილი იწყებს უკრაინისა და საქართველოს საერთო ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებზე საუბარსაც. „თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც დღეს მიდის, თუ ვერავინ ჩაგვითრევს რაიმე მძიმე პროვოკაციაში, საქართველოს და უკრაინას ნამდვილად აქვს შანსი, რომ 2008 წელს ნატოს სრულფასოვანი წევრი ქვეყნები გახდეს, ხოლო წელს უკვე, შეგვიძლია ნატოს წევრობის ოფიციალური კანდიდატი გავხდეთ“, ამბობს ის 2006 წელს. უკრაინასთან პარტნიორობა განსაკუთრებულია შემდგომი პრეზიდენტებისთვისაც. მაგალითისთვის, 2014 წელს უკრაინაში მიმდინარე მასშტაბური დემონსტრაციების მიმართ გამოყენებული ძალის გამო, გიორგი მარგველაშვილი ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობას მწვავედ აკრიტიკებს.

პრეზიდენტი მარგველაშვილი ამბობს, რომ ის შეშფოთებულია „მოძმე“ ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო: „ხელისუფლებამ გამოიყენა ძალა თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ, გადავიდა იმ ზღვარს, რომლის გადასვლაც დაუშვებელია ნებისმიერი ხელისუფლისთვის“ (2014). უკრაინის მიმართ კეთილგანწყობილია სალომე ზურაბიშვილიც. „არ მინდა ეს სიტყვა... დავასრულო ისე, რომ არ ვახსენო ჩვენი უკრაინელი მეგობრების დღევანდელი ბრძოლა და მათ არ გამოვუცხადო სოლიდარობა!“, ამბობს იგი (2021).

მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, საქართველოსა და უკრაინის ერთობლივ საგარეო პოლიტიკურ მიზნებზე გიორგი მარგველაშვილიც აქტიურად საუბრობს. საგულისხმოა, რომ მარგველაშვილის გამოსვლებში საქართველო-უკრაინის ტანდემს მოლდოვაც ემატება. მისი თქმით, რადგან საქართველო, უკრაინა და მოლდოვა „მსგავსი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე არიან“, საჭიროა ქვეყნებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ამაღლება (2015). ამასთანავე, მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ ევროპული უსაფრთხოების განახლებულ არქიტექტურაზე მსჯელობისას, „სრულადაა გასათვალისწინებელი ნატოს არაწევრი ევროპული სახელმწიფოების, განსაკუთრებით საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას თაობაზე და მათ ინტერესებზე აქტიური მსჯელობა“. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ეს სამი ქვეყანა ევროპული არჩევანის გამო გახდა კრემლის სამიზნე. „საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია 2008-ში, უკრაინის ომი 2014-ში, დნესტრისპირელი სეპარატისტების მხარდაჭერა სხვა არაფერია, თუ არა კრემლის მიერ პოსტ-საბჭოთა სივრცეში ძალისმიერი პოლიტიკის დანერგვა და საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას „დასჯა“ მათი ევროპული არჩევანის გამო“, ამბობს პრეზიდენტი მარგველაშვილი (2015). ის დასძენს, რომ საქართველოს, უკრაინა და მოლდოვა „თავისუფალი არჩევანის“ გამო დადგნენ ტერიტორიული პრობლემების წინაშე (2016). შავი ზღვის რეგიონი საკმაოდ საინტერესო ადგილს წარმოადგენს საქართველოსთან შეპირისპირების თვალსაზრისითაც. აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნებთან შედარებას ყველაზე აქტიურად მიხეილ სააკაშვილი ახდენს. სააკაშვილი ამ ქვეყნებს, ძირითადად, საქართველოს წარმატებებისა და მისი უპირატესობების ხაზგასასმელად მოიხმობს. ასე, მაგალითად, 2004 წელს ის ამბობს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მომლოდინე ბულგარეთის მონაცემები „3-4 წლის წინ ძალიან ჰგავდა საქართველოს დონეს“, 2009 წელს კი სააკაშვილი აცხადებს, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით,

საქართველომ ელექტროენერგიის კოლექტიური მრიცხველების შემოღებას „ყველაზე კარგად გაუძლო“. „რუმინეთში უბედურებები დატრიალდა და ხალხმა ერთმანეთი დახოცა ამ ნიადაგზე“, დასძენს პრეზიდენტი (2009). შეპირისპირების შემთხვევები გვხვდება უკრაინასთანაც. 2006 წელს სააკაშვილი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური თავისუფლების საერთაშორისო რეიტინგების თვალსაზრისით, საქართველო „უსწრებს რუსეთს, უკრაინას და თითქმის ყველა სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას“. მოგვიანებით, უკრაინა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავების უარყოფით მაგალითად გვევლინება. „განსაკუთრებით კატასტროფულია ეკონომიკური მდგომარეობა იმ ქვეყნებში, სადაც ვერ მოხერხდა პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. უკრაინა შემთხვევით არ მიხსენებია. ჩვენზე ასჯერ მეტი პოტენციალისა და რესურსების მქონე ქვეყანა, პოლიტიკური კინკლაობის ფონზე არა თუ ვერ ახერხებს კრიზისიდან გამოსვლას, არამედ სულ უფრო ღრმად შედის ამ კრიზისში“, ამბობს პრეზიდენტი (2009). ამავდროულად, ხდება საქართველოს, როგორც უკრაინისთვის მისაბაძი ქვეყნის წარმოჩენა. 2006 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი პირდაპირ მიანიშნებს, რომ 2003 წლის „ვადების რევოლუციამ“ ბიძგი მისცა უკრაინის 2005 წლის „ნარინჯისფერ რევოლუციას“: „აღმოჩნდა, რომ ამ სივრცეში კიდევ ერთი ქვეყანა არსებობს, რომელიც არა მარტო რევოლუციებს გენერირებს, რაც უკრაინის პრეზიდენტმა არაერთხელ აღნიშნა. მისი განცხადებით, საქართველოს რევოლუციის გარეშე, უკრაინაში რევოლუცია არ მოხდებოდა“. მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, უკრაინა მისაბაძი მაგალითია გიორგი მარგველაშვილისთვის; 2018 წელს ის ამბობს, რომ ამერიკასთან თანამშრომლობის დონის თვალსაზრისით, „უკრაინელები ჩვენზე წინ არიან“.

რაც შეეხება შავი ზღვის აუზის დანარჩენ სახელმწიფოებს - ბულგარეთსა და რუმინეთს - ეს ორი ქვეყანა პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკურ დისკურსში ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. საგულისხმოა, რომ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში ფართო შავი ზღვის რეგიონის ნაწილად გვევლინებიან საბერძნეთი (1998) და ბალკანეთის ქვეყნები (1998; 2001), თუმცა, ამ უკანასკნელთ შავი ზღვის რეგიონში რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა არ ენიჭებათ. აღსანიშნავია, რომ მოლდოვა ორმხრივი ურთიერთობების (1995; 1998), სუამთან თანამშრომლობისა (2000) და საქართველო-უკრაინა-მოლდოვის სამეულის კონტექსტში ჩნდება (2015; 2016).

7.6 კავკასია

საქართველოს პრეზიდენტებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული არეალია კავკასია. ეს რეგიონი საგარეო პოლიტიკურ დისკურსში სამი სხვადასხვა, ხშირად წინააღმდეგობრივი სახით არის წარმოდგენილი; კავკასია და მისი ცალკეული პოლიტიკური ერთეულები გვევლინება როგორც საფრთხის წყარო, როგორც შესაძლებლობების ადგილი და როგორც განვითარების არასასურველი მოდელი. საკმაოდ ჭრელია მისი საზღვრების საკითხიც; ის ხან ერთიან რეგიონად გვევლინება, ხანაც ვიწროდ - სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვე-რეგიონებად. აღსანიშნავია, რომ თუ სამხრეთ კავკასია უფრო ფართოდ, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ჭრილში განიხილება, ჩრდილოეთ კავკასიაზე საუბარი, ძირითადად, რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე გვხვდება (დეტალური განხილვისთვის იხილეთ მომდევნო სექციები). საყურადღებოა კავკასიისადმი საქართველოს ურთიერთმიმართებისა და კუთვნილების საკითხიც: პრეზიდენტები საქართველოს ერთხმად „ათავსებენ“ კავკასიის რეგიონში, თუმცა, თავად კავკასიას განიხილავენ ევროპის ნაწილად, მის ერთგვარ „განშტოებად“. ამ ფონზე, საქართველო გვევლინება, როგორც კავკასიის ბირთვი, რომელსაც რეგიონის გამაერთიანებლის ფუნქციის შესრულება და მისი გაძღოლა ძალუძს.

სულ კავკასია, მათ შორის, მისი ცალკეული პოლიტიკური ერთეულები (სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები) და ქვე-რეგიონები (სამხრეთ კავკასია, ჩრდილოეთ კავკასია) ნახსენებია 258-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 5.08%-ს შეადგენს. ერთეულებს შორის ყველაზე მეტად ახსენებენ საკუთრივ კავკასიას (86). მას მოჰყვება აზერბაიჯანი (67), ჩრდილოეთ კავკასია (37), სომხეთი (33), სამხრეთ კავკასია (13), ჩეჩნეთი (13), ჩრდილოეთ ოსეთი (7) და სხვა (2). რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტს კავკასიაზე ედუარდ შევარდნაძე (6.55%), ზვიად გამსახურდია (6.48%) და სალომე ზურაბიშვილი (5.6%) საუბრობენ. კავკასიას შედარებით ნაკლებად ახსენებენ გიორგი მარგველაშვილი (2.82%) და მიხეილ სააკაშვილი (2.42%). წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო კავკასიის

რეგიონს 1991 (12.96%) და 2019 (11.6%) წლებში, ზვიად გამსახურდიამ და სალომე ზურაბიშვილმა დაუთმეს.

კავკასიის მიმართ საქართველოს პოლიტიკაზე საუბარი ადრეული წლებიდან იწყება. ზვიად გამსახურდიასთვის კავკასია ესაა რეგიონი, სადაც „გარედან ინსპირირებული კონფლიქტები“ მიმდინარეობს, მათ შორის, ყარაბაღისა და ცხინვალის რეგიონის გარშემო. გამსახურდია აღნიშნავს, რომ კავკასიაში შემავალმა სახელმწიფოებმა და ხალხებმა გარე ძალებისგან დამოუკიდებლად უნდა შეძლონ წინააღმდეგობების დაძლევა და საერთო ენის გამონახვა. კავკასია დესტაბილიზაციის წყაროა მომდევნო პრეზიდენტისთვისაც. ასე, მაგალითად, 1995 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე ამბობს, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასია „მეტად არასტაბილურ, საშიშ, ფეთქებად“ რეგიონს წარმოადგენს. უკვე 1996 წელს, ჩნდება კავკასიის, როგორც ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთ მიმართულებად წარმოჩენა. „საერთაშორისო ნარკობიზნესი აშკარა და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ეგრეთ წოდებული „კავკასიის ტრასისადმი“, რომლის უდიდესი ნაწილი საქართველოზე გადის და რომელიც აზიიდან ევროპაში ნარკოტიკების ჯერჯერობით უმოკლესი და ნაკლებად კონტროლირებადი გზაა“, ამბობს პრეზიდენტი შევარდნაძე (1996). კავკასიის საფრთხის წყაროდ წარმოჩენა გვხვდება გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებშიც: 2015 წელს ის ამბობს, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომი და ტერორიზმის მომძლავრება საქართველოსთვის სერიოზული გამოწვევაა - „ახლო აღმოსავლეთის მოვლენები ხომ უშუალოდ აისახება უსაფრთხოების გარემოზე კავკასიაშიც“.

საფრთხის წყაროსთან ერთად, კავკასია შესაძლებლობების ადგილადაც მიიჩნევა, ძირითადად, ტვირთებისა და ბუნებრივი რესურსების აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაადგილების თვალსაზრისით. 1995 წლიდან აქტიურად იწყება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროექტის შესახებ საუბარი და უწყვეტად მიმდინარეობს მომდევნო წლების განმავლობაში (დეტალური განხილვისთვის, იხილეთ აზიის ქვეთავი). 1990 წლების შუიდან ჩნდება საერთო-კავკასიური თანამშრომლობის ინიციატივებიც, რომელშიც საქართველოსთან ერთად, მოიაზრება აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი და სომხეთი. შევარდნაძე ჯერ შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონის „კოლექტიური უშიშროების სისტემის“ შექმნის შესახებ საუბრობს (1992), შემდგომ კი „კავკასიური დიალოგისა“ (1995) და „მშვიდობიანი კავკასიის“ პროექტზე (1997; 1998; 1999; 2000; 2002). თუმცა, მომდევნო

წლებში თანამშრომლობის ფორმატები ვიწროვდება და აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის სამეულის სახით გვევლინება.

ზვიად გამსახურდიასთვის და ედუარდ შევარდნაძისთვის კავკასია ერთიანი რეგიონია: ის ჩრდილოეთ კავკასიასაც მოიცავს და სამხრეთ კავკასიასაც. შესაბამისად, პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, საქართველომ მხედველობაში უნდა მიიღოს მთლიანად რეგიონი. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ შევარდნაძის მეორე ვადის მიწურულს, ჩრდილოეთ კავკასია როგორც ცალკე მდგარი აქტორი, თანდათან ქრება და იწყება საუბარი რუსეთის, როგორც „დიდი ქვეყნის“ „კანონიერი ინტერესების“ გათვალისწინებაზე კავკასიაში (2001; 2002). მოგვიანებით, გამსახურდიას და შევარდნაძის თავდაპირველ მოსაზრებას უბრუნდება მიხეილ სააკაშვილი. „საქართველო მყარად უჭერს მხარს სახელმწიფოთა საზღვრების ურღვეობის პრინციპს, თუმცა, ჩვენ კავკასიას განვიხილავთ როგორც ერთ რეგიონს და საქართველო არის ამ რეგიონში მშვიდობის, ძალადობის შეჩერებისა და განვითარების ლოკომოტივი“, ამბობს ის 2012 წელს.

2000-იანი წლებიდან ხშირდება კავკასიასთან საქართველოს უპირატესობების ხაზგასმა. ამის გამოხატულებაა განცხადებები, რომ საქართველო პირველი სახელმწიფოა კავკასიაში, სადაც ნატოს წვრთნები იმართება (2001), სადაც ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ოპერაცია ტარდება (2007), სადაც ქუჩის დემონსტრაციები მშვიდობიანად სრულდება (2010), სადაც ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიული გზით ხდება (2013) და რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას აფორმებს (2014). საგულისხმოა, რომ ამ განცხადებების მიზანი არა კავკასიის უარყოფითი წარმოჩენა, არამედ საქართველოს უპირატესობის ხაზგასმა და მისი ევროპის დარად წარმოდგენაა. ამ მოსაზრებას საუკეთესოდ გამოხატავს სააკაშვილის 2010 წლის გამოსვლა, სადაც ის მომავალ თვითმმართველობის არჩევნებს შემდეგნაირად ეხმიანება:

> მოდით ამ გაზაფხულზეც ყველამ ერთად, ყველა პოლიტიკურმა ძალამ, ვისაც საქართველო უყვარს, მოვინდომოთ და გავაკეთოთ კიდევ ერთი, რამ რაც ჯერ არ მომხდარა კავკასიაში; რაც დაამტკიცებს, რომ ჩვენ ნამდვილად ვიმსახურებთ გვერქვას ევროპული დემოკრატია - ჩავატაროთ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ისე, რომ დამარცხებულმა მხარემ, ვინც არ უნდა იყოს

ის, გამარჯვებულს გამარჯვება მიულოცოს, წარმატება უსურვოს და ცივილური, ოპოზიციური ოპონირება აღუთქვას. (2010)

საქართველოს პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ კავკასიაში მიმდინარე მოვლენები საერთო-ევროპული პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი უნდა იყოს. „საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფაქტობრივი და იურიდიული ცნობა მსოფლიო ერთა თანაარსებობის, ევროპული და კავკასიური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი საკითხია“, მიიჩნევს ზვიად გამსახურდია (1991). „დღეს კავკასიის სტაბილურობა მსოფლიო მასშტაბების რანგშია აყვანილი, მისი სტაბილურობის თემა აქტუალურია როგორც რეგიონისათვის, ასევე ევროპული ქვეყნებისთვის, თანამეგობრობის სივრცისთვის“, აცხადებს ედუარდ შევარდნაძე (2000). „ჩვენი ამოცანაა, ვაჩვენოთ ჩვენს პარტნიორებს და საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ევროპული კეთილდღეობა, სტაბილურობა ევროპაში, რეალურად შედგება მხოლოდ მაშინ, როდესაც სტაბილური იქნება საქართველო და კავკასია“, დასძენს გიორგი მარგველაშვილი (2016). ეს სამი განცხადება საინტერესოა საქართველოს ადგილმდებარეობის თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტები განასხვავებენ ევროპასა და კავკასიას და საქართველოს გეოგრაფიულად ცალსახად ამ უკანასკნელს მიაკუთვნებენ, მათ ნათქვამში მაინც არის ნაგულისხმევი, რომ კავკასიის რეგიონი ევროპის ერთგვარი განშტოება, მისი გაგრძელებაა. ამგვარი აზროვნების კიდევ ერთი გამოხატულებაა მიხეილ სააკაშვილის 2012 წლის მოხსენება, სადაც ის ამბობს, რომ „ქართველი ერის ისტორიული არჩევანია დასავლეთი, მაგრამ ჩვენი რეგიონია კავკასია“.

ჩრდილოეთ კავკასია

საქართველოს პრეზიდენტების მოხსენებებში ჩრდილოეთ კავკასიის წარმოჩენა თანმიმდევრული არ არის: ის ხან საფრთხეების წყაროდ გვევლინება, ხან ახლობელი ხალხების განსახლების არეალად, ხანაც საერთო-კავკასიური რეგიონული პროექტების ნაწილად. ამ განსხვავებების მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტებისთვის კავკასია ცალსახად რუსეთისგან განცალკევებით მდგარ რეგიონს წარმოადგენს და შესაბამისად, მხოლოდ მასზე მორგებულ პოლიტიკას

საჭიროებს. საპრეზიდენტო გამოსვლებში გვხვდება როგორც მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი, ისე მასში შემავალი ცალკეული პოლიტიკური ერთეულები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩრდილოეთ კავკასია მეტწილად დაცლილია იდეური შემადგენლისგან და ის უფრო გეოგრაფიულ-ტერიტორიულ არეალად გევლინება, ვიდრე საქართველოსთან დაახლოებულ კულტურულ ან პოლიტიკურ სივრცედ.

ჩრდილოეთ კავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზვიად გამსახურდიას გამოსვლებში. გამსახურდიასთვის კავკასია - მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები - ერთი მთლიანი რეგიონია, რომელთანაც საქართველოს ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებდა. საგულისხმოა, რომ 1991 წლის საარჩევნო პროგრამაში ის განასხვავებს კავკასიის სახელმწიფოებსა და ხალხებს, თუმცა, დასძენს, რომ საქართველომ ორივესთან თანაბრად უნდა ითანამშრომლოს: „ამ ურთიერთობათა აღორძინება კეთილმეზობლობისა და მეგობრობის პრინციპის საფუძველზე უნდა წარმოადგენდეს კავკასიის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას“. კავკასია რუსეთისგან განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს ედუარდ შევარდნაძის მოსაზრებითაც. ამის დასტურია ის, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და რესპუბლიკებს, ის მუდმივად მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის კონტექსტში ახსენებს და ამით, მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ასე, მაგალითად, 1992 წელს ის ამბობს: „ჩვენ თუ ხელი ავიღეთ ისტორიულ მეზობლებთან - რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან, ირანთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან თანაარსებობაზე, თვითონ ვერ ვიარსებებთ“. იმავეს იმეორებს 1997 წელსაც: „უნდა გაძლიერდეს, ინტენსიური უნდა გახდეს ჩვენი კონსულტაციები აზერბაიჯანთან და სომხეთთან, ჩრდილოკავკასიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან“, ხოლო 1999 წელს შევარდნაძე აღნიშნავს, რომ თბილისს სურს „კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან, ყველა მეზობელ ხალხთან“. პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტების მოგვარების საქმეში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების შესაძლო როლზეც. მაგალითისთვის, 1997 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე ამბობს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მიზნით, საჭიროა საერთაშორისო ორგანიზაციების ქოლგის ქვეშ სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა, რომელში მონაწილეობაც, მეთვალყურის სტატუსით, უნდა შეეძლოთ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ლიდერებს. გვხვდება

ჩრდილოეთ ოსეთის დადებითი გაშუქებაც ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში (1992; 1995; 1997; 1998; 2000).

1992 წლიდან, ე.წ. კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაციის აფხაზეთის ომში მონაწილეობის გამო, ჩნდება ჩრდილოეთ კავკასიის უარყოფითი წარმოჩენა. შევარდნაძის თანახმად, „აფხაზეთის საშინაო კონფლიქტი გამწვავდა და ის გადაიზარდა ე.წ. კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებული ძალების აგრესიაში, აგრესიამ ანექსიის ხასიათი მიიღო და დღეს ინტერვენტები აკონტროლებენ გუდაუთისა და გაგრის რაიონებს“ (1992). შევარდნაძე დასძენს, რომ კონფედერაციის ჯარები აფხაზეთის კონფლიქტს კავკასიის მეორე ომის ერთ-ერთ ეპიზოდად მიიჩნევენ (იქვე). ჩრდილოეთ კავკასიის, როგორც საფრთხის წყაროს წარმოჩენა შემდეგ წლებშიც გრძელდება, თუმცა, უფრო ნაკლები სიმძაფრით. „ვფიქრობ, ჩრდილოეთ კავკასიაში და საერთოდ, კავკასიაში მიმდინარე პროცესების ფონზე ჩვენი, ყველა ქალაქის და ყველა ხალხის საერთო ინტერესებშია, რაც შეიძლება ჩქარა მოგვარდეს ქართულ-ოსური კონფლიქტი“, ამბობს ის 1994 წელს. „სასაზღვრო ძალებმა სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, მათ შორის, შსს-მ, უშიშროებამ და სხვებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა შესრულებულიყო უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა, – საქართველო არ გაბმულიყო ჩრდილო-კავკასიურ კონფლიქტში, - იმ საზარელ სასაკლაოში, რომლის კალო კვლავაც ტრიალებს ჩვენს საზღვრებთან“, აცხადებს ის 2001 წელს.

ჩრდილოეთ კავკასიას ორგვარად წარმოაჩენს მიხეილ სააკაშვილიც. მაგალითად, 2007 წელს ის წარსულში საქართველოს ჩამორჩენილობის ხაზგასასმელად, ჩრდილოეთ კავკასიასთან არსებულ ეკონომიკურ კავშირებს ახსენებს: „შარშანდელი წელი იყო წელი, როდესაც პირველი ქართული კომპანია - საქართველოს ბანკი გავიდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. და თუ ცოტა ხნის წინათ, ქართული ეკონომიკა ვლადიკავკაზისა და ერგნეთის ბაზრობებზე -კეთდებოდა, ახლა მან ლონდონის საფონდო ბირჟაზე გადაინაცვლა. ესეც ჩვენი ქვეყნის ზრდის მაჩვენებელია“. სააკაშვილი საპირისპირო მოსაზრებას ავითარებს 2012 წელს, როცა ამბობს, რომ ქვეყანა გააგრძელებს მუშაობას საერთო კავკასიური განვითარებისთვის და ყოველთვის იაქტიურებს „კავკასიელ ხალხებთან და ქვეყნებთან მეგობრობაში“. ჩრდილოეთ კავკასიაზე საუბარი არ გვხვდება გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებში.

სამხრეთ კავკასია

საქართველოს პრეზიდენტების დისკურსში გვხვდება სამხრეთ კავკასიის ქვე-რეგიონიც. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასია, იგივე ამიერკავკასია, უფრო ორმხრივი ურთიერთობების თვალსაზრისით, სომხეთთან და აზერბაიჯანთან კავშირების ჭრილში განიხილება, ვიდრე ცალკე აღებულ რეგიონად. სამხრეთ კავკასიას, როგორც რეგიონს ყველაზე ხშირად ედუარდ შევარდნაძე ახსენებს. პრეზიდენტი შევარდნაძისთვის აღნიშნული რეგიონი საქართველოსგან, სომხეთისგან და აზერბაიჯანისგან შედგება, თუმცა, სამეულზე საუბრისას ხშირად თურქეთი და რუსეთიც განიხილება. შევარდნაძე სამხრეთ კავკასიას ჩრდილოეთსა და სამხრეთს (1997) და აღმოსავლეთსა და დასავლეთს (1998) შორის ვაჭრობის პოტენციურ დერეფნად მოიაზრებს. საქართველოს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ნაწილად განიხილავენ მიხეილ სააკაშვილი (2004) და გიორგი მარგველაშვილი (2014; 2015), თუმცა, გაცილებით უფრო ნაკლები სიხშირითა და შინაარსით ახსენებენ. ზვიად გამსახურდიას და სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებში სამხრეთ კავკასიაზე, როგორც ცალკე რეგიონზე საუბარი არ ხდება, თუმცა, წინა პრეზიდენტების მსგავსად, სამეზობლოს ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების თაობაზე ისინიც აქტიურად მსჯელობენ.

სომხეთი და აზერბაიჯანი პირველად ზვიად გამსახურდიას 1991 წლის გამოსვლაში, მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე დაპირისპირებაზე საუბრისას გვხვდება. გამსახურდიასთვის სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოს „ისტორიული მეზობლები“ არიან. ამიტომ, ის მიიჩნევს, რომ ორ ქვეყანას შორის მიმდინარე კონფლიქტისადმი საქართველო გულგრილი არ უნდა იყოს. სომხეთი და აზერბაიჯანი „ისტორიული“ (1992), „უშუალო“ (1995) და „უახლოესი“ (1998) მეზობლები არიან ედუარდ შევარდნაძისთვისაც. შევარდნაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლური ორიენტაციის მიუხედავად, ამ ქვეყნებთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნება საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად უნდა დარჩეს (1992; 1995). „ჩვენ თუ ხელი ავიღეთ ისტორიულ მეზობლებთან - რუსეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან, ირანთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან თანაარსებობაზე, თვითონ ვერ ვიარსებებთ“, აღნიშნავს იგი (1992). შევარდნაძეს სურს

სომხეთთან და აზერბაიჯანთან სხვადასხვა სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება (1995; 1997; 1998; 2000). „თუ რამე არის პრიორიტეტი, ეს ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობაა. სამხრეთ კავკასიის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველოს ურთიერთობები ზემოთ ხსენებულ ქვეყნებთან სცილდება ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებს“, ამბობს ის 2000 წელს. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობების გაფართოება კავკასიაში მშვიდობისა და ეკონომიკური აღმავლობის წინაპირობა გახდება (1999). ორივე ქვეყანა მოიაზრება კავკასიის რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებშიც (1997; 2000). საგულისხმოა, რომ თუ შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებში, სომხეთი და აზერბაიჯანი თანაბარი სიხშირით და მსგავსი შინაარსით განიხილებიან, 1999 წლიდან უპირატესობას აზერბაიჯანი მოიპოვებს. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ტვირთებისა და ბუნებრივი რესურსების გადაზიდვის ერთ-ერთ საკვანძო რგოლად (1999; 2000; 2001) და რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებში პარტნიორად განიხილება (2000; 2014). აზერბაიჯანის, როგორც სატრანზიტო პარტნიორისა (2006; 2008; 2011; 2014; 2015; 2019) და რეგიონული თანამოაზრის (2014; 2019) წარმოჩენა მომდევნო პრეზიდენტების გამოსვლებშიც ნარჩუნდება. რაც შეეხება სომხეთს, მასთან ორმხრივი თანამშრომლობის საჭიროებაზე/მიღწევებზე მიხეილ სააკაშვილიც საუბრობს (2006; 2008; 2010), თუმცა, მომდევნო პრეზიდენტების გამოსვლებში სომხეთი ნახსენები არ არის.

7.7 აზია

საპრეზიდენტო დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული არეალია აზია. ესაა საკმაოდ ფართო რეგიონი, რომელიც მოიცავს ვრცელ ტერიტორიას კასპიის ზღვიდან იაპონიამდე, მათ შორის, შუა აზიასა და შორეულ აზიას[22]. ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოსთვის აზია ესაა ამ უკანასკნელის გლობალური ფუნქციის - აღმოსავლეთისა და დასავლეთის

[22] ამ ქვეთავში წარმოდგენილია ზოგადად აზიაზე და მის ცალკეულ ქვეყნებზე გაკეთებული განცხადებები. შუა აზია, მისთვის მინიჭებული სპეციფიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ცალკე სექციად.

დამაკავშირებლის - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი. ეს რეგიონი განიხილება ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის არეალადაც. საგულისხმოა, რომ აზია ქართული პოლიტიკური აზროვნებისთვის გამოკვეთილი კულტურული „სხვაა“, თუმცა, მას, ძირითადად, მაინც დადებითი თვისებები ახასიათებს. აზიაში გვხვდება რამდენიმე როლური მოდელიც.

სულ აზია, მისი ქვე-რეგიონები (შუა აზია, ევრაზია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია) და მისი ცალკეული ქვეყნები ნახსენებია 247-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 4.87%-ს შეადგენს. ერთეულებს შორის ყველაზე მეტად ახსენებენ საკუთრივ აზიას (86). მას მოსდევს ჩინეთი (86), იაპონია (26), შუა აზია (22), ევრაზია (22), თურქმენეთი (17), კასპიის ზღვა (13), ყაზახეთი (10), უზბეკეთი (8), ყირგიზეთი (6), ჰონკონგი (4), სინგაპური (1), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (1) და ტაივანი (1). რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტად აზიას ედუარდ შევარდნაძე (6.38%) და გიორგი მარგველაშვილი (4.94%) ახსენებენ. ხსენების პროცენტებით მომდევნოა მიხეილ სააკაშვილი (2.5%). შავი ზღვის რეგიონს მცირე დროს უთმობს სალომე ზურაბიშვილი (0.8%), ზვიად გამსახურდია კი მის გამოსვლებში ამ რეგიონს საერთოდ არ ახსენებს, თუმცა, აზიაზე საუბარია მის საპრეზიდენტო პროგრამაში. წლების მიხედვით აზიას პროცენტულად ყველაზე მეტი დრო 2000 (9.95%) და 2016 (9.35%) წლებში, ედუარდ შევარდნაძემ და გიორგი მარგველაშვილმა, დაუთმეს.

აზიის, როგორც ევროპისგან განსხვავებული კულტურული სივრცის აღქმა განსაკუთრებით პირველი ორი პრეზიდენტისთვის არის დამახასიათებელი. ზვიად გამსახურდიასთვის აზია აღმოსავლურ სამყაროსთან იგივდება, რომელიც ევროპასთან, ქრისტიანულ ცივილიზაციასთან არის დაპირისპირებული, საქართველო კი, ამ ორი დიდი ცივილიზაციის შეხვედრის ადგილად წარმოგვიდგება. „ისტორიულმა პროცესებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა ის, რომ საქართველო ასრულებდა ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვან და გარკვეულწილად მასტაბილიზებელ როლს“, ამბობს პრეზიდენტი გამსახურდია 1991 წელს. გამსახურდიას მსგავსად, შევარდნაძეც იზიარებს აზრს, რომ ევროპა და აზია განსხვავებულ იდეურ სივრცეებს წარმოადგენენ, ხოლო საქართველო - ამ ორი დიდი კულტურისა და საკუთრის „გასაოცარი სინთეზია“ (1997).

1990-იანი წლების შუიდან იწყება აზიაზე[23], როგორც „აბრეშუმის გზის“ აღმოსავლეთ დაბოლოებაზე საუბარი. ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ აზია გვევლინება საქართველოს გლობალური როლის - ევროპისა და აზიის დამაკავშირებლის - შესრულების საშუალებად. „საქართველო არა მარტო იბრუნებს, არამედ იძენს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას ევრაზიის ახალ საკომუნიკაციო სისტემაში ჩართვით, „ევრაზიის ხიდის“ „ევრაზიის დერეფნის“ რეგიონულ და ტრანს-რეგიონულ პროგრამებში აქტიური მონაწილეობით“, ამბობს პრეზიდენტი შევარდნაძე 1997 წელს. „ევროპა-აზიის შემაერთებელ სატრანსპორტო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „დიდ აბრეშუმის გზას“, რომელიც სათავეს იღებს ჩინეთის აღმოსავლეთ ნავსადგურებიდან, ცენტრალური აზიის გავლით მიემართება ევროპისაკენ და 8000 კმ-ით ამცირებს სუეცის არხის გავლით საზღვაო მარშრუტებს“, აცხადებს შევარდნაძე 1998 წელს. „მნიშვნელოვანია, რომ ევრაზიის ხიდის მიმართ მზარდი ინტერესია როგორც ევროპულ სტრუქტურებში, ისე აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში, ცენტრალურ აზიაში, იაპონიაში, ჩინეთში, უკრაინასა თუ ბალკანეთის ქვეყნებში, დუნაისპირა სახელმწიფოებში“, დასძენს ის 1999 წელს.

აზიაზე ევროპასთან ვაჭრობის კონტექსტში საუბარი მომდევნო წლებშიც აქტიურად გრძელდება (2000; 2001; 2002; 2007; 2014; 2015; 2016; 2017), ეს ყოველივე კი საქართველოს პოლიტიკური მნიშვნელობის გაზრდის წინაპირობად განიხილება. პრეზიდენტების მოსაზრებებს საკმაოდ კარგად აჯამებს გიორგი მარგველაშვილის 2014 და 2017 წლების გამოსვლები. აქედან პირველში ის ამბობს, რომ „საქართველო ისტორიულად, გეოპოლიტიკურად აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მთავარი ქვეყანა იყო. ამ სტატუსს ჩვენ ნელ-ნელა ვიბრუნებთ და აქტიურად ვიმკვიდრებთ ევროპასა და აზიას შორის რეგიონული თანამშრომლობის, დიალოგისა და თანხმობის საიმედო პარტნიორის როლს. ჩვენი მიზანია, რომ ათეულობით ქვეყანა და ათეულობით მილიონი ადამიანი ევროპასა და აზიაში დავაკავშიროთ ერთმანეთს ამ ინფრასტრუქტურული პროექტებით, შესაბამისად, გავხდეთ მათი კეთილდღეობის, განვითარებისა და მათი ინტერესის საგანი“. 2017 წელს პრეზიდენტი მარგველაშვილი აღნიშნავს: „საგარეო-პოლიტიკურ ამოცანად რჩება ევროპა-აზიის სატრანსპორტო

[23] ამ რეგიონზე საუბრისას, ედუარდ შევარდნაძე ხშირად იყენებს ტერმინს „ევრაზია“.

დერეფნის გაფართოება და ამ მიმართულებით ახალ პროექტებში მეტი სახელმწიფოს ჩართვა, რაც საქართველოს უსაფრთხოების და კეთილდღეობის გარანტიაა!“

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძის გამოსვლებში ასევე გვხვდება აზიის საფრთხის წყაროდ აღქმა (1996) და მასთან საქართველოს შედარება (1992). რაც შეეხება ცალკეულ ქვეყნებს, ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში, ძირითადად, საუბარია იაპონიასა და ჩინეთზე, რომლებიც გვევლინებიან, როგორც დონორი სახელმწიფოები (1998; 1999; 2000) და „აბრეშუმის გზის“ პროექტში ჩართული ან პროექტით დაინტერესებული მხარეები (1998; 1999; 2000). ჩინეთს მზარდი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია მიხეილ სააკაშვილისთვის. 2007 წელს ის ამბობს, რომ დასავლური წარმოება თანდათან ინაცვლებს აღმოსავლეთისკენ და ამ პროცესის მთავარი მონაწილე ჩინეთი ხდება, რითაც, საქართველომაც უნდა ისარგებლოს. აზიაში გვხვდება პრეზიდენტი სააკაშვილისთვის მისაბაძი ქვეყნებიც. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილისთვის სატრანსპორტო და ლოგისტიკური ცენტრის მოდელს სინგაპური წარმოადგენს (2007), ხოლო ჰონკონგი ლიბერალური სამშენებლო (2007) და საგადასახადო რეგულაციების საუკეთესო მაგალითს (2010). საგულისხმოა ისიც, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ემხრობა სკოლებში აზიური ქვეყნების ენების შესწავლის წახალისებასაც (2011). ჩინეთი და იაპონია „განსაკუთრებული ინტერესის საგანს“ წარმოადგენენ გიორგი მარგველაშვილისთვისაც (2015).

შუა აზია

საპარლამენტო გამოსვლების ანალიზი ცხადყოფს, რომ შუა აზია, უმეტესად, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ჭრილშია წარმოდგენილი. საქართველოს პრეზიდენტებისთვის ესაა რეგიონი, რომელიც ერთი მხრივ, კავკასიასთან ერთად, აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ერთ-ერთი რგოლია, ხოლო მეორე მხრივ, თავადაა ევროპისთვის და ზოგადად, დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგიონი - ბუნებრივი რესურსების წყარო. შუა აზია ჩნდება როგორც მასში წარმოდგენილი ცალკეული ქვეყნების სახით, ისე დამოუკიდებელი რეგიონის

სახით[24]. მთლიანობაში შუა აზია საქართველოს პრეზიდენტების მოხსენებებში დადებითად არის წარმოდგენილი და აღქმულია, როგორც საქართველოს სატრანზიტო კვანძის, „გზაჯვარედინის“ ფუნქციის ხორცშესხმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, შუა აზიის თაობაზე საუბარს ედუარდ შევარდნაძე იწყებს. სწორედ მისთვის ხდება ეს რეგიონი როგორც რესურსების წყარო, ისე დანარჩენი აზიისკენ გამტარი. აღსანიშნავია, რომ შუა აზია ყველაზე ხშირად ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის, ე.წ. „ახალი აბრეშუმის გზის“ შესახებ საუბრისას გვხვდება. „1993 წლის დამდეგს დავიწყეთ საუბარი ევრაზიის დერეფანზე, „აბრეშუმის გზის“ აღორძინების აუცილებლობაზე. დღეს ეს უკვე რეალობაა. დერეფნის გავლით წარმოებს ყაზახეთის ნავთობისა და უზბეკეთის ბამბის საცდელი ექსპორტი“, ამბობს შევარდნაძე 1998 წლის მოხსენებაში. „მნიშვნელოვანია, რომ ევრაზიის ხიდის მიმართ მზარდი ინტერესია როგორც ევროპულ სტრუქტურებში, ისე აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში, ცენტრალურ აზიაში, იაპონიაში, ჩინეთში, უკრაინასა თუ ბალკანეთის ქვეყნებში, დუნაისპირა სახელმწიფოებში“, დასძენს 1999 წლის მოხსენებაში. შევარდნაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებსაც. ასე, მაგალითად, 1997 წლის მოხსენებაში ის ამბობს: „ამ ცოტა ხნის წინათ განხორციელებული ვიზიტები ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის პრეზიდენტებისა და ა.შ., არ არის მარტო ვიზიტები ვიზიტების გულისთვის. ეს ახალი, დიდი ურთიერთობების დასაწყისია“. თვალშისაცემია ისიც, რომ ედუარდ შევარდნაძის რიტორიკაში შუა აზიის ცალკეული ქვეყნები (უზბეკეთი, ყაზახეთი) საქართველოს საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის მხარდამჭერებადაც გვევლინებიან (1996). ცალკე აღნიშვნას იმსახურებს თურქმენეთი, რომელსაც შევარდნაძე „ღირსეულ პარტნიორს“ უწოდებს (1994) და სამჯერ ახსენებს როგორც სახელმწიფოს, რომელმაც მისი მმართველობის პირველ წლებში საქართველოს განსაკუთრებული თანადგომა გაუწია (1994; 1998; 2001).

[24] რეგიონის აღსაწერად, საქართველოს პრეზიდენტები იყენებენ ტერმინებს „შუა აზია“ „ცენტრალური აზია“. ხშირად, ეს დასახელებები შერწყმულია ისეთ ტერმინებთან, როგორიცაა „კასპიის რეგიონი“ ან „ტრანს-კასპიური რეგიონი“.

შუა აზიას მომდევნო პრეზიდენტებიც ევროპისა და აზიის დაკავშირების კონტექსტში განიხილავენ. ასე, მაგალითად, 2007 წლის მოხსენებაში პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ჩინეთს შუა აზიის გავლით დააკავშირებს ევროპასთან. იმავეს ამბობს გიორგი მარგველაშვილი 2015 წელს: „ქვეყნისათვის მიმზიდველ პერსპექტივას ასევე ქმნის რეგიონული თანამშრომლობა - ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების განმტკიცება შავი ზღვისა და კასპიის რეგიონებს შორის, კასპიის ენერგორესურსების ევროპისკენ გადაადგილების თვალსაზრისით - ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის მიმართულება“. იმავე სულისკვეთებით საუბრობს სალომე ზურაბიშვილი 2019 წელს: „შავი ზღვისა და კავკასიის სატრანსპორტო და ლოგისტიკური დერეფნის მიმართ ევროპის გაზრდილი ინტერესი ახალ პერსპექტივებს გვისახავს და შავი ზღვის ორ სანაპიროს შორის ფიზიკურ კავშირს აყალიბებს... აზერბაიჯანში დიდი ინტერესი იყო გამოხატული ტრანსკასპიური და შავი ზღვის სატრანსპორტო პოტენციალის ერთობლივი გამოყენების კუთხით“. სააკაშვილისა და მარგველაშვილის გამოსვლებში გვხვდება შუა აზიის, როგორც ქართული პროდუქციის გასაღების ბაზრისა (2007; 2010) და ინვესტიციების პოტენციური წყაროს წარმოჩენაც (2015). გვხვდება შავი ზღვა-კავკასია-შუა აზიის ერთობლივ ეკონომიკურ სივრცედ წარმოდგენაც (2008). შუა აზია არ ფიგურირებს ზვიად გამსახურდიასა მოხსენებებში, თუმცა, სხვების მსგავსად, ისიც უსვამს ხაზს საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებლის როლზე.

7.8 საერთაშორისო თანამეგობრობა/მეგობარი ქვეყნები

საერთაშორისო თანამეგობრობა[25] ქართული საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი აქტორია. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პრეზიდენტები საერთაშორისო თანამეგობრობაზე საკმაოდ აქტიურად მსჯელობენ, ეს ცნება მაინც საკმაოდ ბუნდოვანი რჩება; პრეზიდენტები არ განმარტავენ რას გულისხმობს ან რომელ აქტორებს მოიცავს საერთაშორისო თანამეგობრობა. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, უმეტესწილად,

[25] ამ ერთეულში შედიან საკუთრივ საერთაშორისო თანამეგობრობა, საერთაშორისო საზოგადოება, მეგობარი ქვეყნები, პარტნიორი ქვეყნები, პროგრესული ქვეყნები, განვითარებული ქვეყნები, დემოკრატიული ქვეყნები, მოწინავე ქვეყნები და წამყვანი ქვეყნები.

ესაა ერთგვარი შუალედური რგოლი მსოფლიოსა და დასავლეთს, როგორც იერარქიულად მდგარ სივრცეებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პრეზიდენტების აზროვნებაში საერთაშორისო თანამეგობრობა უფრო მცირეა, ვიდრე მსოფლიო და უფრო ფართო, ვიდრე დასავლეთი. საგულისხმოა ისიც, რომ მისი ფარგლები პრეზიდენტებისა და წლების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია; საერთაშორისო თანამეგობრობა ხან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დასავლეთის ქვეყნებს მოიცავს, ხან უფრო ფართოდ, დონორ/მხარდამჭერ ქვეყნებსა და ორგანიზაციებს. პრეზიდენტების გამოსვლებში მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების საკითხი გაცილებით უფრო ნათელია, თუმცა, სირთულეები აქაც გვხვდება; გაუგებარი თუ რომელი ქვეყნები იგულისხმებიან დროის კონკრეტულ მონაკვეთში მეგობრად და პარტნიორად. ამ ყოველივეს მიუხედავად, საერთაშორისო თანამეგობრობისა და მეგობარი ქვეყნების წარმოჩენა მკაფიო და ერთმნიშვნელოვანია. პრეზიდენტები უაღრესად დადებითად არიან ამ აქტორების მიმართ განწყობილნი; მეგობარ ქვეყნებთან ისინი უფრო მეტ დაახლოებას ცდილობენ, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობასთან - უფრო მჭიდრო ინტეგრაციას. პრეზიდენტების გამოსვლებში ხშირად გვხვდება ე.წ. ცივილიზაციის დისკურსი.

სულ ეს ერთეული, მათ შორის, საერთაშორისო თანამეგობრობა, საერთაშორისო საზოგადოება, მეგობარი/პარტნიორი ქვეყნები, ცივილიზებული ქვეყნები და მასში შემავალი სხვა აქტორები/სივრცეები, ნახსენებია 232-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 4.6%-ს შეადგენს. აქედან, მეგობარი ან პარტნიორი ქვეყნები ნახსენებია 105-ჯერ, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობა ან საერთაშორისო საზოგადოება ნახსენებია 74-ჯერ. რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტს საერთაშორისო თანამეგობრობაზე/მეგობარ ქვეყნებზე გიორგი მარგველაშვილი საუბრობს (5.5%). მას მოსდევენ ედუარდ შევარდნაძე (5.1%), მიხეილ სააკაშვილი (3.6%) და სალომე ზურაბიშვილი (2.4%). საერთაშორისო თანამეგობრობას/მეგობარ ქვეყნებს მცირე დროს უთმობს ზვიად გამსახურდია (0.9%). წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო ამ ერთეულს 2005 (12.2%) და 2009 (10.8%) წლებში მიხეილ სააკაშვილმა დაუთმო.

რაც შეეხება ცალკეული აქტორების წარმოჩენას, შევარდნაძის გამოსვლებში „მეგობარ“ და „პარტნიორ“ ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. პრეზიდენტი ამ ქვეყნებში განვითარებულ სახელმწიფოებს მოიაზრებს და მათზე, ძირითადად, მათ მიერ

გაწეული ფინანსური მხარდაჭერის ჭრილში საუბრობს (1995; 1997; 1998; 1999; 2000; 2001; 2002). ამასთანავე, არსებობს მათი, როგორც კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული აქტორებისა (1997; 1999; 2000) და შიდა რეფორმების მხარდამჭერების რეპრეზენტაციებიც (1999; 2000; 2021). აღსანიშნავია, რომ როგორც წესი, მეგობარი ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად არიან ნახსენები. შევარდნაძე მეგობარ ქვეყნებში ხშირად გამოარჩევს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიას.

> ფასდაუდებელია დახმარება, რასაც ამ საქმეში გვიწევს ამერიკის შეერთებული შტატები, სხვა მეგობარი ქვეყნები, საერთოდ, მსოფლიო საზოგადოებრიობა ... საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე გვეხმარებოდნენ და კვლავაც გვეხმარებიან მეგობარი ქვეყნები. განსაკუთრებით კიდევ ვიმეორებ, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, ევროკავშირის სხვა სახელმწიფოები, თურქეთი, იაპონია და სხვები, მე აღარაფერს აღარ ვლაპარაკობ ჩვენს უახლოეს მეზობლებზე აზერბაიჯანზე და სომხეთზე. (2001)

> შთამომავლობამ უნდა იცოდეს, რომ გამანადგურებელი სამოქალაქო ომისა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შემდეგ საქართველომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში შეძლო ფეხზე წამოდგომა, უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა მეგობარი სახელმწიფოების მრავალმხრივი თანადგომის შედეგად, რომელიც კვლავაც გრძელდება, მაგრამ ჰუმანიტარული დახმარების და ეკონომიკური მხარდაჭერის ნაცვლად ამჟამად უკვე სრულფასოვანი პარტნიორობის სახეს იძენს. (2002)

რაც შეეხება საკუთრივ საერთაშორისო თანამეგობრობას/საზოგადოებას, შევარდნაძე მას რამდენიმე განსხვავებული სახით წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა 1992 წლის გამოსვლა, სადაც პრეზიდენტი ამბობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობისგან ეკონომიკური რეფორმების განხორციელებასა და აგრესიის შემთხვევაში, ქვეყნის დაცვაში დახმარებას მოელის. მომდევნო წლებში ჩნდება საერთაშორისო თანამეგობრობის, როგორც კონფლიქტებში საქართველოს მხარდამჭერი აქტორის სახე-ხატი. „საქართველოს მეგობრები და მთელი მსოფლიო

თანამეგობრობა ელის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები უახლოეს პერიოდში შეუდგებიან მეორე მთავარი მიზნის განხორციელებას - კონფლიქტის მთელს ზონაში ლტოლვილების, იძულებით ადგილნაცვალი მოსახლეობის დაბრუნებისა და განლაგებისათვის უსაფრთხოებისათვის გარანტიების შექმნას“, ამბობს ის 1994 წელს. „უკლებლივ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, განვითარებული დემოკრატიული ქვეყნები, ისევე როგორც ამ ქვეყანათა საზოგადოებრიობა, აღიარებს საქართველოს სიმართლეს. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მთლიანობას და გმობს აგრესიულ სეპარატიზმს, რომელმაც ეთნოწმენდა და, ფაქტობრივად, მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი მოაწყო“, აღნიშნავს პრეზიდენტი 1997 წელს. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“, დასძენს ის 1999 წელს.

საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს მხარდამჭერად წარმოაჩენს მიხეილ სააკაშვილიც; ერთი მხრივ, ის რუსეთის პროვოკაციების ფონზე ქვეყნის საერთაშორისო პოზიციების გამყარების საშუალებად მოიაზრება (2006), ხოლო, მეორე მხრივ - სოხუმთან და ცხინვალთან შუამავლის როლში გვევლინება (2007). „ჩვენი თითოეული მოქმედება მაქსიმალურად იქნება აწონილი და განხორციელებული ისე, რომ საქართველომ არ დაკარგოს მთავარი - საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა“, ამბობს ის 2006 წელს. 2008 წლის ომის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის, როგორც საქართველოს მხარდამჭერის სახე-ხატი უფრო ძლიერდება და ის რუსეთთან საქართველოს გამო დაპირისპირებულ აქტორად წარმოჩინდება (2009; 2010; 2011). „[რუსეთი] ახალ სამხედრო უკანონო ბაზებს აშენებს საქართველოს ტერიტორიაზე მაშინ როდესაც ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატები და მთელი დემოკრატიული სამყარო მოითხოვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაციას“, ამბობს ის 2009 წელს. „დღეს უკვე საერთაშორისო საზოგადოება ოკუპანტად მოიხსენიებს რუსეთს. დღეს აღარ არსებობს კითხვის ნიშნები იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მხარესაა საერთაშორისო სამართალი. დღეს საქართველოსადმი პოლიტიკური მხარდაჭერა იზრდება ყველგან“, დასძენს 2011 წელს.

პარტნიორი/მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო თანამეგობრობა მხარდამჭერის როლში გვევლინებიან გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკურ მეტყველებაშიც. ასე, მაგალითად, 2015 წელს პრეზიდენტი მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ ის აფასებს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, არაღიარების პოლიტიკის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და დევნილთა დაბრუნების საკითხებში. მარგველაშვილი ასეთივე სულისკვეთებით საუბრობს 2017 წელსაც, როცა ამბობს, რომ ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის წარმატება სწორედ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. „არაღიარების პოლიტიკა რუსეთს ფაქტობრივად ჩაუვარდა და მსოფლიო თანამეგობრობამ ნათლად შეაქცია ზურგი იმ უსამართლობას, რომლის გატანასა და, ასე ვთქვათ, გაყიდვასაც რუსეთი ცდილობდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების მცდელობით“, ამბობს ის 2018 წელს. მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის გასაძლიერებლად, საჭიროა, ქვეყნის მესვეურთა კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა (2015; 2016; 2017). „ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ საქართველოს გეოპოლიტიკური როლი და ის უპირატესობები, რაც საინტერესოს ხდის ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის; საქართველოს განვითარებითა და სტაბილურობით დაინტერესებულ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა ჩვენი უსაფრთხოების ერთ-ერთი სერიოზული საერთაშორისო გარანტიაა“, აცხადებს იგი (2015).

საქართველოს პრეზიდენტებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობა ერთგვარი ლეგიტიმაციის წყაროცაა; ისინი საერთაშორისო სისტემაში საქართველოს ინტეგრირებას - „ღირსეული ადგილის დამკვიდრებას“ - საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევენ. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ედუარდ შევარდნაძე ორჯერ (1998; 2001), ხოლო მიხეილ სააკაშვილი სამჯერ (2006; 2011; 2012) აღნიშნავს, რომ მისი მმართველობისას საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის „სრულუფლებიანი წევრი“ გახდა (ან უნდა გახდეს). იმავეს ამბობს გიორგი მარგველაშვილიც 2015 წლის მოხსენებაში; მისი თქმით, საქართველოს საზოგადოებამ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაისახა მიზნად გამხდარიყო „თანამედროვე დემოკრატიული თანამეგობრობის სრულფასოვანი და ღირსეული წევრი“. საერთაშორისო სისტემაში ინტეგრირებას მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის

წინსვლის საზომადაც განიხილავს. „ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი ინტეგრირებული საერთაშორისო სისტემაში როგორც დღეს; არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი დაფასებული და პატივცემული როგორც დღეს; არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი ძლიერი და მდიდარი თავისი მეგობრებითა და სტრატეგიული პარტნიორებით როგორც დღეს“, ამბობს ის 2007 წელს. მსგავსი შინაარსის განცხადებაა 2012 წლის გამოსვლაშიც: „როდესაც ამერიკა და ევროპა ასეთ ნდობასა და თანადგომას უცხადებს საქართველოს და ასე აქტიურად გამოხატავს ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის სურვილს - ეს იმას ნიშნავს, რომ ცივილიზებული სამყარო, უპირველესად, ნდობას უცხადებს მთელ ქართველ ხალხს“.

პრეზიდენტების მეტყველებაში ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. ცივილიზაციის დისკურსიც. საერთაშორისო თანამეგობრობის და მეგობარი ქვეყნების აღწერისას, პრეზიდენტები ხშირად იყენებენ ტერმინებს „ცივილიზებული კაცობრიობა“ (1990), „პროგრესული კაცობრიობა“ (2014), „დემოკრატიული თანამეგობრობა“ (2015), „დემოკრატიული სამყარო“ (2006; 2008; 2009; 2012), „ცივილიზებული სამყარო/ქვეყნები“ (1992; 1994; 1995; 1998; 2006; 2009; 2012; 2015; 2020) და ა.შ. ცივილიზაციის დისკურსის მიზანი ორმხრივია; პრეზიდენტები ამით ცდილობენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის იდეოლოგიური დატვირთვის მიცემას, აგრეთვე, კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამართლებას. ეს უკანასკნელი ხაზი განსაკუთრებით ძლიერია ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში; პრეზიდენტს სურს დემოკრატიული, „ცივილიზებული“ ქვეყნების მაგალითებზე განახორციელოს საშინაო რეფორმები. კერძოდ, პრეზიდენტი საუბრობს ეკონომიკურ (1992), სამხედრო (1992; 1995; 2000), დემოკრატიული მმართველობისა (1994; 1995; 1998), კორუფციასთან ბრძოლის (1999) სფეროებში ამ ქვეყნებში არსებული გამოცდილების გაზიარებაზე და საქართველოში დანერგვაზე.

პრეზიდენტები შევარდნაძე, სააკაშვილი და მარგველაშვილი აღნიშნავენ იმასაც, რომ თავად საქართველოსაც აქვს საერთაშორისო თანამეგობრობისადმი შესასრულებელი ვალდებულებები, მათ შორის, დემოკრატიული რეფორმების განხორციელების (2002; 2017), საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვისა (2008; 2010) და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის (2016) მხრივ. პრეზიდენტი მარგველაშვილი დასძენს, რომ საქართველოს „ცივილიზებული სამყაროს“ წინაშე პასუხისმგებლობა ისეთი

სახელმწიფოს შექმნაცაა, „რომლის ცენტრშიც დგას ადამიანი - დიადი კულტურის მემკვიდრე თანამედროვე ქართველი და მაშასადამე - ევროპელი მოქალაქე“ (2015). „თითოეული ჩვენგანი როგორც ადამიანი, ფასდება იმით, რამდენად შეძლო მან სხვა ადამიანისთვის ცხოვრების შემსუბუქება, სხვა ადამიანისთვის ყურადღების მიქცევა და ასევე ჯამურად, საზოგადოება, ქვეყანა, მისი ადგილი ცივილიზაციის რუკაზე აქედან გამომდინარე ფასდება“, ამბობს მარგველაშვილი (2016).

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას, ის საერთაშორისო თანამეგობრობის შესახებ ყველაზე ნაკლებად საუბრობს. გამსახურდია მხოლოდ 1990 წლის გამოსვლაში ახსენებს „ცივილიზებულ კაცობრიობას“, თუმცა, არა კონკრეტული შინაარსით, არამედ მსოფლიოში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების თვალსაზრისით. შესაბამისად, წინადადებიდან არ ჩანს, თუ რომელ აქტორებს გულისხმობს ამ ტერმინში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. პარტნიორ ქვეყნებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას ახსენებს სალომე ზურაბიშვილიც. საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ ქვეყანამ პარტნიორი სახელმწიფოების რჩევები უნდა გაითვალისწინოს (2019; 2021). წინამორბედების მსგავსად, ტერმინს „ცივილიზებული ქვეყნები“ ზურაბიშვილიც იყენებს და აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ქვეყნებისგან უნდა მიიღოს საქართველომ საზოგადოების ერთიანობის გაკვეთილი (2020).

7.9 სამეზობლო/რეგიონი

საგარეო პოლიტიკური დისკურსისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი გეოგრაფიული სივრცეა სამეზობლო/რეგიონი. ეს ერთეული გვხვდება ყველა პრეზიდენტის გამოსვლაში, თუმცა, სხვადასხვა დასახელებით. მათ შორისაა, „სამეზობლო“, „რეგიონი“, „ჩვენი რეგიონი“, „უშუალო სამეზობლო“, „ჩვენი მეზობლები“ და ა.შ. სამეზობლოსთვის/რეგიონისთვის მინიჭებული მნიშვნელობები საკმაოდ არაერთგვაროვანია; ერთნი მას ეკონომიკური თანამშრომლობის არეალად განიხილავენ, მეორენი კი მასში საქართველოს წარმატების ანარეკლს ხედავენ. ბუნდოვანია მისი საზღვრების საკითხიც; სამეზობლოში/რეგიონში ხან კავკასია იგულისხმება, ხანაც უფრო ფართო ტერიტორია შავი ზღვისა და შუა აზიის ჩათვლით. აღსანიშნავია ისიც, რომ, ხშირად, ამ სივრცეს მასში შემავალი ქვეყნების დასახელების

გარეშე მოიხსენიებენ. სამეზობლო/რეგიონი, ძირითადად, დადებით შინაარსით არის წარმოდგენილი, თუმცა, გვხვდება მისი საფრთხისშემცველ ადგილად წარმოჩენაც.

სულ სამეზობლო/რეგიონი საპრეზიდენტო გამოსვლებში 106-ჯერ არის ნახსენები, რაც მთლიან ხსენებათა 2%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის ამ ერთეულს ყველაზე მეტად გიორგი მარგველაშვილი (3.17%) და მიხეილ სააკაშვილი (2.66%) ახსენებენ. რეგიონს/სამეზობლოს შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ედუარდ შევარდნაძე (1.71%), სალომე ზურაბიშვილი (1.6%) და ზვიად გამსახურდია (0.92%). წლების მიხედვით სამეზობლოს/რეგიონს პროცენტულად ყველაზე მეტი დრო 2013 (6.06%) და 2009 (5.51%) წლებში მიხეილ სააკაშვილმა დაუთმო.

სამეზობლოს/რეგიონს დადებითი დატვირთვა აქვს ყველა პრეზიდენტისთვის. სახელმწიფოს მეთაურები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა მათი პრიორიტეტია. გამსახურდიას თანახმად, ეს ურთიერთობები არსებული საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპსა და „მეგობრობისა და კეთილმეზობლობის საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს“ უნდა დაეფუძნოს (1991). სამეზობლოს/რეგიონის ქვეყნებთან ახლო ურთიერთობების წარმართვას ემხრობა ედუარდ შევარდნაძეც. ის ამბობს, რომ მეზობლებთან ურთიერთობის გამწვავება „საქართველოს ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება“ (1992). „თუ რამე არის პრიორიტეტი, ეს ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობაა“, აღნიშნავს იგი (2000). იმავე სულისკვეთებით საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც: „მეზობლებთან ურთიერთობა არის ჩვენი ინტერესების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი“ (2004). რეგიონში კეთილმეზობლური პოლიტიკის გატარებას ემხრობიან გიორგი მარგველაშვილიც და სალომე ზურაბიშვილიც (2015; 2020).

საქართველოს პრეზიდენტებისთვის სამეზობლო/რეგიონი ეს არის პროდუქციის გასაღების ბაზარი (1995; 2001), მასთან თანამშრომლობის გაღრმავება კი საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრირების ერთ-ერთი საშუალება (2000; 2007; 2008; 2016). გვხვდება ცალკეული პრეზიდენტებისთვის დამახასიათებელი დისკურსებიც. ასე, მაგალითად, სამეზობლოსთან/რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობა საგარეო პოლიტიკის დივერსიფიკაციის საშუალებაა ედუარდ შევარდნაძისთვის (1995; 1997; 2002). „ქვეყანას მსოფლიოს „დიდ პოლიტიკაში“ ჩართვა მხოლოდ აქტიური რეგიონული პოლიტიკის გატარებით შეუძლია“, ამბობს ის 1995 წელს. ეს სივრცე საკუთარი თავის „სხვებთან“ შეპირისპირების არეალია მიხეილ სააკაშვილისთვის; ის

სწორედ რეგიონის/სამეზობლოს მიმართ ახდენს ქვეყნის უპირატესობების ხაზგასმას. ამის მაგალითია განცხადებები, რომ საქართველოს აქვს მთელ რეგიონში/სამეზობლოში საუკეთესო სამედიცინო ცენტრები (2006; 2007), უმაღლესი ხარისხის სასტუმროები (2006; 2009), მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები (2010; 2011; 2012) და ყველაზე დემოკრატიული სისტემა (2013).

პრეზიდენტები აქტიურად ცდილობენ რეგიონის სხვადასხვა ქვეყნის ინტერესთა თანხვედრის არეალად წარმოჩენასაც. ეს ხაზი განსაკუთრებით ძლიერია ედუარდ შევარდნაძისა და გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში. „დღეს ჩვენი რეგიონი საერთაშორისო გაერთიანების, ყველაზე განვითარებული ქვეყნების, მეზობელი სახელმწიფოებისა და უდიდესი ტრანს-ეროვნული კორპორაციების ყურადღების ცენტრშია“, ამბობს შევარდნაძე 1997 წელს. „ნატოსთან ჩვენი დაახლოება, არავის წინააღმდეგ არაა მიმართული და ემსახურება უსაფრთხოების განმტკიცებას რეგიონში. ეს კი ყველა ჩვენი მეზობლის ინტერესებში უნდა იყოს“, ამბობს პრეზიდენტი მარგველაშვილი (2015). გვხვდება სამეზობლოს/რეგიონის საფრთხისშემცველ ადგილად წარმოჩენაც. ასე, მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავს, რომ საქართველო „გეოპოლიტიკურად აქტიურ რეგიონში“ იმყოფება (2002), ხოლო გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ ქვეყანა „არ არის მშვიდ რეგიონში“ (2016). იმავე აზრზეა სალომე ზურაბიშვილი, რომლის თანახმად, საქართველო „რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში მდებარეობს“ (2020). „ჩვენი რეგიონის ირგვლივ არ ცხრება კრიზისები, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება მასშტაბურ კონფლიქტში გადაიზარდოს“, დასძენს იგი (იქვე).

უაღრესად საინტერესოა სამეზობლოს ფარგლების საკითხიც. აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდია უშუალო სამეზობლოდ სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს მოიაზრებს. რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, 1992 წელს ის „ისტორიულ მეზობლებს“ უწოდებს რუსეთს, თურქეთს, უკრაინას, ირანს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, ხოლო 1995 წელს - „უშუალო მეზობლებად“ რუსეთს, უკრაინას, სომხეთს, აზერბაიჯანსა და შუა აზიის ქვეყნებს ასახელებს. 2002 წელს შევარდნაძე, „სხვა მეზობელ ქვეყნებთან“ ერთად, კვლავ ახსენებს უკრაინასა და შუა აზიას. საყურადღებოა ისიც, რომ 1992 წელს შევარდნაძე საუბრობს „შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონზე“, როგორც უსაფრთხოების ერთიან სივრცეზე. სამეზობლოს/რეგიონის საზღვრების საკითხი

ბუნდოვანია მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებშიც. 2005 წელს ის ამბობს, რომ „ჩვენი სამეზობლოა“ სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. მომდევნო წლებში საზღვრები რამდენადმე იცვლება; სამეზობლოში ხან მხოლოდ კავკასია იგულისხმება (2007; 2012), ხანაც „კავკასია და უფრო ფართო რეგიონი“ (2013). 2008 წელს „რეგიონი“ უფრო ვრცელ არეალს მოიცავს, მათ შორის, უკრაინას, თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და შუა აზიას. ამასთანავე, 2011 წლის მოხსენებაში პრეზიდენტი განასხვავებს „აღმოსავლეთ ევროპასა და ჩვენს სამეზობლოს“, რაც ეწინააღმდეგება მისი სხვა გამოსვლების სულისკვეთებას (იხილეთ დასავლეთის/ევროპის ქვეთავი). რეგიონის/სამეზობლოს აღმწერი ტერმინები - „ჩვენი რეგიონი“, „რეგიონი“ და „ჩვენი მეზობლები“ - შემდგომ წლებშიც გამოიყენება (2014; 2016; 2017; 2020), თუმცა, არ ხდება ქვეყნების დასახელება. გამონაკლისია 2014 წლისა და 2017 წლის გამოსვლები; აქედან პირველში „რეგიონი“ თურქეთთან და აზერბაიჯანთან თანამშრომლობის კონტექსტშია ნახსენები, ხოლო მეორეში - შავი ზღვის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

7.10 საბჭოთა კავშირი

საპრეზიდენტო დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი პოლიტიკური ერთეულია საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირი სახელმწიფო მეთაურების გამოსვლებში ორი სხვადასხვა სახით გვევლინება: როგორც წარსული იმპერია, რომელიც წარუმატებლად ცდილობდა საქართველოს დამორჩილებას და როგორც საქართველოს განვითარების ერთგვარი „სარკე“ - პოლიტიკური ერთეული, რომელთან შედარებებითაც ხდება თანამედროვე საქართველოს მიღწევებისა და წარუმატებლობების გაზომვა. მთლიანობაში საბჭოთა კავშირი ცალსახად უარყოფითად არის წარმოდგენილი; ესაა ჩამორჩენილობის, განუვითარებლობის ერთგვარი სიმბოლო. ამის გამოხატულებაა ის, რომ პრეზიდენტები საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა სფეროში „საბჭოურ“ მემკვიდრეობასთან ბრძოლას. სულ საბჭოთა კავშირი საპრეზიდენტო გამოსვლებში 92-ჯერ არის ნახსენები, რაც მთლიან ხსენებათა 1.81%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირს ზვიად გამსახურდია ახსენებს (44.44%), რაც იმით აიხსნება, რომ მისი მმართველობისას საქართველო იურიდიული თვალსაზრისით ჯერ კიდევ იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი. ხსენების პროცენტებით მომდევნონი არიან სალომე

ზურაბიშვილი (3.6%) და მიხეილ სააკაშვილი (2.1%). საბჭოთა კავშირს შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობს ედუარდ შევარდნაძე (2.4%), გიორგი მარგველაშვილი კი მის გამოსვლებში ამ პოლიტიკურ ერთეულს საერთოდ არ ახსენებს. წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო საბჭოთა კავშირს 1990 (61.1%) და 1991 (27.8%) წლებში ზვიად გამსახურდიამ დაუთმო.

საბჭოთა კავშირზე საუბარს პირველად ზვიად გამსახურდია 1990 წლის გამოსვლაში, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში იწყებს. გამსახურდიასთვის საბჭოთა კავშირი ცალსახად უარყოფითი აქტორია; ესაა იმპერია, რომელმაც 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა, მომდევნო ათწლეულებში კი საფრთხე შეუქმნა საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ყოფას, აგრეთვე, მის სულიერ და კულტურულ ღირებულებებს (1990). უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ქართველი ერი „უმკაცრესი სისხლიანი დიქტატურის პირობებშიც“ კი იბრძოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის (იქვე). ამასთანავე, ის მიიჩნევს, რომ საქართველოში საბჭოთა მმართველობა სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული. კერძოდ, ის მოიხმობს არგუმენტს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია, რაც, გამსახურდიას მოსაზრებით, ძალას უკარგავს საქართველოში მოქმედ საბჭოთა კონსტიტუციას (იქვე). „მართალია საბჭოთა იმპერიამ საქართველოს ძალადობით თავს მოახვია თავისი კონსტიტუცია, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით მისი მოქმედება დღემდე მხოლოდ ფაქტობრივი იყო და არა იურიდიული“, ამბობს იგი (იქვე). გამსახურდია დასძენს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოში ჩატარებული პირველი არასაბჭოური არჩევნების წყალობით, „ამ ფაქტობრივ მოქმედებასაც თანდათანობით ეცლება საფუძველი“ (იქვე).

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანახმად, ის და მისი მთავრობა გარდამავალ პერიოდში ცენტრის „დიქტატს“ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქტებით დაუპირისპირდებიან (იქვე). გამსახურდია აცხადებს, რომ მისი საბოლოო მიზანია „ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია“ და „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის“ აღდგენა, ამ მიზნის მისაღწევად, ის მზადაა მოსკოვთან და დასავლეთის ქვეყნებთან მოლაპარაკებისთვის (იქვე). საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების საჭიროებაზე ზვიად გამსახურდია მომდევნო გამოსვლაშიც ამახვილებს ყურადღებას. იგი იმედოვნებს, რომ მწვავე პოლიტიკური

კონფრონტაციის მიუხედავად, საბჭოთა კავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია მაინც მოხდება, რასაც შემდგომში საქართველოს საერთაშორისო აღიარება მოჰყვება. „ჩვენ, არაერთგზის განგვიცხადებია და ახლაც ვადასტურებთ, რომ სსრკ-თან ურთიერთობის მოგვარება უმნიშვნელოვანესია საქართველოსათვის“, აცხადებს პრეზიდენტი (იქვე).

გამსახურდია დიდ ყურადღებას უთმობს „საბჭოურ“ მემკვიდრეობასთან ბრძოლის საკითხსაც. „საბჭოთა იმპერიული“ სტრუქტურების ნაცვლად, მას სურს „ახალი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება“, ხოლო ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ე.წ. ნომენკლატურული სისტემის ნაცვლად, არჩევითობის პრინციპის დამკვიდრება (1990). გამსახურდია ემხრობა ცენტრალური დაგეგმვის სისტემის საბაზრო ეკონომიკური მოდელით თანდათანობით ჩანაცვლებასაც.

> ჩვენი ეკონომიკის ზემოხსენებული სავალალო სურათი ცხადია, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია სოციალისტური ეკონომიკური სისტემის არაეფექტიანობით, ცენტრალური დაგეგმვის პრინციპი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია ასეთ ვითარებაში, ამასთან ერთად იგი ხელს უწყობს საქართველოს კოლონიურ ძარცვას, ჩვენი ეკონომიკის დაქვემდებარებას ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკის სისტემის დიქტატისაგან. მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან რესურსებს უნდა ანაწილებდნენ საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია, სახელმწიფოს კონტროლი კი ამ განაწილებისადმი, ისევე, როგორც ფასების კონტროლი, არ უნდა ემყარებოდეს ადმინისტრირების დრომოჭმულ მეთოდს. (1990)

> ჩვენ გვესმის, რომ ამ გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე შეიძლება მოხდეს წარმოების მოცულობის დროებითი შემცირება, მაგრამ ეს არის ჩვენი საზღაური 70-წლიანი ტოტალიტარული სისტემისაგან გასათავისუფლებლად, რადგან მხოლოდ ეს გზა იძლევა თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის შესაძლებლობას. (1991)

საბჭოურ მემკვიდრეობასთან ბრძოლაზე საუბარს მომდევნო პრეზიდენტიც აქტიურად აგრძელებს. გამსახურდიას მსგავსად, პრეზიდენტ შევარდნაძესაც სურს სახელმწიფო ბიუროკრატიის საქმიანობის საბჭოური მოდელების გარდაქმნა (1995), „ტოტალიტარული წყობის ნაშთების დემონტაჟი“ (1998), თავდაცვის საბჭოური სისტემის „საბოლოოდ დაძლევა“ (2000) და ტოტალიტარული ეპოქიდან შემორჩენილი „უკანასკნელი ხუნდის“ - კორუფციის - აღმოფხვრა (2002). საბჭოური მემკვიდრეობა უარყოფითია მიხეილ სააკაშვილისთვისაც. ასე, მაგალითად, 2007 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ მისმა ხელისუფლებამ წარმატებით ამოძირკვა „მრავალი საზარელი საბჭოთა ტრადიცია“, მათ შორის, ჩვენების გამოძალვა და იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება. იმავე წელს სააკაშვილი ამბობს, რომ მისი მიზანია „საბჭოთა მემკვიდრეობით გადმოცემული ამორტიზებული, ანტისანიტარული და თანამედროვეობისათვის შეუფერებელი საავადმყოფოების“ პრობლემის გადაწყვეტა (2007).

საბჭოთა კავშირი ცალსახად უარყოფითად არის წარმოდგენილი სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებშიც. ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველო 70 წელი იყო საბჭოთა საზღვრებში „ჩაკეტილი“ და „დანარჩენი მსოფლიოსგან მოკვეთილი“ (2020). გამსახურდიას მსგავსად, ზურაბიშვილიც ხაზს უსვამს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ეს არის მრავალი თაობის ქართველთა ოცნება. „დამოუკიდებლობის აქტი ნიშნავს, რომ ყველამ ერთად გაიმარჯვა - 1921 წლის იუნკრებმა, 1923 წელს დახვრეტილმა ოფიცრებმა და საქართველოს პატრიარქმა ამბროსიმ, 1922, 1923, 1924 წლების აჯანყებულებმა და ცხადია, 9 აპრილის გმირებმა და ზვიად გამსახურდიამ“, აცხადებს პრეზიდენტი (2021).

ამავდროულად, საბჭოთა კავშირი საქართველოს მდგომარეობის ერთგვარ სარკედაც გვევლინება; სწორედ მასთან შედარებით ხდება საქართველოს წარმატებისა თუ წარუმატებლობის ხაზგასმა სხვადასხვა სფეროში, ძირითადად, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობის მხრივ (1995; 2000; 2009). გვხვდება საბჭოთა კავშირის დადებითი წარმოჩენაც. ასე, მაგალითად, 2001 წელს ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში საქართველოს „მართლაც საამაყო პოზიცია ეკავა ... წერა-კითხვის უცოდინართა ერთ-ერთი ყველაზე დაბალი დონით“. მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა 2004 წელს, როცა საქართველოს ვითარების სიმძაფრის აღსაწერად განაცხადა, რომ „ერთ დროს [ქვეყანა]

ყველაზე კარგად ცხოვრობდა, არ ჰქონდა არც გადაადგილების, არც განათლების, არც ბავშვების დაბინავების, არც სტუმართა გამასპინძლების [პრობლემა]“.

საქართველოს პრეზიდენტების დისკურსში გვხვდება საბჭოთა კავშირის, როგორც საქართველოსა და ქართველი ერის მჩაგვრელის რეპრეზენტაციაც. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას თანახმად, მოსკოვი განგებ ახდენდა საქართველოში ეთნიკურად ქართველების დისკრიმინაციას და არაქართველთა პრივილეგირებას, მათ შორის, თბილისში მდებარე სახელმწიფო დაწესებულებებში. იგი ასევე აღნიშნავს, რომ საბჭოეთის მიერ ძალადობით თავსმოხვეულმა და „ქართველი კაცისთვის უცხო, არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა“ დავიწყებას მისცა „საუკუნეებით გამომუშავებული და მის ეთნოფსიქიკაზე დაფუძნებული სამეურნეო სისტემა“ და ამით, ქართველ ერს შრომისმოყვარეობასთან ერთად, თავისუფლებაც წაართვა (1991). მჩაგვრელი იმპერიის სახე-ხატი დამახასიათებელია მიხეილ სააკაშვილისთვისაც. 2006 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირისთვის საქართველოს დამონებას „ერთგვარი ხიბლი ჰქონდა“ - „ის იყო ყველაზე კარგი, ვინაიდან აქ ყველაზე ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს“, 2010 წელს კი - ის ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით საქართველოში „ყველაფერი [ისე] უნდა ყოფილიყო, როგორც პროვინციაში“.

> მოდით ერთი წუთით დავფიქრდეთ იმაზე თუ რა არის ამ გზის ალტერნატივა - ჩამორთმეული თავისუფლება და იმ დროში დაბრუნება, როდესაც ცენტრიდან უფროსები ჩამოდიოდნენ, რათა დამტკბარიყვნენ ჩვენი ღვინით და კონიაკით; საქართველოსთვის შეეხედათ, როგორც ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის, ხოლო ქართველებისთვის - როგორც ამ მუზეუმის ექსპონატებისთვის თავის სუფრით, სიმღერით და ცეკვით. დავითის და თამარის ქვეყანას როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, არსებობა ეკრძალებოდა. კონიაკი და იაფი თვითმფრინავის ბილეთები კარგი იყო, მაგრამ საქართველოს არც ერთ ქალაქს არ უნდა ჰქონოდა წყალგაყვანილობის სისტემა, არცერთი ტრასა არ უნდა ყოფილიყო მაღალი ხარისხის. ბათუმში წყალგაყვანილობის სისტემა შექმნილია ნობელების მიერ რევოლუციამდე. წყალგაყვანილობა არ იყო არც ქუთაისსა და წყალტუბოში. გაზიფიკაცია საბჭოთა დროს, 30 პროცენტამდე იყო, ჩვენ ახლა ავდივართ 87 პროცენტზე... იმდენად არაკონკურენტუნარიანი უნდა ყოფილიყო

ჩვენი პროდუქცია, თავად ჩვენ იმდენად მეორეხარისხოვანი უნდა ვყოფილიყავით, რომ პირველხარისხოვნად გადაქცევაზე ოცნებაც ვერ გაგვებედა. (2010)

ამ მოსაზრებას იზიარებს სალომე ზურაბიშვილიც. 2021 წელს ის ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი „ყველა საშუალებით ცდილობდა დაექუცმაცებინა, დაეშალა საქართველო და ერთმანეთთან დაეპირისპირებინა საქართველოს მოქალაქეები“.

7.11 ახლო აღმოსავლეთი

ქართული საგარეო პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი გეოგრაფიული არეალია ახლო აღმოსავლეთი. საქართველოს პრეზიდენტებისთვის ახლო აღმოსავლეთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული სივრცეა, რომელსაც სხვა დიდი გეოგრაფიული არეალებისგან განასხვავებენ. საპრეზიდენტო გამოსვლების ანალიზი აჩვენებს, რომ სხვა მეზობელ და მიმდებარე რეგიონებთან შედარებით, მას გაცილებით უფრო ნაკლები პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. გეოგრაფიული სიახლოვისა და ისტორიული კავშირების მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთი ქართული საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის მაინც „უცნობ მხარედ“ რჩება. შესაბამისად, ამ რეგიონზე საუბრისას, სამომავლო გეგმები უფრო სჭარბობს, ვიდრე არსებული ურთიერთობები. ამის მიუხედავად, ნაკლებია გეოპოლიტიკური აზროვნების კვალი; ახლო აღმოსავლეთთან ურთიერთობა უფრო დანაწევრებულად, ორმხრივი კავშირების დონეზეა დაყვანილი და ფართო პოლიტიკურ-ეკონომიკური მასშტაბს არ იძენს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ეს რეგიონი მეტწილად მაინც ნეიტრალურად არის წარმოდგენილი. ხდება ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სამაგალითო მოდელად წარმოჩენაც.

სულ ახლო აღმოსავლეთი, მისი ქვე-რეგიონები და ცალკეული ქვეყნები ნახსენებია 84-ჯერ, რაც მთლიან ხსენებათა 1.65%-ს შეადგენს. ერთეულებს შორის ყველაზე მეტად ახსენებენ ავღანეთს (17), ირანს (16), ისრაელს (16), საკუთრივ ახლო აღმოსავლეთს (10), ერაყს (6), არაბულ ქვეყნებს (6), არაბთა გაერთიანებულ საამიროებს (4), სპარსეთის ყურეს (2), კატარს (2), ეგვიპტეს (1), ქუვეითს (1), საუდის არაბეთს (1), იორდანიასა (1) და ლიბანს (1). რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტს ახლო

აღმოსავლეთზე მიხეილ სააკაშვილი (2.91%) და გიორგი მარგველაშვილი (2.46%) საუბრობენ. ახლო აღმოსავლეთს შედარებით ნაკლებად ახსენებენ სალომე ზურაბიშვილი (1.6%) და ედუარდ შევარდნაძე (1.03%), ზვიად გამსახურდია კი მის გამოსვლებში ამ რეგიონს საერთოდ არ ეხება. წლების მიხედვით პროცენტულად ყველაზე მეტი დრო ახლო აღმოსავლეთს 2004 (9.63%) და 1994 (7.81%) წლებში, მიხეილ სააკაშვილმა და ედუარდ შევარდნაძემ დაუთმეს.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ირანს. ირანთან „ხელსაყრელი“ ურთიერთობების აუცილებლობის შესახებ საუბარს ედუარდ შევარდნაძე 1992 წლიდან იწყებს. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე აღნიშნავს, რომ ირანი საქართველოს ისტორიული მეზობელია. „ჩვენ თუ ხელი ავიღეთ ისტორიულ მეზობლებთან… თანაარსებობაზე, თვითონ ვერ ვიარსებებთ“, ამბობს შევარდნაძე (1992). ირანთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება პრიორიტეტულად რჩება შემდეგ წლებშიც: 1994 წელს შევარდნაძე ირანული გაზის შესყიდვაზე საუბრობს, 1995 წელს კი მის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობაზე (თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ერთად). 1999 წელს ის დასძენს, რომ საქართველოსა და ირანის თანამშრომლობაში „ბევრი გამოუყენებელი“ რეზერვია. ირანზე, როგორც დიდი პოტენციალის მქონე ბაზარზე საუბარს მიხეილ სააკაშვილი და გიორგი მარგველაშვილიც აგრძელებენ. სააკაშვილისთვის ირანი ბუნებრივი აირის მოწოდების ალტერნატიული წყარო (2006) და ელექტროენერგიის გასაღების ბაზარია (2010), მარგველაშვილი კი ხაზს უსვამს ირანისთვის დაწესებული ეკონომიკური შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში საქართველოს, როგორც სპარსეთის ყურისა და ევროპის დამაკავშირებელი რგოლის როლზე (2016). მთლიანობაში საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლებში ირანი საკმაოდ ნეიტრალურად არის წარმოჩენილი. ამასთანავე, ის არც მისაბაძი მაგალითია და არც არასასურველი მოდელი.

ხსენების სიხშირის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის რიგით მესამეა ისრაელი. ის თანმიმდევრულად, თითქმის ყველა პრეზიდენტის მოხსენებაში გვევლინება საქართველოს მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოდ. ისრაელთან, როგორც ახლო აღმოსავლეთში მდებარე დემოკრატიულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობაზე მის საპრეზიდენტო პროგრამაში საუბრობს ზვიად გამსახურდია. გამსახურდია ამბობს, რომ ისრაელთან ურთიერთობის გაღრმავების მიმართულებით

გამოყენებული უნდა იქნეს „ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ტრადიციულად არსებული მეგობრული დამოკიდებულება“ (1991ა). ისრაელთან არსებულ ურთიერთობებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ედუარდ შევარდნაძეც. ის რამდენჯერმე ასახელებს ისრაელს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ახლო პარტნიორს (1992; 1995; 1998; 2000). ქართველებსა და ებრაელებს შორის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებზე ხაზგასმა გვხვდება ედუარდ შევარდნაძისა (1998; 1999) და მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში (2010). საგულისხმოა, რომ სალომე ზურაბიშვილის მოხსენებაში ჩნდება ისრაელის, როგორც მისაბაძი სახელმწიფოს წარმოჩენაც. COVID19-ს პანდემიის თაობაზე საუბრისას, ზურაბიშვილი ამბობს, რომ დაავადებაზე გამარჯვებას მხოლოდ ერთიანი და პასუხისმგებლობიანი მიდგომით შეიძლება მივაღწიოთ: „ასეთი მიდგომის მაგალითი გვაჩვენა პატარა ქვეყანამ ისრაელმა, ამ ქვეყანამ, რომელმაც მთლიანობაში კარგად გაიაზრა, რომ სოლიდარობა და ერთიანობა განაპირობებს ეკონომიკის გადარჩენას და თითოეული ოჯახის ხვალინდელ კეთილდღეობას“ (2021). ახლო აღმოსავლეთის სხვა რეგიონებსა და ქვეყნებს - დუბაის, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და კატარს - სამაგალითო მოდელებად მიხეილ სააკაშვილიც განიხილავს. აქედან პირველი, არაკორუმპირებულების, მოქნილი ბიზნესგარემოსა და მოსახერხებელი ადგილმდებარეობის მაგალითია: „საქართველოს აქვს არაკორუმპირებული მოქნილი გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს ყველას ჩვენი ქვეყანა გამოიყენოს, როგორც მთავარი საოპერაციო პლაცდარმი. საქართველო შეასრულებს იგივე როლს, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში ასრულებს დუბაი, ხოლო აზიაში ასრულებდა სინგაპური“ (2007). დანარჩენი ორი კი სააკაშვილისთვის ლიბერალური საგადასახადო რეგულაციების მისაბაძ მაგალითს წარმოადგენენ (2010). რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის სხვა არაბულენოვან სახელმწიფოებს, ეს ქვეყნები მხოლოდ ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოების კონტექსტში განიხილებიან. ასე, მაგალითად, 1998 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებს, რომ არაბული სამყაროს ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობაში „გარღვევა“ მოხდა. არაბულენოვანი სამყარო ფიგურირებს მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებშიც. პრეზიდენტი 2004 წლის მოხსენებაში აცხადებს, რომ აქამდე, არაბული ქვეყნები საქართველოსთვის „უცნობი ზონა“ იყო. „არადა, ეს არის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ბაზრები და სხვა ეკონომიკური სიძლიერის წყარო“, ამბობს იგი მოხსენებისას (2004). მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში გვხვდება ახლო

აღმოსავლეთის საფრთხის წყაროდ წარმოჩენაც. აქედან პირველი 2006 წელს აცხადებს, რომ ნარკოტიკების მთავარი გზა ავღანეთიდან საქართველოზე გადის, ხოლო მეორე - 2015 წელს ამბობს, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომი და ტერორიზმის მომძლავრება საქართველოსთვის სერიოზული გამოწვევაა - „ახლო აღმოსავლეთის მოვლენები ხომ უშუალოდ აისახება უსაფრთხოების გარემოზე კავკასიაშიც“.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ერაყი და ავღანეთი. ამ ორ ქვეყანაზე საუბარი იქ მიმდინარე საერთაშორისო ოპერაციებში ქართველი სამხედროების ჩართულობის კონტექსტში ხდება, იქ მონაწილეობა კი ნატოსთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოების საშუალებად განიხილება. ასე, მაგალითად, 2007 წელს მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ქართველი ჯარისკაცები „მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილებში მხარდამხარ დგანან მსოფლიოს უძლიერესი არმიის მებრძოლებთან“, 2014 წელს კი გიორგი მარგველაშვილი აცხადებს, რომ ქართველი მეომრები „გმირულად მსახურობენ“ ავღანეთში და ამით, პროფესიონალიზმს იმაღლებენ. წინა პრეზიდენტების მოსაზრებას იზიარებს სალომე ზურაბიშვილი. 2019 წელს ის ამბობს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები „შორეულ ავღანეთში თავიანთი პროფესიონალიზმითა და სიმამაცით საქართველოს ასახელებენ“.

7.12 პოსტ-საბჭოთა სივრცე

საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსში წარმოდგენილია პოსტ-საბჭოთა სივრცეც, თუმცა, სხვა გეოგრაფიული არეალებისგან განსხვავებით, ის გაცილებით უფრო ნაკლები სიხშირით მოიხსენიება. აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტები პოსტ-საბჭოთა სივრცეს რაიმე განსაკუთრებულ ნიშან-თვისებას ან შინაარსს არ ანიჭებენ და მას, ძირითადად, საქართველოს უპირატესობების ხაზგასასმელად მოიხმობენ. გვხვდება ტერმინ „პოსტ-საბჭოთას“ უარყოფითი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებიც; პრეზიდენტები მიხეილ სააკაშვილი და გიორგი მარგველაშვილი პოსტ-საბჭოთა სივრცისგან თავის დაღწევას ევროპისკენ გადადგმულ ნაბიჯად განიხილავენ.

სულ პოსტ-საბჭოთა სივრცე საპრეზიდენტო გამოსვლებში 42-ჯერ არის ნახსენები, რაც მთლიან ხსენებათა 0.8%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის ამ ერთეულს ყველაზე მეტად მიხეილ სააკაშვილი ახსენებს (1.6%). პოსტ-საბჭოთა სივრცეს მინიმალურ

ყურადღებას უთმობენ ედუარდ შევარდნაძე (0.6%) და გიორგი მარგველაშვილი (0.3%), სალომე ზურაბიშვილი კი მის გამოსვლებში აღნიშნულ გეოგრაფიულ ერთეულს საერთოდ არ ახსენებს. წლების მიხედვით პოსტ-საბჭოთა სივრცეს პროცენტულად ყველაზე მეტი დრო 2005 (4.88%) და 2006 (4.2%) წლებში მიხეილ სააკაშვილმა დაუთმო.

პოსტ-საბჭოთა სივრცეზე საუბარი პირველად ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში გვხვდება. პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოს პოსტ-საბჭოთა სივრცის ნაწილად მოიაზრებს და აქტიურად მსჯელობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო ურთიერთობების საჭიროებაზე. შევარდნაძე ამბობს, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებთან საქართველოს განსაკუთრებული პოლიტიკის გატარება მოუწევს, რათა არ დაიკარგოს საქართველოსთვის ნაცადი „უზარმაზარი და ეკონომიკურად ხელსაყრელი ბაზარი, [და] სანედლეულო რესურსები“ (1992). შევარდნაძე დასძენს, რომ საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში შექმნილ ორგანიზაციებს „დიდ მნიშვნელობას“ ანიჭებს, განსაკუთრებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (1995; 2002).

შევარდნაძისთვის დამახასიათებელია პოსტ-საბჭოთა სივრცესთან საქართველოს შედარებებიც. ასე, მაგალითად, ის აცხადებს, რომ პოსტ-საბჭოურ ქვეყნებს შორის, 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველო ყველაზე მეტად დაზარალდა (2002). შევარდნაძე ხაზს უსვამს საქართველოს უპირატესობებსაც. მისი თქმით, საქართველო პირველია პოსტ-საბჭოთა სივრცეში, სადაც პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაციის ძალისხმევაში საერთაშორისო ორგანიზაციები ჩაერთნენ (1999), აგრეთვე, სადაც სოციალური პოლიტიკის გაბედული ნაბიჯები იდგმება (1997). შევარდნაძე დასძენს, რომ საქართველო ესაა ქვეყანა, რომელიც პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის სამაგალითო კანონებს ქმნის (2000) და რომელიც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების უპრეცედენტო დახმარებით სარგებლობს (2002).

ამგვარი შედარებებისთვის პოსტ-საბჭოთა სივრცეს ხშირად იყენებს პრეზიდენტი სააკაშვილიც. მისთვის საქართველო ამ სივრცის უკონკურენტო რეფორმატორია, რომელსაც რეგიონის სხვა ქვეყნებიც შეჰყურებენ შთაგონებისთვის (2006). სააკაშვილის თქმით, საქართველოს ჰყავს ყველაზე კომპეტენტური (2004) და ყველაზე სუფთა (2005) მთავრობა მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ის ხაზს უსვამს, რომ თბილისი, მოსკოვის გარდა, ერთადერთი ქალაქია პოსტ-საბჭოთა სივრცეში, „სადაც

თითქმის ყველა დიდი სასტუმრო და საერთაშორისო ბრენდი იქნება წარმოდგენილი“ (2005). სააკაშვილი ამაყობს იმითაც, რომ საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თავისუფლების კუთხით უდავო ლიდერია (2006; 2010), და რომ ამ რეგიონში ყველაზე მაღალი ნდობით აღჭურვილი პოლიცია ჰყავს (2005). მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში გვხვდება პოსტ-საბჭოთა სივრცის ევროპასთან შეპირისპირების მაგალითებიც. სააკაშვილის თქმით, მისი მთავრობის მიზანია „პოსტ-საბჭოთა ქვეყნიდან საქართველო ვაქციოთ ევროპულ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ“ (2011). „არცთუ დიდი ხნის წინათ, ჩვენ ვიყავით პოსტ-საბჭოთა ქვეყანა და ახლა ევროკავშირისა და ნატოს ზღურბლზე ვდგავართ“, დასძენს ის 2013 წელს. ამ თვალსაზრისით, მიხეილ სააკაშვილისთვის პოსტ-საბჭოურობიდან, პოსტ-საბჭოთა სივრციდან თავის დაღწევა ევროპისკენ გადადგმულ ნაბიჯად გვევლინება. პოსტ-საბჭოთა სივრცეს სწორედ ამ შინაარსით მოიხმობს გიორგი მარგველაშვილიც. „პოსტ-საბჭოთა ქვეყნიდან - ევროპულ სახელმწიფომდე - სწორედ ასე განისაზღვრება ჩვენი უახლოესი მომავლის ისტორიული და პოლიტიკური მისია“, აცხადებს ის 2014 წელს. „პოსტ-საბჭოთა ქვეყნიდან - ევროპულ სახელმწიფომდე - შარშან პარლამენტში, სწორედ ასე განვსაზღვრე ჩემი წლიური გამოსვლის მიზანი, წელს კი ჩვენ მტკიცე ნაბიჯი უნდა გადავდგათ ევროპული სახელმწიფოს განმტკიცებისათვის“, დასძენს ის ერთი წლის შემდეგ.

7.13 სხვა რეგიონები

რაც შეეხება მსოფლიოს დანარჩენ კონტინენტებს (აფრიკა, სამხრეთ ამერიკა და ოკეანეთი), მათი ხსენებათა რაოდენობა (51) და პროცენტული წილი (1%) მინიმალურია. საგულისხმოა ისიც, რომ ამ რეგიონებსა და მათ ცალკეულ ქვეყნებს რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებათ.

8. კვლევის მიგნებები: ვინ ვართ „ჩვენ“?

8.1 განსაკუთრებული/წარმატებული

საქართველოს პრეზიდენტების საპარლამენტო მოხსენებებში წამყვანი იდენტობის კატეგორიაა ‘საქართველო, როგორც განსაკუთრებული/წარმატებული ქვეყანა’. ამ კატეგორიის წინადადებათა მაჩვენებელი საგარეო პოლიტიკური წინადადებების სრული რაოდენობის 10.4%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის, საქართველოს განსაკუთრებულობაზე და მის წარმატებებზე ყველაზე მეტს მიხეილ სააკაშვილი საუბრობს (24.2%). მას მოსდევენ სალომე ზურაბიშვილი (8%), ედუარდ შევარდნაძე (5.5%) და ზვიად გამსახურდია (5%). ამ იდენტობას შედარებით ნაკლებად მოიხმობს გიორგი მარგველაშვილი (2.5%). პრეზიდენტებისთვის საქართველოს გამორჩეულობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ქართველების კულტურული და რელიგიური იდენტობაა, რაც უკლებლივ ყველა პრეზიდენტის მოხსენებაში გვხვდება, თუმცა, ის განსაკუთრებით ძლიერი დამოუკიდებლობის პირველ წლებში იყო, როცა სახელმწიფოს მეთაურები საქართველოს გამორჩეულობის ხაზგასმას ძირითადად წარსულის კონტექსტში, მისი ისტორიული გამოცდილებების მოშველიებით ცდილობდნენ. პრეზიდენტების თანახმად, ქართველ ერს აქვს ბუნებით ნაბოძები ისეთი სიკეთეები, როგორიცაა ხელსაყრელი მდებარეობა და უნიკალური კულტურა, აგრეთვე, ისეთი ღირებულებები, როგორიცაა სიმტკიცე და შემწყნარებლობა. საგულისხმოა, რომ თუ 1990-იანი წლების დასაწყისში კულტურული და რელიგიური არგუმენტები ჭარბობდა, ათწლეულის მიწურულს ძალას იკრებს საქართველოს, როგორც წარმატებული სახელმწიფოს სახე-ხატი. ამ თვალსაზრისით, საქართველო გვევლინება, როგორც დემოკრატიის, სახელმწიფოს მშენებლობის, ეკონომიკური რეფორმებისა და საზოგადოების მედეგობის სანიმუშო მაგალითი - ქვეყანა, რომელიც დაუღალავად ცდილობს საკუთარი თავის გაუმჯობესებას და ამით, შთაგონებას აძლევს სხვებსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს წარმატებულობის ხაზგასასმელად, პრეზიდენტები ხშირად იყენებს გარე სამყაროსთან შედარებებს. გეოგრაფიულ სივრცეებს შორის, ყველაზე ხშირად მსოფლიოსთან შედარებები გვხვდება, თუმცა, იძებნება ევროპასთან, პოსტ-კომუნისტურ სივრცესთან და კავკასიასთან შედარებებიც.

დიაგრამა #21: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც განსაკუთრებული/წარმატებული ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით*



** ამ და მომდევნო დიაგრამებზე წარმოდგენილი მონაცემები დათვლილია შესაბამისი პრეზიდენტის ან წლის საგარეო პოლიტიკური წინადადებების სრული რაოდენობიდან*

იდენტობის ეს კატეგორია პირველად ზვიად გამსახურდიას მოხსენებებში გვხვდება. საგულისხმოა, რომ გამსახურდიასთვის საქართველოს გამორჩეულობის ძირითადი მიზეზი ქართველების კულტურული და რელიგიური მახასიათებლებია. ამის მაგალითია განცხადებები, რომ „ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით", რომ „საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა", და რომ ქართველების ცხოვრების წესი და მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვისა და რწმენისთვის „ეს არის მოწამებრივი, ქრისტესმიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა" (1991). „ეროვნული ხელისუფლების ვალია, იყოს ღირსი უდიდესი მისიისა, შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა, საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში", ამბობს პრეზიდენტი (იქვე). გამსახურდია საქართველოს განსაკუთრებულობას პოლიტიკური მიღწევების ჭრილშიც განიხილავს. კერძოდ, ის ამბობს ამბობს, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნებით „მთელი მსოფლიო განცვიფრებულია". სახელმწიფოს მეთაური იმავე გამოსვლაში აცხადებს, რომ საქართველოს ბრძოლა

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის „მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია“ (1990).

საქართველოს განსაკუთრებულობის იდეა ძლიერია ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მეტყველებაშიც. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოს გამორჩეულობის გამოკვეთას ძირითადად წარსულის კონტექსტში, მისი კულტურული მიღწევების მოშველიებით ცდილობს. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესოა შევარდნაძის პირველი, 1992 წლის მოხსენება. აქ შევარდნაძე აღნიშნავს, რომ ქართული კულტურა მსოფლიოში „ერთ-ერთი უძველესი და უნიკალურია“ (1992).

> არ შეიძლება ქართველი კაცის გული კანონიერი სიამაყის გრძნობით არ აივსოს როცა თვალს ავლებს მშობლიური კულტურის ისტორიას. 23 საუკუნის წინათ შეიქმნა ქართული ანბანი. 1600 წლის წინათ მივიღეთ ქრისტიანობა. 15 საუკუნის წინ დაიწერა დღემდე შემორჩენილი პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები. V საუკუნეში გვყავდა დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსი პეტრე ივერი (დიონისე არეოპაგელი). IV-VI საუკუნეებში უკვე გვქონდა ფაზისის, უფრო გვიან გელათისა და იყალთოს აკადემიები. XII საუკუნეში შეიქმნა აღმოსავლური რენესანსის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“, რუსთაველი დანტეს მთელი საუკუნით უსწრებს წინ. ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობისაა ჩვენი მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, არქიტექტურა, თეატრი, კინო, ქორეოგრაფია, მხატვრობა... რომელი ერთი დავასახელო! დიდია მიღწევები მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა დარგში, სპორტში. (1992)

პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველო გამორჩეულია შემწყნარებლობის, სტუმართმოყვარეობისა და ჰუმანიზმის ტრადიციებით (იქვე).

> საქართველოში მუდამ თანაარსებობდნენ სხვადასხვა რელიგიები: ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი. ქრისტიანი მეფის დავით აღმაშენებლის კარზე მოღვაწეობდნენ მაჰმადიანი პოეტები, ფილოსოფოსები, მოაზროვნენი. ეს ქართული ისტორიული ტრადიციაა და ისტორიული გაკვეთილია. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა რელიგიათა თანაარსებობა ჰუმანიზმისა და კაცთა მოდგმის გადასარჩენად, საქართველოს როგორც

> ცივილიზებული ქვეყნის, საერთაშორისო პრესტიჟისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად, მსოფლიო პოლიტიკასა და კულტურაში სათანადო წვლილის შესატანად. (1992)

შევარდნაძე დასძენს, რომ ქართველი ერი ბუნებით ჰუმანურია. „ჩვენ ის ერი ვართ, ვინც შექმნა მსოფლიო ჰუმანიზმის ხალხური შედევრი „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ გახსოვთ როგორ დასტირის ქართველი დედა თავის დაღუპულ შვილს და რა სიტყვებს ამბობს: იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა ტირისო“, ამბობს იგი (იქვე). ნიშანდობლივია, რომ 1992 წლის გამოსვლაში გვხვდება ქრისტიანობის მნიშვნელობაზე ხაზგასმაც, რაც ზვიად გამსახურდიას შეხედულებებს ეხმიანება.

> საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ქრისტიანულმა რელიგიამ მოიტანა ქართული მესიანური სული და ქართველის რწმენა ეროვნული ძალებისადმი. X საუკუნის ქართველი პოეტი ამბობს: მეორედ მოსვლის ჟამს ღმერთი ქართულ ენაზე განიკითხავსო მსოფლიოს. მე ვფიქრობ, ეს მხოლოდ პოეტური მეტაფორაა და არ ვიცი, განიკითხავს თუ არა ამ ენაზე ღმერთი მსოფლიოს, მაგრამ არ რწმენამ რომ გადაარჩინა ქართული ენა, ქართველი ერი, - ეს ფაქტია. (1992)

მომდევნო წლებში პრეზიდენტი ისტორიასა და კულტურას კვლავ არაერთხელ მოიხმობს, თუმცა, უფრო ნაკლები სიხშირით. მისი თქმით, „ქართული კულტურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში“ (1998), ხოლო საქართველოს ისტორია და მისი სააზროვნო ტრადიციები - „ამოუწურავი და უკიდეგანო“ საგანძურია (1997). შევარდნაძე ამბობს იმასაც, რომ საქართველოს აქვს სახელმწიფოებრიობის 3000 წლიანი ისტორია (1998; 2000), და რომ ის „მსოფლიოს ერთ-ერთ საკვანძო რეგიონში“ იმყოფება (2002).

საგულისხმოა, რომ მმართველობის შუა წლებიდან ჩნდება თანამედროვე საქართველოს წარმატებებზე ხაზგასმაც. ამის მაგალითია განცხადებები, რომ ქართველ სპორტსმენთა (1995; 1998), მეცნიერთა (1992; 1995; 1998; 2000; 2001; 2002) და კინოხელოვანთა (1999) მიღწევებს მთელი მსოფლიო იცნობს, აგრეთვე, განცხადებები, რომ საქართველოს აქვს დანაშაულის გახსნის საუკეთესო მაჩვენებლები (1998; 2000),

„მსოფლიოში აღიარებული“ კონსტიტუცია და პოსტ-სოციალისტურ სივრცეში „ერთ–ერთი სამაგალითო“ კანონები (2000). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველო დგამს პოსტ-კომუნისტურ სივრცეში „ერთ-ერთ პირველ“ ნაბიჯებს სოციალური პოლიტიკის შემუშავების მხრივ (1997), და რომ საქართველო გადაიქცა „მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ძალების სტრატეგიული ინტერესების ფოკუსირების არეალად“ (2000). მისივე თქმით, ქვეყანამ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების „ერთგვარი ლიდერის რეპუტაცია“ მოიპოვა (2000). პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ საქართველო სამაგალითო ქვეყანაა იქ მცხოვრებ სხვადასხვა ერთა თანაცხოვრების თვალსაზრისითაც (1998). შევარდნაძის თქმით, საქართველოში არაქართულენოვანი სკოლების დიდი რაოდენობით არსებობა ქვეყნის უდიდესი მონაპოვარია, რომელსაც სათანადოდ უნდა გაუფრთხილდეს (იქვე). „დღეს საქართველოში ქართული სკოლების გარდა ფუნქციონირებს 89 რუსული, 133 სომხური, 155 აზერბაიჯანული, 4 ოსური სკოლა და ა. შ. ... მე არ ვიცი, იქნებ ბევრმა სახელმწიფომ ვერც შეძლოს ასეთი ციფრები დაასახელოს, მხედველობაში მაქვს მრავალეროვნული სახელმწიფოები“, ამბობს იგი (იქვე).

პრეზიდენტი საქართველოს განსაკუთრებულობის შესახებ სამომავლო გეგმების ჭრილშიც საუბრობს. ის აღნიშნავს, რომ მისი სურვილია ქართველი ერი მსოფლიოში „ყველაზე მდიდარი და ბედნიერი“ იყოს (1992), კავკასია გახდეს თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების „კიდევ ერთი მიმზიდველი მაგალითი“ (2000), საქართველო იყოს ინტერნეტის გამოყენების თვალსაზრისით „პირველხარისხოვანი“ ქვეყანა (2001) და მას მსოფლიოში „ერთ-ერთი საუკეთესო“ განათლების სისტემა ჰქონდეს (2002).

მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში საქართველოს გამორჩეულობაზე ხაზგასმა საგრძნობლად იზრდება. პრეზიდენტი საუბრობს როგორც საქართველოს ბუნებით განსაკუთრებულობაზე, ისე მისი, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს მიერ მიღწეულ წარმატებებზე. აქედან პირველი მიმართულების თანახმად, საქართველო ეს არის „პატარა" ერი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომელიც წარმატებული - „დიდი" - ქვეყნის აშენებას ცდილობს (2006; 2007). სააკაშვილი აღნიშნავს, რომ ქართველებს მათი წინაპრებისგან უნიკალური კულტურა და ულამაზესი ბუნება დარჩათ. „ქართველებს წილად და ჯილდოდ გვერგო ულამაზესი ქვეყანა, ნოყიერი მიწით და უმდიდრესი კულტურით“, აცხადებს იგი 2008 წელს, ხოლო 2011 წელს - დასძენს, რომ „ჩვენ გვაქვს ბედნიერება, გვქონდეს სამშობლო

ყველაზე თვალწარმტაცი და მრავალფეროვანი ბუნებით, რასაც ემატება უნიკალური კულტურა, ისტორია და განუმეორებლად სტუმართმოყვარე ხალხი“ (2011). სააკაშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ ქართველებს „მძიმე“ (2008) და „ტკივილით სავსე“ (2013) ისტორია აქვთ და სამშობლოს შესარნაჩუნებლად, უამრავი კრიზისის გადალახვა მოუწიათ. სააკაშვილი ამავე კონტექსტში ამბობს, რომ უწინ, საქართველოს დამონებას „ერთგვარი ხიბლი“ ჰქონდა, რადგან იქ „ყველაზე ნიჭიერი ხალხი“ ცხოვრობდა (2006).

პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ ქართველებს განსაკუთრებული თვისებები ახასიათებთ, მათ შორის მთავარი კი - თავისუფლებისადმი სწრაფვაა (2006; 2010; 2013). „ჩვენი პატარა, მაგრამ ათასწელგამოვლილი ერის მთავარი ძალა თავისუფლების სიყვარულია“, ამბობს ის 2006 წელს. „რა თქმა უნდა, ყოველთვის მოიძებნება ქართველი, რომლის მოსყიდვაც შეიძლება, რა თქმა უნდა, მოიძებნება ქართველი, რომელსაც ღირსება არ გააჩნია, მაგრამ თავისუფლების მტრებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ საქართველო არის თავისუფალი ადამიანების ამაყი, ღირსეული და თავისუფალი ქვეყანა“, დასძენს იგი (2010). მისივე თქმით, ქართველები „ღირსების მქონე“ (2007) და „დაუმარცხებელი“ ერია (2010). „ჩვენი ძალა ტერიტორიული სიდიდით არ იზომება ... ჩვენი ძალა ჩვენს რწმენასა და შემართებაშია“, ამბობს ის 2007 წელს, ხოლო 2010 წელს - დასძენს, რომ „არიან ერები, რომლებსაც ნებისმიერი მასშტაბის ნგრევის შემდეგაც შეუძლიათ წამოდგნენ და ხელახლა გაიმართონ წელში“. პრეზიდენტი ქართველების შეუპოვრობაზე საუბრობს 2008 წლის ომის ჭრილშიც. კერძოდ, ის ამბობს, რომ საქართველომ საზოგადოების ერთსულოვნებისა და ერთიანობის წყალობით შეძლო წინ აღდგომოდა „ძლიერი მტრის დაუნდობელ შემოტევას“ (2010). „ამ შენობის წინ მრავალი ათასი ადამიანი შეიკრიბა და თქვა: „ჩვენ ერთიანები ვართ, ჩვენ ერთსულოვანნი ვართ, არასდროს არ დავნებდებით და თქვენი არ გვეშინია!“, ამბობს იგი (იქვე).

პრეზიდენტი სააკაშვილი ვრცლად საუბრობს თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მიღწევებზეც. ამ შინაარსის წინადადებებში საქართველო გვევლინება, როგორც წარმატებული სახელმწიფო, რომელიც „ძველი დიდების“ აღდგენას ცდილობს (2006). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მისი მმართველობისას, საქართველო „სანიმუშო“, „მიმზიდველი“ (2005), „დინამიკური“ და „რეფორმატორი“ (2007) ქვეყანა გახდა. სააკაშვილი ხაზს უსვამს იმასაც, რომ საქართველო საერთაშორისო ყურადღების

ცენტრშია (2005; 2006; 2010). „ჩვენ ინტერესს ვიმსახურებთ არა იმისათვის, რომ საქართველოს ლიდერმა სადმე რამე დაანგრია... არა იმის გამო, რომ ჩვენ დერეფანი ვართ, ან იმისათვის, რომ საოცრება ჩავიდინეთ, არა - ჩვენ საინტერესო ქვეყანა ვართ“, ამბობს იგი (2005). „საქართველო არასდროს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფიგურა, როგორც ახლა“, დასძენს სააკაშვილი (2006). პრეზიდენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებსა და საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს მიერ მიღებულ დადებით შეფასებებს (2006; 2007; 2009). პრეზიდენტი ამაყობს ქვეყნის დემოკრატიული წინსვლითაც. მისი თქმით, საქართველო არის „თავისუფლების შუქურა მთელი მსოფლიოსთვის“ (2006) და „დემოკრატიის ახალი თაღის“ „სანიმუშო მოდელი“ (2007). სააკაშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველოს სულიერი მისია ესაა მსოფლიოს „თავისუფალ, ღია საზოგადოებასა“ და „დაკომპლექსებულ, ხელოვნურად გამოწვეულ ტოტალიტარულ ინსტინქტებსა და ავტორიტარულ საზოგადოებას“ შორის განსხვავება აჩვენოს (2006).

სააკაშვილისთვის საქართველო გამორჩეულია იმითაც, რომ ის უცხოელებსაც აძლევს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. ასე, მაგალითად, საქართველოში საცხოვრებლად გადმოსული ამერიკული ოჯახის შესახებ საუბრისას, პრეზიდენტი ამბობს, რომ მათ აქ არა მარტო „სტუმართმოყვარე და თბილი ხალხი“ დახვდათ, არამედ ძალიან დაბალი გადასახადები და მარტივი რეგულაციები, აგრეთვე, კორუფციის და დანაშაულის არარსებობა (2010). მისივე თქმით, საქართველო უნდა გახდეს მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა, სადაც ყველას ექნება წარმატებისა და თვითრეალიზაციის საშუალება (2007).

სააკაშვილის თქმით, მისი მმართველობისას, საქართველოს უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, მათ შორის, რუსეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური ბლოკადის (2006; 2007; 2010), რუსეთ-საქართველოს ომისა (2009; 2013) და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის (2009; 2010; 2011). პრეზიდენტი აღნიშნავს რომ საქართველო ამ გამოწვევებს ბევრ სხვა ქვეყანაზე უკეთ უმკლავდება და პირიქით, განვითარებასაც ახერხებს (2009; 2010). „მიუხედავად ყველანაირი საბოტაჟისა და დაბრკოლებისა, მიუხედავად მავანთა მცდელობისა, რომ საქართველო ჩაბნელებული და გაყინული ყოფილიყო, ჩვენ დენიც გვქონდა, გაზიც და კიდევ უფრო საიმედო გავხადეთ ჩვენი ენერგეტიკის სისტემა“, ამბობს პრეზიდენტი (2007). „გვქონდა წლები, როდესაც გვებრძოდნენ ეკონომიკური ბლოკადებით და ენერგეტიკული დივერსიებით, მაგრამ

ჩვენ მაინც ვახერხებდით შენებას და განვითარებას“, აღნიშნავს იგი (2010). სააკაშვილი იმავე სულისკვეთებით საუბრობს მის ბოლო, 2013 წლის მოხსენებაში. ის ამბობს, რომ საქართველომ ოკუპაციის პირობებშიც კი შეძლო ისეთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, რომ „გავაოცეთ არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ის რეგიონიც, რომლის ნაწილიც გვსურს გავხდეთ - დასავლური სამყარო“.

პრეზიდენტი დასძენს იმასაც, რომ საქართველოს ღვთიური ძალები მფარველობენ. ასე, მაგალითად, 2006 წელს სააკაშვილი ამბობს, რომ აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტისას გასროლილი ყუმბარა არ აფეთქდა, რადგან საქართველოს უფალი იცავს და ის „სიმართლისა და სიკეთის მხარეს დგას“.

საქართველოს წარმატებულობის ხაზგასასმელად, პრეზიდენტი ხშირად იყენებს მსოფლიოსთან შედარებებს. სააკაშვილის თქმით, საქართველო მსოფლიოში საუკეთესოთა შორის არის ბიზნესის კეთების სიმარტივის (2006; 2010; 2011; 2012), კორუფციასთან ბრძოლის (2012; 2013), ტურიზმის მაჩვენებლების (2011; 2012), საგადასახადო ტვირთის სიმარტივის (2007; 2010; 2012), კანონის უზენაესობის (2006; 2011), ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობისა (2011) და დემოკრატიულობის (2012) თვალსაზრისით. პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველო მთელი მსოფლიოსთვის მისაბაძი მაგალითია. ესაა ქვეყანა, „რომლის რევოლუციასაც სხვა რევოლუციები მოჰყვა“ (2006), რომელიც „მსოფლიოს ბევრ რეგიონში ცვლილებების კატალიზატორი გახდა“ და რომელიც ერთსულოვნებისა და სიმტკიცის მაგალითს აძლევს მთელ მსოფლიოს (2007). სააკაშვილის მოხსენებებში ფართოდ გვხვდება საქართველოს ევროპის ქვეყნებზე წარმატებულ აქტორად წარმოჩენაც. ამის მაგალითია განცხადებები, რომ საქართველოს ჰყავს საგარეო საქმეთა მინისტრი, „რომლის დონე შეშურდება ნებისმიერ ევროპულ ქვეყანას“ (2004), აქვს ევროპის მასშტაბით „უნიკალური“ სათხილამურო კურორტები (2006), ჰყავს „ერთ-ერთი ყველაზე რეფორმატორული მთავრობა“ ევროპაში (2007), აქვს ევროპის მასშტაბით „წამყვანი“ სამკურნალო დაწესებულებები (2007), აქვს ყველაზე დივერსიფიცირებული ენერგოსისტემა აღმოსავლეთ ევროპაში და აქვს ევროპის „ერთ-ერთი საუკეთესო“ მაჩვენებლები ოპტიმიზმის ხარისხის მიხედვით (2007).

საქართველოს უპირატესობების წარმოსაჩენად, პრეზიდენტი აქტიურად იყენებს პოსტ-საბჭოთა სივრცესაც. მისთვის საქართველო ამ სივრცის უკონკურენტო რეფორმატორია, რომელსაც რეგიონის სხვა ქვეყნებიც შეჰყურებენ შთაგონებისთვის

(2006). სააკაშვილის თქმით, საქართველოს ჰყავს ყველაზე კომპეტენტური (2004) და ყველაზე არაკორუმპირებული (2005) მთავრობა მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ის ხაზს უსვამს, რომ თბილისი, მოსკოვის გარდა, ერთადერთი ქალაქია პოსტ-საბჭოთა სივრცეში, „სადაც თითქმის ყველა დიდი სასტუმრო და საერთაშორისო ბრენდი იქნება წარმოდგენილი“ (2005). სააკაშვილი ამაყობს იმითაც, რომ საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თავისუფლების კუთხით უდავო ლიდერია (2006; 2010), და რომ ამ რეგიონში ყველაზე მაღალი ნდობით აღჭურვილი პოლიცია ჰყავს (2005). „პოლიციის მიმართ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ამერიკული ან სხვა ფილმების შედეგი გვეგონა და ვერასოდეს ვიფიქრებდით, რომ ეს რეალურად გახდებოდა შესაძლებელი“, ამბობს პრეზიდენტი (2005).

ქართველი ერის ბუნებით გამორჩეულობაზე საუბრობს გიორგი მარგველაშვილი. მისი თქმით, ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში პროგრესისკენ განსაკუთრებული სწრაფვა და განახლების უდიდესი ნიჭი გამოიმუშავეს. „მაშინ, როდესაც ჩვენს ირგვლივ ისტორიის განმავლობაში იქმნებოდნენ და ქრებოდნენ იმპერიები, ჩვენმა პატარა ერმა სწორედ ამ განახლების ნიჭის, პროგრესისკენ სწრაფვის წყალობით შეძლო საკუთარი თავის შენარჩუნება და თავისი თვითმყოფადობის დამკვიდრება“, ამბობს იგი (2014). მეოთხე პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ქართული დამწერლობა, ქრისტიანობის გავრცელება, კულტურული რენესანსი, თერგდალეულთა საქმიანობა და 1921 წლის კონსტიტუცია სწორედ ქართველების პროგრესისა და განახლების სურვილმა მოიტანა (იქვე). მარგველაშვილი იქვე დასძენს, რომ სახელმწიფოს შენება, „უპირატესად, ჩვენს კულტურაში, ინდივიდუალურად საქართველოს მოქალაქეებში ცოცხლად შენახულ ჩვენს თვითმყოფადობას უნდა ეფუძნებოდეს“ (იქვე). საგულისხმოა, რომ მარგველაშვილი საქართველოს ბუნებით ნაბოძებ პოტენციალზე 2016 წლის მოხსენებაშიც საუბრობს. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ეკონომიკური განვითარებისთვის შესაფერისი კლიმატური პირობები. მარგველაშვილი ცდილობს სხვადასხვა გეოგრაფიული სივრცის მიმართ საქართველოს განსაკუთრებულობის წარმოჩენასაც. ამის მაგალითია განცხადებები, რომ გელათისა და იყალთოს აკადემიები „მსოფლიოს უძველეს საგანმანათლებლო კერათა რიცხვში არიან“, რომ 1921 წლის კონსტიტუცია „მაშინდელი ევროპისათვისაც კი ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული დოკუმენტი იყო“, და რომ ევროკავშირთან

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, საქართველო გახდება სამხრეთ კავკასიის რეგიონის პირველი სახელმწიფო, რომელსაც ევროკავშირთან ამგვარი შეთანხმება ექნება (2014).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ სახელმწიფოს მიერ მიღწეულ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას სალომე ზურაბიშვილი. 2019 წელს პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოს მიმართ პარტნიორ ქვეყნებში გამოხატული კეთილგანწყობა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა საქართველოს მიღწევებით არის განპირობებული. პრეზიდენტი განმარტავს, რომ ბევრი სირთულის მიუხედავად, ქვეყანამ წარმატებით მოახერხა ევროპისა და რეგიონის ქვეყნებში „სანდო და საიმედო" პარტნიორის სახელის დამკვიდრება (2019). მომდევნო წელს პრეზიდენტი კვლავ აღნიშნავს, რომ საქართველომ ბოლო ათწლეულებში ბევრ წარმატებას მიაღწია. ზურაბიშვილის თქმით, ამის მაგალითია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, უმაღლესი შეფასებები საერთაშორისო რეიტინგებში, ევროპულ სასამართლოში შემცირებული მიმართვები და ტურიზმის სექტორის აღმავლობა, აგრეთვე, ქართველი ახალგაზრდებისა და სპორტსმენების საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებები (2020). პრეზიდენტი დასძენს, რომ ქვეყნის მთავარი „კოზირი" მისი კულტურული იდენტობა და ზოგადი პოტენციალია (2019; 2020). ზურაბიშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველოს შეუძლია უნიკალურ არქეოლოგიურ კერად ჩამოყალიბდეს (2019), აგრეთვე, იმას, რომ ქვეყანამ წარმატებით დაიმკვიდრა „ღვინის აკვნის" სტატუსი (2020). პრეზიდენტი საუბრობს ღირებულებებზეც, აღნიშნავს რა, რომ საქართველო და კავკასია მსოფლიოში გამორჩეულია შემწყნარებლობის ხანგრძლივი ტრადიციის მხრივ (2019; 2020).

8.2 დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული

რიგით მეორე იდენტობის კატეგორიაა საქართველო, როგორც დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული ქვეყანა. ამ კატეგორიის წინადადებები მთლიან წინადადებათა 8.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება ცალკეულ პრეზიდენტებს, ყველაზე მეტს ამ იდენტობაზე სალომე ზურაბიშვილი საუბრობს (23.1%). მას მოსდევენ გიორგი მარგველაშვილი (17.6%), მიხეილ სააკაშვილი (8.4%), ედუარდ შევარდნაძე (6.2%) და ზვიად გამსახურდია (2%). ამ კატეგორიის წინადადებათა დიდი

ნაწილი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხს ეხება. უკლებლივ ყველა პრეზიდენტი მიიჩნევს, საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთო ევროპული საკითხების გადაწყვეტაში. ამასთანავე, 1990-იანი წლების შუიდან საუბარი იწყება ევროკავშირში გაწევრების თაობაზე, ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისიდან - ნატოში გაწევრების შესახებ. პრეზიდენტები აცხადებენ, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანი ევროკავშირში და ნატოში სრული ინტეგრაციაა, რასაც ისინი ქვეყნის განვითარებისა და დაცულობის წინაპირობად განიხილავენ. საგულისხმოა, რომ ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ მსჯელობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ხელშესახები ხდება. მაშინ როცა პირველ ორ ათწლეულში ამგვარი წინადადებები ზოგადი განცხადებების დონეზე იყო, მესამე ათწლეულის მოხსენებებში წინ იწევს ისეთი თემები, როგორიც არის უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა, ერთობლივი წვრთნები და ა.შ. მიღწეული შედეგების მიუხედავად, პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ ქვეყანამ კიდევ უფრო მეტად უნდა იაქტიუროს დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე, მათ შორის, დასავლეთთან საზიარო საკითხების წამოწევის თვალსაზრისით. პრეზიდენტებს აქვთ დასავლეთის ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავების სურვილიც, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

დიაგრამა #22: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



საქართველოს, როგორც დასავლეთთან ინტეგრირებული ქვეყნის წარმოჩენა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ჩნდება. კერძოდ, 1991 წელს, საქართველოს სამხედრო დოქტრინაზე საუბრისას, ზვიად გამსახურდია აცხადებს, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ხელი უნდა შეუწყონ „საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემის“ შექმნას, ხოლო მომდევნო წელს - ედუარდ შევარდნაძე ამბობს, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია „თანდათანობით დასავლური, უპირატესად ევროპაცენტრული და ამერიკაცენტრული ხდება“. ზოგადი განცხადებების მიუხედავად, საქართველოს, როგორც დასავლეთთან ინტეგრირებული ქვეყნის წარმოჩენას 1990-იანი წლების დასაწყისში რაიმე განსაკუთრებული შინაარსი ან მნიშვნელობა არ მიუღია. ამ თემის შესახებ სიღრმისეული საუბარი მხოლოდ 1990-იანი წლების შუიდან ჩნდება და თანმიმდევრულად ნარჩუნდება მომდევნო წლების მოხსენებებში.

შევარდნაძე მის გამოსვლებში განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას. ის საუბრობს როგორც სხვადასხვა სფეროში ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე (1995; 2000; 2001), ისე ორგანიზაციაში ინტეგრაციის სურვილზე (1995; 1997; 1998; 1999; 2001; 2002). 1997 წელს ის ამბობს, რომ ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის დასაჩქარებლად „ყველაფერი კეთდება“. პრეზიდენტი დასძენს, რომ ქვეყნის მიზანია ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, მათ შორის, კანონმდებლობით საქმიანობაში (1997). „ევროპის და საქართველოს კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია ჩვენი პარლამენტის, პრეზიდენტის, საგარეო პოლიტიკის აქტუალური ამოცანაა“, განმარტავს იგი (იქვე). 1998 წელს შევარდნაძე კვლავ აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან თანამშრომლობის მიზანი თავდაპირველად ასოცირებული სტატუსის მიღება, შემდეგ კი გაწევრებაა, ხოლო 1999 წელს - ის ამბობს, რომ ევროკავშირში საქართველოს ასოცირებული სტატუსით მიღება „შორს არ არის“. პრეზიდენტი დასძენს, რომ თუ მანამდე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დონორი-რეციპიენტის ფორმატში მიმდინარეობდა, ეს კავშირები თანდათან „თვისობრივად ახალ ეტაპზე ადის“ (1999). პრეზიდენტი ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხს ეხება 2001 წელსაც. ის აცხადებს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორი ევროკავშირისკენ არის მიმართული, და რომ ქვეყანამ ყურადღება უნდა დაუთმოს საქართველოს

კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებას. შევარდნაძის ბოლო, 2002 წლის მოხსენებაში გამეორებულია, რომ ქვეყნის „ერთ-ერთი საბოლოო მიზანი“ ევროკავშირში გაწევრებაა, და რომ ეს „არცთუ ისე შორეული მომავლის პერსპექტივაა“.

გაწევრებასთან ერთად, პრეზიდენტის სურვილია გაღრმავდეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობებიც (1995; 2000). ამ მხრივ, ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიას, რომელსაც 1992 წელს „გულთბილ“ მეგობარს უწოდებს, ხოლო 2000 წელს - ამბობს, რომ გერმანიის კანცლერის, გერჰარდ შრედერის თბილისში ვიზიტი ორი ქვეყნის თანამშრომლობაში „ახალი ეტაპის მომასწავებელი იქნება“.

შევარდნაძე ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში ახსენებს ევროპის საბჭოსაც (1997; 1998; 1999; 2000; 2001; 2002). ამ თემაზე საუბარი განსაკუთრებით 1999 წელს, ორგანიზაციაში გაწევრების კონტექსტში აქტიურდება. პრეზიდენტი დაწვრილებით მიმოიხილავს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს და აცხადებს, რომ ევროპის საბჭოში გაწევრებით „ევროპულ ოჯახში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღების მთავარი ეტაპი“ დამთავრდება (1999). პრეზიდენტი იმავე სულისკვეთებით საუბრობს მომდევნო წლებშიც. 2000 წელს ის ამბობს, რომ ევროპის საბჭოში გაწევრებით საქართველოს ადგილმა და როლმა საერთაშორისო სისტემაში „საგრძნობი ცვლილებები განიცადა“, და რომ ეს გადაწყვეტილება „ევროპის საერთო ოჯახში გაწევრიანების გზაზე უმნიშვნელოვანესი ეტაპის დასაწყისია“, ხოლო 2001 წელს - აცხადებს, რომ ევროპის საბჭოს წევრობამ ქვეყანას „სრულიად ახალი პერსპექტივები შეუქმნა“. პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ ევროპის საბჭოს წევრობა ადამიანის უფლებათა და უმცირესობათა უფლებების დაცვის თვალსაზრისით ქვეყანას „ძალიან დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს“ (2002).

მეორე პრეზიდენტი აქტიურად საუბრობს ნატოსთან ურთიერთობის შესახებაც, როგორც მასთან თავსებადობის გაზრდის, ისე ალიანსში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ის 1992 წელსვე უსვამს ხაზს, რომ ქვეყანამ სამხედრო სფეროში ალიანსის გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს, ხოლო 1995 წელს - ამბობს, რომ ნატოსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამა მზადდება. ორი წლის შემდეგ შევარდნაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს თანამშრომლობა

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან „სულ უფრო ფართოვდება“, ხოლო 1998 წელს - აცხადებს, რომ გასულ წელს ნატოსთან ურთიერთობები „აქტიურად ვითარდებოდა“, კერძოდ, საქართველომ მონაწილეობა მიიღო ნატოს უმაღლესი დონის შეხვედრაში და შედგა ალიანსის გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში. მომდევნო წელს პრეზიდენტი ახსენებს, რომ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოსა და ნატოს თანამშრომლობაში „მნიშვნელოვანი განვითარება“ იყო. კერძოდ, შევარდნაძე აღნიშნავს, რომ საქართველო შეუერთდა აღნიშნული პროგრამის „დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს“, რამაც, მისი თქმით, „გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საბოლოო მიზნის – მოწინავე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობის მიღწევაში“ (1999). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის ასოცირებული წევრი გახდა და მისივე ინიციატივით, იქ კავკასიის სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა (იქვე). მომდევნო წლებში შევარდნაძეს ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე საუბრისას კიდევ უფრო მეტი კონკრეტიკა შემოაქვს. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს სამხედრო ძალების ოცეული კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობს (2000), რომ თავდაცვის სამინისტრო ინტენსიურად ჩაერთო ნატოს პროგრამებში (2001), და რომ ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, პირველი მრავალეროვნული წვრთნების ჩატარდება (2001). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ ქართველი მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ ნატოს სამეცნიერო პროგრამებში (1999; 2000; 2001). ნატო-საქართველოს შესახებ საუბარი გვირგვინდება იმით, რომ 2002 წელს ედუარდ შევარდნაძე ალიანსში გაწევრების განაცხადს აანონსებს. „ამრიგად, ნატოს პრაღის სამიტის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ შესაძლოა უკვე ოფიციალურად განაცხადოს სურვილი, შეუერთდეს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს“, აღნიშნავს იგი (2000).

პრეზიდენტი შევარდნაძისთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანია აშშ-სთან ურთიერთობაც. ის 1992 წელსვე აცხადებს, რომ საქართველოსა და ამერიკას „გულთბილი“ მეგობრობა აკავშირებთ, და რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია თანდათანობით „ამერიკაცენტრული“ ხდება. შევარდნაძე მომდევნო წლებში აშშ-სთან ურთიერთობას მასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით აღარ განიხილავს, თუმცა, საკითხს აქტიურად უბრუნდება მმართველობის ბოლო წლებში, განსაკუთრებით, 2002 წელს. ასე, მაგალითად, აშშ-ს დაფინანსებული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის თაობაზე საუბრისას, პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს

„ერთადერთი ჭკვიანური, ბრძნული გადაწყვეტილება“ იყო, რომელიც მომავალი თაობებისთვის „უსაფრთხოების სათანადო ბალანსს“ შექმნის (2002).

დასავლეთთან მჭიდრო ინტეგრაციას ემხრობა მიხეილ სააკაშვილიც. სააკაშვილის მოხსენებების ერთ-ერთი მთავარი თემაა ევროკავშირში ქვეყნის გაწევრება. პრეზიდენტი არაერთხელ აცხადებს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანი ევროკავშირში სრული ინტეგრაციაა. „საქართველო თუ წავიდა სწორი გზით, შეძლებს ევროპის კავშირში გაწევრებას“, ამბობს იგი 2004 წელს. „ჩვენ ძალისხმევას არ ვაკლებთ და კვლავაც განვაგრძობთ ნატოსა და ევროკავშირში სრულფასოვანი გაწევრიანების მიზნისკენ სწრაფვას“, დასძენს ის 2012 წელს. პრეზიდენტი ხაზს უსვამს ევროკავშირთან ინტეგრაციის სიკეთეებსაც. მისი თქმით, ევროკავშირში შესვლა საქართველოს ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს (2004) და მის უსაფრთხოებას გაზრდის (2012). სააკაშვილი ამავე კონტექსტში გამოთქვამს სავიზო პროცედურების მოხსნის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების სურვილსაც (2012). „ევროპის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებს თავიანთი პასპორტით ამაყად უნდა შეეძლოთ შესვლა“, აცხადებს იგი (იქვე).

პრეზიდენტი საუბრობს ევროკავშირთან ვაჭრობის სფეროში მიღწეული შედეგების თაობაზეც, კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ ქვეყანამ პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით სარგებლობის უფლება მოიპოვა, გაიზარდა ევროკავშირში ექსპორტი (2006) და ევროკავშირთან ტვირთბრუნვა (2006; 2007). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ საქართველოს მთავარი ინვესტორი, აშშ-სთან ერთად, ევროკავშირი გახდა (2007). ამის მიუხედავად, ის ხაზს უსვამს ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების საჭიროებას, მათ შორის, საგადასახადო ბარიერების მოხსნისა (2006) და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე გადასვლის გზით (2006; 2011; 2012). პრეზიდენტი საუბრობს ქართული აკადემიური სივრცის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის საჭიროებაზეც (2004).

რაც შეეხება ნატოსთან ინტეგრაციას, პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ ნატოში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანია და ის ამ კურსს არ გადაუხვევს (2004; 2007; 2008; 2009; 2010; 2011; 2012). საგულისხმოა, რომ მმართველობის დასაწყისში პრეზიდენტი გაცილებით უფრო იმედიანად არის განწყობილი გაწევრების პერსპექტივის მიმართ, ვიდრე მმართველობის დასასრულს. მაგალითად, თუ 2006 წელს ის ამბობს, რომ საქართველო ნატოსთან „ერთ ნაბიჯზეა“,

ხოლო 2007 წელს - აცხადებს, რომ წევრობა „მხოლოდ დროის საკითხია“, 2012 წელს პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ალიანსში გაწევრებას „ჯერ რამდენიმე წელი დასჭირდება“. პრეზიდენტი საუბრობს ნატოსთან ინტეგრაციის სარგებელზეც. ის ამბობს, რომ ნატოსთან დაახლოება ქვეყანას თავდაცვისუნარიანობის ამაღლების, მისი შეიარაღებულ ძალებს განვითარების შესაძლებლობას მისცემს (2004; 2007) და მისი საზღვრების ხელშეუხებლობას უზრუნველყოფს (2006). პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ ევროკავშირში და ნატოში გაწევრება ქართველი ხალხის ნება და არჩევანია (2007; 2008; 2011; 2012).

სააკაშვილი საუბრობს აშშ-საქართველოს ურთიერთობებზეც. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აშშ-სთან ურთიერთობის გაღრმავება მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია (2004; 2009; 2011; 2012). სააკაშვილის თქმით, საქართველოსა და აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებთ (2009; 2011; 2012), თუმცა, ის მიიჩნევს, რომ აუცილებელია აშშ-სთან მეტი ინტეგრაცია პოლიტიკურ (2012), ეკონომიკურ (2007; 2009; 2011; 2012) და სამხედრო (2004; 2005; 2007; 2012) სფეროებში. საგულისხმოა ისიც, რომ სააკაშვილი საქართველოს წარმოაჩენს, როგორც აშშ-ს პრეზიდენტების მხარდაჭერის მქონე ქვეყანას. მაგალითად, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის თბილისში სტუმრობის შესახებ საუბრისას, ის ამბობს, რომ ვიზიტი „წარმოუდგენელი მოვლენა იყო არა მარტო ამ ქვეყნისა და რეგიონისთვის, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონთან მიმართებაშიც“ (2006), ხოლო პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან შეხვედრის თაობაზე საუბრისას - ის აცხადებს, რომ შეხვედრა ორ ქვეყანას შორის არსებული „მჭიდრო, სტრატეგიული“ თანამშრომლობის „ნათელი დემონსტრირება“ იყო (2012).

საქართველოს, როგორც დასავლეთთან ინტეგრირებული ქვეყნის იდენტობა ფართოდ გვხვდება გიორგი მარგველაშვილის მოხსენებებში. მისი გამოსვლების ერთ-ერთი მთავარი ხაზია ევროპული ინტეგრაცია. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანამ ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით უამრავ წარმატებას მიაღწია. მათ შორისაა ასოცირების/თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება (2014; 2017; 2018), სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია (2016; 2017; 2018) და ევროკავშირი-საქართველოს მაღალი დონის დიალოგი (2018). „ევროპული ინტეგრაცია შთამბეჭდავ შედეგებს გვაჩვენებს“, ამბობს მარგველაშვილი, თუმცა, დასძენს, რომ საქართველო მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდეს (2017). „საქართველოს სჭირდება კონკრეტული შედეგები, რაც მკაფიოდ გამოკვეთს ქვეყნის ევროპულ პერსპექტივებს,

მოსახლეობისათვის ხელშესახებს გახდის ევროინტეგრაციის სიკეთეებს“, აცხადებს იგი (2015). „ამასთანავე, მნიშვნელოვანია, მიზნად დავისახოთ ევროკავშირთან ჩვენი ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასვლა და საქართველოს ევროპული პერსპექტივის განხორციელება“, ამატებს პრეზიდენტი. მარგველაშვილი ამბობს იმასაც, რომ საჭიროა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების უფრო ეფექტიანად გამოყენება (2015; 2016).

მარგველაშვილი აქტიურად საუბრობს ნატოში გაწევრების საკითხზეც. მისი თქმით, ნატოსთან შემდგომი დაახლოება საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს (2014; 2015; 2016; 2017). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ალიანსთან ინტეგრაციის გზაზე საქართველოს ხელშესახები შედეგები აქვს. მიღწევებს შორის, ის ასახელებს ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში საქართველოს ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას, სამხედრო კომიტეტის ვიზიტს, ალიანსის ხელმძღვანელობის დადებით შეფასებებს (2014), ნატო-საქართველოს კომისიის საქმიანობას, არსებითი პაკეტის მონიჭების გადაწყვეტილებას (2015), წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის გახსნას (2016) და ერთობლივ სამხედრო სწავლებებს (2015; 2016; 2018). პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს ყოველივე ქვეყნის ალიანსში შემდგომ ინტეგრაციას (2015; 2016) და მისი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას ემსახურება (2016; 2018). ამის მიუხედავად, მარგველაშვილს სურს ნატოსთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება როგორც გაწევრების, ისე თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით (2015; 2016). ის ხაზს უსვამს, რომ ალიანსთან კავშირებს არა მხოლოდ თანამშრომლობის, არამედ თანამონაწილეობის სახე უნდა ჰქონდეს. პრეზიდენტი სწორედ ამ კონტექსტში ახსენებს ალიანსის ოპერაციების დაგეგმვის პროცესსა და სტრატეგიულ განხილვებში საქართველოს შესაძლო ჩართვას (2015), აგრეთვე, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში მონაწილეობას (2017). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ ნატოსთან ინტეგრაცია ქვეყნის სტაბილური და უსაფრთხო განვითარების წინაპირობაა (2014; 2015).

მარგველაშვილი მიმოიხილავს აშშ-საქართველოს ურთიერთობებსაც. მისი თქმით, საქართველოსთვის მის „სტრატეგიულ პარტნიორთან“ (2014; 2016) თანამშრომლობას „განსაკუთრებული მნიშვნელობა“ აქვს (2015). მეოთხე პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ თავდაცვის სფეროში ორ ქვეყანას შორის ეფექტიანი თანამშრომლობა ჩამოყალიბდა (2014; 2015; 2018). მარგველაშვილი ხაზს უსვამს დასავლური ინტეგრაციის,

დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკური წინსვლისა და არაღიარების პოლიტიკის მიმართულებებით აშშ-ს მხარდაჭერის მნიშვნელობასაც (2015). ამის მიუხედავად, პრეზიდენტი ამბობს, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობებში „ჯერაც აუთვისებელი რესურსი“ (2016), კიდევ „უფრო დიდი შესაძლებლობები და პერსპექტივაა“ (2014). ერთ-ერთი ასეთი საკითხია ეკონომიკური თანამშრომლობა. მარგველაშვილი განმარტავს, რომ ამერიკული ინვესტიციების მოსაზიდად, საჭიროა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების გაღრმავება (2015; 2016; 2018). ის საუბრობს უფრო ინტენსიური პოლიტიკური კონტაქტების საჭიროებაზეც (2014; 2016).

საქართველო დასავლეთთან ინტეგრირების მსურველ ქვეყნად გვევლინება სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებშიც. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრება ქვეყნის „მთავარი მიზანია“, რომელსაც „მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს“ (2021). ზურაბიშვილი საუბრობს ამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე არსებული მიღწევების შესახებ. მისი თქმით, საქართველომ ბოლო ათწლეულებში „წარმოუდგენელ“ შედეგებს მიაღწია (2019).

> ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერით გავიარეთ გზა, რომელიც 15 წლის წინ წარმოუდგენელიც იყო. ეს გზა მოიცავს სამეზობლო პოლიტიკას, აღმოსავლეთის პარტნიორობას, ასოცირების ხელშეკრულებას, თავისუფალ ვაჭრობასა და ვიზალიბერალიზაციას ... ნატოს დამოკიდებულება ჩვენ მიმართ უაღრესად დადებითია. ჩემი ვიზიტის დროს ნატოს წევრი ქვეყნებისგან, გენერალური მდივნისა და სამხედრო ხელმძღვანელობისგან საქართველოს მიღწევებთან, მის მიერ დაკმაყოფილებულ სტანდარტებსა და შესრულებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით მხოლოდ მაღალი შეფასებები მოვისმინე. (2019)

> დამოუკიდებლობის აღდგენიდან არ გასულა 30 წელი და უკვე ვდგავართ ევროპის კართან, როგორც მოწინავე ასოცირებული წევრი ... ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ ისტორიისთვის ამ მოკლე პერიოდში, საქართველო ევროკავშირთან თავისუფალ მიმოსვლასა და თავისუფალ ვაჭრობას მიაღწევდა და გახდებოდა ნატოსათვის ერთ-ერთი ყველაზე სანდო და დაფასებული პარტნიორი. ვერ წარმოვიდგენდით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე

ჩატარდებოდა ისეთი მასშტაბის ნატოს წვრთნები, როგორიც უკვე ყოველწლიურად იმართება და ისეთი მნიშვნელობისა, როგორიც წელს იგეგმება. (2020)

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველომ წარმატებით მოახერხა გამხდარიყო ევროკავშირის „მთელი რიგი პროგრამებისა და ფორმატების“ მონაწილე. „[ევროკავშირში] ასეთი ნაბიჯ-ნაბიჯ „შესვლის“ გამოცდილება გვაქვს განათლების, უსაფრთხოების, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში“, ამბობს იგი და დასძენს, რომ საქართველო სხვა მიმართულებებითაც მსგავსად უნდა იმოქმედოს, მათ შორის, სრულფასოვნად უნდა იყოს ინტეგრირებული ევროპის კულტურულ სივრცეში (2019). პრეზიდენტი ამ კონტექსტშივე ახსენებს საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის შეთავაზებულ ახალი ევროპის კონცეფციას. ის აღნიშნავს, რომ ეს ინიციატივა საქართველოს ახალ შესაძლებლობებს უხსნის, „რათა უშუალოდ ჩავერთოთ „სხვადასხვა სიჩქარით“ წინ მიმავალ ევროპაში“ (იქვე).

პრეზიდენტი მიმოიხილავს 2020 წლის აპრილში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეულ, თუმცა, მოგვიანებით ჩაშლილ შეთანხმებასაც, რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის არსებული უთანხმოების განმუხტვას ისახავდა მიზნად. ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ასეთი მაღალი დონის ჩართულობით, ევროკავშირმა დაადასტურა „თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველო“ ევროპისათვის, თუმცა, საქართველომ ეს ნაბიჯი „საკმარისად ვერ გაიაზრა“ (2021). პრეზიდენტი დასძენს, რომ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხში ქვეყნის პოლიტიკურმა სპექტრმა მეტი ერთიანობა უნდა გამოიჩინოს (იქვე) პარტნიორ სახელმწიფოებს შორის, პრეზიდენტი ზურაბიშვილი გამოარჩევს ევროპის „ორ წამყვან მეგობარ ქვეყანას“ - საფრანგეთსა და გერმანიას. ის აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნებთან საქართველოს უკვე აქვს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა, თუმცა, დასძენს, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს, განსაკუთრებით, ეკონომიკური თვალსაზრისით (2019). ზურაბიშვილი ამბობს იმასაც, რომ საფრანგეთი, ამერიკასთან ერთად, საქართველოს „ერთ-ერთი მთავარი პარტნიორია“ მისი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში (იქვე).

დასავლური/დასავლეთთან ინტეგრირებული

დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებულის მის „მონათესავე“, დასავლური/ევროპული იდენტობის მაჩვენებელთან შერწყმის შემთხვევაში, გაერთიანებული კატეგორია 13.5%-ით წამყვანი შუალედური იდენტობა გახდებოდა. თუმცა, ეს ორი კატეგორია, მათში არსებული ძირეული განსხვავების გამო, მაინც ცალ-ცალკეა განხილული. მათ შორის არსებული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აქედან პირველი, ძირითადად, დასავლეთთან/ევროპასთან არსებული ან სამომავლო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების თაობაზე საუბრობს, ხოლო მეორე - საქართველოს წარმოაჩენს, როგორც დასავლურ/ევროპულ სახელმწიფოდ ან ამგვარ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მსურველად. ამ ორი კატეგორიის შედარება ნათელყოფს, რომ მათ შორის მანამდე არსებული სხვაობა მეორე და მესამე ათწლეულში საგრძნობლად მცირდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო თანდათან უფრო ხშირად წარმოაჩენს საკუთარ თავს, როგორც დასავლურ/ევროპულ სახელმწიფოდ.

დიაგრამა #23: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც დასავლური/დასავლეთთან ინტეგრირებული ქვეყანა' პროცენტული წილი წლების მიხედვით



8.3 ღია/კონკურენტული ეკონომიკა

საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა 'საქართველო, როგორც ღია/კონკურენტული ეკონომიკა'. ამ კატეგორიის წინადადებები ხუთივე პრეზიდენტის მოხსენებებში გვხვდება. ყველაზე მეტს ღია/კონკურენტულ ეკონომიკაზე მიხეილ სააკაშვილი საუბრობს (11.1%). თითქმის თანაბარი მონაცემები აქვთ ედუარდ შევარდნაძესა (7%) და ზვიად გამსახურდიას (6%), აგრეთვე, სალომე ზურაბიშვილსა (4%) და გიორგი მარგველაშვილს (3.8%). წინადადებები ღია/კონკურენტული ეკონომიკის შესახებ საგარეო პოლიტიკურ წინადადებათა საერთო რაოდენობის 7.6%-ს შეადგენს. ამ კატეგორიის წინადადებებში საქართველოს წარმოჩენილია, როგორც საერთაშორისო და რეგიონულ ეკონომიკებში ჩართული ან ჩართვის მსურველი აქტორი. პრეზიდენტები ემხრობიან უცხოური ინვესტიციებისა და ქართული ექსპორტის მოცულობების გაზრდას და ამ მიზნით, სხვადასხვა წამახალისებელ ღონისძიებებს განიხილავენ. პრეზიდენტებს სურთ, რომ საქართველო ენერგო-დამოუკიდებელ და მაღალი დონის ტურისტულ ცენტრად იქცეს.

დიაგრამა #24: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც ღია/კონკურენტული ეკონომიკის მქონე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



დამოუკიდებლობის საწყის წლებში საქართველოს პრეზიდენტები აქტიურად მსჯელობენ თუ რა ტიპის ეკონომიკური სისტემა უნდა აირჩიოს ქვეყანამ. ზვიად

გამსახურდია აცხადებს, რომ მას საქართველოს სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადართვა სურს. მისი თქმით, ეკონომიკურ რესურსებს „უნდა ანაწილებდნენ საბაზრო ძალები და არა ბიუროკრატია“ (1990). „საბაზრო ეკონომიკა უშუალოდ უნდა დაეყრდნოს კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას“, ამბობს იგი (იქვე). პირველი პრეზიდენტი აცხადებს იმასაც, რომ გარდამავალ პერიოდში შესაძლოა გატარდეს საგარეო ვაჭრობის ლიცენზირების პოლიტიკა, თუმცა, „ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად, უნდა მოხდეს საგარეო ვაჭრობის თანდათანობითი ლიბერალიზაცია“ (1991). საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ემხრობა ედუარდ შევარდნაძეც. „არ უნდა დავადგეთ იზოლაციონიზმის გზას, როგორც ეს წინა ხელისუფლებას მოუვიდა. იზოლაციონიზმი დამღუპველია“, ამბობს იგი და დასძენს, რომ ქვეყანამ საერთაშორისო და რეგიონულ ბაზრებზე შეღწევა (1992; 1995) და კონკურენტული პროდუქციის წარმოება უნდა მოახერხოს (1992). შევარდნაძე აცხადებს, რომ ექსპერიმენტის სახით, უნდა შეიქმნას თავისუფალი ეკონომიკური ზონებიც (იქვე).

პრეზიდენტები აქტიურად მსჯელობენ ინვესტიციების მოზიდვის შესახებაც. უცხოური კაპიტალის საქართველოში დაბანდების საჭიროებაზე პირველად ზვიად გამსახურდია საუბრობს. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკის განვითარების „ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო“ სწორედ უცხოური ინვესტიციებია (1991). „საზღვარგარეთელ პარტნიორებს საშუალება მიეცემათ იმოქმედონ ჩვენს ბაზარზე, დააბანდონ თავიანთი სახსრები, აიღონ იჯარით საწარმოები, შექმნან ერთობლივი წარმოებები, გახსნან თავიანთი წარმომადგენლობები, ფილიალები“, ამბობს იგი. იმავე სულისკვეთებით საუბრობს ედუარდ შევარდნაძე. ის მის თითქმის ყველა მოხსენებაში ახსენებს ინვესტიციების მოზიდვის საკითხს. პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია უცხოური ინვესტიციების „გრანდიოზული“ სტიმულირება (1992). „უცხოური კაპიტალის რაციონალური და გაბედული მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზე“, ამბობს შევარდნაძე (იქვე). „სწრაფი ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების გაბედული მოზიდვის გარეშე“, დასძენს იგი (1997). ინვესტიციების წასახალისებლად პრეზიდენტი განიხილავს საგადასახადო შეღავათების დაწესებასაც (2000; 2001), მათ შორის, გადასახადების სრულად გაუქმებას ენერგეტიკის განვითარებაში კაპიტალდაბანდებისთვის (2001). ზოგადად, შევარდნაძე

ენერგოსისტემას ერთ-ერთ ძირითად საინვესტიციო მიმართულებად მიიჩნევს (1995; 1999; 2000; 2001). „მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი უცხოელი ინვესტორი, რომელმაც იცის, თუ რა მომავალი აქვს საქართველოს, როგორც ენერგეტიკულ სახელმწიფოს, აუცილებლად მიიღებს ჩვენს მიერ შეთავაზებულ პირობებს“, ამბობს იგი (2001). ინვესტორებს შორის, შევარდნაძე გამოარჩევს აშშ-ს. „უნდა აღვნიშნო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არა მარტო დიდ და ფასდაუდებელ პირდაპირ დახმარებას გვიწევენ, არამედ საინვესტიციო პოლიტიკაშიც განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ“, აცხადებს იგი (1998).

პრეზიდენტი შევარდნაძე საუბრობს ექსპორტის წახალისების თაობაზეც (1992; 1998; 1999). „ექსპორტის სტიმულირება განსაკუთრებული ზრუნვის საგანია“, ამბობს ის 1992 წელს. „მთელი ჩვენი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ იმას, რომ საექსპორტო პროდუქციის წარმოებამ და მისთვის ბაზრების მოძიებამ ინტენსიური ხასიათი მიიღოს“, დასძენს ის 1999 წელს. ექსპორტის წახალისების საშუალებად პრეზიდენტს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა და ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფართოება მიაჩნია (2000; 2001).

საქართველო საგარეო ვაჭრობისთვის გახსნილი ქვეყანაა მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებშიც. ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, ინვესტიციების მოზიდვის საკითხს პრეზიდენტი სააკაშვილიც საკმაოდ დიდ დროს უთმობს. ის მიიჩნევს, რომ უცხოური კაპიტალდაბანდებები სწრაფი ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი საშუალებაა (2006; 2009). საინვესტიციო დარგებს შორის, პრეზიდენტი საგანგებოდ გამოყოფს სოფლის მეურნეობას (2006; 2007; 2009; 2010; 2011; 2013), მათ შორის, მევენახეობასა (2010) და მეღვინეობას (2007). უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, სააკაშვილი განიხილავს ეკონომიკის შემდგომ ლიბერალიზაციას - გადასახადების შემცირებას, შრომის კოდექსის მოთხოვნების შერბილებას (2006) და ბიუროკრატიული შეზღუდვების მოხსნას (2006; 2007; 2009). „საქართველოს ეკონომიკა, თავისი ლიბერალიზმით, თავისუფალი და არაკორუფციული გარემოთი, მეწარმის წარმატებაზე ორიენტირებული საგადასახადო კოდექსითა და კარგი საინვესტიციო კლიმატით, უკვე იმდენად მიმზიდველია ინვესტორებისათვის, რომ გასულ წელს თითქმის სამჯერ გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ამბობს პრეზიდენტი (2007). „სწორედ ლიბერალურმა გარემომ, მთავრობის მინიმალურმა ჩარევამ ეკონომიკაში და შემცირებულმა გადასახადებმა შეგვაძლებინა ის, რომ

საქართველო გაჩნდა ინვესტორთა რადარებზე და მიმზიდველ ქვეყნად იქცა კაპიტალის ჩასადებად“, დასძენს იგი (2010). ლიბერალური ეკონომიკების სასურველ მაგალითებს შორის, ის ასახელებს ესტონეთს (2006; 2007), ირლანდიას, ჩილეს (2007), არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, კატარსა (2010) და ჰონკონგს (2007; 2010), თუმცა, მოგვიანებით აღნიშნავს, რომ თავად საქართველო უნდა გახდეს სამაგალითო ქვეყანა.

> ...ჩვენ ვიმკვიდრებთ ადგილს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაშიც - ჩვენ ერთად ვაშენებთ საქართველოს, რომელიც გვინდა იყოს განვითარების მოდელი, გვინდა იყოს რეგიონში ყველაზე გახსნილი ეკონომიკა ყველაზე დაბალი გადასახადებით, ყველაზე ხელსაყრელი ბიზნესგარემო, ყველაზე სუფთა კორუფციისა და კრიმინალისგან, ყველაზე თავისუფალი ბიუროკრატიული წნეხისგან. (2012)

პრეზიდენტი აქტიურად საუბრობს ქართული პროდუქციის საზღვარგარეთ გატანის შესახებაც. ის ამბობს, რომ უცხოური ბაზრების ასათვისებლად, საჭიროა როგორც საშინაო, ისე საგარეო დონეზე ზომების მიღება. შიდა ზომებს შორის, ის ყურადღებას ამახვილებს სოფლის მეურნეობის მოდერნიზებაზე (2006; 2009; 2010; 2011), რაც, მისი თქმით, უცხოური მანქანა-დანადგარებისა (2006; 2010) და მაღალშემოსავლიანი ჯიშების (2011) დანერგვით, აგრეთვე, სათბურებისა (2010) და სასაწყობე მეურნეობების (2011) შექმნით მიიღწევა. „თუ გვინდა, რომ ჩვენი პროდუქცია საზღვარგარეთ გავიდეს, პროდუქცია ჩვენვე უნდა ვაწარმოოთ“, ამბობს სააკაშვილი (2006). ამავდროულად, პრეზიდენტი საუბრობს იმაზეც, რომ ქართველ მეწარმეებს ხელისუფლებამ ახალი ბაზრების ათვისებაში ხელი უნდა შეიწყოს (2006; 2007), მათ შორის, შეძლოს ევროკავშირთან და აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმება (2011). სააკაშვილი სიამაყით აღნიშნავს, რომ ხელისუფლების მხარდაჭერით, ქართველი მეწარმეები თანდათან სრულიად ახალ ბაზრებს ითვისებენ (2007; 2010; 2011).

პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ საქართველომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა უნდა განავითაროს. „ინვესტიციებისათვის სულ უფრო მზარდ კონკურენტულ ბრძოლაში, რომელიც ყოველდღიურად მიმდინარეობს ჩვენს რეგიონში, ჩვენი უნიკალური ნიშა, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა გახდეს მაღალ ტექნოლოგიებზე, ახალ

იდეებსა და ნოუ-ჰაუზე და არა ნედლეულის მოპოვებაზე ან იაფი მუშა ხელის ექსპლუატაციაზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდა“, ამბობს იგი. სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველომ უნდა მიაღწიოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასაც, როგორც ელექტროენერგიის გამომუშავების (2006), ისე ნავთობპროდუქტების წარმოების თვალსაზრისით (2011). „ჩემი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე საქართველო ენერგოიმპორტიორი ქვეყნიდან, ენერგოექსპორტიორ ქვეყნად გარდაიქმნება“, ამბობს ის 2006 წელს, ხოლო 2011 წელს - აღნიშნავს, რომ დაგეგმილია ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, „რომელიც 2015 წლისათვის საქართველოში წარმოებული საწვავით მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას და ჭარბ პროდუქციას გაიტანს ექსპორტზე“.

საქართველოს, როგორც ღია/კონკურენტული ეკონომიკის მქონე ქვეყნის წარმოჩენა გვხვდება გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებშიც. საგულისხმოა, რომ მეოთხე პრეზიდენტი საკმაოდ ვრცლად საუბრობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების თაობაზე. ის მიიჩნევს, რომ ამგვარი შეთანხმებების არსებობა ქვეყნის პოლიტიკის წარმატების მანიშნებელია. პრეზიდენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირთან გაფორმებულ შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (2014; 2015). მისი თქმით, ევროკავშირთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და ინვესტიციების მოძიების საშუალებაა (იქვე). პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ საქართველოში კაპიტალის დაბანდებით, ინვესტორებს „ძალიან საინტერესო შესაძლებლობები“ ეძლევათ - „ინვესტორისთვის იქმნება შესაძლებლობა, რომ აქ ნაწარმოები პროდუქტი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში 900 მილიონზე მეტ მომხმარებლიან ბაზარზე გაიტანოს მსოფლიოს მასშტაბით“ (2015). „საერთოდ, თავისუფალ ვაჭრობას თუ შევხედავთ, ჩვენ აქ შთამბეჭდავი შედეგი გვაქვს. რეალურად, ვიწყებდით მაშინ, როგორც ქვეყანა, რომელსაც დაახლოებით, 200 მილიონიან ბაზართან ჰქონდა თავისუფალი ვაჭრობა და დღეს საქართველოს 2 მილიარდიან ბაზარზე შეუძლია თავისუფალი ვაჭრობით გაიტანოს თავის პროდუქცია“, დასძენს ის 2018 წელს, მას შემდეგ, რაც ქვეყანამ ჩინეთთან გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. პრეზიდენტი მარგველაშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ ინვესტორების მოსაზიდად, ქვეყანამ ბიუროკრატიული წნეხი უნდა შეარბილოს (2015). წინამორბედების მსგავსად, ენერგეტიკულ სექტორს

მარგველაშვილიც პრიორიტეტულად მიიჩნევს. მისი თქმით, ეს მიმართულება ინვესტორებისათვის „ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მოთხოვნადია“ (იქვე). „ახალი ჰესების აშენებისათვის მოზიდული ინვესტიციები უზრუნველყოფენ პირველ ეტაპზე იმპორტის ჩანაცვლებას და შემდგომ ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანას“, აცხადებს პრეზიდენტი (იქვე).

ქართული ნაწარმის საზღვარგარეთ გაყიდვის საკითხზე ამახვილებს ყურადღებას სალომე ზურაბიშვილი. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ქართველი მცირე და საშუალო მეწარმეები, სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით, წარმატებით ახერხებენ ხელმისაწვდომ ბაზრებში შეღწევას (2019). ზურაბიშვილი დასძენს, რომ უცხოეთთან გახსნილი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ექსპორტის დამატებით შესაძლებლობებს გააჩენს, „თუკი ქართული პროდუქციის ხარისხისა და რეკლამირების დონე აიწევს“ (იქვე).

საქართველოს ეკონომიკის გახსნილობის კიდევ ერთი მაჩვენებელია პრეზიდენტების სურვილი, რომ ქვეყანა მსოფლიოში აღიარებულ ტურისტულ ცენტრად იქცეს. ამ საკითხს ეხებიან პრეზიდენტები ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი და სალომე ზურაბიშვილი. შევარდნაძის თქმით, საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობის გასაზრდელად, საჭიროა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და სამთავრობო უწყებების ძალისხმევის გააქტიურება (1995). იმავე სულისკვეთებით საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც. ის აღნიშნავს, რომ საქართველომ ტურიზმის განვითარებისთვის მტკიცე ნაბიჯები უნდა გადადგას (2006; 2007). პრეზიდენტის თქმით, საქართველოს „ამოუწურავი“ და „დიდი“ ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომლითაც საერთაშორისო ინვესტორები და მედიასაშუალებები ინტერესდებიან (2007; 2011). „არ არსებობს მიზეზი რატომაც არ უნდა გადავაქციოთ საქართველო ერთ-ერთ ყველაზე ეგზოტიკურ, სასიამოვნო და საინტერესო ტურისტულ კერად“, ამბობს იგი (2007). „არ არსებობს მიზეზი, რატომაც საქართველო არ უნდა იყოს ისეთივე საოცნებო დასვენების ადგილი, როგორიც არის დღევანდელი მსოფლიოს საუკეთესო კურორტული ზონები“, დასძენს პრეზიდენტი (2011). სააკაშვილი ამბობს, რომ სულ მალე ტურიზმი საქართველოს „ყველაზე სწრაფად მზარდ დარგად“ იქცევა (2007), ხოლო საქართველო - „ტურიზმის ერთი-ერთი მსოფლიო ცენტრი“ გახდება (2011). რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, ის ამ საკითხს საკონფერენციო ტურიზმის კონტექსტში განიხილავს. პრეზიდენტი ამბობს,

რომ პარლამენტის ყოფილი, ქუთაისში მდებარე შენობა საერთაშორისო მასშტაბის საკონფერენციო ცენტრი უნდა გახდეს, რაშიც მას ქუთაისის ინფრასტრუქტურა - აეროპორტი, რკინიგზა და ავტობანი - და წყალტუბოს სასტუმროთა ქსელის სიახლოვე დაეხმარება (2019). ზურაბიშვილის თქმით, „ეს იქნება ყველაზე სწორი გზა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისათვის“ (იქვე).

საგულისხმოა, რომ ღია ეკონომიკის ორი საპირისპირო კატეგორია - ანტი-ექსტრაქტივისტული და პროტექციონისტული - მხოლოდ 1990-იან წლებში ჩნდება და ისიც, მინიმალურად - გამსახურდიას ორ და შევარდნაძის ერთ მოხსენებაში. აქედან პირველი მიუთითებს, რომ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა - მისი ცენტრალური დაგეგმვის პრინციპი - „ხელს უწყობს საქართველოს კოლონიურ ძარცვას“ (1990). გამსახურდია დასძენს, რომ საჭიროა კონტროლი, რათა საქართველოში მოქმედი საწარმოების საქმიანობა ქვეყნის ეკონომიკის ინტერესებს შეესაბამებოდეს. „განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესდეს ჩვენი სტრატეგიული ნედლეულისა და პროდუქციის ექსპორტს, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე თანდათანობითი გადასვლის პერიოდში“, განმარტავს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1990). მომდევნო წელს პრეზიდენტი აცხადებს, რომ გარდამავალ პერიოდში, საგარეო ვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციამდე საჭიროა ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირების პოლიტიკის გატარება (1991). ამავე საკითხზე 1995 წელს საუბრობს ედუარდ შევარდნაძე, როცა ის წუხილს გამოთქვამს, რომ ქვეყნის საზღვრებს გარეთ „შესაბამისი ანაზღაურების გარეშე გაედინება სტრატეგიული დანიშნულების რესურსები“.

8.4 საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიმღები

პრეზიდენტების გამოსვლებში გვხვდება საქართველოს ფინანსური დახმარების მიმღებ ქვეყნად წარმოჩენაც. ეს იდენტობა განსაკუთრებით ძლიერია ედუარდ შევარდნაძის მოხსენებებში, სადაც ის პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკურ წინადადებათა 12.5%-ს შეადგენს. ამ შინაარსის წინადადებები მცირე რაოდენობით გვხვდება მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებშიც (0.7%). სულ ამ კატეგორიის წინადადებები საგარეო პოლიტიკურ წინადადებათა სრული რაოდენობის 6.8%-ს შეადგენს. წინადადებათა უმრავლესობა საქართველოს წარმოაჩენს, როგორც

საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე ქვეყანას, აგრეთვე, ევროპისა და აშშ-ს ფინანსური მხარდაჭერის მქონე აქტორს.

საქართველოზე, როგორც დონორული დახმარების მიმღებ ქვეყანაზე საუბარი შევარდნაძის მმართველობის პირველივე წლიდან იწყება და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი მის მომდევნო მოხსენებებში. პრეზიდენტი შევარდნაძე საერთაშორისო ფინანსურ დახმარებას განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს. ასე, მაგალითად, 1992 წელს ის ამბობს, რომ კრიზისში მყოფი სახელმწიფოების დასახმარებლად, მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და სხვა საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა „სწრაფი ეკონომიკური რეაგირების ძალები და სახსრები უნდა შექმნან". პრეზიდენტი აცხადებს იმასაც, რომ საერთაშორისო დონორებთან კავშირების გაღრმავება მისი ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია. 1995 წელს ის ამბობს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას „განსაკუთრებით გადამწყვეტი მნიშვნელობა" აქვს, ხოლო 1997 წელს - აღნიშნავს, რომ ეს საკითხი „კვლავაც პრიორიტეტულ ამოცანად" რჩება. 2000 წელს პრეზიდენტი ისევ მიუთითებს, რომ საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობას „განსაკუთრებული მნიშვნელობა" ენიჭება. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო დახმარების მიღება ედუარდ შევარდნაძისთვის ქვეყნის წარმატების ერთგვარი საზომია. ასე, მაგალითად, 1998 წელს პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციით დაინტერესება დადებითი მოვლენაა. „თქვენ იცით, რომ მსოფლიო ბანკი ის ორგანიზაციაა, ის საფინანსო ცენტრია, რომელიც შემთხვევით გადაწყვეტილებებს არ იღებს. და რადგან ეს გადაწყვეტილება მიიღო, ეს რაღაცის მანიშნებელია, მე მგონი, კარგი ფაქტია", ამბობს იგი (1998). მოგვიანებით, პრეზიდენტი ისევ აღნიშნავს, რომ მსოფლიო ბანკისგან მიღებული მორიგი სესხი „უდავოდ მეტყველებს ჩვენი ქვეყნის პოტენციალისა და როლის აღიარებაზე" (2002).

ნიშანდობლივია, რომ თუ შევარდნაძის მმართველობის ადრეულ წლებში საქართველო ძირითადად ჰუმანიტარული დახმარების მიმღებ ქვეყნად გვევლინება (1992; 1994; 1995), მომდევნო წლებში ის ინტენსიურად საუბრობს სახელმწიფოს მმართველობის სხვადასხვა სფეროში საგარეო კრედიტებისა და გრანტების მნიშვნელობაზეც (1992; 1995; 1997; 1998; 1999; 2000). პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს ეკონომიკის სტაბილიზაციის (1994; 1995; 1997; 1998), ინფრასტრუქტურის

განახლებისა (1998; 1999; 2000; 2001) და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების (1998; 2001) საქმეებში საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარების ფაქტებსაც. ამის მიუხედავად, მმართველობის შუა წლებიდან პრეზიდენტი შევარდნაძე საუბარს იწყებს ვალების გასტუმრების საკითხზეც (1997; 1998; 1999; 2001; 2002). „მე მინდა მივმართო ფინანსთა სამინისტროს, რომ ჩვენ სისტემატურად უნდა ვიმუშაოთ ვალების პრობლემაზე, საქართველოში ვალების დაგროვების, ეპოქა დამთავრდა. ჩვენ ამ ვალებს ვიღებდით მაშინ, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა", ამბობს ის 1998 წელს. პრეზიდენტი ამავე კონტექსტში საუბრობს იმ გარემოებებზეც, რის გამოც მის ხელისუფლებას საგარეო ვალის აღება მოუხდა. მაგალითად, 2001 წელს ის ამბობს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის ეტაპზე საერთაშორისო დახმარებას „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა, ვინაიდან ჩვენი უმთავრესი ამოცანა, მაშინ ქვეყნის ხალხის ფიზიკური გადარჩენა გახლდათ". მომდევნო წელს ის კვლავ აღნიშნავს, რომ საგარეო დახმარების გარეშე „არათუ სწრაფი განვითარება, არამედ თვით გადარჩენაც კი (განსაკუთრებით პირველ წლებში) შეუძლებელი იქნებოდა" (2002).

პრეზიდენტი არაერთხელ ახსენებს ევროპისა და აშშ-ს დახმარებასაც (1992; 1994; 1995; 1997; 1998; 1999; 2000; 2001). 1992 წელს ის ამბობს, რომ დასავლური დახმარება „მნიშვნელოვანი ფაქტორია“ (1992), ხოლო 1994 წელს - აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარება „არის ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ხსნა “. 1995 წელს ის კვლავ ამბობს, რომ აშშ-დან მიღებული დახმარება საქართველოსთვის „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“, 2000 წელს კი აღნიშნავს, რომ აშშ-ს მიერ საქართველოსადმი „მუდმივი დახმარება და მზრუნველობა" „საერთოდ უპრეცედენტოა".

> უცხოელთა დახმარებასთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენც და მომავალი თაობებიც, ალბათ, სამუდამო ვალში ვართ ჩვენი უცხოელი მეგობრების წინაშე. პირდაპირ მინდა გითხრათ: რომ არ ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი გულუხვი დახმარება, შიმშილის, სიცივის და უბედურების წლებში ჩვენ ამოვწყდებოდით. (1997)

> ... ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ უდიდეს დახმარებასა და თანადგომას, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდან გაგვიწია

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ეს იქნებოდა უსამართლობა და ჩვენ უსამართლობას არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ. შთამომავლობამ უნდა იცოდეს, რომ გამანადგურებელი სამოქალაქო ომისა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების შემდეგ საქართველომ ისტორიულად უმოკლეს ვადაში შეძლო ფეხზე წამოდგომა, უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა მეგობარი სახელმწიფოების მრავალმხრივი თანადგომის შედეგად, რომელიც კვლავაც გრძელდება, მაგრამ ჰუმანიტარული დახმარების და ეკონომიკური მხარდაჭერის ნაცვლად ამჟამად უკვე სრულფასოვანი პარტნიორობის სახეს იძენს. (2002)

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ის ამ საკითხზე რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი რეაბილიტაციის თვალსაზრისით საუბრობს. პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ საერთაშორისო დონორთა დახმარება „ძალზე მნიშვნელოვანია ეკონომიკის გადარჩენისთვის“, თუმცა, იქვე დასძენს, რომ საჭიროა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც საგარეო დახმარებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნას დაუკავშირებს (2009). მომდევნო წელს პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან 2.5 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის შეთანხმებების დადება მოხერხდა, მათ შორის, გადამამუშავებელი საწარმოების განვითარების მიმართულებით (2010).

8.5 რუსეთთან დაპირისპირებული/რუსეთის მიერ ოკუპირებული

საპრეზიდენტო გამოსვლებში ფართოდ გვხვდება საქართველოს რუსეთთან დაპირისპირებული/რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყნის იდენტობა. ამ კატეგორიის წინადადებები ყველაზე ხშირად მიხეილ სააკაშვილისა (11.2%) და სალომე ზურაბიშვილის (11%) მოხსენებებში იძებნება. მესამე და მეხუთე პრეზიდენტებს მცირედით ჩამორჩება გიორგი მარგველაშვილი (9.3%), ხოლო ედუარდ შევარდნაძის მოხსენებებში - ეს მაჩვენებელი 3.5%-ს აღწევს. სულ აღნიშნული კატეგორიის წინადადებები მთლიან წინადადებათა 6.6%-ს შეადგენს. რუსეთთან დაპირისპირების შესახებ საუბარი არ გვხვდება ზვიად გამსახურდიას მოხსენებებში, თუმცა, ეს უკანასკნელი აქტიურად საუბრობს საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან არსებული

უთანხმოების თაობაზე (დეტალები იხილეთ ქვეთავში ‘ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი’). საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული უთანხმოების ძირითადი თემა კონფლიქტის ზონები - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონია. პრეზიდენტები აღნიშნავენ, რომ რუსეთი საქართველოს შიდა საქმეებში უხეშად ერევა და ამ ორ კონფლიქტს საქართველოს საწინააღმდეგოდ იყენებს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩნდება საქართველოს, როგორც ოკუპირებული ქვეყნის წარმოჩენაც, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ამ შინაარსის წინადადებები ომამდეც გვხვდება. რუსეთთან დაპირისპირების კიდევ ერთი საკითხია საქართველოს დასავლური ორიენტაცია. პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ კრემლი სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით უბიძგებს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმისკენ. ეს მოსაზრება მესამე, მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტებისთვის არის დამახასიათებელი. საგულისხმოა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ უთანხმოებაში ოთხივე პრეზიდენტი ამ უკანასკნელის ბრალს ხედავს.

დიაგრამა #25: იდენტობის კატეგორიის ‘საქართველო, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული/რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყანა’ პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



დიაგრამა #26[26]: იდენტობის კატეგორიების 'საქართველო, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული ქვეყნისა' და 'საქართველო, როგორც რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური ქვეყნის' პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით



საქართველოზე, როგორც რუსეთთან დაპირისპირებულ ქვეყანაზე ყველაზე მეტს ედუარდ შევარდნაძე 1992 წელს საუბრობს. ის აღნიშნავს, რომ რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით „კრიტიკას ვერ უძლებს" (1992). საგულისხმოა, რომ შევარდნაძე საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებაში რუსეთის პარლამენტსა და ჯარს ადანაშაულებს. „რუსეთის პარლამენტის მიერ აფხაზეთში შექმნილი კონფლიქტის შესახებ მიღებული რეზოლუცია საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში, უპრეცედენტო ჩარევის ნიმუშია და მას შეიძლება შორს მიმავალი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში", ამბობს იგი და იქვე დასძენს, რომ „აფხაზეთის ამბებში უაღრესად ნეგატიურად გამოიკვეთა ზოგიერთი რუსი გენერლის როლი ... ასეთი „მეგობრების" მეოხებით დაიკავეს ექსტრემისტებმა და გადამთიელებმა გაგრა, განთიადი, ლესელიძე" (იქვე). „ისინი ამაოდ ფიქრობენ, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ „განსაკუთრებული დამსახურებისათვის" მათ დანაპირებ ადგილ-მამულს უბოძებენ ქართულ მიწაზე", ამატებს პრეზიდენტი (იქვე). სახელმწიფოს მეთაური ხაზს უსვამს იმასაც, რომ ე.წ.

[26] ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში, დიაგრამა მოიცავს მონაცემებს იდენტობის კატეგორიებისთვის 'ანტისაბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი' და 'საბჭოეთისადმი არაკონფრონტაციული'.

მთიელ ხალხთა კონფედერაციის შეიარაღებულ რაზმებში, „რომლებიც აფხაზი ექსტრემისტების მხარეზე იბრძვიან, უმრავლესობას რუსეთის მოქალაქენი წარმოადგენენ“ (იქვე). უთანხმოების კიდევ ერთი წერტილია საბჭოთა კავშირის შეიარაღების განაწილების საკითხი. შევარდნაძე აღნიშნავს, რომ სიძნელეებია ეკონომიკურ სფეროშიც, სადაც რუსები „ცალკეული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისას“, საქართველოსგან „შეფარვით პოლიტიკურ დათმობებს მოითხოვენ“ (იქვე).

რუსეთთან დაპირისპირების ხარისხი მცირდება მომდევნო მოხსენებაში. აქ, სახელმწიფოს მეთაური მხოლოდ იმას ამბობს, რომ თუ რუსეთი არ შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს და ხელს არ შეუწყობს აფხაზეთში დევნილთა დაბრუნებას, ისიც „ბევრს დაკარგავს“ (1994). შევარდნაძე კრიტიკას ერიდება 1995 წლის გამოსვლაშიც. ის მხოლოდ ირიბად მიანიშნებს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა „აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა უცხოელმა მხარდამჭერებმა“ განდევნეს (1995). რაც შეეხება მომდევნო გამოსვლას, საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირებულ მხარეებად წარმოჩენა აქ მნიშვნელოვნად იზრდება. პრეზიდენტი ამბობს, რომ სეპარატისტულმა რეჟიმმა „უცხო ძალის კარნახით და უშუალო გადამწყვეტი ჩარევით“ კაცობრიობის წინაშე უმძიმესი დანაშაულები ჩაიდინა (1996). მისივე თქმით, აფხაზ სეპარატისტებს „გარკვეული რეაქციული ძალები ბარაქიანად კვებავდნენ და კვებავენ, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საშუალებებით“ (იქვე). საკმაოდ კრიტიკულია შევარდნაძის მომდევნო, 1997 წლის მოხსენებაც. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ რუსეთმა „ნახევრად ყაჩაღურად“ გაიტანა უზარმაზარი მოცულობის“ სამხედრო სიმდიდრე, მათ შორის, თვითმფრინავები, საჰაერო თავდაცვის საშუალებები და ფოთის პორტში განლაგებული სამხედრო გემები. „არ შეიძლება სახელმწიფოსთან გქონდეს სტრატეგიული ურთიერთობა და თვლიდე მას, ასე ვთქვათ, უმცროს პარტნიორად“, აცხადებს შევარდნაძე (1997). ის საუბრობს დსთ-ს სამშვიდობო ჯარების არაეფექტიანობაზეც. „არსებული სახის მანდატით სამშვიდობო ძალების ყოფნას აფხაზეთში არავითარი აზრი არა აქვს და ეს კარგად ესმით დღეს მათ, ვისაც ეს ეხება“, ამბობს იგი (1996). „[თუ] არ შესრულდა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილება, საკონტროლო ზონის გაფართოებისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ, ამ ზონაში სამშვიდობო ძალების შენარჩუნება შეუძლებელი იქნება“, დასძენს იგი (1997).

1998 წელს ედუარდ შევარდნაძე აცხადებს რომ რუსეთსა და საქართველოს შორის „კვლავაც მრავალი გადაუჭრელი საკითხია“, მათ შორის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოუგვარებელი კონფლიქტები და სასაზღვრო კონფლიქტი დარიალის ხეობაში, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სამხედრო ტექნიკის განაწილებისა და საზღვაო ფლოტის ხარჯების ანაზღაურების საკითხები. შევარდნაძე „სადაო საკითხებზე“ საუბრობს მომდევნო, 1999 წლის მოხსენებაში და ამგვარ საკითხებად კვლავ სამხედრო ქონების განაწილებას და აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს ასახელებს. პრეზიდენტი აკრიტიკებს დსთ-საც, აცხადებს რა, რომ ამ უკანასკნელის მიერ „ორმაგი სტანდარტით“ ხელმძღვანელობას „დიდი ძალისხმევის შედეგად მიღებული საკმაოდ კარგი და პრინციპული გადაწყვეტილებების“ შეუსრულებლობა მოჰყვა (1999). „დასანანია, რომ დსთ-ში საკმარისად არსებული რესურსები არ იქნა სათანადოდ გამოყენებული აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და სხვა კონფლიქტების მოსაგვარებლად“, ამბობს იგი (იქვე).

კონფლიქტების თემაზე რუსეთის კრიტიკა კვლავ საგრძნობლად მცირდება მისი პრეზიდენტის მმართველობის ბოლო წლებში. შევარდნაძე მხოლოდ 2001 წელს საუბრობს რუსეთთან დაპირისპირების თაობაზე და ისიც, მხოლოდ იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის ტრაგედიის შედეგებს რუსეთი საკუთარ ქვეყანაში იმკის“. პრეზიდენტი ამავე გამოსვლაში ახსენებს რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომსაც და აცხადებს, რომ ხელისუფლებამ საქართველოსთვის სწორი, თუმცა, რუსეთისთვის უსიამოვნო გადაწყვეტილება მიიღო, როცა ამ უკანასკნელს საქართველოს მხრიდან ჯარის გატარებაზე უარი უთხრა. „ჩვენ არ შეგვეძლო, (ამას შთამომავლობა უბრალოდ არ გვაპატიებდა) თანხმობა მიგვეცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯართა გატარებაზე კონფლიქტის ზონისაკენ, ვინაიდან ეს უეჭველად გამოიწვევდა საქართველოს ჩათრევას საომარ მოქმედებებში“, განმარტავს იგი (იქვე). შევარდნაძე დასძენს, რომ რუსეთმა სწორედ ამ გადაწყვეტილების „მომიზეზებით“ შემოიღო „საქართველოსთან დისკრიმინაციული სავიზო რეჟიმი“ (იქვე).

საქართველო რუსეთთან დაპირისპირებულ აქტორად არის წარმოჩენილი მიხეილ სააკაშვილის თითქმის ყველა გამოსვლაში. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ მისი პირველი ორი მოხსენების მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამოუვარდება დანარჩენი წლების მაჩვენებლებს. ამ გამოსვლებში პრეზიდენტი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ წარსულში რუსი პოლიტიკოსების აგრესიულმა რიტორიკამ „სერიოზულად

მოგვითხარა ძირი“ აფხაზეთში და სხვა რეგიონებში (2004), და რომ სახელმწიფოს მიზანს დაიბრუნოს მისი „ყველაზე თვალწარმტაცი ადგილი“, „ძლიერი და აგრესიული ძალები ეწინააღმდეგებიან“ (2005). 2006 წელს რუსეთთან დაპირისპირებაზე საუბარი მნიშვნელოვნად იმატებს. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ქვეყანა „სამად არის გახლეჩილი“, და რომ მისი „ტერიტორიის თითქმის ერთი მეხუთედი მიტაცებულია ჩვენი ქვეყნის თავისუფლების შემმუსვრელთა მიერ“ (2006). სააკაშვილი დასძენს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებს ეთნიკური სარჩული არ აქვს, და რომ ეს ყოფილ იმპერიასთან წარმოქმნილი ტერიტორიული კონფლიქტებია.

> კარგად ვიცით, რომ ჩვენი ტერიტორიის ანექსია სურთ ... ეს არ არის ეთნიკური კონფლიქტი, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური[27] კონფლიქტები ჩვენი არაკეთილმოსურნის მიერ მოგონილი არაკომპეტენტური ტერმინებია. ეს ტერიტორიული კონფლიქტებია - პოსტ-იმპერიული სივრცის გაყოფასთან დაკავშირებული დავა, თუ სად მთავრდება ყოფილი იმპერიის საზღვრები. (2006)

პრეზიდენტი აცხადებს, რომ წინა მთავრობისგან განსხვავებით, მათ აქტიურად დაიწყეს რუსეთთან დაპირისპირების შესახებ საერთაშორისო არენაზე ინფორმაციის გავრცელება. „მე მთელი მსოფლიოს გასაგონად ამოვიღე ხმა და ამის შესახებ ხმამაღლა განვაცხადე, რადგან ჩვენ ვართ ერი, რომელსაც აქვს ღირსება და თავმოყვარეობა“, ამბობს იგი (2006). ამავე წლიდან შემოდის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ჭრილში განხილვაც. კერძოდ, პრეზიდენტი აცხადებს, რომ რუსეთი, როგორც უწინ, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში, ახლაც „პროვოკაციებითა და შიდა არეულობებით“ ცდილობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ხელშეშლას (იქვე). „ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საქმე პროვოკაციულად განწყობილ ძალასთან გვაქვს“, ამბობს იგი (იქვე). პრეზიდენტი დასძენს, რომ საქართველოს ნატოში შესვლის შემთხვევაში, „ჩვენი ზოგიერთი თავზეხელაღებული ყოფილი ძმა [საზღვარს] ისე

[27] ის, რომ „ქართულ-ოსური კონფლიქტი არ არსებობს“ და ეს „იმპერიული ტექნოლოგიების მონაგონია“, პრეზიდენტი 2007 წელსაც იმეორებს.

დაუსჯელად ვეღარ გადმოლახავს, როგორც ეს ბოლო წლების განმავლობაში ხდებოდა“ (იქვე). რუსეთთან დაპირისპირებაზე საუბარი კიდევ უფრო ხშირდება 2007 წელს, რასაც წინ უძღვის ქართულ პროდუქციაზე დაწესებული ემბარგო, რუსეთიდან ქართველთა მასობრივი დეპორტაცია და საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ გაზსადენზე მომხდარი აფეთქება. სააკაშვილი სწორედ ამაზე მითითებით უსვამს ხაზს, რომ რუსეთი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით ცდილობს საქართველოს დასჯას.

> ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ გაგვიკეთეს ყველაფერი, რის თაობაზეც გვემუქრებოდნენ 1992 წლიდან... გვემუქრებოდნენ ბაზრის ჩაკეტვით, ბუნებრივი გაზის გაძვირებით; გვემუქრებოდნენ, რომ აღარ გვექნებოდა მოგზაურობის საშუალება, გაგვიმკაცრებდნენ სავიზო რეჟიმს, ან სულაც აღარ მოგვცემდნენ ვიზებს... წლის განმავლობაში: ჩვენ გამოგვიცხადეს ენერგობლოკადა; ზამთრის ყველაზე ცივ დღეებში გათბობის გარეშე დაგვიტოვეს ბავშვები; ... ყველაზე დიდი, ტრადიციული ბაზარი მთლიანად ჩაუკეტეს ქართველ ფერმერებს ... ეს არ იკმარეს - მასობრივად დაიწყეს ქართველების გამოძევება ... ხარჯეს მრავალი მილიონი, რომ საქართველოსათვის მოეკერებინათ არასაიმედო პარტნიორისა და ინვესტიციებისათვის არახელსაყრელი ქვეყნის იარლიყი ... პოლიტიკური სასჯელის სახით გაგვიძვირეს ენერგომატარებლები. (2007)

სააკაშვილის თქმით, რუსეთი ცდილობს პოლიტიკური სიტუაციის ამღვრევასაც, მათ შორის, ტერორიზმისა და ქურდული სამყაროს გამოყენებით. პრეზიდენტი საუბრობს კოდორის ხეობის მოვლენებში რუსების ჩარევის შესახებაც, აცხადებს რა, რომ მათ იქ დესტაბილიზაციის ახალი კერის გაჩენა სცადეს (2007).

> ჩვენი ქვეყნის ავის მოსურნეებს ჰქონდათ მიზანი, რომ კოდორის ხეობის სახით საქართველოში გაეჩინათ დესტაბილიზაციის ახალი კერა, გაეხსნათ ახალი ჭრილობა, შეექმნათ ახალი უკონტროლო ზონა, რომელიც გადაიქცეოდა კრიმინალისა და ყველანაირი უკანონობის მთავარ ასპარეზად, შემდეგ კი ცალკეული ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური ჯგუფების პოლიტიკურ პლაცდარმადაც. მაგრამ მათ საქართველოს სახელმწიფოსაგან დაუყოვნებელი და

ძალზე მკვახე პასუხი მიიღეს, მათ საკუთარ თავზე იწვნიეს ახალი საქართველოს ძალა და სამშობლოს ღალატისათვის უცილობელი სასჯელი. მათ უნდოდათ საქართველოს კონტროლიდან გამოსული კოდორის ხეობა და მიიღეს საქართველოს იურისდიქციაში მყოფი მთელი ზემო აფხაზეთი; მათ უნდოდათ კიდევ უფრო დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველო და მიიღეს უფრო ერთიანი და განმტკიცებული საქართველო; მათ უნდოდათ კონფლიქტისა და ნგრევის კერა და მიიღეს აღმშენებლობისა და განვითარების რეგიონი; მათ უნდოდათ ბანდიტების საბოგინო კოდორის ხეობა და მიიღეს ზემო აფხაზეთში გადასული აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა. (2007)

სააკაშვილი დასძენს, რომ მშვიდობის, მთლიანობის დასაცავად, „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ“ (იქვე). „მშვიდობისა და საქართველოს მთლიანობის დასაცავად ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შევინარჩუნოთ ის, რაც ყველა კონფლიქტურ რეგიონში გვიკეთებია - აღმშენებლობა და განვითარება“, ამბობს პრეზიდენტი და იქვე დასძენს, რომ ქვეყანა „მშვიდობას არა სუსტისა და უმწეოს, არამედ მოტივირებული, ერთ მუშტად შეკრული, ძლიერი ერის პოზიციიდან“ დაიცავს (იქვე).

2008 წლის შემდგომ საქართველოს რუსეთთან დაპირისპირებულ სახელმწიფოდ წარმოჩენა ერთიორად იზრდება. პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ საქართველოს მთლიანობასა და სუვერენიტეტს „დიდი“ (2009), „სახიფათო“ (2009), „დაუნდობელი“ (2010) და „ძლიერი“ (2010; 2011) მტერი უპირისპირდება. სააკაშვილის თქმით, რუსეთი არის „შურისმაძიებელი და რევიზიონისტული“ იმპერია (2013), რომელიც საქართველოს დანაწევრებას (2011), ევრო-ატლანტიკური კურსიდან ჩამოშორებას (2011; 2013), თავისუფლების შეზღუდვას (2012) და „ტიფლისკაია გუბერნია“-მდე დამცრობას (2013) ლამობს. პრეზიდენტის თქმით, საქართველომ 2008 წელს რუსეთის „უმძიმესი აგრესია“ გადაიტანა, რა დროსაც, რუსებმა დაბომბეს საქართველოს ქალაქები, დევნილად აქციეს ათი ათასობით ადამიანი, მოკლეს ასობით სამხედრო და სამოქალაქო პირი და მიწასთან გაასწორეს უამრავი სოფელი (2009). „ჩვენი ქვეყანა დიდი გამოწვევების წინაშე იმყოფება, იგი ოკუპირებულია და მტერი არა მხოლოდ არ აპირებს პოზიციების დათმობას, ახალი შეტევით, ახალი პროვოკაციებითა და ახალი უბედურებით იმუქრება“, აცხადებს პრეზიდენტი სააკაშვილი (2010). მისივე თქმით, რუსეთის ოკუპაციამ საგრძნობლად დააზარალა

ქვეყნის ეკონომიკა (2009; 2010). პრეზიდენტი ცდილობს იმის ხაზგასმასაც, რომ 2008 წელს რუსეთს საქართველოს საზოგადოება ერთიანად აღუდგა წინ, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობები (2009; 2010).

სააკაშვილის თანახმად, რუსეთის მიზანი არა მხოლოდ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მითვისება, არამედ მთლიანად საქართველოს დამორჩილებაა. „კარგად უნდა გვახსოვდეს და გავითავისოთ ყველამ, ეს არის მტერი, რომლის უმნიშვნელოვანესი, საბოლოო და კარგად არტიკულირებული, მკვეთრად გამოხატული მიზანია საქართველოს საბოლოო დაქუცმაცება და მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობა“, ამბობს იგი 2009 წელს, ხოლო 2010 წელს - აცხადებს, რომ „რუსეთის ინტერვენცია მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის მიწასთან გასწორებას“. პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მიუხედავად, თბილისს კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით - ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებით - სურს (2009), თუმცა, დასძენს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმართება, თუ ეს უკანასკნელი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს აღიარებს (2009; 2011; 2012). „არასოდეს ჩავიმუხლებთ ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისა და დეოკუპაციისათვის ბრძოლაში; არასდროს დავიღლებით საკუთარი სახლ-კარიდან გამოდევნილი თითოეული ჩვენი მოქალაქის ინტერესების დაცვაში; არასდროს შევეგუებით, რომ იმპერია გვიზღუდავდეს თავისუფალ არჩევანს“, აცხადებს იგი (2012).

საგულისხმოა, რომ რუსეთთან დაპირისპირების შესახებ საუბრისას, პრეზიდენტი მოიხმობს თანამედროვე და ისტორიულ მაგალითებსაც, მათ შორის, 2006 წლის ენერგეტიკულ ბლოკადას და 1921 წლის საბჭოთა რუსეთის ინტერვენციას (2010). სააკაშვილი იხსენებს იმასაც, თუ „როგორ ებრძოდა ‘ერთმორწმუნე’ მტერი ჩვენს ეკლესიას, როგორ გვართმევდნენ ავტოკეფალიას, გვითეთრებდნენ ხატებს და გვიკლავდნენ პატრიოტ მღვდელთმსახურებს“ (იქვე).

25 თებერვლის წლისთავთან ერთად გვახსოვს, რომ წელს სრულდება 180 წლისთავი იმ შავი დღიდან, როდესაც დაიჭირეს და გადაასახლეს გაენათელი და ქუთათელი ეპისკოპოსები იმიტომ, რომ ისინი აპროტესტებდნენ საქართველოს

> რუსიფიკაციას. დოსითეოს ქუთათელი გზაში მოკლეს წამებით, ექვთიმე გაენათელმა კი ვეღარასოდეს იხილა სამშობლო. (2010)

ნიშანდობლივია, რომ მისი მმართველობის მიწურულს, პრეზიდენტი სააკაშვილი ახალ მთავრობას დეოკუპაციის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღების ინიციატივით მიმართავს. „ერთად დავამტკიცოთ კონსტიტუციური კანონი დეოკუპაციის შესახებ, მშვიდად გავმართოთ დებატები და ვიპოვოთ გზები უცხოელთა ბატონობაში მცხოვრები ჩვენი ხალხის დასახმარებლად“, ამბობს იგი (2013)

სააკაშვილის მსგავსად, საქართველოს რუსეთთან დაპირისპირებულ ქვეყნად წარმოჩენა მარგველაშვილის პირველ მოხსენებაშიც საკმაოდ სუსტად არის წარმოდგენილი. ამ წელს პრეზიდენტი მხოლოდ იმის თქმით შემოიფარგლება, რომ ქვეყნის ერთიანობა „მრავალი შეცდომითა და გარე ძალების უხეში ჩარევით იქნა დარღვეული“, და რომ „დარღვეული ტერიტორიული და საზოგადოებრივი მთლიანობა“ კვლავაც „მთავარ პრობლემად“ რჩება (2014). პრეზიდენტი დასძენს იმასაც, რომ მოლაპარაკებებში მიღწეული „გარკვეული წინსვლის“ მიუხედავად, „მავთულხლართების მშენებლობამ და ე.წ. სასაზღვრო ზოლის 11 კილომეტრით გადაწევამ, არსებულ პოზიტივს სერიოზული ზიანი მიაყენა“ (იქვე). მომდევნო წლებში რუსეთისადმი კრიტიკის ხარისხი ერთიორად იზრდება. პრეზიდენტი აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას (2015), უარს ამბობს საქართველოს მიმართ ძალის არგამოყენებაზე (იქვე), ავლებს მავთულხლართებს (2015; 2017), ახორციელებს მისი ტერიტორიის მეხუთედის ოკუპაციას (2016), ზღუდავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების უფლებებს (2017) და ხელყოფს იქ მდებარე კულტურულ მემკვიდრეობას (იქვე). მარგველაშვილი დასძენს, რომ ეს ყოველივე რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის მცდელობაა (2015; 2017). პრეზიდენტი ასევე აცხადებს, რომ საქართველოს ამ ყველაფერზე „უმწვავესი რეაქცია“ უნდა ჰქონდეს (2017).

მარგველაშვილის თქმით, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ, ოკუპაციასთან ერთად, რბილ ძალასაც აქტიურად იყენებს. ის განმარტავს, რომ რუსეთი „პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური კამპანიით“ ცდილობს საქართველოში დასავლური ღირებულებების

დისკრედიტაციას და ქვეყანას ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმისკენ უბიძგებს, რაშიც, მისივე თქმით, კრემლს „ადგილობრივი ანტი-დასავლური ძალების კონგლომერატი“ ეხმარება (2015). პრეზიდენტი ამავე კონტექსტში ახსენებს, რომ რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას თან საფრთხეები ახლავს (2016). „არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის სურს“, ამბობს იგი (იქვე).

მარგველაშვილისთვის რუსეთთან საქართველოს დაპირისპირების მეორე ხაზი ქვეყნის დასავლური ორიენტაციაა. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ტერიტორიული პრობლემების წინაშე სწორედ მათი „ევროპული არჩევანის“ გამო დადგნენ (2015). „საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, ის წარმატებული დემოკრატიული ქვეყნები, რომლებმაც „გაბედეს“ და გააკეთეს საკუთარი თავისუფალი არჩევანი, ტერიტორიული პრობლემების წინაშე დადგნენ“, ამბობს იგი (2016). ამ მოსაზრების ნაწილია ისიც, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის მოხსენებებში გვხვდება ცივ ომთან პარალელებიც: 2017 წელს ის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დანარჩენი საქართველოსგან გამყოფ ხაზს ბერლინის კედელს ადარებს, ხოლო 2018 წელს - ამბობს, რომ რუსეთი ცივი ომის იმიტაციას ცდილობს მთელ მსოფლიოში. პრეზიდენტი დასძენს, რომ ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, საქართველოს მიერ რუსეთის მიმართ წარმოებული „სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა“ სწორია (2018).

საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებულ ქვეყნად არის წარმოჩენილი სალომე ზურაბიშვილის მოხსენებებშიც. პრეზიდენტი ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ოკუპირებული ტერიტორიები და საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დარღვევა საქართველოსთვის „უმძიმესი გამოწვევაა“ (2020). ზურაბიშვილის თქმით, რუსეთის მიერ საქართველოს „ტერიტორიების ოკუპაცია, გატაცებები და მცოცავი ხაზები“ „ძალადობისა და შანტაჟის პოლიტიკის ნაწილია“ (2019), რომლის მიზანიც ქვეყნის დასავლური ორიენტაციის შეცვლაა (2019; 2020). პრეზიდენტი განმარტავს, რომ კრემლი მეზობლების თავისუფალ არჩევანს ვერ ეგუება და სხვადასხვა ბერკეტის გამოყენებით ცდილობს მათ არჩეული გზიდან გადაახვევინოს, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ კრემლის აგრესიული პოლიტიკა წარმატებული ვერ იქნება.

> აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენი სვლა ნატოსა და ევროკავშირისკენ არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არც რაიმე აგრესიულ მიზნებს ისახავს. სუვერენული ქვეყნის სუვერენული უფლებაა, საკუთარი უსაფრთხოებისა და თავდაცვის გამყარებისათვის მოკავშირეები თავისუფლად აირჩიოს. ეს არჩევანი ვერ იქნება გამოყენებული მუქარის საფუძვლად და გათვალისწინებულ შედეგს – ჩვენს დაშინებასა და გეზის შეცვლას – ვერ გამოიღებს. ხომ ნათელია, რომ რუსეთის მხრიდან მუქარის, აგრესიის, ზეწოლის, ომის, ოკუპაციის მიუხედავად, საქართველოს არ გადაუხვევია სახელმწიფოებრივი მშენებლობის, დემოკრატიის გამყარების, ეკონომიკის გაძლიერების, დამოუკიდებლობის განმტკიცების გზიდან. ეს არის მშვიდობიანი პოლიტიკის გამარჯვება ძალადობისა და მუქარის პოლიტიკაზე! (2019)
>
> რუსეთის პოლიტიკა, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობასთან კვლავინდებურად შეუგუებელია და მეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელს უშლის ... თუ რუსეთი ოკუპაციას იყენებს იმისათვის, რომ საქართველო თავისი გეზიდან გადაიყვანოს და მიზანზე უარი ათქმევინოს, ეს შედეგი ვერ იქნება მიღწეული. თუ მისი მიზანია, საქართველოსთან და მთელ რეგიონთან ახალი მეზობლური ურთიერთობები დაამყაროს, ეს ყველას ინტერესშია. მაგრამ ახალი ურთიერთობა მოითხოვს სუვერენული სახელმწიფოსა და მისი თავისუფალი არჩევანის პატივისცემას. მოითხოვს დეესკალაციას. მოითხოვს დეოკუპაციას. (2020)

პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ ოკუპაციის საკითხი „ყველაზე საკრალური თემაა“ და დაუშვებელია ამ საკითხის პარტიული მიზნებით გამოყენება. „როცა ვიცით, რომ მავთულხლართების ყოველი გადმოწევა და ყოველი პროვოკაცია საოკუპაციო ხაზზე მიზნად ისახავს ჩვენს გამოწვევას, არ შეიძლება, ოკუპაციის საკითხი გამოყენებული იყოს შიდა ვიწრო პოლიტიკური მიზნებისთვის. არ შეიძლება, ერთმანეთს ბრალს ვდებდეთ არასათანადო რეაგირებაში“, განმარტავს ზურაბიშვილი (2020). „ამ თემასთან დაკავშირებით არ უნდა ისმოდეს აბსურდული ბრალდებები ერთმანეთის მიმართ: „არაფერს აკეთებენ“ ან კიდევ „ენგურის ხიდი ჩაკეტეს“ - განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალიან კარგად ვიცით, ვინ ჩაკეტა ენგურის ხიდი და ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი“, დასძენს იგი (2021).

8.6 რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური

ქართული საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა 'საქართველო, როგორც რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური ქვეყანა'. ამ კატეგორიის წინადადებების პროცენტული წილი მთლიან წინადადებებში მისი საპირისპირო, რუსეთთან დაპირისპირებული ქვეყნის კატეგორიის მაჩვენებლის იდენტურია - 6.6%. ამ კატეგორიის წინადადებები ყველაზე ხშირად ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში იძებნება (9.8%). მას მოსდევენ გიორგი მარგველაშვილი (4%) და მიხეილ სააკაშვილი (3.1%). ამ იდენტობაზე ყველაზე ნაკლებად სალომე ზურაბიშვილი საუბრობს (1.5%). აღნიშნული კატეგორიის წინადადებებში საქართველო გვევლინება, როგორც ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან კეთილმეზობლური და თანასწორი ურთიერთობა სურს. პრეზიდენტების თანახმად, საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოწესრიგდეს, თუმცა, ამისათვის რუსეთისგან ის თავადაც მოითხოვს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას. პრეზიდენტები ხაზს უსვამენ, რომ საქართველოსა და რუსეთის დაპირისპირების მოგვარება არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონის ინტერესშია. საგულისხმოა, რომ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში საქართველო ასევე გვევლინება აქტორად, რომელიც ცდილობს ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებაში რუსეთის პოზიციის მისთვის სასიკეთოდ შემობრუნებას. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაურები მათი პრეზიდენტობის პირველ წლებში უფრო მეტად იმედიანად არიან რუსეთის მიმართ განწყობილნი, ვიდრე მმართველობის მიწურულს. მთლიანობაში, ზოგადი დასკვის სახით შეიძლება ითქვას, რუსეთისადმი დამოკიდებულებებს შორის უფრო ნეიტრალური ჭარბობს, ვიდრე დადებითი; საქართველოს რუსეთისადმი კეთილგანწყობილ აქტორად წარმოჩენა მხოლოდ შევარდნაძისთვის არის დამახასიათებელი და ისიც, მინიმალურად.

დიაგრამა #27: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



პრეზიდენტებს შორის, ყველაზე მეტს ამ იდენტობაზე ედუარდ შევარდნაძე საუბრობს. შევარდნაძე საკმაოდ დიდ დროს უთმობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ზოგად კონტურებზე საუბარს. შევარდნაძის თქმით, რუსეთთან ურთიერთობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის „სასიცოცხლო" (1992), „ერთ-ერთი უმთავრესი" (1995), „ერთ-ერთ ძირითადი" (1998) და „პრიორიტეტული" (1999) მიმართულებაა. პრეზიდენტი მის პირველივე გამოსვლაში აცხადებს, რომ „თუ ობიექტურად, არსებული რეალური სინამდვილით ვიმსჯელებთ, რუსეთისა და საქართველოს სტრატეგიულ, ეროვნულ ინტერესებში არაა წინააღმდეგობა, ისინი ემთხვევა კიდევაც ერთმანეთს" (1992). შევარდნაძე აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობები თანასწორობის, ორმხრივი სარგებლისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული (1992; 1999; 2000; 2001). ის ხაზს უსვამს იმასაც, რომ საქართველო მის ყველა ვალდებულებას პირნათლად ასრულებს. „ჩვენ ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც ვიკისრეთ ხელშეკრულებებით, ვასრულებთ და მომავალშიც უფრო ნაყოფიერად და პატიოსნად შევასრულებთ", აცხადებს იგი (1997). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი საუბრობს რუსეთისადმი გაწონასწორებული პოლიტიკის გატარების აუცილებლობის შესახებაც. „რუსეთთან სწორი, დაბალანსებული, აწონილ-დაწონილი პოლიტიკის გატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რუსეთის ფაქტორის იგნორირება ისევე დაუშვებელია, როგორც

საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უგულებელყოფა“, ამბობს იგი (1998). მის ბოლო ორ, 2001 და 2002 წლების მოხსენებებში პრეზიდენტი საუბრობს რუსეთის, როგორც „დიდი ქვეყნის“ ინტერესების გათვალისწინებაზე საქართველოში და კავკასიაში, თუმცა, იქვე დასძენს, რომ თავად რუსეთმაც უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ინტერესები. უაღრესად საინტერესოა პრეზიდენტი შევარდნაძის 2001 წლის მოხსენება. ის აქ მისი მმართველობის პერიოდში საქართველოს მიერ რუსეთის მიმართ გაკეთებულ დათმობებზე საუბრობს. პრეზიდენტი ამბობს, რომ 1994 წლიდან ხელისუფლებამ „გააკეთა ყველაფერი, რაც კი გონიერების ზღვარს არ სცილდებოდა, რათა ისტორიულად მეგობარ, მეზობელ რუსეთთან დაგვემყარებინა ახალი ურთიერთობა“ (2001). ამგვარ გადაწყვეტილებებს შორის, პრეზიდენტი ასახელებს რუსეთისთვის კონფლიქტის მთავარი შუამავლის როლის მინიჭებას, 1994 წელს დსთ-ში შესვლას, 1994 წლის „მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ“ ხელშეკრულებას და 1995 წლის შეთანხმებას საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დაარსების თაობაზე (იქვე). შევარდნაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს გადადგმული „კომპრომისული ნაბიჯები“ რუსეთის იმდროინდელმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ აღიქვა, თუმცა, იქვე დასძენს, რომ ამაში ნაწილობრივი ბრალი მოსკოვში არსებულ რთულ პოლიტიკურ ვითარებას მიუძღვის (იქვე).

რაც შეეხება კონფლიქტის რეგიონებს, პრეზიდენტი ამ თემას მის პირველივე მოხსენებაში მიმოხილავს. ის ამბობს, რომ აფხაზეთის საკითხზე გაეროში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სწორედ რუსეთს აკისრია (1992). პრეზიდენტი რუსეთის მიმართ ოპტიმისტურად არის განწყობილი მომდევნო, 1994 წლის გამოსვლაშიც. მისი თქმით, მსოფლიო თანამეგობრობა მოელის, რომ აფხაზეთში განლაგებული სამშვიდობო ძალები უახლოეს პერიოდში შეუდგებიან მათი ერთ-ერთი მთავარი მიზნის განხორციელებას - „კონფლიქტის მთელს ზონაში ლტოლვილების, იძულებით ადგილნაცვალი მოსახლეობის დაბრუნებისა და განლაგებისათვის უსაფრთხოებისათვის გარანტიების შექმნას“ (1994). „პოლიტიკური ლოგიკის ყველა განზომილებით რუსეთმა ბოლომდე უნდა შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც იკისრა საქართველოსა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის წინაშე“, აღნიშნავს პრეზიდენტი (იქვე). მომდევნო წელს შევარდნაძე კვლავ აცხადებს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ბევრი რამ

სწორედ რუსეთის პოზიციაზე იქნება დამოკიდებული, „რომელიც ჩეჩნეთში ომისა და მასში ჩეჩნეთის მხარეზე აფხაზეთის სამხედრო ფორმირებათა მონაწილეობის ფონზე აშკარად ჩვენთვის სასარგებლოდ უნდა გამოიკვეთოს“ (1995). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ „აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემების“ გადასაწყვეტად აუცილებელია რუსეთთან „მჭიდრო სტრატეგიული კავშირი“ (იქვე). საქართველოს, როგორც რუსეთისადმი კეთილგანწყობილი ქვეყნის წარმოჩენა საგრძნობლად იზრდება 1996 წელს, როცა დსთ-ს წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის, რუსეთმა, სოხუმზე ზემოქმედების ზომების მიღებას დაუჭირეს მხარი. ამ წლის გამოსვლაში პრეზიდენტი დაწვრილებით მიმოიხილავს დსთ-ს სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შეკრებამდე ჩატარებულ მოსამზადებელ სამუშაოებს, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებთან გამართულ წინასწარ კონსულტაციებს. შევარდნაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას რუსეთის მხარდაჭერა ჰქონდა.

> პირველად საერთაშორისო სახის დოკუმენტში აისახა ჩვენი მოთხოვნა - არა მარტო დაგმობილ იქნეს სეპარატიზმი, არამედ გამოყენებულ იქნეს ზემოქმედების კოლექტიური ღონისძიებანი. გადაწყვეტილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ“ არა მარტო ცალსახად აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ ახალ ფორმულასაც განმარტავს - თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურები ადასტურებენ, რომ აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ამიტომ ისინი აკრძალავენ ყოველგვარ სამხედრო და სხვა სახის დახმარებას, ხოლო საქართველოს მთავრობის გარეშე არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციებს აფხაზური მხარის ხელისუფლებასთან; მონაწილე სახელმწიფოები არ დაუშვებენ თავის ტერიტორიებზე აფხაზეთის ოფიციალური წარმომადგენლობების, აგრეთვე, იმ პირების ფუნქციონირებას, რომლებიც ოფიციალურად წარმოადგენენ ამ ხელისუფლებას. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ფორმულა უკვე პლენარულ სხდომაზე დაზუსტდა ჩვენი პრინციპული პოზიციის გათვალისწინებითა და უზბეკეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვის,

ყაზახეთის, სომხეთისა და სხვა ლიდერთა აქტიური მხარდაჭერით, რაც რუსეთის პრეზიდენტმაც გაიზიარა. (1996)

შევარდნაძე დასძენს, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოს აძლევდა იმედს, რომ რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო წრეები „ამჯერად უფრო გაგებით“ მოეკიდებოდნენ მის მთავარ მოთხოვნებს (იქვე). მომდევნო წელს, როცა შევარდნაძე სამშვიდობო ძალების გასვლისა და სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის საჭიროებაზე საუბრობს, ის აცხადებს, რომ სწორედ რუსეთმა უნდა ითავოს კონფერენციის მთავარი ორგანიზატორისა და მასპინძლის როლი (1997). 1998 წელს ის კვლავ ხაზს უსვამს, რომ მოლაპარაკების ახალი, საერთაშორისო ფორმატების გაჩენა „სულაც არ ნიშნავს რუსეთის როლის შესუსტებას“. „მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარების, ხალხის დაბრუნების და სტატუსის განსაზღვრის კლასიკური მაგალითი შეიძლება გახდეს რუსეთისა და დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა თანამშრომლობა უმნიშვნელოვანეს რეგიონში მშვიდობის დასაბრუნებლად“, ამბობს იგი და დასძენს, რომ კონფლიქტის მოგვარების შემდგომ, რუსეთმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს აფხაზეთზე გამავალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში (1998). მომდევნო წლებში ის კიდევ რამდენჯერმე ცდილობს რუსეთის როლის ხაზგასმას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. „ფაქტია, რომ მნიშვნელოვანწილად რუსეთის პოზიციაზეა დამოკიდებული გაეროს უშიშროების საბჭოს შეფასებათა პრინციპულობა და შესაბამის გადაწყვეტილებათა შესრულების ხარისხი“, ამბობს იგი (1999). „დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ რომელიმე ერთი სახელმწიფოს ნებაზე არ არის დამოკიდებული ... თუმცა, ამ ფრაზაში არ უნდა ვიგულისხმოთ რუსეთის შეუფასებლობა, რომელსაც კვლავაც ძალუძს დიდი როლი შეასრულოს ამ ისტორიულ პროცესში“, დასძენს პრეზიდენტი (2000). შევარდნაძე ამავე სულისკვეთებით საუბრობს მის ბოლო, 2002 წლის გამოსვლაში, როცა ის „მდგრადი უშიშროების კოორდინატთა“ სისტემის, ანუ ნატოს ფარგლებში აფხაზეთისა და ცხინვალისთვის კონფლიქტის მოგვარების ორმხრივად მისაღები ფორმულის შემუშავების სურვილს გამოთქვამს, თუმცა, იქვე დასძენს, რომ ეს „სრულებითაც არ გულისხმობს რუსეთის როლის იგნორირებას“. „მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაცია, უკვე თანასწორუფლებიანად მონაწილეობს, თითქმის

თანასწორუფლებიანად ნატოს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღებაში“, განმარტავს შევარდნაძე (2002).

შევარდნაძე საუბრობს ცხინვალის რეგიონის თაობაზეც. საგულისხმოა, რომ ის არაერთხელ აღნიშნავს რუსეთის ხელმძღვანელობისა და სამშვიდობო ქვედანაყოფების დადებით როლს კონფლიქტის მოგვარების საქმეში (1992; 1994; 1997; 1998; 2000). პრეზიდენტი დადებით კონტექსტში ახსენებს რუსეთთან ენერგეტიკულ (1994), სამეცნიერო-კულტურულ (1999) და სასაზღვრო (1999; 2000; 2001; 2002) სფეროებში თანამშრომლობასაც (1994). ის ემხრობა დსთ-ს ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებებით თანამშრომლობის გაღრმავებასაც (1995; 1996; 1997; 1999; 2001). რუსეთისადმი კეთილგანწყობა გამოიხატება იმაშიც, რომ პრეზიდენტი სწორედ რუსეთის ევროპასთან ინტეგრაციაში ხედავს შესაძლებლობას, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაცია უმტკივნეულოდ მოხდეს. „[ევროპულ პროცესებში რუსეთის ინტეგრაცია] დააჩქარებს საერთო პროგრესს, შექმნის უკეთეს გარემოს რუსეთის სახელმწიფოს სტაბილურობისა და დემოკრატიული გზით განვითარებისათვის“, აცხადებს შევარდნაძე (1995). „მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ რუსეთის ინტეგრირება ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ის სასიკეთო მოვლენაა, რომელიც „ცივი ომის“ დამთავრებამ მოიტანა და რომელიც დიდ სიკეთეს მოუტანს რუსეთსაც და მთელ მსოფლიოსაც“, დასძენს იგი (1997).

საქართველოს რუსეთისადმი ნეიტრალური/დადებითი წარმოჩენა გვხვდება სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე მსჯელობისასაც. მმართველობის დასაწყისში პრეზიდენტი შევარდნაძე რამდენიმეჯერ აცხადებს, რომ საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობები რუსეთთან ან საქართველოში მდებარე რუსულ ბაზებთან თანამშრომლობით უნდა გაძლიერდეს. „არ გაგვაჩნია ეროვნული არმიისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამიტომ, ... სხვა გზა არა გვაქვს, ჯერჯერობით უნდა გამოვიყენოთ რუსეთის შეიარაღებული ძალების შესაბამისი ბაზები ქართული ჯარის წვრთნისა და ფორმირებისათვის, ამ არმიის მეთაურები და გენერლები“, ამბობს შევარდნაძე (1992). „ერთი რამ ყველამ გავითვალისწინოთ - სრულფასოვანი არმიის შექმნა დღევანდელ ეტაპზე მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს თანადგომით და მხარდაჭერით არის შესაძლებელი“, დასძენს იგი (1995). პრეზიდენტი აცხადებს იმასაც, რომ ის ემხრობა რუსეთის არმიის ცალკეული ქვედანაყოფების საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში

შესვლას, აგრეთვე, რუსეთში მყოფი ქართველი ოფიცრების საქართველოს არმიაში მოწვევას (1992). რაც შეეხება რუსეთის არმიის დანარჩენ ნაწილებს, პრეზიდენტი მის პირველივე მოხსენებაში აცხადებს, რომ მათი გაყვანა საჭიროა, თუმცა, დასძენს, რომ ეს საკითხი მოგვიანებით, მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს (იქვე). ჯარების გაყვანაზე საუბარს პრეზიდენტი შევარდნაძე მმართველობის მიწურულს აახლებს. კერძოდ, ის ამბობს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ბაზების გატანასთან დაკავშირებით 1999 წელს მიღწეული შეთანხმება „ისტორიული წარმატებაა“ (2000). „დარწმუნებული ვარ, რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანა მოხდება ეტაპობრივად, არამტკივნეულად, რის შემდეგაც ორთავე სახელმწიფო უფრო წარმატებით განახორციელებს ურთიერთნდობაზე, თანასწორობაზე და პატივისცემაზე გაანგარიშებული ურთიერთობების მშენებლობას“, აცხადებს იგი (იქვე).

მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, ეს იდენტობა საკმაოდ შესუსტდა, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. სააკაშვილი მის მხოლოდ ოთხ მოხსენებაში მოიხმობს ამ იდენტობის კატეგორიას და ისიც, არა ცალსახად დადებით კონტექსტში, არამედ ნეიტრალურად, კონფლიქტებისა და პოლიტიკური უთანხმოების მოგვარების თვალსაზრისით. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ წინა ხელისუფლება რუსეთს აგრესიული რიტორიკით აღიზიანებდა და ამით, მისი „შინაგანი სისუსტეების კომპენსირებას“ ახდენდა (2004). „[ეს] ძალიან ცუდად დამთავრდა ჩვენთვისაც და ჩვენი და რუსეთის ურთიერთობისთვისაც“, განმარტავს იგი (იქვე). სააკაშვილი დასძენს, რომ მისი მმართველობის ხანმოკლე პერიოდში რუსეთის საზოგადოებრივი აზრი საქართველოსადმი „მკვეთრად პოზიტიური“ გახდა (იქვე). „დღეს საქართველოს ხსენებაზე რუსეთში უკვე აღარ არის ის უარყოფითი რეაქცია, რომელიც აქამდე იყო და რომელმაც ძალიან დაგვაზარალა თავის დროზე“, ამბობს იგი (იქვე). სააკაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს რუსეთთან „სერიოზული პარტნიორული ურთიერთობის“ დაწყება სურს (იქვე). „დარწმუნებული ვარ, თანმიმდევრული, პრინციპული, ღირსეული საუბრით რუსეთთან ჩვენ შევძლებთ ამ ქვეყნის შემობრუნებას“, ამბობს იგი და დასძენს, რომ რუსეთის შემხვედრი ნაბიჯები საქართველოს წინაშე არსებული „შიდა ამოცანების“ გადასაწყვეტად „ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფაქტორია“ (იქვე). 2005 წელს პრეზიდენტი საუბრობს ორმხრივი კომპრომისის გზით რუსეთთან არსებული პრობლემების მოგვარებაზე. „ორივე მხარე თანაბრად უნდა წავიდეს კომპრომისებზე, ამასთან დაკავშირებით კი,

უნდა მოვილაპარაკოთ“, ამბობს პრეზიდენტი და იქვე აღნიშნავს, რომ ის მზად არის მოსკოვში ჩავიდეს და „ხელახლა“ გაუწოდოს ვლადიმერ პუტინს „მეგობრობის ხელი“ (2005). პრეზიდენტი საკითხს 2008 წლის საინაუგურაციო სიტყვაში უბრუნდება, აცხადებს რა, რომ საქართველო კვლავ „პარტნიორობის ხელს“ უწვდის რუსეთს. „ხელს გავუწვდით რუსეთს უკეთესი ურთიერთობების დასამყარებლად“, ამბობს პრეზიდენტი და დასძენს, რომ ეს ურთიერთობები „ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და საერთო მოგების“ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს (2008). სააკაშვილი საკითხს 2012 წელსაც ეხება. ის აღნიშნავს, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებით არის დაინტერესებული. „რუსეთი არის და იქნება საქართველოს მეზობელი, რაც განაპირობებს ჩვენს წადილს, დავამყაროთ მასთან მშვიდობა“, აცხადებს იგი (2012). პრეზიდენტი ვრცლად საუბრობს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებზეც. მისი თქმით, საქართველო რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს მიესალმება და მზად არის ინვესტორებისთვისა და ტურისტებისთვის ქვეყნის ბაზარი გახსნას, მათ შორის, გააუქმოს სავიზო რეჟიმი.

> დაე ყველა რუსმა ბიზნესმენმა იცოდეს, რომ საქართველო ისეთივე მიმზიდველი საინვესტიციო ქვეყანაა მისთვის, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქისთვის, კორუფციის, უკანონობისა და ბიუროკრატიული წნეხისაგან თავისუფალი; დაე, იცოდნენ რუსმა ტურისტებმა, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ჩამოსვლა საქართველოში და აქ მათ ქართველებისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით დახვდება ყველა; იცოდნენ, რომ მათ აქ არავინ დაუშლის მონატრებული ქართული ღვინისა და ბორჯომის დალევას. (2012)

სააკაშვილის ხაზს აგრძელებს გიორგი მარგველაშვილიც. ის აღნიშნავს, რომ საქართველოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების წარმართვა სურს, თუმცა, ამბობს იმასაც, რომ ამ უკანასკნელმა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას უნდა სცეს პატივი (2014; 2015; 2016). პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს სტაბილურობა და განვითარება თავად რუსეთის ინტერესშია. „ჩვენ ვცდილობთ ვაჩვენოთ მათ, რომ საქართველოსთვის პრობლემების შექმნით რუსეთში არც ერთი პრობლემა არ გვარდება“, ამბობს იგი 2014 წელს, ხოლო

2016 წელს - დასძენს, რომ „რუსეთის ფედერაციის კეთილდღეობა ვერ იქნება მიღწეული მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციისა და მისი მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფით“. პრეზიდენტი მარგველაშვილი ეხება მმართველი პარტიის პოლიტიკასაც. კერძოდ, 2014 წელს ის ამბობს, რომ რუსეთთან დიალოგის ახალი ფორმატის გახსნითა და ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ და ჰუმანიტარულ საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებით ორმხრივ ურთიერთობებში „გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა“. მარგველაშვილი დასძენს, რომ რუსეთთან დიალოგი საქართველოს წინაშე მდგარი „ურთულესი პრობლემების“ მოგვარების ერთადერთი გზაა (2014). პრეზიდენტი ეხება წინა ხელისუფლების პოლიტიკასაც. კერძოდ, 2014 წელს ის აცხადებს, რომ ქართული ოცნების „რაციონალურმა“ მიდგომამ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების „აგრესიული პოლიტიკა“ ჩაანაცვლა, რომელსაც „არავითარი შედეგი არ ჰქონდა“, ხოლო 2018 წელს - ის ამბობს, რომ რუსეთის მიმართ საქართველოს „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკა „სწორი და ადეკვატურია“. პრეზიდენტის თქმით, სწორედ „სტრატეგიული მოთმინების“ წყალობით მოხერხდა „საკუთარი განვითარების აგრესიულ ფაზაში“ მყოფი რუსეთისგან დამატებითი გამოწვევების თავიდან არიდება (2018). მარგველაშვილი დასძენს, რომ საქართველო, როგორც ნატოს მიღმა მდგარი სახელმწიფო ბოლომდე დაცული არ არის და „ამიტომ, ჩვენ დღეს განსაკუთრებით გვჭირდება ამ მიმართულებით ფხიზლად ყოფნა და მე მიმაჩნია, რომ სწორია სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა“ (იქვე). საკითხს რამდენიმე წინადადებით ეხმიანება სალომე ზურაბიშვილიც. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველო არ შეეგუება რუსეთთან მოლაპარაკების ტექნიკურ დონეზე დაყვანას და დასძენს, რომ საჭიროა მაღალი პოლიტიკური ფორმატის დიალოგის განახლება (2019). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ თუ რუსეთი საქართველოსთან და მთელ რეგიონთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს დაამყარებს, „ეს ყველას ინტერესში“ იქნება (2020).

8.7 საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი

საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსში გვხვდება საქართველოს, როგორც საფრთხეში ან ცვალებად სამყაროში მყოფი ქვეყნის სახე-ხატი. ეს იდენტობის კატეგორია ფართოდ არის გავრცელებული სალომე ზურაბიშვილისა (8%) და ზვიად

გამსახურდიას მოხსენებებში (7%), თუმცა, გვხვდება მიხეილ სააკაშვილის (5.1%), ედუარდ შევარდნაძისა (4.9%) და გიორგი მარგველაშვილის (3.5%) გამოსვლებშიც. მთლიანობაში ამ კატეგორიის წინადადებათა წილი საგარეო პოლიტიკურ წინადადებებში 5%-ს იკავებს. ამ კატეგორიის წინადადებებში საქართველო წარმოჩენილია სახელმწიფოდ, რომელიც მისი განვითარების რთულ და გარდამტეხ ეპოქაში იმყოფება. გვხვდება საქართველოს მიმდებარე რეგიონის, როგორც საფრთხისშემცველი სივრცის წარმოდგენა, როგორც თანამედროვე, ისე ისტორიული თვალსაზრისით. ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები მრავალგვარია, თუმცა, გამოწვევები, ძირითადად ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის არის. ედუარდ შევარდნაძის შემთხვევაში, გვხვდება კულტურულ საფრთხეებზე ხაზგასმაც.

დიაგრამა #28: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



საქართველოზე, როგორც საფრთხეში მყოფ ქვეყანაზე საუბარს ზვიად გამსახურდია იწყებს. გამსახურდიას თანახმად, საქართველო „უკონტროლო მიგრაციას და უცხოელთა დემოგრაფიულ ექსპანსიას“ განიცდის (1990). პრეზიდენტი ამბობს, რომ საქართველოს საუკუნეების განმავლობაში „მტრულ გარემოცვაში უწევდა“ გადარჩენა, ხოლო დღეს - „ცვალებად და დაძაბულ ეპოქაში“ უწევს არსებობა (1991). ამის მიუხედავად, გამსახურდია ხაზს უსვამს, რომ ცივი ომის დასრულებას დადებითი პროცესები - „გლობალური პოლიტიკური ცვლილებები“ - მოჰყვა (იქვე). „სულ უფრო

მეტ მხარდაჭერას იძენს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის იდეები“, აღნიშნავს პრეზიდენტი (იქვე).

საქართველოს, როგორც ცვალებად სამყაროში მყოფი ქვეყნის სახე-ხატი აქტიურად გვხვდება ედუარდ შევარდნაძის პირველივე მოხსენებიდან და ეს იდენტობის კატეგორია თანაბრად არის წარმოდგენილი შემდგომი წლების გამოსვლებში. შევარდნაძის თქმით, ქვეყანა მისი განვითარების გარდამტეხ ეტაპზე იმყოფება. ასე, მაგალითად, 1992 წელს შევარდნაძე ამბობს, რომ საქართველო „მნიშვნელოვან ისტორიულ გზაგასაყარზე“ დგას. „დღეს ჩვენ რთულ არასტაბილურ გეოპოლიტიკურ გარემოში ვიმყოფებით, სადაც ერთმანეთს ეჯახება მსოფლიოს გიგანტური სახელმწიფოების, ცივილიზაციებისა და ფუნდამენტური რელიგიური და იდეოლოგიური მოძრაობების სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესები“, ამბობს იგი (1992). 1995 წელს ის აღნიშნავს, რომ ქვეყანა „ღრმა კრიზისისა და კარდინალური რეფორმების ეპოქაში“, „მეტად პასუხსაგებ, რთულ, წინააღმდეგობრივ, გარდამავალ ისტორიულ ეტაპზე“ იმყოფება (1995). 2001 წელს პრეზიდენტი კვლავ ამბობს, რომ საქართველო „განვითარების კრიტიკულ წერტილში იმყოფება“, ხოლო 2002 წელს დასძენს, რომ ქვეყანა „თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გარდამტეხ მიჯნასთან“ არის.

შევარდნაძე ბევრს საუბრობს საქართველოს გარშემო არსებულ საფრთხეებზეც. ეს საფრთხეები მრავალგვარია, მათ შორის, ეკონომიკური და საფინანსო კრიზისი (1992; 1999; 2000; 2001), „ზნეობრივ ღირებულებათა დევალვაცია“ (1992), პოლიტიკური არასტაბილურობა (1992), ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობა (1996), ორგანიზებული დანაშაული (1995), ფინანსური და ეკონომიკური დანაშაულები (1995), გლობალური დათბობა (1999) და ა.შ. პრეზიდენტი საუბრობს სამეზობლოში მიმდინარე საომარი მოქმედებებიდან მომდინარე საფრთხეებზეც (1995; 2000; 2001). შევარდნაძის თქმით, საქართველო „მეტად არასტაბილურ, საშიშ, ფეთქებად“ რეგიონში იმყოფება (1995). საგულისხმოა, რომ 1990-იანი წლების შუიდან ის აქტიურად იწყებს მტრულად განწყობილ „უცხო“ ძალებზე საუბარს. ამის მაგალითია განცხადებები, რომ არსებობს საქართველოში „გარეშე ძალების“ სამხედრო ჩარევის საფრთხე (1995), რომ „უცხო ძალამ“ ქართველ ხალხში შური და მტრობა დათესა (1997), რომ ქართველ ერში განხეთქილების ჩამოგდების მცდელობაში „უცხოეთის სპეცსამსახურების ხელიც ურევია“ (1998), რომ 1998 წლის გალის მოვლენები „გარედან ინსპირირებული“ იყო

(1999), და რომ „ცალკეული ქვეყნების სპეცსამსახურები“ საქართველოში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან (2000).

ბოლო ორ მოხსენებაში პრეზიდენტი საუბრობს საქართველოს კულტურული თვითმყოფადობისთვის შექმნილ საფრთხეებზეც. შევარდნაძის თქმით, გლობალიზაციის „ობიექტური“ პროცესების ფონზე, არსებობს ქართული კულტურის დაკნინებისა (2001) და მისი უნიკალურობის დაკარგვის რეალური საფრთხე (2002). „ეს მარტო სიტყვების რახარუხი არ არის, რეალური საფრთხე, რომელიც პატარა ხალხებს, მცირერიცხოვან ხალხებს, განსაკუთრებით ისეთს, როგორიც საქართველოა და ქართველი ხალხი, ემუქრება“, ამბობს იგი (იქვე).

ქვეყანას სხვადასხვა სახის საფრთხე ემუქრება მიხეილ სააკაშვილის თქმითაც. საქართველოს, როგორც საფრთხეში მყოფი ქვეყნის წარმოჩენა განსაკუთრებით ძლიერია მისი მმართველობის ბოლო წლებში, 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე. სააკაშვილის თქმით, ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველო „დიდი ეროვნული გამოწვევების წინაშე“ დააყენა (2009). პრეზიდენტი განმარტავს, რომ ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ქვეყანაში გაიზარდა უმუშევრობა, დაეცა უძრავი ქონების ფასი და სირთულეები შეექმნათ ექსპორტიორებს (იქვე). ამის მიუხედავად, სააკაშვილი ხაზს უსვამს, რომ „დაუნდობელ ეკონომიკურ სტიქიას“, მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველო გაცილებით უფრო უკეთ უმკლავდება. პრეზიდენტი მომდევნო წლებში კვლავ ამბობს, რომ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოში „მტკივნეული ეკონომიკური შოკი გამოიწვია“ (2010) და მასზე „დრამატული გავლენა“ მოახდინა (2011), თუმცა, იქვე დასძენს, რომ კრიზისის შედეგად შექმნილი სურათი „ბევრგან გაცილებით უფრო მძიმეა“ (იქვე). პრეზიდენტი ამავე კონტექსტში ახსენებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსაც (2010; 2011; 2012). სააკაშვილი არაერთხელ ამბობს იმასაც, რომ ქვეყანა საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისითაც აქვს უამრავი გამოწვევა (2009; 2011). პრეზიდენტობის დასარულს, სააკაშვილი ამბობს, რომ მისი მმართველობა „მშვიდ და წყნარ წყლებზე“ არ გადიოდა (2013). სააკაშვილი ეხება წარსულ დროსაც. ის ამბობს, რომ საქართველოს „კოლოსალური“ გამოწვევები ჰქონდა გადასალახი (2008).

საქართველო ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას გიორგი მარგველაშვილის მოხსენებებშიც. პრეზიდენტი ამბობს, რომ რეგიონში მიმდინარე რყევები უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე (2015; 2016).

> გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება, განსაკუთრებით, განვითარებად ბაზრებზე, დოლარის გამყარება, ნავთობის ფასის ისტორიულ მინიმუმამდე დაცემა, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური რეცესია, რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური დაძაბულობის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური სირთულეები - ეს არის ჩამონათვალი იმ გამოწვევებისა, რომლებიც არსებობდა გლობალურად ეკონომიკაში, არსებობდა სპეციფიკურად ჩვენს რეგიონში და რომლებთანაც გამკლავება უწევდა ჩვენს ქართულ ეკონომიკას. (2016)

მარგველაშვილი დასძენს, რომ ეკონომიკური ხასიათის სირთულეებთან ერთად, ქვეყანა დგას ტერორიზმის, ოკუპაციისა და მილიტარიზაციის საფრთხეების წინაშე (2015; 2016). „საქართველო, სამწუხაროდ, არ არის მშვიდ რეგიონში და რისკები ჩვენი რეგიონის მასშტაბით, შარშან შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო გაღრმავდა“, ამბობს იგი (2016). მარგველაშვილი ეხება წარსულსაც, ამბობს რა, რომ ქვეყანა „ხშირად იყო დაპყრობილი სხვადასხვა იმპერიების მიერ“ (2014).

საქართველო სხვადასხვა სახის საფრთხის წინაშე დგას სალომე ზურაბიშვილის მოხსენებებშიც. პრეზიდენტი ამბობს, რომ ქვეყანა საკუთარ თავზე განიცდის გლობალური მასშტაბის ყველა გამოწვევას. „დღევანდელი გამოწვევები მხოლოდ ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე აღარ ვლინდება და არც ერთი ქვეყნის საზღვრებით შემოიფარგლება“, ამბობს ზურაბიშვილი (2020). საქართველოს წინაშე არსებულ პრობლემებს შორის, ის ასახელებს „უკიდურეს“ პოლარიზაციას (2019), ომებს (2019), პანდემიას (2020), მიგრაციას (2020), პოპულიზმს (2020), რეგიონულ არასტაბილურობასა (2020) და „მტრული ძალების“ ჩარევას შიდა საქმეებში (2019; 2021). პრეზიდენტი ამბობს იმასაც, რომ მსოფლიოს დიდ ქვეყნებს შორის „ახალი საერთაშორისო ურთიერთობები“ ყალიბდება, რომლის განმსაზღვრელი არის „სრული პრაგმატიზმი - ანუ საკუთარი ქვეყნის ინტერესები“ (2020). „მსოფლიოს მძლავრი ცვლილებები ჩვენზეც ისახება“, დასძენს იგი (იქვე).

8.8 გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი

პრეზიდენტების მოხსენებებში ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს, როგორც გზაჯვარედინის/სატრანზიტო ქვეყნის სახე-ხატი. აღნიშნული იდენტობა განსაკუთრებით ძლიერია გიორგი მარგველაშვილისა და ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში, სადაც ის პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკური წინადადებების 6.5%-სა და 6.4%-ს შეადგენს. იდენტობის ეს კატეგორია შედარებით ნაკლებად გვხვდება მიხეილ სააკაშვილისა (2.1%) და სალომე ზურაბიშვილის (1%) გამოსვლებში და საერთოდ არ გვხვდება ზვიად გამსახურდიას მოხსენებებში. სულ გზაჯვარედინის იდენტობა მთლიან წინადადებათა 4.8%-ს შეადგენს. ამ შინაარსის წინადადებებში საქართველო წარმოჩენილია, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის - ევროპისა და აზიის - დამაკავშირებელი სატრანსპორტო რგოლი. პრეზიდენტები თანხმდებიან, რომ საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია მის უსაფრთხოებას, კეთილდღეობასა და პოლიტიკურ მნიშვნელობას ზრდის. სახელმწიფოს მეთაურები სატრანზიტო ფუნქციას ევროპასთან დაკავშირების საშუალებადაც განიხილავენ. მცირე რაოდენობით გვხვდება საქართველოს ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელ ქვეყნად წარმოჩენაც. საგულისხმოა, რომ გზაჯვარედინის იდენტობა უფრო გეოგრაფიული ხასიათის არის, ვიდრე რაიმე კულტურული დატვირთვის მატარებელი.

დიაგრამა #29: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



ზვიად გამსახურდიას გამოსვლებში აღნიშნული იდენტობის კატეგორია არ იძებნება, თუმცა, ის საქართველოს სატრანზიტო როლზე მის საარჩევნო პროგრამაში საუბრობს. კერძოდ, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველო „ჩრდილოეთ-სამხრეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის თანამშრომლობის ხაზთა გადაკვეთაზე“ მდებარეობს (1991ა). ის, რომ საქართველო ჩრდილოეთ-სამხრეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის გადაკვეთის წერტილია იზიარებს ედუარდ შევარდნაძეც. „საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა - ის არის ერთგვარი „ხიდი“ გეოპოლიტიკურ „დასავლეთსა და აღმოსავლეთს“, „ჩრდილოეთსა და სამხრეთს“ შორის - უცვლელი რჩება“, ამბობს პრეზიდენტი (1995). რაც შეეხება ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანს, ედუარდ შევარდნაძე ამ საკითხზე საუბარს 1995 წლიდან იწყებს, როცა აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ტექნიკური დახმარების სამსახურის ექსპერტებმა, ქართველ კოლეგებთან ერთად, დერეფნის საკითხის შესწავლა დაიწყეს. 1997 წელს პრეზიდენტი კვლავ ეხება „ევრაზიის ხიდის“, ე.წ. „ახალი აბრეშუმის გზის“ აღდგენის საკითხს, თუმცა, ის ამ თემას უფრო დეტალურად მხოლოდ მმართველობის შემდგომ წლებში მიმოიხილავს. პრეზიდენტი საუბრობს სატრანსპორტო სისტემის განახლების აუცილებლობაზე და ამ კონტექსტში ახსენებს ფოთისა და ბათუმის პორტების განვითარებისა (1998, 1999; 2000) და ანაკლიის ახალი ნავსადგურის მშენებლობის (1999; 2000) საკითხებს. მმართველობის ბოლო წლებში პრეზიდენტი ასევე საუბრობს ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენისა და ყარსი-თბილისის სარკინიგზო ხაზის შემაერთებელ პროექტებზეც (2000; 2001; 2002).

> პრაქტიკულად დაიწყო ფუნქციონირება ტრანსკავკასიურმა ევრაზიულმა სატრანსპორტო დერეფანმა. მე კვლავ შეგახსენებთ რაც არაერთხელ მითქვამს. ჩვენ, 1993 წლის დამდეგს დავიწყეთ საუბარი ევრაზიის დერეფანზე, აბრეშუმის გზის აღორძინების აუცილებლობაზე. დღეს ეს უკვე რეალობაა. დერეფნის გავლით წარმოებს ყაზახეთის ნავთობისა და უზბეკეთის ბამბის საცდელი ექსპორტი. ამოქმედდა საბორნე მიმოსვლის მარშრუტები ფოთიდან და ბათუმიდან შავი ზღვის სხვა ნავსადგურებამდე. ევრობანკის დაფინანსებით

სუფსაში დაიწყო სარკინიგზო საბორნე ტერმინალის მშენებლობა. მთელი ეს სისტემა კიდევ უფრო მეტად განვითარდება. (1998)

პრაქტიკულად დაიწყო ისტორიული „აბრეშუმის გზის“ აღდგენის იდეის ხორცშესხმა. დღეს უკვე რეალობაა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი. სულ უფრო იზრდება ტვირთების, მათ შორის, ენერგოშემცველების, ბამბის, სხვა ნედლეულის ტრანზიტი ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან. განსაკუთრებული ურთიერთობები გვაქვს ცენტრალური აზიის მოძმე სახელმწიფოებთან. მნიშვნელოვანია, რომ ევრაზიის ხიდის მიმართ მზარდი ინტერესია როგორც ევროპულ სტრუქტურებში, ისე აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში, ცენტრალურ აზიაში, იაპონიაში, ჩინეთში, უკრაინასა თუ ბალკანეთის ქვეყნებში, დუნაისპირა სახელმწიფოებში. (1999)

გადაიდგა არსებითი ნაბიჯები „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინების თვალსაზრისით. ნაწილობრივ უკვე ვილაპარაკე ამის შესახებ. ახალ დონეზე ავიდა თანამშრომლობა ისეთი პროექტების ფარგლებში, როგორებიცაა „ტრასეკა“ და „ინოგეიტი“. ეს თითქმის მთელ ევროპას მოიცავს ბაქო–სუფსის ნავთობსადენის ამოქმედებითა და ფოთის, ბათუმის სარკინიგზო-საბორნე მაგისტრალის ექსპლუატაციაში შესვლით, შეიძლება ითქვას, „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინების ახალი ეტაპი დაიწყო. (2000)

პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნით დაინტერესებულნი არიან როგორც დასავლური და აზიური სახელმწიფოები, ისე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (1998; 1999; 2000). ტექნიკურ საკითხებთან ერთად, პრეზიდენტი საუბრობს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის პოლიტიკურ მნიშვნელობაზეც. ასე, მაგალითად, 1997 წელს ის ამბობს, რომ ევრაზიის ახალ საკომუნიკაციო სისტემაში ჩართვით, „საქართველო არა მარტო იბრუნებს, არამედ იძენს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას“, ხოლო 1998 წელს - პრეზიდენტი აცხადებს, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ამუშავებით „საფუძველი ჩაეყარა ნავთობის ტრანსპორტირების დასავლეთის ვარიანტის რეალიზაციას, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ“. პრეზიდენტი ხაზს

უსვამს, რომ საქართველო „ევრაზიის დერეფნის“ ერთ-ერთ ცენტრალური ქვეყანაა, თავად „ევრაზიის დერეფანს“ კი ევროპა-აზიის შემაერთებელ სატრანსპორტო სისტემაში „მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს“ (1998). „[ევრაზიის დერეფანი] სათავეს იღებს ჩინეთის აღმოსავლეთ ნავსადგურებიდან, ცენტრალური აზიის გავლით მიემართება ევროპისაკენ და 8000 კმ-ით ამცირებს სუეცის არხის გავლით საზღვაო მარშრუტებს“, ამბობს იგი (იქვე). შემდეგ წლებში შევარდნაძე ისევ აღნიშნავს, რომ სატრანზიტო ფუნქცია საქართველოს „გლობალურ მნიშვნელობას“ ანიჭებს (1999; 2000). პრეზიდენტის თქმით, სატრანზიტო ფუნქციის ათვისება დამატებითი შემოსავლის წყაროცაა (1998; 2000; 2001).

> მთლიანობაში კი, გასულმა წელმა, მეგობრებო, საბოლოოდ დაადასტურა, რომ საქართველომ მოიპოვა გეოპოლიტიკური ფუნქცია: დიდი აბრეშუმის გზის აღდგენა, ევრაზიული დერეფანი ბაქო-სუფსის ნავთობსადენის წარმატებული ფუნქციონირება, ბაქო–თბილისი-ჯეიჰანის პროექტის საბოლოო შემუშავება, რომელშიც განსაკუთრებული როლი და დამსახურება მიუძღვის ჰეიდარ ალიევს, ჩვენს მეგობარს და ჩვენს ძმას. აზერბაიჯან-საქართველოს-თურქეთის გაზსადენის სავსებით რეალური დაპროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ჩრდილოეთის სატრანზიტო მიმართულება - რუსეთის მონაწილეობა თურქეთში ენერგოშემცველთა ტრანზიტის პროცესებში და სხვა მრავალი – ეს ყოველივე ეკონომიკურ სარგებლიანობასთან ერთად, ასეულობით ათას სამუშაო ადგილთან და საბიუჯეტო შემოსავლებთან ერთად, ქვეყნის სახელმწიფოებრივი უშიშროების საფუძველი ხდება. როცა ქვეყანა სჭირდება მსოფლიოს, სჭირდება ევროპას, მას გაცილებით მეტი გარანტიები აქვს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. (2001)

საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია და მისი მონაწილეობა შრომის გლობალურ დანაწილებაში განსაზღვრა „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენისა და „ევრაზიის დერეფნის“ კონცეფციამ, რომელიც ჩვენ თვალწინ ხორციელდება და არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელ რეგიონს მრავალ სიკეთეს მოუტანს. მე ბედნიერი ვარ და უნდა ვთქვა, დღეს ეს განვაცხადო, ბედნიერი ვარ იმის შეგრძნებით, რომ საქართველომ და თუნდაც მისმა პრეზიდენტმა ერთ-ერთი

> ისეთი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს იმისათვის, რომ ეს უზარმაზარი პროექტები უკვე განხორციელების პირას დამდგარიყო. (2002)

შევარდნაძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრანზიტს ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისითაც განიხილავს. კერძოდ, ის ამბობს, რომ 1997 წელს ევროპის ტრანსპორტის კონფერენციაში გაწევრიანებით ევროკომისიამ საქართველოს ევროპული ქვეყნის სტატუსის მიანიჭა (1998). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ სატრანსპორტო ინიციატივების მხარდაჭერით, ევროკავშირი მასში ჩართული ქვეყნების დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას განამტკიცებს (იქვე).

> ევროკავშირს სურს: მხარი დაუჭიროს ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ეკონომიკების ეფექტიანი დაკავშირება ევროპულ და მსოფლიო ბაზართან, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა თუ სამხრეთის მიმართულებით ალტერნატიული სატრანსპორტო კომუნიკაციის საშუალებით. (1998)

საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე აქტიურად საუბრობს ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზეც. კერძოდ, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შემდეგ აღდგება რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი და ავტომაგისტრალი, „რაც მგზავრთა და ტვირთების დიდ მასებს გაატარებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და - პირიქით“ (1997). „აღსანიშნავია ამ მაგისტრალების აღდგენით რუსეთის, განსაკუთრებით მისი სამხრეთ რაიონების დაინტერესება. ეს აქცია დიდ შემოსავალს მოუტანს აფხაზეთს, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებს, სომხეთს აზერბაიჯანს, თურქეთს, მრავალ სხვა ქვეყანას“, განმარტავს პრეზიდენტი (იქვე). მოგვიანებით, შევარდნაძე დასძენს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შემთხვევაში, ევრაზიის დერეფნის პროექტში „თავისი გიგანტური პოტენციალით“ რუსეთიც ჩაერთვება (2000). „მხედველობაში მაქვს აფხაზეთზე გამავალი სარკინიგზო

და საავტომობილო მაგისტრალები, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ, კონფლიქტის მოწესრიგების შემდეგ“, ამბობს იგი (იქვე).

საქართველო აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ტვირთების გამტარ ქვეყნად გვევლინება მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებშიც. შევარდნაძის მსგავსად, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციას პრეზიდენტი სააკაშვილიც განსაკუთრებულ პოლიტიკურ დატვირთვას აძლევს და მას ქვეყნის რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის გაზრდის საშუალებად განიხილავს. მისი თქმით, საქართველოს აქვს „უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა“, რადგან აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკებსა და ევროპას შორის „ყველაზე მოკლე გზა [სწორედ] შავ ზღვაზე, კერძოდ, საქართველოს პორტებზე გადის“ (2007). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობით „აქამდე წარმოუდგენელი მასშტაბებით“ ხდება რეგიონული ეკონომიკების დაკავშირება (2008). ის აღნიშნავს, რომ საქართველოზე გამავალი ინფრასტრუქტურული პროექტები - ნავთობსადენები, გაზსადენი და ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა - ქვეყნისთვის „სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ რეალობას“ ქმნის (2007). პრეზიდენტს სურს, რომ საქართველო „ენერგეტიკულ კვანძადაც“ გადაიქცეს (2010). „ჩვენ გარდავიქმნებით ენერგეტიკულ კვანძად სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის, ენერგიის დიდ ექსპორტიორად და მოთამაშედ ამ რეგიონში“, ამბობს იგი (იქვე). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი სატრანზიტო ფუნქციის ათვისებას ქვეყნის ევროპასთან დაკავშირების ჭრილშიც განიხილავს. კერძოდ, ის ამბობს, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა ევრაზიის კონტინენტის ორ უკიდურეს წერტილს ევროპასა და ჩინეთს სწორედ საქართველოს გავლით დააკავშირებს (2007; 2011).

საქართველოს გზაჯვარედინის ფუნქციაზე აქტიურად საუბრობს გიორგი მარგველაშვილიც. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქვეყნის სატრანზიტო დანიშნულება მისი „კონკურენტული უპირატესობა“ (2016) და „ისტორიული“ (2016), „სტრატეგიული“ ფუნქციაა (2018). „საქართველო ისტორიულად, გეოპოლიტიკურად აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მთავარი ქვეყანა იყო. ამ სტატუსს ჩვენ ნელ-ნელა ვიბრუნებთ და აქტიურად ვიმკვიდრებთ ევროპასა და აზიას შორის რეგიონული თანამშრომლობის, დიალოგისა და თანხმობის საიმედო პარტნიორის როლს“, ამბობს პრეზიდენტი მარგველაშვილი (2014). „ჩვენ ვმდებარეობთ ისეთ ადგილას და ვასრულებთ, უკვე ისტორიულად, ისეთ ფუნქციას, რომელიც საქართველოს

გეოპოლიტიკურ შესაძლებლობებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და აქცენტს ანიჭებს“, ამატებს იგი (2016). მარგველაშვილის თანახმად, რეგიონულ სატრანსპორტო პროექტებში მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და უსაფრთხოების განმტკიცების წინაპირობაა (2014; 2017). „მსგავსი პროექტები ბევრად უფრო უსაფრთხოს ხდის ჩვენს რეგიონს და დიდ შესაძლებლობას ქმნის იმ მხრივაც, რომ რეგიონი ხდება თანამშრომლობისა და უფრო მეტი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე სივრცე“, ამბობს იგი (2014)

პრეზიდენტი აცხადებს, რომ შავი და კასპიის ზღვების რეგიონების თანამშრომლობის მიმართულებით „ძალიან ბევრი გაკეთდა“, თუმცა, დასძენს, რომ საჭიროა არსებული რეგიონული პროექტების კიდევ უფრო გაღრმავება და მათი უფრო ფართო, ტრანსნაციონალურ პროექტებთან დაკავშირება. „ჩვენი მიზანია, რომ ათეულობით ქვეყანა და ათეულობით მილიონი ადამიანი ევროპასა და აზიაში დავაკავშიროთ ერთმანეთს ამ ინფრასტრუქტურული პროექტებით, შესაბამისად, გავხდეთ მათი კეთილდღეობის, განვითარებისა და მათი ინტერესის საგანი“, აღნიშნავს იგი (2014).

> რამდენიმე დღის წინ ყარსში საფუძველი ჩაეყარა „ტრანსანატოლიის ბუნებრივი გაზსადენის“ (TANAP) პროექტს, რომელიც კასპიის ენერგორესურსებს საქართველოს გავლით რეალურად მიაწოდებს ევროპას. თქვენ იცით როგორ ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა რკინიგზაზე და სხვა ინფრასტრუქტურულ, სატრანსპორტო პროექტებზე, რომლებიც საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს უაღრესად საინტერესო და მიმზიდველი თანამშრომლობით ავითარებს. (2015)

> ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, TANAP, TAP, აბრეშუმის გზის სხვა ინიციატივები, ტრანს-რეგიონული თანამშრომლობის ისეთი პროექტები, როგორიცაა ტრანსკასპიური გაზსადენი და „ლაპის ლაზულის“ სატრანსპორტო პროექტები - უმნიშვნელოვანესი და მაქსიმალურად ასათვისებელი პოტენციალია. (2016)

პრეზიდენტი აცხადებს, რომ ირანის ეკონომიკური პოტენციალის „გახსნის“ შემთხვევაში, საქართველოს ეძლევა „კიდევ ერთი საინტერესო შესაძლებლობა“ - გახდეს სპარსეთის ყურისა და ევროპის ეკონომიკების დამაკავშირებელი რგოლი (2016). მარგველაშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველოსთვის „მნიშვნელოვან შესაძლებლობებს“ ქმნის ელექტროენერგიის გამომუშავების მაღალი პოტენციალი და რეგიონში ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნა, (2015). ის იმედს გამოთქვამს, რომ შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის ინიციატივას მსვლელობა მიეცემა.

ამ იდენტობას ორი წინადადებით ეხმიანება სალომე ზურაბიშვილი. ის ამბობს, რომ შავი ზღვისა და კავკასიის სატრანსპორტო და ლოგისტიკური დერეფნის მიმართ ევროპის გაზრდილი ინტერესი საქართველოს „ახალ პერსპექტივებს“ უსახავს და „შავი ზღვის ორ სანაპიროს შორის ფიზიკურ კავშირს აყალიბებს“ (2019). პრეზიდენტი დასძენს იმასაც, რომ ბაქოში სტუმრობისას, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ „დიდი ინტერესი“ გამოხატა „ტრანსკასპიური და შავი ზღვის სატრანსპორტო პოტენციალის ერთობლივი“ გამოყენების თაობაზე (იქვე).

ამ ქვეთავის დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გზაჯვარედინის იდენტობა უფრო გეოგრაფიული მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე კულტურული დატვირთვის მქონე. თუმცა, გამონაკლისია ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მის ერთ-ერთ გამოსვლაში აცხადებს, რომ საქართველო აზიური, ევროპული და საკუთარი კულტურების „გასაოცარი სინთეზია“ (1997).

8.9 დასავლური/ევროპული

ქართული საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა ‘საქართველო, როგორც დასავლური/ევროპული სახელმწიფო’. ამ კატეგორიის წინადადებები მთლიან წინადადებათა 4.6%-ს შეადგენს, რაც საგრძნობლად ჩამოუვარდება მის „მონათესავე“ დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული ქვეყნის იდენტობას (8.9%). პრეზიდენტებს შორის, ამ იდენტობის კატეგორიის შესახებ ყველაზე მეტს გიორგი მარგველაშვილი (15.9%) და მიხეილ სააკაშვილი (6.9%) საუბრობენ. მცირე რაოდენობით გვხვდება სალომე ზურაბიშვილისა (2%) და ედუარდ შევარდნაძის (1.5%) გამოსვლებში. პრეზიდენტები თანხმდებიან, რომ საქართველო ისტორიული თვალსაზრისით

დასავლური/ევროპული სახელმწიფოა და მან ევროპულ „ოჯახში“ უნდა დაიდოს ბინა, თუმცა, მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე, ქვეყანას ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი. შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაურებისთვის ევროპულობა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური არჩევანი, არამედ შიდა პოლიტიკის მოწყობის სასურველი მოდელი - ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნის საშუალებაც არის. ევროპასთან საქართველოს კავშირების საჩვენებლად, პრეზიდენტები ხშირად მოიხმობენ ისტორიულ მაგალითებს, განსაკუთრებით, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი განმანათლებლების საქმიანობას.

დიაგრამა #30: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც დასავლური/ევროპული სახელმწიფო' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



საქართველოზე, როგორც დასავლურ სახელმწიფოზე საუბარი პირველად ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამაში გვხვდება. გამსახურდია ამბობს, რომ ქვეყანა ევროპისა და აზიის, ქრისტიანობისა და ისლამის „საზღვარზე“ მდებარეობს, თუმცა, ის მაინც ევროპასა და „ქრისტიანულ ცივილიზაციას“ ეკუთვნის (1991ა). მოსაზრებას, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა, იზიარებს ედუარდ შევარდნაძეც. სახელმწიფოს მეთაური ამბობს, რომ საქართველოს ევროპასთან ინტეგრირება „წინაპრების საუკუნეობრივი ოცნებაა“ (1997). მისივე თქმით, საქართველო უნდა გახდეს „ევროპის საერთო ოჯახის“ წევრი (2000), რადგან სწორედ ევროპა „უნდა იქცეს

ქვეყნის საბოლოო ნავსაყუდლად“ (2001). შევარდნაძე აქტიურად საუბრობს იმაზეც, რომ საქართველომ მმართველობის დასავლური/ევროპული სტანდარტები უნდა დანერგოს, მათ შორის, სახელმწიფო მოწყობის (1992; 1995) თავდაცვის (1992), ეკონომიკისა (1992) და თვითმმართველობის (1999; 2001) მიმართულებებით. მსგავსი სულისკვეთებით საუბრობს პრეზიდენტი სააკაშვილიც. შევარდნაძის მსგავსად, ისიც მიიჩნევს, რომ საქართველო ისტორიული თვალსაზრისით ევროპული ქვეყანაა. შესაბამისად, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია არა მხოლოდ თანამედროვე საგარეო პოლიტიკური არჩევანი, არამედ - ქვეყნის „ევროპულ ოჯახში“ (2007; 2010), მის „მუდმივ ნავსაყუდელში“ დაბრუნებაა (2008). „ევროპა ხელახლა მოდის საქართველოში, ისევე როგორც საქართველო ხელახლა უშინაურდება მას“, ამბობს პრეზიდენტი (2007). სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ევროპასთან „საერთო კულტურა, ისტორია და დემოკრატიულ ფასეულობათა მთელი სისტემა“ აკავშირებს (2008). ევროპულობის ხაზგასასმელად, ის ასევე მოიხმობს ისტორიულ მაგალითებს, მათ შორის, ქვეყნის ქრისტიანულ მემკვიდრეობასა და ევროპულ მითოლოგიაში ქართულ თემატიკას (2007), აგრეთვე, ქართველი მეფეების მიმოწერას რომის პაპებთან და ევროპელ მონარქებთან (2013).

საგულისხმოა, რომ სააკაშვილის მოხსენებებში გვხვდება საქართველოს, როგორც ევროპის თანასწორი ან ევროპაზე უკეთესი ქვეყნის წარმოჩენა. ასე, მაგალითად, 2007 წელს ის ამბობს, რომ საქართველოს ევროპაში „ერთ-ერთი ყველაზე რეფორმატორული და მოწინავე პარლამენტი“ აქვს, ხოლო 2009 წელს - აცხადებს, რომ თბილისისა და ზუგდიდის სკოლები „არ ჩამოუვარდება“ ევროპული ქვეყნების სკოლებს. პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ საქართველოსთვის დასავლური ღირებულებები უცხო არ არის. „ითვლება, რომ თანამედროვე ამერიკა მერიტოკრატიაა. ეს ჩვენთვის უცხო ხილია? - არა. ქართველებმა უკვე დიდი ხანია ვიცით: მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“, ამბობს იგი (2006). ამის მიუხედავად, პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ შორს არის ევროპული ყაიდის ქვეყნად ჩამოყალიბებისგან, განსაკუთრებით, ეკონომიკური კეთილდღეობის თვალსაზრისით. „ეკონომიკის თვალსაზრისით, ჯერ ვერ შევძელით ევროპული ტიპის ქვეყნად გარდაქმნა“, აცხადებს სააკაშვილი (2005). „არცთუ დიდი ხნის წინათ, ჩვენ ვიყავით პოსტ-საბჭოთა ქვეყანა და ახლა ევროკავშირისა და ნატოს ზღურბლზე ვდგავართ ... ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენი ხალხს ისეთივე კეთილდღეობა

აქვს, როგორიც სხვა ევროპელ ხალხებს? ... რა თქმა უნდა, არა!“, ამბობს იგი (2015). ამავე მოსაზრების გაგრძელებაა განცხადებები, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს ჰქონდეს დასავლური/ევროპული ტიპის საპენსიო სისტემა (2004), მეღვინეობა (2006), ტურიზმი (2006; 2007), განათლება (2006; 2007; 2011), გზები (2006; 2009), ტერიტორიული მოწყობა (2007), პოლიტიკური სისტემა (2010; 2011) და ჯანდაცვა (2007; 2012). პრეზიდენტს სურს საქართველოს ევროპული ყაიდის, „მოდერნულ“ საზოგადოებად გარდაქმნაც. „ჩვენი არჩევანი არის ევროპული, ცივილიზებული, მოდერნიზებული, დემოკრატიულ საქართველოს შენება“, ამბობს იგი (2010). „მოდერნიზაცია შეიძლება ზოგიერთისთვის სიტყვის მასალა იყოს, მაგრამ ჩვენთვის ეს ნიშნავს იმას, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნიდან საქართველო ვაქციოთ ევროპულ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ“, დასძენს პრეზიდენტი (2011). მისივე თქმით, საქართველოს საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს ისეთივე ერთიანობა, როგორიც კრიზისის დროს ლიტველებმა გამოიჩინეს (2005), ხოლო მისმა შეიარაღებულმა ძალებმა - ისეთივე სიმტკიცე, როგორიც ამას, „თავის დროზე“, ფინელებსა და პოლონელების ჰქონდათ (2006).

საგულისხმოა ისიც, რომ თუ მისი მმართველობის პირველ წლებში სააკაშვილისთვის დასავლური/ევროპული ინტეგრაცია უფრო სასურველი კატეგორია იყო, მმართველობის ბოლოს, პრეზიდენტის თანახმად, საქართველომ წარმატებით შეძლო დასავლურ/ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. „საქართველოს საზოგადოებას უკვე დამკვიდრებული აქვს ღირსეული ადგილი ცივილიზებულ, დემოკრატიულ სამყაროში და ჩვენ, როგორც ერი - უკვე ვართ დასავლეთის ნაწილი“, ამბობს ის 2012 წელს. „როგორც უკვე აღვნიშნე, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველო ხელახლა დაიბადა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი და ევროპული სახელმწიფო“, დასძენს ის მომდევნო წელს (2013).

საქართველოზე, როგორც დასავლურ/ევროპულ სახელმწიფოზე ვრცლად საუბრობს გიორგი მარგველაშვილიც. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ „ქართველი თავისი ინდივიდუალური შეგნებით ევროპელია, თავისი ბუნებით დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილია“, თუმცა, დასძენს, რომ მას „ინდივიდუალობაზე დამყარებული ქართული სახელმწიფოს შექმნის“ შესაძლებლობა აქამდე არ ეძლეოდა (2014). პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს საბოლოო მიზანი მის „ბუნებრივ სივრცეში“ (2016), ევროპულ სახელმწიფოთა ისტორიულ ოჯახში „დაბრუნებაა“ (2016;

2017). საქართველოს ევროპული არჩევანის შესახებ საუბრისას მარგველაშვილი ხშირად იშველიებს ისტორიას. ის მის პირველივე მოხსენებაში აცხადებს, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი წინაპრების მიერ არის გაკეთებული და ის „არასოდეს გადაიხედება“ (2014). „კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ეს არ მოხდება არა იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური სპექტრის არჩევანია, არამედ იმიტომ, რომ ეს არჩევანი გაკეთებულია ჩვენი წინაპრების მიერ“, ამბობს პრეზიდენტი (2014). მარგველაშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი მე-19 საუკუნეში თერგდალეულებმა (2014) და ილია ჭავჭავაძემ (2016), ხოლო მე-20 საუკუნეში - პირველი რესპუბლიკისა (2014; 2016) და დამოუკიდებელი საქართველოს (2014; 2016) მესვეურებმა გააკეთეს.

> მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი ევროპულობა არის არა კონიუნქტურული, არამედ ის ბუნებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს ერს ისტორიის განმავლობაში ბევრჯერ მიუღია. ჩვენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები გვაღიარებდნენ ევროპულ ერად. ჩვენ არა უბრალოდ ვიყავით ქრისტიანულ-იუდეური კულტურის ნაწილი, არამედ ვქმნიდით კიდეც მას. ამიტომაც ევროპა ჩვენი ოჯახია, ჩვენი ღირებულებებია, ჩვენი მომავალია! იმავდროულად, ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიაა! (2014)

> ისტორიულად, კულტურულად, ჩვენ ევროპა ვართ - არა უბრალოდ მისი ნაწილი, არამედ - საუკუნეთა განმავლობაში ევროპის განვითარებისა და ქმნადობის აქტიური მონაწილეც. შესაძლოა გარკვეულწილად უფრო მეტი ღვაწლიც კი მიგვიძღვის; გეოგრაფიული სიშორიდან თუ გარკვეული მოწყვეტილობიდან გამომდინარე, ჩვენ ხშირად მარტო, მოკავშირეების გარეშე გვიწევდა იმ ღირებულებების დაცვა, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ევროპული ცივილიზაციისათვის. (2015)

> სწორედ ჩვენი თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, ჩვენი ისტორიული არჩევანის საფუძველზე, რომელიც ჩვენ და ჩვენმა წინამორბედებმა გავაკეთეთ, 2016 წელი მე გამოვაცხადე ევროპული სახელმწიფოს წლად. ეს არის კიდევ ერთხელ გაგრძელება იმ ბრძოლის, რომელსაც ჩვენი წინა თაობები

ახორციელებდნენ. ამ გზაზე ამბობდა ნოე ჟორდანია „მომავლის არ გვეშინია“, ამ მიზანს სახავდა ზურაბ ჟვანია, როდესაც ამბობდა - „მე ვარ ქართველი, და, მაშასადამე ვარ ევროპელი“. ამ გზაზე მე ვხედავ საქართველოს არა როგორც სტუმარს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში, არამედ როგორც სრულფასოვან წევრს ამ ერთობისა. (2016)

მარგველაშვილისთვის ევროპულობა არა მხოლოდ ისტორიული კანონზომიერება და საგარეო პოლიტიკური არჩევანი, არამედ შიდა პოლიტიკის მოწყობის სასურველი მოდელი - ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნის საშუალებაცაა. ამის მაგალითია განცხადებები, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს დასავლური სტანდარტის განათლების სისტემა (2014), ევროპული სტანდარტის არჩევნები (2016), ევროპული პოლიტიკური კულტურა (2015; 2016; 2018), ევროპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები (2016) და ევროპული სტანდარტის სასჯელაღსრულების სისტემა (2016), აგრეთვე, განცხადებები, რომ საქართველომ „ყოველდღიურობაში“ უნდა დანერგოს ევროპული სტანდარტები და ფასეულობები (2015; 2018). იმავე სულისკვეთებით საუბრობს 2017 წელსაც, როცა ამბობს, რომ ევროკავშირის განაცხადზე მუშაობის დასაწყებად, საჭიროა „დემოკრატიის გაძლიერება, ინსტიტუტების მდგრადობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონის უზენაესობა, ეკონომიკის განვითარება და რეალურად მოქმედი ევროპული სამართლებრივი სისტემის შექმნა“. მარგველაშვილი განმარტავს, რომ მისი სურვილია ქვეყანა „პოსტ-საბჭოთა“ (2014; 2015), „პრო-დასავლური“ (2016) ქვეყნიდან „ევროპულ სახელმწიფოდ“ გარდაიქმნას.

საგულისხმოა, რომ მარგველაშვილის გამოსვლებში ევროპული არჩევანი აფხაზური და სამხრეთ ოსური საზოგადოებების დანარჩენ საქართველოსთან შესაძლო გამაერთიანებლადაც არის წარმოჩენილი. მარგველაშვილის თქმით, საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი, როგორც ევროპული ქვეყნის სიკეთეები თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებთათვისაც (2014; 2015; 2016). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ევროპული საქართველო ყველაზე უკეთ დაიცავს ამ ორი ჯგუფის კულტურულ და ეთნიკური თვითმყოფადობას (2014; 2015).

წინამორბედების მსგავსად, საქართველოს ევროპის ორგანულ ნაწილად განიხილავს სალომე ზურაბიშვილიც. საქართველოს ევროპულობა მისთვისაც ისტორიული

კანონზომიერებაა, ხოლო ევროპის კავშირში ინტეგრაცია - „ევროპულ ოჯახში დაბრუნება“ (2020; 2021). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს ევროპასთან საზიარო საკითხები აკავშირებს, მათ შორის, კიბერუსაფრთხოება, შავი ზღვის უსაფრთხოება და ტრანსპორტი (2019; 2020). საქართველოს ევროპულობის ხაზგასასმელად, პრეზიდენტი ახსენებს კოლხეთსაც (2019). „კოლხეთი, რომელიც უძველესი დროიდან გვაკავშირებს ევროპასთან, ევროპაში ჩვენი ერთგვარი სავიზიტო ბარათი შეიძლება იყოს“, ამბობს იგი (იქვე). პრეზიდენტი დასძენს, რომ ქვეყანა დასავლური სამყაროს სრულფასოვანი, „აქტიური მოთამაშე“ უნდა გახდეს (2020). „ევროკავშირსა და ნატოში ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი არა მხოლოდ არსებულ პროგრამებში მონაწილეობით, არამედ ჩვენი ინიციატივებისა და ახალი იდეების წარდგენით. გაწევრიანებასთან ერთად, ჩვენი მიზანია, დღეს ნატოსა და ევროკავშირში უფრო აქტიურ მოთამაშედ ვიქცეთ“, ამბობს ზურაბიშვილი (იქვე). ზურაბიშვილი ამბობს იმასაც, რომ ქვეყნის ინსტიტუტები ჯერ ვერ დგას ევროპულ დონეზე (2020).

8.10 საგარეო რჩევების/საერთაშორისო სტანდარტების გამტარებელი

ქართული საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა ‘საქართველო, როგორც საგარეო რჩევების/საერთაშორისო სტანდარტების გამტარებელი ქვეყანა’. სულ ამ კატეგორიის წინადადებები საგარეო პოლიტიკურ წინადადებათა 4%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ სალომე ზურაბიშვილსა (8%) და ედუარდ შევარდნაძეს (5.6%). იდენტობის ეს კატეგორია შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი გიორგი მარგველაშვილისა (2%) და მიხეილ სააკაშვილის (1.4) მოხსენებებში და საერთოდ არ გვხვდება ზვიად გამსახურდიას გამოსვლებში. ამ კატეგორიის წინადადებათა უმრავლესობა საქართველოს წარმოაჩენს, როგორც საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მსურველ სახელმწიფოს, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორების რჩევების გამტარებელ აქტორს. საგულისხმოა, რომ იდენტობის ეს კატეგორია უფრო სამომავლო, სასურველი ხასიათის არის, ვიდრე არსებული ვითარების აღმწერი.

დიაგრამა #31: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც აქტიური/ერთიანი საგარეო რჩევების/საერთაშორისო სტანდარტების გამტარებელი ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



ეს იდენტობა პირველად ედუარდ შევარდნაძის მოხსენებებში ჩნდება. სახელმწიფოს მეთაური ამბობს, რომ ის ემხრობა საერთაშორისო და საზღვარგარეთის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას სახელმწიფოს მშენებლობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკა (1992), მეცნიერება (1992), მედია (1992), მოქალაქეობის რეგულაციები (1992), თავდაცვა (1995; 2000), ადამიანის უფლებები (1995), მმართველობის სისტემა (1992; 1994; 1995), საბანკო სისტემის რეფორმა (1995; 1997), სამოქალაქო საზოგადოება (1997), სასამართლო (1995; 1997; 1998), სამართალდამცავი სისტემა (1998; 2002), ტურიზმი (1998; 2001), სპორტი (1998), განათლება (1998; 2000), კორუფციასთან ბრძოლა (1999), სადაზღვევო სისტემა (2001) და სხვა. შევარდნაძე ამბობს იმასაც, რომ მას სურს დასავლური/ევროპული ტიპის მეცნიერება, მოქალაქეობის რეგულაციები და ეკონომიკური რეფორმები (1992), აგრეთვე, მინისტრთა კაბინეტი (1995) და განათლების სისტემა (1998). შევარდნაძე ამ კონტექსტშივე ახსენებს იმას, რომ საქართველო კონფლიქტების საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების საფუძველზე მოგვარებას ესწრაფვის (1996; 1997; 2000). პრეზიდენტი დასძენს, რომ ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების რჩევები, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორიც არის ეროვნული უმცირესობების მიმართ პოლიტიკა (1992; 1999), საარჩევნო რეფორმა

(1994), ჯანდაცვის სისტემა (1995), კონსტიტუცია (1995), სოციალური პოლიტიკა (1994; 1995), თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემა (2000; 2001), კულტურის პოლიტიკა (2000), ანტი-კორუფციული პოლიტიკა (2000) და განათლება (2000).

საგულისხმოა, რომ მმართველობის ბოლო წლებში შევარდნაძე აქტიურად იწყებს საუბარს, რომ ქვეყანამ გაითვალისწინა საერთაშორისო გამოცდილება და ქვეყანას უკვე აქვს მსოფლიო სტანდარტის უშიშროების სამსახური (1998), კონსტიტუცია (2000; 2001; 2002) პოლიტიკური კურსი (2000) და შეიარაღებული ძალები (2000).

საერთაშორისო სტანდარტებთან და მოთხოვნებთან საქართველოს თავსებადობაზე ამახვილებს ყურადღებას მიხეილ სააკაშვილიც. ის საუბრობს საერთაშორისო სტანდარტების უმაღლესი განათლების (2006), სასამართლოს ინფრასტრუქტურის (2007), კურორტებისა (2010) და გზების (2011) საჭიროებაზე. პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ რეფორმების შემუშავების პროცესში საქართველო აქტიურად ჩართავს უცხოელ ექსპერტებს, მათ შორის, საგადასახადო დავების (2007), ეკონომიკისა (2009; 2010) და საარჩევნო რეფორმის (2010; 2012) მიმართულებებით. სასამართლო რეფორმის პროცესში ევროპელ ექსპერტთა მოსაზრებების გათვალისწინების მომხრეა გიორგი მარგველაშვილიც (2014; 2017). ის ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არჩევნები (2015), მოსმენების კანონმდებლობა (2016) და მედიაგარემო (2017).

რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, მის მოხსენებებში ამ კატეგორიის წინადადებები ძირითადად საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის საქართველოში დანერგვას ეხმიანება. კერძოდ, პრეზიდენტს სურს, რომ საქართველომ, ევროპული ქვეყნების მსგავსად, შემოიღოს დიასპორის წარმომადგენლის ინსტიტუტი და გააძლიეროს ჰიბრიდული საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვის მექანიზმები, ხოლო სასამართლო რეფორმის განხორციელებისას - გაითვალისწინოს საერთაშორისო სტანდარტები (2019). ამასთანავე, ზურაბიშვილი აცხადებს, რომ პანდემიასთან ბრძოლის საქმეში, საქართველომ ისრაელის გამოცდილება უნდა მიიღოს მხედველობაში (2021). პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს პარტნიორი სახელმწიფოების რჩევები სასამართლო რეფორმისა (2019) და დემოკრატიული განვითარების (2021) მიმართულებებით. ის ემხრობა ნამოხვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხზე მოლაპარაკებებში უცხოელ ექსპერტთა ჩართვასაც (იქვე).

8.11 აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე

საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა 'საქართველო, როგორც აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე ქვეყანა'. ამ კატეგორიის წინადადებები, ზვიად გამსახურდიას გარდა, ყველა პრეზიდენტის მოხსენებებში გვხვდება. ყველაზე მეტს ამ იდენტობის კატეგორიას ედუარდ შევარდნაძე (6.3%) და გიორგი მარგველაშვილი მოიხმობენ (4%). უმნიშვნელო მაჩვენებელი აქვთ სალომე ზურაბიშვილსა (0.5%) და მიხეილ სააკაშვილს (0.2%). სულ ამ კატეგორიის წინადადებები მთლიან წინადადებათა 3.9%-ს შეადგენს. როგორც წესი, ამ კატეგორიის წინადადებებში საქართველო წარმოჩენილია, როგორც რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე აქტიური მოთამაშე - აქტორი, რომელიც ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში ცდილობს საკუთარი ინტერესების გატანას.

დიაგრამა #32: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



აქტიური საგარეო პოლიტიკის საჭიროებაზე საუბარს ედუარდ შევარდნაძე მის პირველივე გამოსვლაში იწყებს. შევარდნაძე ხაზს უსვამს, რომ ქვეყანამ საგარეო პოლიტიკა „მსოფლიო თეორიისა და პრაქტიკის" საფუძველზე უნდა წარმართოს (1992). ის აღნიშნავს, რომ ამისათვის საჭიროა სამეცნიერო და კადრების მომზადების

ცენტრის - „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის“ - შექმნა (იქვე). პრეზიდენტის თქმით, საგარეო პოლიტიკა მისი „განსაკუთრებული ზრუნვის საგანი“ (1997) და „პრიორიტეტული მიმართულებაა“ (1998). ის დასძენს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა დამოუკიდებლობის განმტკიცება (1995; 1997; 2002) და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა (1995; 1999). აქტიურ საგარეო პოლიტიკას შევარდნაძე სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების საშუალებადაც განიხილავს (1995). მისი თქმით, ქვეყანამ უნდა იაქტიუროს როგორც ორმხრივ, ისე რეგიონულ და საერთაშორისო ფორმატებში. ის მიიჩნევს, რომ ქართულმა დიპლომატიამ უნდა დაიცვას არა მხოლოდ ქვეყნის ინტერესები, არამედ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს საერთაშორისო მასშტაბის ინიციატივებში (1992; 1997; 2000). „საქართველო სულ უფრო მეტად და აქტიურად ხდება გლობალური თუ რეგიონული მასშტაბის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ინიციატივების ავტორი, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური რესურსის ზრდას მოწმობს“, ამბობს იგი (1997). „1999 წელს საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ საქართველო საერთაშორისო მოვლენების პასიური დამკვირვებლიდან აქტიურ მონაწილედ გადაიქცა, რის მაგალითადაც ჩვენი ქვეყნის მიერ წამოყენებული არაერთი საერთაშორისო ინიციატივა გამოდგება“, დასძენს პრეზიდენტი (2000). შევარდნაძეს სურს, რომ საქართველოს ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ საზღვარგარეთის შესაბამის უწყებებთან (1995; 1997). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ ცვალებად სამყაროში საგარეო პოლიტიკაც მუდმივ გადახედვას საჭიროებს (1995; 1997).

საერთაშორისო არენაზე აქტიური და ერთიანი პოზიციით წარდგომის საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას გიორგი მარგველაშვილიც. ის ამბობს, რომ ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მისაღწევად და საქართველოს თემატიკის საერთაშორისო ფორუმებზე წარსადგენად ყველა ინსტიტუტმა და პოლიტიკურმა ძალამ კონსოლიდირებულად უნდა იმოქმედოს (2015; 2016). პრეზიდენტის თქმით, საჭიროა იმ ქვეყნებთან მეტი ურთიერთობაც, რომლებიც საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის თაობაზე ეჭვებს გამოთქვამენ (2015). მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყანამ უნდა მოახერხოს საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობების „სწრაფი და ეფექტიანი ათვისება“ (2016). „საქართველო უნდა აჰყვეს დღევანდელი ცივილიზაციის რიტმსა და მაჯისცემას“, ამბობს იგი (იქვე). საგარეო არენაზე აქტიურობას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მიხეილ სააკაშვილი და სალომე

ზურაბიშვილი. აქედან პირველი ამბობს, რომ საქართველოს „პროაქტიული“ და „შემტევი“ საგარეო პოლიტიკა უნდა ჰქონდეს (2007), ხოლო მეორე - აცხადებს, რომ საჭიროა პარტნიორებთან და რუსეთთან საქართველოს პოზიციების უფრო აქტიურად წარმოჩენა (2020).

8.12 საერთაშორისო მხარდაჭერის/ყურადღების მქონე

საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლებში გვხვდება საქართველოს, როგორც საერთაშორისო მხარდაჭერის/ყურადღების მქონე ქვეყნის იდენტობა. ამ კატეგორიის წინადადებათა რაოდენობა მთლიან წინადადებათა რაოდენობის 3.2%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს გიორგი მარგველაშვილს (5.3%). მას მოსდევენ ზვიად გამსახურდია (4%), სალომე ზურაბიშვილი (3.5%) და ედუარდ შევარდნაძე (3.2%). ეს იდენტობა მცირე რაოდენობით გვხვდება მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში (2.1%). ამ კატეგორიის წინადადებებში საქართველო წარმოჩენილია, როგორც ქვეყანა, რომელიც აქტიურად ცდილობს საერთაშორისო აქტორების ყურადღებისა და მხარდაჭერის მოპოვებას. პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებაში და ქვეყნის განვითარებაში წაადგება. საგულისხმოა, რომ თუ დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში საერთაშორისო მხარდაჭერაში ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და წამყვანი ქვეყნების მხარდაჭერა იგულისხმებოდა, მეორე და მესამე ათწლეულებში ის უფრო დავიწროვდა და ევროპისა და აშშ-ს მხარდაჭერის მნიშვნელობა შეიძინა.

დიაგრამა #33: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც საერთაშორისო მხარდაჭერის/ ყურადღების მქონე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



ამგვარი წინადადებები პრეზიდენტების გამოსვლებში საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდანვე ჩნდება და თანმიმდევრულად გვხვდება შემდგომი წლების მოხსენებებში. 1990 წელს ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, რომ საქართველოში ჩატარებული დემოკრატიული არჩევნებით „მთელი მსოფლიო განცვიფრებულია“. სახელმწიფოს მეთაური დასძენს, რომ „ჩვენი სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია“ (1990). მომდევნო წელს პრეზიდენტი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილს, „მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგომა“ ექნება (1991). გამსახურდია აღნიშნავს იმასაც, რომ მას სურს საერთაშორისო აქტორების ჩართვა თბილისსა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას შორის გასამართ მოლაპარაკებებში (იქვე). მსგავსი სულისკვეთებით საუბრობს პრეზიდენტი შევარდნაძეც. გამსახურდიას მსგავსად, ისიც აღნიშნავს, რომ არჩევნების „ერთსულოვნად“ ჩატარება „მსოფლიომ ქართველი ხალხის გონიერებად აღიქვა“ (1996). პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცების საშუალებაა (1995). ის არაერთხელ უსვამს ხაზს ცალკეული ქვეყნებისა და ორგანიზაციების ექსპერტული და ფინანსური მხარდაჭერის მნიშვნელობასაც, მათ შორის, ქვეყნის მართვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება (1992), სოფლის მეურნეობა (1992; 1999), ენერგეტიკა (1995; 1999; 2000), ეკონომიკა (1997; 2001), საზღვრის დაცვა (1999; 2000), კორუფციასთან ბრძოლა (1999; 2001), გარემოს დაცვა (1999; 2001) და ა.შ. შევარდნაძე ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო დონეზე ქვეყნის რეპუტაციის ამაღლებისა და შენარჩუნების საკითხზეც (1994). პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველომ დასავლეთის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებაც მოახერხა (2000).

საერთაშორისო მხარდაჭერის განმტკიცების აუცილებლობაზე ვრცლად საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც. მისი თქმით, კონფლიქტების მოგვარების მიზნით, საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება სჭირდება. „ჩვენ ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა არ ვართ. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც მშვიდობიანი პროცესების განსახორციელებლად, დღეს, როგორც არასდროს, საერთაშორისო მხარდაჭერა და რესპექტაბელურობა სჭირდება“, ამბობს იგი (2005). „ჩვენი თითოეული მოქმედება მაქსიმალურად იქნება აწონილი და განხორციელებული ისე, რომ საქართველომ არ დაკარგოს მთავარი - საერთაშორისო თანამეგობრობის

მხარდაჭერა“, დასძენს პრეზიდენტი (2006). სააკაშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მისი მმართველობისას საქართველომ უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება შეძლო. „დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს არასდროს ჰქონია ასეთი მყარი და კარგად დამკვიდრებული საერთაშორისო ავტორიტეტი, არასოდეს ჰყოლია ამდენი მეგობარი“, ამბობს იგი (2006). „არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი დაფასებული და პატივცემული როგორც დღეს; არასოდეს საქართველო არ ყოფილა ასეთი ძლიერი და მდიდარი თავისი მეგობრებითა და სტრატეგიული პარტნიორებით როგორც დღეს“, დასძენს სააკაშვილი. პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ საქართველო აშშ-ს ურყევი მხარდაჭერა აქვს (2009; 2012).

ევროპის და აშშ-ს მხარდაჭერაზე ამახვილებს ყურადღებას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც. ის აცხადებს, რომ ევროპულ დედაქალაქებში საქართველო „დიდი მხარდაჭერით“ სარგებლობს (2014). „[ნატოს ვილნიუსის სამიტზე] დავინახე, რომ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელები გულშემატკივრობენ საქართველოს და მის ევროპულ არჩევანს“, ამბობს მარგველაშვილი (იქვე). „სულ მალე, 26 მაისს დავინახავთ, თუ რა ძლიერი მხარდაჭერა აქვს საქართველოს დასავლეთისგან“, დასძენს იგი (2018). ამის მიუხედავად, პრეზიდენტი გამუდმებით საუბრობს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისა და სუვერენიტეტის განმტკიცების გზაზე მეტი პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვების შესახებ. მარგველაშვილი ამბობს, რომ საქართველოს პოზიციების გაძლიერება არსებული ორმხრივი და საერთაშორისო ფორმატების ეფექტიანად გამოყენებით და ახალი ფორმატების შემოღებით არის შესაძლებელი (2015; 2017). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი გამოდის აშშ-ს საქართველოში სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შეთავაზებით (2018). პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველომ უკეთ უნდა შეძლოს დასავლეთისთვის მისი როლისა და მნიშვნელობის ახსნა. „ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად წარმოვაჩინოთ საქართველოს გეოპოლიტიკური როლი და ის უპირატესობები, რაც საინტერესოს ხდის ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის“, ამბობს მარგველაშვილი (2015). „საქართველოს განვითარებითა და სტაბილურობით დაინტერესებულ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა ჩვენი უსაფრთხოების ერთ-ერთი სერიოზული საერთაშორისო გარანტია“, დასძენს იგი.

ევროპელი პარტნიორების მხრიდან საქართველოს მხარდაჭერაზე საუბრობს სალომე ზურაბიშვილიც. ის ამბობს, რომ ევროკავშირის ქვეყნები მზად არიან ასოცირებულ

ქვეყნებს შორის საქართველოს „განსაკუთრებული პოზიცია“ გაითვალისწინონ და ქვეყანას მეტი დახმარება გაუწიონ (2019). პრეზიდენტი საუბრობს იმაზეც, რომ საჭიროა საქართველოს პოზიციების ეფექტიანად წარდგენა ევროპულ ფორმატებში (2019). პრეზიდენტი მიმოიხილავს 2020 წლის აპრილში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეულ, თუმცა, მოგვიანებით ჩაშლილ შეთანხმებასაც, რომელიც პოლიტიკურ ძალებს შორის არსებული უთანხმოების განმუხტვას ისახავდა მიზნად. ზურაბიშვილი დანანებით აღნიშნავს, რომ პოლიტიკურმა სპექტრმა ევროკავშირის გამოჩენილი მხარდაჭერა საკმარისად ვერ გაიაზრა და ვერ დააფასა.

> არნახული რამ მოხდა იმის დასტურად, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველო, მისი დემოკრატიულობა და მისი სტაბილურობა, ევროპისათვის და რაოდენ უკვე დაახლოებულები ვართ. ევროკავშირიდან მივიღეთ ყველაზე დიდი მხარდაჭერა და ვფიქრობ საკმარისად ვერ გავიაზრეთ და ვერც დავაფასეთ. არა მხოლოდ ფინანსური თუ მატერიალური, არამედ პოლიტიკური და მორალური, ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირის პერსონალური ჩართულობა, რათა გადალახულიყო პოლარიზაცია და პოლიტიკური ჩიხი და ქუჩაში გადატანილი პროცესები დაბრუნებულიყო პარლამენტში. ეს პატარა საქმე ნამდვილად არ არის. ასეთი ჟესტი საქართველოს არ ახსოვს, თუ არ ჩავთვლით ომის მძიმე პერიოდს. (2020

8.13 საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე

საგარეო პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა ‘საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე ქვეყანა’. ამ კატეგორიის წინადადებები ყველა პრეზიდენტის მოხსენებებში გვხვდება, თუმცა, უფრო გამოკვეთილად ედუარდ შევარდნაძისა (4.7%) და ზვიად გამსახურდიას (4%) გამოსვლებში. ეს იდენტობა უმნიშვნელო რაოდენობით არის წარმოდგენილი სალომე ზურაბიშვილის (1.5%), გიორგი მარგველაშვილისა (1.3%) და მიხეილ სააკაშვილის (0.7%) მოხსენებებშიც. სულ იდენტობის ეს კატეგორია წინადადებათა სრული რაოდენობის 3%-ს შეადგენს. პრეზიდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ

ქვეყანამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირი უნდა იქონიოს, მათ შორის, პოლიტიკური და კულტურული პროფილის ორგანიზაციებთან. სახელმწიფოს მეთაურები მიიჩნევენ, რომ საქართველოსთვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში მისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრების საშუალებაა.

დიაგრამა #34: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



ამ კატეგორიის წინადადებები ყველაზე ხშირად ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში გვხვდება. პრეზიდენტი არაერთხელ აღნიშნავს, რომ ის ემხრობა სხვადასხვა პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს აქტიურ ინტეგრაციას (1992; 1995; 1997; 1998; 1999). შევარდნაძის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს ურთიერთობები მუდმივად უნდა იყოს სამთავრობო ინსტიტუტების „ყურადღების ცენტრში" (1995). პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა „ქვეყნის ინტერესების უკეთ დაცვის რეალურ საშუალებებს იძლევა" (იქვე). ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, მათ შორის, უსაფრთხოების ახალი ინიციატივების წარდგენის თვალსაზრისითაც (1996; 1997; 1998). პრეზიდენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებასაც (1998; 1999; 2000; 2002). ამავდროულად, შევარდნაძე ემხრობა საერთაშორისო დონეზე თემატურ თანამშრომლობას, მათ შორის, სამეცნიერო

სფეროში (1992; 1997), აგრეთვე, ორგანიზებულ დანაშაულთან (1996; 1998) და ტერორიზმთან (1998) ბრძოლის საკითხებში.

ნიშანდობლივია, რომ ედუარდ შევარდნაძე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრაციის - მისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრების - საშუალებად განიხილავს (1997; 1998; 2000; 2001; 2002). ამ უკანასკნელზე ამახვილებს ყურადღებას ზვიად გამსახურდიაც. პრეზიდენტის თქმით, „ეროვნული ხელისუფლების ვალი“ და „უდიდესი მისიაა“ საქართველოს დაუბრუნოს „ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში“ (1991). მსგავსი სულისკვეთებით საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც. მას სურს, რომ საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის „სრულფასოვანი წევრი“ გახდეს (2006) და იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო „ღირსეულ ადგილს“ დაიმკვიდრებს საერთაშორისო სისტემაში (2011). იმავეს ამბობენ გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი. აქედან პირველი აღნიშნავს, რომ საქართველოს სურს საერთაშორისო თანამეგობრობის „სრულფასოვანი და ღირსეული“ წევრი გახდეს - დაიმკვიდროს „ის ადგილი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური კულტურის ერს სამართლიანად გვეკუთვნის“ (2015), ხოლო მეორე - აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ წარმატებით მოახერხა გამხდარიყო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის „ღირსეული წევრი“ (2015).

საგულისხმოა, რომ პრეზიდენტების უმრავლესობა ემხრობა საერთაშორისო კულტურულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასაც, განსაკუთრებით ძეგლთა დაცვის მიმართულებით. (1990; 1992; 1995; 1997; 1997; 1998; 1999; 2004; 2019). პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ ეს ქართული კულტურის პოპულარიზებას შეუწყობს ხელს.

8.14 კონფლიქტებში საერთაშორისო ჩართულობის მომხრე

საპრეზიდენტო მოხსენებებში გვხვდება საქართველოს, როგორც კონფლიქტებში საერთაშორისო ჩართულობის მომხრე ქვეყნის წარმოჩენაც. აღნიშნული კატეგორიის წინადადებები ფართოდ არის წარმოდგენილი ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში (4%), ხოლო მცირე რაოდენობით - მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში (0.3%). სულ ეს კატეგორია წინადადებათა სრული რაოდენობის 2.1%-ს შეადგენს. ამ წინადადებათა

უმრავლესობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებში საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურად ჩართვას მოიაზრებს, როგორც შუამავლის როლში, ისე კონფლიქტის რეგიონების რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

საქართველოს, როგორც კონფლიქტებში საერთაშორისო ჩართულობის მომხრე ქვეყნის სახე-ხატი ედუარდ შევარდნაძის პირველივე გამოსვლაში გვხვდება და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი შემდგომი წლების მოხსენებებში. ნიშანდობლივია, რომ 1992 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე საუბრობს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში გაეროს სწრაფი რეაგირების შენაერთებისა და ნატოს სამშვიდობო ძალების ჩართვის საჭიროებაზე. ეს მოსაზრება მომდევნო წლებში აღარ განვითარებულა, თუმცა, შენარჩუნდა გაეროს (1992; 1995; 1998; 1999; 2000) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ეუთოს (1994; 1998; 1999; 2000), მოლაპარაკებების პროცესში ჩართვის მნიშვნელობაზე ხაზგასმა. საგულისხმოა, რომ შევარდნაძე რამდენჯერმე გამოდის საერთაშორისო ეგიდით სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის ინიციატივით. 1997 წელს ის ამბობს, რომ კონფერენცია გაეროს ქოლგის ქვეშ უნდა ჩატარდეს და მასში მონაწილეობა ეუთოს და საქართველოს მეგობარი ქვეყნების (რუსეთი, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთ, გერმანია) წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მას სურს აშშ-ს როლის გაზრდაც (2000). ამასთანავე, ის საუბრობს მეზობელი ქვეყნების შესაძლო ჩართვაზეც. ასე, მაგალითად, 1992 წელს ის ამბობს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, რუსეთთან ერთად, თურქეთიც უნდა ჩაერთოს, ხოლო 2002 წელს - აცხადებს, რომ საჭიროა უკრაინისა და თურქეთის აქტიური მონაწილეობა. პრეზიდენტი ემხრობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების ჩართულობასაც (1997; 1998; 1999).

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის გამოსვლებში იკითხება საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი უნდობლობაც. ასე, მაგალითად, 1995 წელს შევარდნაძე აცხადებს, რომ მას სურს იხილოს გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების „უფრო ქმედითი პრაქტიკული ნაბიჯები“, ხოლო 1998 წელს - ის დანანებით აღნიშნავს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები „უმრავლეს შემთხვევაში, შეუსრულებელი რჩება“.

„ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, შეიქმნა სრულიად ახალი ვითარება უშიშროების საბჭოს ეფექტურობის ამაღლებისათვის. ვფიქრობ, ამ მთავარი სამშვიდობო ინსტრუმენტის იგნორირებას ბოლო უნდა მოეღოს. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის, სახელმწიფოები და ადამიანთა ცალკეული ჯგუფებისათვის, რომლებმაც ძალაუფლება ძალით მოიპოვეს, ან ჩაიდინეს დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ჩვენ უნდა გვეყოს გამბედაობა და პოლიტიკური ნება, არ დავუშვათ უშიშროების საბჭოს რეზოლუციათა იგნორირება, თუნდაც ეს იძულების მეთოდებთან იყოს დაკავშირებული, როგორც ეს თვით გაეროს წესდებაშია გათვალისწინებული. აი, რატომ მივესალმები ყოველგვარ აქციას უშიშროების საბჭოს ნების უპირობო განხორციელებასთან დაკავშირებით. (1998)

1999 წელს ის კვლავ ამბობს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები „არ შეიძლება შეუსრულებელი დარჩეს“. „საჭიროა გაეროს წესდებით გათვალისწინებული გადამჭრელი მოქმედება, რადგანაც მიღებული რეზოლუციების შეუსრულებლობა ზიანს აყენებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ გაეროს და უშიშროების საბჭოს საერთაშორისო პრესტიჟსა და ავტორიტეტს, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების პერსპექტივას“, აცხადებს პრეზიდენტი (1999). კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციის შესახებ საუბრობს კვალდაკვალ, შევარდნაძე გამუდმებით უსვამს ხაზს, მისი მიზანი რუსეთის როლის დაკნინება არ არის.

გაჩნდა მოლაპარაკების ახალი ფორმები ჟენევის პროცესის სახით, რაც ფაქტიურად პროცესის ინტერნაციონალიზაციას მოასწავებს, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თვალსაზრისით. ეს სულაც არ ნიშნავს რუსეთის როლის შესუსტებას. მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარების, ხალხის დაბრუნების და სტატუსის განსაზღვრის კლასიკური მაგალითი შეიძლება გახდეს რუსეთისა და დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა თანამშრომლობა უმნიშვნელოვანეს რეგიონში მშვიდობის დასაბრუნებლად. (1998)

> დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ რომელიმე ერთ სახელმწიფოს ნებაზე არ არის დამოკიდებული, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკისათვის უახლოეს მომავალში ახალ პერსპექტივებს სახავს. თუმცა, ამ ფრაზაში არ უნდა ვიგულისხმოთ რუსეთის შეუფასებლობა, რომელსაც კვლავაც ძალუძს დიდი როლი შეასრულოს ამ ისტორიულ პროცესში. (2000)

კონფლიქტებში საერთაშორისო ჩართულობის მიზანშეწონილობაზე საუბრობს მიხეილ სააკაშვილიც. კერძოდ, ის ამბობს, რომ აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მხარეებთან მოლაპარაკებები „გაეროსა და ეუთოს პატრონაჟით და დაბალანსებული საერთაშორისო მონაწილეობით“ უნდა წარიმართოს (2007). პრეზიდენტი განმარტავს, რომ ამ უკანასკნელში ის ევროკავშირსა და აშშ-ს გულისხმობს (იქვე). სააკაშვილს სურს კონფლიქტის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის საქმეში საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობაც (იქვე).

8.15 საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე (კონფლიქტები)

საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლებში გვხვდება საქართველოს, როგორც კონფლიქტებში საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე ან მხარდაჭერის მსურველი ქვეყნის იდენტობა. ამ კატეგორიის წინადადებათა რაოდენობა მთლიან წინადადებათა რაოდენობის 1.9%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს გიორგი მარგველაშვილს (4.8%). მას მოსდევენ ედუარდ შევარდნაძე (1.8%) და მიხეილ სააკაშვილი (1.4%). ამ კატეგორიის წინადადებებში საქართველო წარმოჩენილია, როგორც ქვეყანა, რომელიც აქტიურად ცდილობს საქართველოში მიმდინარე კონფლიქტების თაობაზე საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციების მისთვის სასარგებლოდ შეცვლასა და შენარჩუნებას. პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება კონფლიქტების მოგვარების საქმეს წაადგება.

ამგვარი წინადადებები პრეზიდენტების გამოსვლებში 1994 წლიდან ჩნდება და თანმიმდევრულად გვხვდება შემდგომი წლების მოხსენებებში. პრეზიდენტი შევარდნაძე ხაზს უსვამს, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო

თანამეგობრობისა და ორგანიზაციების მხარდაჭერა აქვს (1994; 1996; 1997; 1998; 1999; 2001). ის აქტიურად საუბრობს საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს პოზიციების გატანისა და დაცვის შესახებაც, მათ შორის, გაეროსა (1995; 1996) და ეუთოს (1996; 1998; 2000) ფარგლებში. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საქართველოს საერთაშორისო არენაზე აქტიურობა მნიშვნელოვანია და ის სასურველ შედეგს გამოიღებს (1995; 2001). შევარდნაძე ამ კონტექსტში ახსენებს იმასაც, რომ საქართველო კონფლიქტების საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების საფუძველზე მოგვარებას ემხრობა (1996). პრეზიდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის საქართველოს სასარგებლოდ ჩამოყალიბებას. კერძოდ, ის ხაზს უსვამს, რომ მისი ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საინფორმაციო არხების დონეზე საქართველოსთვის სასიკეთო აზრი დამკვიდრდა.

> თუ პირველ ხანებში მსოფლიოს საზოგადოებას, უწინარესად, საინფორმაციო საშუალებების ძლიერი დეზინფორმაციული საქმიანობის გამო, მეტ-ნაკლებად სჯეროდა აფხაზ სეპარატისტთა ვითომდა სამართლიანი ბრძოლისა, ჩვენმა აქტიურობამ გაეროში, ევროკავშირსა და თანამეგობრობაში სასურველი ნაყოფი გამოიღო - მსოფლიომ დაინახა აგრესიული სეპარატიზმის საშინელი, ბარბაროსული სახე. დღითი დღე მკაცრდებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ტონი აფხაზ სეპარატისტთა მიმართ. (1996)

> 1992 წლიდანვე ერთ-ერთ უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანად იქნა მიჩნეული სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება საქართველოს სასარგებლოდ. გახსოვთ, რამდენს ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ ინფორმაციული ომი წავაგეთ, საზოგადოებრივი აზრი არ ყალიბდება საქართველოს სასარგებლოდ და ა.შ. ბევრი ეს შენიშვნა, რა თქმა უნდა სამართლიანი იყო. ამ თვალსაზრისით, მიუხედავად სეპარატისტთა და მათ ძლიერ მხარდამჭერთა პროპაგანდისტული ძალისხმევისა, საქართველომ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. უკლებლივ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, განვითარებული დემოკრატიული ქვეყნები, ისევე როგორც ამ

ქვეყანათა საზოგადოებრიობა, აღიარებს საქართველოს სიმართლეს. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მთლიანობას და გმობს აგრესიულ სეპარატიზმს, რომელმაც ეთნოწმენდა და, ფაქტობრივად, მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდი მოაწყო. (1997)

1994 წლიდან დღემდე ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი ობიექტურად შესაძლებელია, შეუძლებელიც კი, რათა საერთაშორისო გაერთიანებაში ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრებულიყო აზრი და პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თაობაზე. დღეს პლანეტაზე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არ არსებობს სახელმწიფო, ან ლეგიტიმური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც არ აღიარებდეს აფხაზეთს საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად და მხოლოდ ამ კონტექსტში არ გულისხმობდეს კონფლიქტის მოგვარებას. მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათეულობით რეზოლუცია, ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის რეზოლუციები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გადაწყვეტილებანი და სხვა მრავალი. (2001)

საქართველოს, როგორც კონფლიქტებში საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე ქვეყნის სახე-ხატი გვხვდება მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებშიც. საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაციას პრეზიდენტი სააკაშვილი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა (2007; 2009) და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების მნიშვნელოვან ბერკეტად განიხილავს (2011). „აფხაზეთი და ცხინვალი ისევ დაუბრუნდებიან დედა-სამშობლოს და ამას ჩვენ მივაღწევთ მშვიდობით, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარებით, სტაბილური წინსვლით, მთელ საერთაშორისო თანამეგობრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით“, ამბობს ის 2009 წელს. „დღეს საქართველოსადმი პოლიტიკური მხარდაჭერა იზრდება ყველგან … დღეს ყველა ხედავს, რომ მთლიანად ჩაფუშულია გეგმები საქართველოს იზოლაციისა და მისი ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის ასაღიარებლად“, დასძენს სააკაშვილი 2011 წელს. პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის ქმედებების საპასუხოდ კოორდინირებულად იმოქმედებენ (2006). შევარდნაძის მსგავსად, საერთაშორისო

დონეზე საქართველოს კონფლიქტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას სააკაშვილიც ემხრობა. პრეზიდენტის თქმით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ამოცანაა კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესების მაქსიმალური გაშუქება.

> ჩვენი ამოცანაა, რომ მთელმა მსოფლიომ ზუსტად იცოდეს რა ხდება ჩვენთან - უნდა იცოდნენ, რომ გალელ მასწავლებელს, რომლის მოსწავლეც ამბობს: „გაუმარჯოს ჩემს ქვეყანას“ - იჭერენ; ოჩამჩირეში მღვდელს, რომელიც ლოცვას ქართულად აღავლენს, უშიშროებაში იბარებენ და აწამებენ; ადამიანების სხეულს ნაწილებად უბრუნებენ ნათესავებს. წინა მთავრობისგან განსხვავებით, ამის შესახებ მთელს მსოფლიოს გავაგებინეთ და ყველა ხვდება, თუ რა სახის ფენომენთან გვაქვს საქმე. (2006)

საქართველოს, როგორც კონფლიქტებში საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე ქვეყნის წარმოჩენა ფართოდ გვხვდება გიორგი მარგველაშვილის მოხსენებებში. საგულისხმოა, რომ ამ კატეგორიის წინადადებათა დიდი ნაწილი სამომავლო, სასურველი შინაარსისაა. ასე, მაგალითად, მარგველაშვილს სურს საერთაშორისო ორგანიზაციების მეტი მხარდაჭერის მოპოვება დევნილთა დაბრუნების საქმეში (2014), აგრეთვე, საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, ევროკავშირისა და აშშ-ს როლის გაზრდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარების პროცესში (2015). პრეზიდენტი დასძენს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცალკეულ კრიზისებზე მსჯელობა „საკმარისი არაა“, და რომ საჭიროა მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის „გაუვნებელყოფა“ (იქვე). „პასუხი ამ პოლიტიკაზე უნდა იყოს ერთიანი ევროპული და ევროატლანტიკური პოლიტიკა, რომელიც ნათლად საუბრობს, რომ შეუძლებელია ევროპაში, შეუძლებელია სამყაროს ამ ნაწილში, კიდევ ერთხელ გაივლოს ხელოვნური გამყოფი ხაზები“, ამბობს იგი (2016). ამის მიუხედავად, პრეზიდენტი მარგველაშვილი ხაზს უსვამს, რომ ის პარტნიორების მიერ გაწეული დახმარების მადლიერია (2015; 2016).

> ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, არაღიარების პოლიტიკის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის

დაუშვებლობის, დევნილთა დაბრუნების საკითხებში. სწორედ ამის შედეგია დევნილთა თემაზე გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობის ზრდა. (2015)

პრეზიდენტი მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველო და მისი პარტნიორები წარმატებით ახორციელებენ არაღიარების პოლიტიკას (2015; 2016; 2017; 2018). „არაღიარების პოლიტიკა რუსეთს ფაქტობრივად ჩაუვარდა და მსოფლიო თანამეგობრობამ ნათლად შეაქცია ზურგი იმ უსამართლობას, რომლის გატანასა და, ასე ვთქვათ, გაყიდვასაც რუსეთი ცდილობდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების მცდელობით“, ამბობს იგი (2018).

8.16 ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი

საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსის კიდევ ერთი დამახასიათებელი იდენტობაა მკვეთრად გამოხატული ანტი-საბჭოთა და ანტი-იმპერიალისტური განწყობები. იდენტობის ეს კატეგორია დომინირებს ზვიად გამსახურდიას მოხსენებებში (34.6%), თუმცა, ამ შინაარსის წინადადებები გვხვდება ედუარდ შევარდნაძის (0.1%), მიხეილ სააკაშვილისა (2.2%) და სალომე ზურაბიშვილის (4%) გამოსვლებშიც, რაც ამ დისკურსული ხაზის სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს. მთლიანობაში, იდენტობის ამ კატეგორიის ხვედრითი წილი პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკურ წინადადებათა ერთობლიობაში 1.8%-ია. იდენტობის ამ დისკურსში საბჭოთა კავშირი ძირითადად საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგედ და ქართველი ერის თვითმყოფადობის მტრად გვევლინება. გხვდება საბჭოეთის პოლიტიკური სისტემის და საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზების თვალსაზრისით საქართველოსთვის უარყოფით მაგალითად წარმოჩენის შემთხვევებიც.

დიაგრამა #35: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



ზვიად გამსახურდია ანტი-საბჭოთა განწყობებს ორი სხვადასხვა, თუმცა, ურთიერთდაკავშირებული კონტექსტით მოიხმობს. უმთავრესად, ეს ხდება საქართველოს დამოუკიდებლობისთვის შექმნილ დაბრკოლებებზე საუბრისას, როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე თანამედროვე პერიოდში. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სტატუსით ჩატარებულ მის პირველ გამოსვლაში გამსახურდია ამბობს, რომ 1921 წელს რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა, რის შედეგადად, ქვეყანას „მსოფლიოში უმკაცრესი სისხლიანი დიქტატურის" ქვეშ მოუწია 70-წლიანი ცხოვრება. ამის მიუხედავად, გამსახურდია აღნიშნავს, რომ ქართველი ერი „არასოდეს შეჰგუებია მონობას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას" (1990). გამსახურდია აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი სისტემატურად დევნიდა ქართულ ენას, რამაც „რუსული ენის გაბატონება და ფაქტობრივ სახელმწიფო ენად მისი გადაქცევა" გამოიწვია. ის ამბობს იმასაც, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მცდელობას აღადგინოს დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საბჭოთა კავშირი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ინსტრუმენტებით უპირისპირდება. „ცენტრის ყოველგვარ საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ჩარევას ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩვენ ვუპასუხებთ ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მძლავრი აქტებით,

რათა მეტროპოლიამ ვეღარ შეძლოს თავისი დიქტატის განხორციელება“, დასძენს იგი (იქვე).

გამსახურდია ანტი-საბჭოთა გზავნილებს მის მემკვიდრეობაზე საუბრისასაც ახმოვანებს. იგი აცხადებს, რომ განათლების სისტემის პრიორიტეტები რადიკალურად არის გადასასინჯია, მათ შორის, გასაუქმებელია „ყოვლად უსარგებლო და ზედმეტი დისციპლინები: ე.წ. სსრ კავშირის ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმი, სოციალისტური პოლიტეკონომია, ე.წ. საზოგადოებათმცოდნეობა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და სხვანი“ (იქვე). გამსახურდიას თქმით, საქართველოს განათლების სისტემამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ქართულ ენაზე სწავლებას და მეტი ყურადღება დაუთმოს ისეთი საგნების შემოღებასა და გაძლიერებას, როგორიცაა საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია და რელიგიური სწავლება (იქვე). გამსახურდია აკრიტიკებს საბჭოთა ეკონომიკურ სისტემასაც, აცხადებს რა, რომ საბჭოთა სამეურნეო წყობა საქართველოზე თავსმოხვეული, ხოლო ცენტრალური დაგეგმვის პრინციპი - არაეფექტიანია. „ამასთან ერთად იგი ხელს უწყობს საქართველოს კოლონიურ ძარცვას, ჩვენი ეკონომიკის დაქვემდებარებას ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკის სისტემის დიქტატისაგან“, დასძენს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (იქვე). გამსახურდია ხაზს უსვამს იმასაც, რომ საბჭოთა პერიოდში „ცენტრიდან დანიშნული“ უზენაესი საბჭოსგან განსხვავებით, მისი თავმჯდომარეობით მოქმედი საკანონმდებლო ორგანო „მხოლოდ ნომინალურად როდი იარსებებს“ (იქვე). „მას გადასაწყვეტი აქვს ურთულესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, აცხადებს იგი (იქვე).

საგულისხმოა, რომ 1991 წლის საპარლამენტო გამოსვლაში პრეზიდენტი გამსახურდია საბჭოთა კავშირის მიმართ ნაკლებად კონფრონტაციული ხდება[28]. კერძოდ, პრეზიდენტი საუბარს იწყებს იმაზე, რომ სსრკ-სთან ურთიერთობის მოგვარება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ზვიად გამსახურდია იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

[28] ამ შინაარსის წინადადებები კოდირებულია, როგორც იდენტობის კატეგორია ‘საბჭოეთისადმი არაკონფორნტაციული’ (სულ 8 წინადადება/0.2%). დიაგრამა #35-ში წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემები არ მოიცავს ამ იდენტობის კატეგორიის ოდენობებას. სხვა პრეზიდენტებთან იდენტობის კატეგორია ‘საბჭოეთისადმი არაკონფორნტაციული’ არ გვხვდება.

სამართალმემკვიდრე სახელმწიფოსა და საბჭოთა კავშირის მიერ „ოკუპირებულ, ანექსირებულ და არასამართლებრივად ინკორპორირებულ“ სახელმწიფოთა შორის „თანასწორუფლებიანი მოლაპარაკება“ ჩატარდება (1991). საქართველოსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას პრეზიდენტი გამსახურდია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარების წინაპირობადაც განიხილავს (იქვე).

ანტი-საბჭოთა შინაარსისაა ედუარდ შევარდნაძის ორი - 1998 და 2002 წლებში გაკეთებული - განცხადება. პრეზიდენტი შევარდნაძე ორივე შემთხვევაში იმას უსვამს ხაზს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ მოსდევს ტოტალიტარული სისტემის ნაკლოვანებები და, რომ ქვეყანამ თავი უნდა გაითავისუფლოს ამ უარყოფითი მემკვიდრეობისგან. საბჭოთა წარსულს მკვეთრად ნეგატიურად აფასებს მიხეილ სააკაშვილიც. მისი 2007 წლის საპარლამენტო მოხსენების მიხედვით, საბჭოთა კავშირი მისმა შემქმნელებმა „საკმაოდ ცბიერად დააპროექტეს“, რათა მასში შემავალ რესპუბლიკებს დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება არ ჰქონოდათ. სააკაშვილი საბჭოთა კავშირს თანამედროვე საქართველოსთან შესადარებლადაც იყენებს, ძირითადად იმის საჩვენებლად, რომ ქვეყანა თანდათან წარსულს აბარებს საბჭოთა სისტემისა და ტრადიციების გადმონაშთებს. „ამოიძირკვა ის მრავალი საზარელი საბჭოთა ტრადიცია მაგალითად, ჩვენების გამოძალვა წამებისა და ცემის გზით, იარაღის ან ნარკოტიკის ჩადება და ამის საფუძველზე ადამიანის გასამართლება“, აცხადებს იგი 2007 წელს. ამასთანავე, ზვიად გამსახურდიას მსგავსად, პრეზიდენტი სააკაშვილიც ცდილობს ქართველი ხალხი იმპერიის მიერ ჩაგრულ და რეპრესირებულ ერად წარმოაჩინოს. ასე, მაგალითად, 2010 წლის საპარლამენტო მოხსენებაში პრეზიდენტი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი ქართველებს ისე ექცეოდა, როგორც „პერიფერიულ ვასალებს“.

> მოდით ერთი წუთით დავფიქრდეთ იმაზე თუ რა არის ამ გზის ალტერნატივა - ჩამორთმეული თავისუფლება და იმ დროში დაბრუნება, როდესაც ცენტრიდან უფროსები ჩამოდიოდნენ, რათა დამტკბარიყვნენ ჩვენი ღვინით და კონიაკით; საქართველოსთვის შეეხედათ, როგორც ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის, ხოლო ქართველებისთვის - როგორც ამ მუზეუმის ექსპონატებისთვის თავის სუფრით, სიმღერით და ცეკვით. დავითის და თამარის ქვეყანას როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, არსებობა ეკრძალებოდა. კონიაკი და იაფი

> თვითმფრინავის ბილეთები კარგი იყო, მაგრამ საქართველოს არც ერთ ქალაქს არ უნდა ჰქონოდა წყალგაყვანილობის სისტემა, არცერთი ტრასა არ უნდა ყოფილიყო მაღალი ხარისხის. ბათუმში წყალგაყვანილობის სისტემა შექმნილია ნობელების მიერ რევოლუციამდე. წყალგაყვანილობა არ იყო არც ქუთაისსა და წყალტუბოში. გაზიფიკაცია საბჭოთა დროს, 30 პროცენტამდე იყო, ჩვენ ახლა ავდივართ 87 პროცენტზე... მოკლედ, აქ ყველაფერი უნდა ყოფილიყო, როგორც პროვინციაში. იმდენად არაკუნკურენტუნარიანი უნდა ყოფილიყო ჩვენი პროდუქცია, თავად ჩვენ იმდენად მეორეხარისხოვანი უნდა ვყოფილვიყავით, რომ პირველხარისხოვნად გადაქცევაზე ოცნებაც ვერ გაგვებედა. ეს არ არის ჩვენი არჩევანი. (2010)

მსგავსი გზავნილი აქვს სააკაშვილს 2013 წლის გამოსვლაშიც. პრეზიდენტი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის არსებობისას იყო პერიოდები, როდესაც ქართველებს „მხოლოდ ჩურჩულისთვის აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ, როდესაც ისინი თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოზე ოცნებობდნენ“. საბჭოთა კავშირს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის მტრად წაროგვიდგენს სალომე ზურაბიშვილიც. 2021 წელს, 9 აპრილის მემკვიდრეობის შესახებ საუბრისას, პრეზიდენტი ზურაბიშვილი აღნიშნავს, რომ ეს დღე 70 წლიან საბჭოთა იდეოლოგიასა და ტოტალიტარულ სისტემაზე გამარჯვების დღეა - „სისტემაზე, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა (დღესაც ვიმკით ამის ზოგ შედეგს) დაექუცმაცებინა, დაეშალა საქართველო და ერთმანეთთან დაეპირისპირებინა საქართველოს მოქალაქეები“. ზურაბიშვილი ხაზს უსვამს იმასაც, რომ 1991 წელს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით „საუკუნოვანი ისტორიის მქონე სახელმწიფო“ აღდგა.

8.17 გლობალური მშვიდობის დამცველი

საქართველოს საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა ქვეყნის, როგორც მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამცველის წარმოჩენა. საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლების ანალიზი ცხადყოფს, რომ იდენტობის ამ კატეგორიას ქართველი ლიდერები ორი ურთიერთდაკავშირებული მიზნით მოიხმობენ: საერთაშორისო უსაფრთხოების

უზრუნველყოფაში ქვეყნის მონაწილეობის ხაზგასასმელად და ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის საჩვენებლად. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ხედვა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში იჩენს თავს (0.2%), საგრძნობლად იზრდება მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას (2.4%) და პიკს აღწევს გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობისას, როცა ამ შინაარსის წინადადებათა წილი მისი საგარეო პოლიტიკური წინადადებების 8.6%-ს აღწევს. ეს დისკურსი ფიგურირებს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებშიც, თუმცა, წინა ორ პრეზიდენტთან შედარებით, უფრო ნაკლებად გამოკვეთილად (1.5%). მთლიანობაში ამ კატეგორიის წინადადებათა წილი საგარეო პოლიტიკურ წინადადებებში 1.8%-ს იკავებს.

დიაგრამა #36: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც გლობალური მშვიდობის დამცველი' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



საქართველოს, როგორც გლობალურ უსაფრთხოებაში წვლილის შემტანი ქვეყნის რეპრეზენტაცია 2000-იანი წლების დასაწყისში, ქართველი ჯარისკაცების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის კვალდაკვალ ჩნდება და მომდევნო წლებში, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში. 2000 წელს, კოსოვოს სამშვიდობო მისიაში მონაწილეობაზე საუბრისას, პრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებს, რომ საქართველოს სამხედრო ძალების ოცეულის კოსოვოში ყოფნა „განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია". საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობას ქვეყნის საერთაშორისო მხარდაჭერის

მოპოვების ინსტრუმენტად განიხილავს მიხეილ სააკაშვილიც. „ნურავინ დასვამს კითხვას, თუ რატომ ვართ ჩვენ იქ… ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც მშვიდობიანი პროცესების განსახორციელებლად, დღეს, როგორც არასდროს, საერთაშორისო მხარდაჭერა და რესპექტაბელურობა სჭირდება“, ამბობს ის 2005 წელს. მსგავსი გზავნილები აქვთ პრეზიდენტებს გიორგი მარგველაშვილსა და სალომე ზურაბიშვილს. 2017 წელს გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ ქართველი ჯარისკაცების საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა „აძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს და მის იმიჯს და არის ერთიანი, ძლიერი, თავისუფალი სახელმწიფოს გარანტი“, 2019 წელს კი, სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ქართველი ჯარისკაცები „ავღანეთში თავიანთი პროფესიონალიზმითა და სიმამაცით საქართველოს ასახელებენ“. განსხვავებული თემის შესახებ, თუმცა, მსგავსი სულისკვეთებით საუბრობს 2002 წელს ედუარდ შევარდნაძე. პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციის შესახებ საუბრისას, შევარდნაძე აცხადებს, რომ ოპერაციის შედეგს დიდი გავლენა ექნება ქვეყნის რეპუტაციაზე. „არავის ეგონოს, რომ ეს ლოკალური მნიშვნელობის ღონისძიებაა. ამით ჩვენ ვადასტურებთ, რომ საქართველო სრულფასოვანი სახელმწიფოა და მასთან პარტნიორული თანამშრომლობით სავსებით შესაძლებელია ურთულესი პრობლემების გადაწყვეტა“, ამბობს იგი (2002).

საერთაშორისო იმიჯის განმტკიცებასთან ერთად, პრეზიდენტები საერთაშორისო მისიებში მონაწილეობას უშუალოდ საქართველოს უსაფრთხოებასაც უკავშირებენ. ასე, მაგალითად, 2007 წლის საპარლამენტო მოხსენებაში პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ „ყველა იქ მყოფი ქართველი ვაჟკაცი იცავს და აძლიერებს საქართველოს“, ხოლო 2014 წელს გიორგი მარგველაშვილი ამბობს, რომ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა „ზრდის როგორც გლობალურ უსაფრთხოებას, ისე ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასაც“. საკითხის მცირედით განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტის თანახმად, საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით საქართველო დასავლეთთან საზიარო, თავისუფლებისა და დემოკრატიულ ღირებულებებს იცავს. „ჩვენ ამას ვაკეთებთ არა მოკლევადიანი გათვლებით არამედ იმ საერთო ფასეულობების გამო, რომელიც გვაერთიანებს დემოკრატიულ და თავისუფალ სამყაროსთან“, ამბობს ის 2008 წელს, ორი წლის შემდეგ კი, დასძენს, რომ ქვეყნის

„კურსია კაცობრიობის ცივილიზებული და დემოკრატიული ფასეულობების დაცვა, იქნება ეს ერაყში თუ ავღანეთში“ (2010). წინამორბედის მსგავსად, 2017 წელს გიორგი მარგველაშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოს არასოდეს დააყენებს საფრთხის ქვეშ მისი პარტნიორებისა და მეგობრების უსაფრთხოებას, მაგრამ ყოველთვის მზად იქნება დაიცვას „ჩვენი საერთო უსაფრთხოება და კეთილდღეობა“.

8.18 წამყვანი სახელმწიფო კავკასიაში/რეგიონში

საგარეო პოლიტიკურ დისკურსში გვხვდება საქართველოს კავკასიაში ან მიმდებარე რეგიონში წამყვან ქვეყნად წარმოჩენაც. ამ კატეგორიის წინადადებები ყველა პრეზიდენტის მოხსენებებში ჩნდება და სრული წინადადებების 1.7%-ს შეადგენს. პრეზიდენტებს შორის, ყველაზე მეტად ამ იდენტობას ზვიად გამსახურდია და სალომე ზურაბიშვილი მოიხმობენ 5-5 %-ით. მათ მოსდევენ მიხეილ სააკაშვილი და გიორგი მარგველაშვილი - 3.1%-ით და 2.8%-ით. უმნიშვნელო მონაცემი აქვს ედუარდ შევარდნაძეს - 0.1%. ამ კატეგორიის წინადადებათა უმრავლესობა საქართველოს კავკასიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამედიცინო და საგანმანათლებლო ცენტრად განიხილავს. პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველომ კავკასიაში ეკონომიკური კვანძისა და მშვიდობის გარანტორის როლი უნდა იკისროს.

დიაგრამა #37: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც წამყვანი სახელმწიფო კავკასიაში/რეგიონში' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



ზვიად გამსახურდიას მოხსენებებში საქართველო გვევლინება, როგორც კავკასიის სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის შუამავალი ქვეყანა - ქვეყანა, რომელსაც რეგიონში „მასტაბილიზებელი“ როლი აკისრია (1991). გამსახურდია განმარტავს, რომ საქართველო სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის მთიანი ყარაბაღის ირგვლივ მიმდინარე დაპირისპირების მიმართ გულგრილი ვერ დარჩება და ყველაფერს იღონებს პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისთვის (იქვე). „ქართველ ერსა და ქართველ სახელმწიფოს ტრადიციულად ჰქონდა კავკასიის რეგიონში მასტაბილიზირებელი როლი პოლიტიკური, ეროვნებათაშორისო და სხვა პრობლემების თვალსაზრისით და ყოველთვის ღირსეულად ართმევდა მას თავს“, ამბობს იგი (იქვე). პრეზიდენტი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველოს საერთაშორისო აღიარება კავკასიაში უსაფრთხოების დამყარების წინაპირობაა (იქვე). მცირედით განსხვავებული, თუმცა, მსგავსი სულისკვეთებით საუბრობს ედუარდ შევარდნაძეც, როცა ამბობს, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება კავკასიაში არსებული პრობლემების გადაჭრის გასაღებია (1998; 2001).

მიხეილ სააკაშვილი საქართველოს კავკასიის/რეგიონის წამყვან სახელმწიფოდ განიხილავს. სააკაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანას აქვს რეგიონის ეკონომიკურ კვანძად გადაქცევის პოტენციალი (2007; 2012). „საქართველოს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი - გახდეს რეგიონის ქვეყნების მთავარი ეკონომიკური პარტნიორი და ჩვენ ვისწრაფვით ამისაკენ ... საქართველო შეასრულებს იგივე როლს, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში ასრულებს დუბაი, ხოლო აზიაში ასრულებდა სინგაპური“, ამბობს იგი (2007). ამასთანავე, პრეზიდენტის თანახმად, საქართველოს აქვს კავკასიაში საუკეთესო სამედიცინო ცენტრები (2006; 2007; 2010). სააკაშვილი აღნიშნავს იმასაც, რომ საქართველო დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისითაც წინ უსწრებს კავკასიის სხვა სახელმწიფოებს. ასე, მაგალითად, 2010 წელს ის ამბობს, რომ მასობრივი დემონსტრაციებისა და პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანად დასრულებით „ჩვენმა ხალხმა გამოავლინა პოლიტიკური კულტურის სრულიად ახალი დონე, რაც კავკასიური პოლიტიკური კულტურისთვის აქამდე ნაკლებად იყო დამახასიათებელი“. პრეზიდენტი სააკაშვილი იმავეს ამბობს 2013 წელს, როცა აღნიშნავს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებით, საქართველო გახდა კავკასიაში პირველი ქვეყანა, „სადაც ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიული გზით მოხდა“. საგულისხმოა, რომ 2012 წელს პრეზიდენტი სააკაშვილი ხაზს უსვამს, რომ

დასავლური არჩევანის მიუხედავად, საქართველოს რეგიონი კავკასიაა და ის აქტიურად იმუშავებს „საერთო კავკასიური განვითარებისთვის“. „კავკასიას განვიხილავთ როგორც ერთ რეგიონს და საქართველო არის ამ რეგიონში მშვიდობის, ძალადობის შეჩერებისა და განვითარების ლოკომოტივი“, აღნიშნავს იგი (2012). სააკაშვილი დასძენს, რომ „კავკასიური ერებისთვის საქართველო არის ფანჯარა ევროპაში“ (იქვე).

რეგიონისთვის საქართველოს განსაკუთრებულ როლზე ამახვილებს ყურადღებას გიორგი მარგველაშვილიც. ის ამბობს, რომ საქართველო კავკასიაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. „ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური, ერთიანი და განვითარებული საქართველო რეგიონში მშვიდობისა და თანამშრომლობის განვითარების გარანტიაა“, აცხადებს მარგველაშვილი (2014). „ერთიანი, სტაბილური, განვითარებული, დემოკრატიული და ძლიერი საქართველო, კავკასიაში უსაფრთხოების გაძლიერების, წინსვლისა და მეზობლებთან ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის გარანტია“, დასძენს იგი (2016). მარგველაშვილს სურს, რომ საქართველო „მნიშვნელოვან რეგიონულ მოთამაშედ“ ჩამოყალიბდეს, ამისათვის კი საუკეთესო გზად ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია მიაჩნია. „ევროპული საქართველო უნდა იქცეს ჩვენი რეგიონის სტაბილურობისა და კეთილდღეობის პლაცდარმად“, ამბობს იგი (იქვე).

საქართველო კავკასიური სახელმწიფოა სალომე ზურაბიშვილისთვისაც. პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საქართველოს კავკასიასთან საზიარო ღირებულებები გააჩნია (2019). ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ ქვეყანამ უნდა დაიბრუნოს კავკასიური ენების შესწავლის მთავარი ცენტრის ფუნქცია და გახსნას საქართველოსა და კავკასიის შესახებ ინტერდისციპლინარული კვლევების ცენტრი (იქვე).

> წლების განმავლობაში ჩვენთან არსებობდა ქართველოლოგიური და კავკასიოლოგიური კვლევების მთავარი ცენტრი. აქ ჩამოდიოდნენ ქართველოლოგის პროფესიის დაუფლების მსურველები; აქ ვზრდიდით ჩვენს უძლიერეს მეცნიერებს. ეს არის დარგი, რომელშიც ჩვენს ქვეყანას კონკურენტი ვერ ეყოლება. ეს ადგილი უნდა დავიბრუნოთ. ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიის გარდა, ეს ცენტრი უნდა აწარმოებდეს

ინტერდისციპლინარულ კვლევებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს, ჩვენ მივაწოდოთ საერთაშორისო საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოსა და რეგიონის შესახებ. ასეთი ცენტრის არსებობა საქართველოს მომავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. (2019)

8.19 დიასპორული/გლობალური ერი

საქართველოს საგარეო პოლიტიკური აზროვნების კიდევ ერთი მახასიათებელია საქართველოს, როგორც დიასპორული/გლობალური ერის წარმოჩენა. პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ დიასპორა ქართული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, მასთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნება კი - უდავო აუცილებლობა. ეს იდენტობის კატეგორია ყველაზე ხშირად სალომე ზურაბიშვილის მოხსენებებში გვხვდება და მისი წინადადებების 7.5%-ს შეადგენს. მას მოჰყვება მიხეილ სააკაშვილი 3.6%-ით და ედუარდ შევარდნაძე 0.2%-ით. სულ ამ იდენტობის კატეგორიას საგარეო პოლიტიკური წინადადებების 1.5% უკავია.

საქართველოს, როგორც დიასპორული/გლობალური ერის წარმოჩენა განსაკუთრებით ძლიერია სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ მეტყველებაში. ზურაბიშვილი მის პირველივე მოხსენებაში აცხადებს, რომ მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობა, როგორც შედარებით ახალ, ისე ისტორიულ დიასპორებთან. პრეზიდენტი სწორედ ამ კონტექსტში ახსენებს, რომ მისი ერთ-ერთი პირველი სტუმრობა აზერბაიჯანში, კახის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველებთან შედგა. ზურაბიშვილი ამბობს იმასაც, რომ ის ხშირად ხვდება სტუდენტებს, რომლებიც უცხოეთში სწავლობენ (2019). ზურაბიშვილის თქმით, ქართული დიასპორა ქვეყნისთვის „დიდი ადამიანური კაპიტალია“, მათთვის საქართველოში დაბრუნების ხელშეწყობა კი - „ჩვენი მოვალეობაა“ (იქვე). პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს დაბრუნების ღირსეული პირობები უნდა შეუქმნას (იქვე) და ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკაში მათ ჩართვას (2019; 2020). პრეზიდენტი დასძენს, რომ საზღვარგარეთ მყოფ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია ორმაგი მოქალაქეობის პროცედურების გამარტივება და პარლამენტში დიასპორის

წარმომადგენლის ინსტიტუტის შემოღება (2019). „ემიგრანტებისთვის, განსაკუთრებით საზღვარგარეთ დაბადებული თაობისთვის, სამშობლოსთან კავშირის შესანარჩუნებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქის სტატუსს“, ამბობს იგი (იქვე).

ისტორიულ და ახალ დიასპორებთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნებას ემხრობა მიხეილ სააკაშვილიც. ზურაბიშვილის მსგავსად, დიასპორას სააკაშვილიც ორ ჯგუფად ჰყოფს, მათ, „ვინც ბოლო წლებში დატოვეს საქართველო“ და „მათ, ვინც საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილნი არიან თავიანთ ქვეყანას“ (2010). ამის მიუხედავად, სააკაშვილისთვის დიასპორა - ახალიც და ძველიც - ქართული საზოგადოების შემადგენელი, განუყოფელი ნაწილია. „ვესალმები ყველა ქართველს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში“, აცხადებს პრეზიდენტი 2008 წელს. „ქართველი ერი სინამდვილეში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ის, რაც საქართველოშია წარმოდგენილი“, ამბობს ის 2010 წელს. საგულისხმოა ისიც, რომ სააკაშვილი დიასპორად მიიჩნევს არა მხოლოდ ეთნიკურად ქართველებს, არამედ საქართველოდან ბოლო აღწლეულებში წასულ სხვა ეთნოსების წარმომადგენლებსაც, მათ შორის, ქართველს ებრაელებს, ბერძნებს და ესტონელებს (2010). „ჩვენ არასწორად ვამბობდით, რომ იქ მხოლოდ 300 ათასი ქართველი ცხოვრობდა. ეს იყო საბჭოთა გამოგონება და ქართველად ითვლებოდა ის, ვისაც პასპორტში ეთკურად ქართველი ეწერა“, ამბობს ის აფხაზეთში ომამდე მცხოვრებ ბერძნებსა და ესტონელებზე (იქვე). პრეზიდენტის თქმით, ყველა ამ ჯგუფს „ერთნაირად უძგერთ გული საქართველოს სიყვარულით“ (იქვე). სააკაშვილი დადებითად აფასებს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნებას და მათთვის მოქალაქეობის მინიჭების გადაწყვეტილებას (2005;2010). ამ ნაბიჯის სისწორის მაჩვენებლად, ის მოიხმობს რუსეთიდან და კანადიდან დაბრუნებული ბიზნესმენების, აგრეთვე, თურქეთის მოქალაქე ეთნიკურად ქართველი ექიმის საქართველოში სამუშაოდ გადმოსვლის მაგალითებს (2010). პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ სამივე შემთხვევაში საქართველომ დიდი სარგებელი მიიღო.

საკითხს 1992 წლის მოხსენებაში ეხება ედუარდ შევარდნაძეც. ის გამოდის უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების ინიციატივით. „დაე, ყველა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი პატრიოტი იმავე დროს საქართველის სახელმწიფოს მოქალაქე იყოს“, ამბობს შევარდნაძე (1992). ამასთანავე, მას სურს

თბილისში „ქართველთა მსოფლიო კონგრესისა“ და „მსოფლიოს ქართველთა საერთაშორისო მუდმივმოქმედი ასამბლეის“ დაარსება (იქვე).

8.20 კოსმოპოლიტური/გარე სამყაროსადმი გახსნილი

პრეზიდენტების მოხსენებებში ფიგურირებს საქართველოს, როგორც გარე სამყაროსადმი გახსნილი სახელმწიფოს წარმოჩენაც. ამ კატეგორიის წინადადებები გვხვდება მიხეილ სააკაშვილის (1.9%), სალომე ზურაბიშვილის (1.5%), ედუარდ შევარდნაძისა (1.5%) და ზვიად გამსახურდიას (1%) გამოსვლებში. სულ იდენტობის კატეგორია ‘გარე სამყაროსადმი გახსნილი’ საგარეო პოლიტიკური წინადადებების 1.4%-ს შეადგენს. ამ კატეგორიის წინადადებათა უმრავლესობა საქართველოს წარმოაჩენს გლობალურ პროცესების აქტიურ მონაწილედ - როგორც სახელმწიფოს, რომელსაც სურს საზღვარგარეთთან მჭიდრო კავშირებით გაძლიერება.

საქართველო გარე სამყაროსადმი გახსნილია ზვიად გამსახურდიას მოხსენებებში. მისი თქმით, საქართველო მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თუმცა, ის იქვე აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობები “თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელსაყრელობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე” უნდა დაეფუძნოს (1991). გარე სამყაროსადმი გახსნილობას ემხრობა ედუარდ შევარდნაძეც. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა შევარდნაძის პირველი, 1992 წლის გამოსვლა, სადაც ის აქტიურად საუბრობს საქართველოზე, როგორც „მსოფლიოს ცივილიზაციის“ განუყოფელ ნაწილზე. პრეზიდენტის თქმით, საქართველო მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებთან სამეცნიერო, კულტურულ და სამხედრო სფეროებში უნდა თანამშრომლობდეს (1992). შევარდნაძე დასძენს, რომ ქვეყანამ „დიდი სამსახური“ უნდა გაუწიოს „მსოფლიო ცივილიზაციას, ერთა თანამეგობრობას“ (იქვე). მომდევნო წლებში პრეზიდენტი კვლავ არაერთხელ ამბობს, რომ საქართველომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს, როგორ პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მიმართულებებით (1994; 1995). შევარდნაძე აღნიშნავს იმასაც, რომ ქვეყანამ უნდა გააღრმავოს თავდაცვისა და კულტურის სფეროებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობა (2000). პრეზიდენტი ემხრობა ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლასაც (1998; 1999). „მე არ

მადარდებს ის ამბავი, რომ ბევრი ახალგაზრდა საზღვარგარეთ წავიდა... 90-95 პროცენტი დაუბრუნდება საქართველოს, უდიდესი გამოცდილებით, ძალიან საინტერესო ცოდნით, ეს ახალი ტალღა მოვა საქართველოში“, ამბობს იგი (1998). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე საუბრობს „კავკასიისა და მსოფლიოს ხალხთა ენების“ გაძლიერებული სწავლების აუცილებლობაზეც (1999).

გარე სამყაროსადმი გახსნილობა დამახასითებელია მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებისთვისაც. სააკაშვილი სიამაყით აღნიშნავს, რომ საქართველო „არასოდეს ყოფილა ასეთი ინტეგრირებული საერთაშორისო სისტემაში როგორც დღეს“ (2007). „ეს არის ის, რასაც ილია ჭავჭავაძე ამბობდა - ჩვენ ვჭირდებით როგორც საკუთარ ხალხს, ისე დანარჩენ მსოფლიოსაც“, დასძენს იგი (იქვე). პრეზიდენტი აღნიშნავს, საქართველოს წარმატება იზომება „არა მხოლოდ იმით რასაც მივაღწევთ ქვეყნის შიგნით, არამედ იმითაც თუ რას ვიზამთ მის ფარგლებს გარეთ“ (2008). საგულისხმოა, რომ სააკაშვილს სურს გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ქართველი ახალგაზრდების მეტი ინტეგრირება. ამ მიზნის მისაღწევად კი, ის არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ საჭიროა უცხო ენების (2006; 2011; 2012), მსოფლიო კულტურის ისტორიისა (2010) და საინფორმაციო ტექნოლოგიების (2006; 2010; 2012) გაძლიერებული სწავლება.

> ჩვენი განათლების რეფორმის მიზანია, რომ თანამედროვე სამყაროში ქართველი ახალგაზრდა კონკურენტუნარიანი იყოს, შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია არა მარტო თავისი სოფლის, რაიონის, ქალაქის ან ქვეყნის მასშტაბით, არამედ გლობალური კონკურენციისა და განვითარების რიტმს შეეწყოს და საამისოდ ყველა საჭირო ატრიბუტიკით იყოს აღჭურვილი. (2006)

> კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების მოდერნიზაციისათვის არის ის, თუ რამდენად შევძლებთ ჩავებათ მსოფლიო ეკონომიკურ ფერხულში ისე, რომ ჩვენი მოქალაქე იყოს კონკურენტუნარიანი, რომ მას შეეძლოს საქმიანობა და აზროვნება გლობალური მასშტაბით და არ იყოს შეზღუდული მხოლოდ ქვეყნის ფარგლებში, რომ მას შეეძლოს გაიზიაროს, ისწავლოს და საქართველოში შემოიტანოს ის ცოდნა, რაც არა მარტო ჩვენმა ერმა,

არამედ მთელმა კაცობრიობამ დააგროვა და ამით გაამდიდროს ჩვენი ეროვნული ინტელექტი და გააძლიეროს საქართველო. (2011)

პრეზიდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინგლისური ენის სწავლებაზე (2011; 2012). „მინდა მივესალმოთ ... ასეულობით ამერიკელ, კანადელ, დიდ ბრიტანელ, ავსტრალიელ და ახალ ზელანდიელ ინგლისურის მასწავლებელს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა სოფლებსა და ქალაქებში ჩვენ ბავშვებს არა მარტო ინგლისურს ასწავლიან, არამედ უხსნიან გზას მსოფლიო მოქალაქეობისაკენ“, ამბობს იგი (2011). სააკაშვილი ემხრობა სხვა ევროპული და აზიური ენების სწავლებასაც (2011). პრეზიდენტის თქმით, საქართველოს მოქალაქე თავს უნდა გრძნობდეს საქართველოს პატრიოტად, „მაგრამ, ამავე დროს, მსოფლიო მოქალაქედ, კაცობრიობის მედროშედ“ (2011). ის აცხადებს იმასაც, რომ საქართველომ უნდა შექმნას ინტელექტზე დაფუძნებული სამუშაო ადგილები და მზად იყოს მთელი მსოფლიოდან პროფესიონალების მოსაზიდად (2012).

ეს იდენტობის კატეგორია გვხვდება სალომე ზურაბიშვილის მოხსენებებში, თუმცა, მის გამოსვლებში რაიმე მკაფიო დისკურსული ხაზი არ იძებნება. პრეზიდენტი აცხადებს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო მსოფლიოსთან დაბრუნების გზას დაადგა (2020). „საზღვრები ღიაა ჩვენთვის, ჩვენი საზღვრები კი - სხვისთვის“, ამბობს იგი (იქვე). ზურაბიშვილი დასძენს, რომ საქართველოს საერთაშორისო არენაზე „ჯერაც გამოუყენებელი პოტენციალი აქვს“ (იქვე).

8.21 რეგიონული თანამშრომლობის მომხრე

იდენტობის კატეგორია ‘რეგიონული თანამშრომლობის მომხრე’ დამახასიათებელია მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის მოხსენებებისთვის. ამ კატეგორიის წინადადებათა წილი საკუთრივ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკური წინადადებების 2.5%-ს შეადგენს, ხოლო პრეზიდენტების წინადადებების - 1.3%-ს. ამ წინადადებათა აბსოლუტური უმრავლესობა შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებს ეხება, საქართველო კი რეგიონის დონეზე თანამშრომლობის აქტიურ მომხრედ და ხელშემწყობად გვევლინება. შევარდნაძეს სურს შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა

(1992; 2000), აგრეთვე, ენერგეტიკისა და ეკოლოგიის სფეროებში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება (1995; 1998). შევარდნაძე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC) ინტეგრაციაზე, რომელსაც ის საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ჩართვის საშუალებად (1995), სხვა ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავების გზად (2000) და რეგიონული დონის საერთაშორისო ორგანიზაციად (1998; 1999; 2000) განიხილავს. პრეზიდენტი ცდილობს საქართველოს BSEC-ის წამყვან აქტორად წარმოჩენას - სახელმწიფოდ, რომელიც მუდმივად გამოდის ახალი ინიციატივებით (1995; 1998; 1999). საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი მისი მმართველობის მეორე ნახევარში უფრო მეტს საუბრობს ამ იდენტობის კატეგორიაზე. რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებზე საუბრისას, შევარდნაძე ახსენებს სუამსაც - რეგიონულ ორგანიზაციას საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის შემადგენლობით (1998; 2000). პრეზიდენტი საუბრობს სამხრეთ კავკასიაში სამმხრივი (1998) და ხუთმხრივი (2020) ფორმატების შესახებაც და მათ გრძელვადიანი მშვიდობის მიღწევის გზად განიხილავს. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის აუზის სახელმწიფოთა შორის რეგიონულ დონეზე სამომავლო თანამშრომლობის საჭიროების შესახებ მის საარჩევნო პროგრამაში საუბრობს ზვიად გამსახურდიაც, თუმცა, ეს საკითხი მის საპარლამენტო მოხსენებებში არ ასახულა (1991ა).

8.22 მშვიდობისმოყვარე

საქართველოს საგარეო პოლიტიკური დისკურსის კიდევ ერთი მახასიათებელია მისი, როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყნის წარმოჩენა. იდენტობის ამ კატეგორიას საქართველოს პრეზიდენტები ძირითადად იმის ხაზგასასმელად მოიხმობენ, რომ საქართველო მის სამეზობლოში მდებარე ქვეყნებთან მხოლოდ მეგობრულ უერთიერთობებს ესწრაფვის და ეწინააღმდეგება პრობლემებისა და კონფლიქტების ძალისმიერი გზით მოგვარებას. მართალია, ამ შინაარსის წინადადებები საგარეო პოლიტიკურ წინადადებათა ერთობლიობაში მხოლოდ მცირე ნაწილს იკავებს (1.2%), ის მაინც მენტაკლებად თანაბრად არის დამახასიათებელი ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის

პრეზიდენტობის პერიოდებისთვის, რაც თანმიმდევრულ და დამოუკიდებლად მდგარ იდენტობას ქმნის. ოთხი პრეზიდენტიდან ყველაზე ხშირად იდენტობის ამ კატეგორიას გიორგი მარგველაშვილი მოიხმობს (2.8%), შემდეგ კი სალომე ზურაბიშვილი (1.5%). უმნიშვნელო მაჩვენებლები აქვთ მიხეილ სააკაშვილსა (1.3%) და ედუარდ შევარდნაძეს (0.8%).

დიაგრამა #38: იდენტობის კატეგორიის 'საქართველო, როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყანა' პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



საქართველოს მშვიდობისმოყვარე ბუნებაზე საუბარს ედუარდ შევარდნაძე 1992 წლიდან იწყებს. ის ხაზს უსვამს, რომ ქვეყნის სამხედრო დოქტრინა და საერთაშორისო სამხედრო კავშირები მხოლოდ თავდაცვითი უნდა იყოს. „ისინი არასოდეს არ უნდა იყვნენ მიმართული არამცთუ ჩვენი მეზობლების, არამედ საერთოდ არცერთი მესამე მხრის მიმართ, თუ მესამე მხარე ჩვენს წინააღმდეგ აგრესიას არ მიმართავს", ამბობს პრეზიდენტი და დასძენს, რომ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს რეგიონის ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა რუსეთი და თურქეთი „გონიერი ქართველისთვის ალტერნატივა არ გააჩნია" (1992). შევარდნაძე იმავეს იმეორებს 1996 წლის საპარლამენტო მოხსენებაში: „ჩვენი სამხედრო დოქტრინა და სამხედრო აღმშენებლობის პროგრამა (კონცეფცია), რა თქმა უნდა, თავდაცვითია. ჩვენ არავის ვუყენებთ ტერიტორიულ პრეტენზიებს, კატეგორიულად უარვყოფთ ომს, ძალით დამუქრებას, ან ძალის გამოყენებას, როგორც საერთაშორისო პრობლემების

გადაწყვეტის საშუალებას“ (1996). მომდევნო წლებში პრეზიდენტი შევარდნაძე არაერთხელ ახსენებს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი ყველა ქვეყანასთან მეგობრული უერთიერთობის წარმართვაა (1997; 2001).

ედუარდ შევარდნაძისგან განსხვავებით, საქართველოს, როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყანას პრეზიდენტი სააკაშვილი შიდა კონფლიქტების მოგვარების კონტექსტში წარმოაჩენს. საქართველოს მესამე პრეზიდენტი გამუდმებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ სახელმწიფოს მიდგომა ტერიტორიული მთლიანობის საკითხისადმი მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო ხასიათისაა. „საქართველოს მთავრობის მიზანია მშვიდობიანი გზით კონფლიქტების მოგვარება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მშვიდობის დასაცავად“, ამბობს იგი 2007 წელს, 2010 წელს კი აღნიშნავს, რომ „ჩვენი მყარი პოზიციაა ვუერთგულოთ მშვიდობას და მშვიდობით, არაძალადობით, შენებით, განვითარებითა და რეფორმებით გავამთელოთ ის, რაც ომმა და აგრესიამ დაანგრია“. მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური მეტყველების კიდევ ერთი ელემენტია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ საქართველოს არავის მიმართ გააჩნია ტერიტორიული პრეტენზიები და მსგავს დამოკიდებულებას მოელის სხვა ქვეყნების მხრიდანაც. „ჩვენ არავის ტერიტორიაზე არ ვიჭრებით და არავის არ ვედავებით“, აცხადებს პრეზიდენტი 2010 წელს. სააკაშვილი იგივეს ამბობს 2012 წელს: „საქართველოს არც ერთი ქვეყანის მიმართ არა აქვს მტრული განზრახვები ან ტერიტორიული პრეტენზიები. ჩვენ არავის ვეჯიბრებით ძალადობასა და აგრესიაში, მაგრამ მზად ვართ ყველას შევეჯიბროთ ეკონომიკურ თანამშრომლობაში, განვითარებასა და წარმატებული საზოგადოების შენებაში“.

ამ ხედვაში ახალი ელემენტი ჩნდება გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობისას. კერძოდ, ლიდერები იწყებენ ყურადღების გამახვილებას იმაზე, რომ ქვეყნის დასავლური ინტეგრაცია არცერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ არ არის მიმართული. „ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფება არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია თანამშრომლობა და არა კონფრონტაცია“, ამბობს გიორგი მარგველაშვილი 2014 წელს. ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტი იმეორებს, რომ ნატოსთან საქართველოს დაახლოება, „არავის წინააღმდეგ არაა მიმართული და ემსახურება უსაფრთხოების განმტკიცებას რეგიონში“ (2015). იდენტური გზავნილები

აქვს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს 2019 წლის საპარლამენტო მოხსენებაში. „აქვე მინდა დავძინო, რომ ჩვენი სვლა ნატოსა და ევროკავშირისკენ არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არც რაიმე აგრესიულ მიზნებს ისახავს“, აცხადებს ზურაბიშვილი (2019). წინამორბედის მსგავსად, გიორგი მარგველაშვილიც და სალომე ზურაბიშვილიც ხაზს უსვამენ იმას, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიმართ ქვეყნის პოლიტიკა მშვიდობაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

8.23 სამართლისა და ღირებულებების დამცველი

საქართველოს პრეზიდენტების საგარეო პოლიტიკური აზროვნების კიდევ ერთი მახასიათებელია საქართველოს, როგორც სამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების დამცველი ქვეყნის წარმოჩენა. იმის მიუხედავად, რომ იდენტობის ამ კატეგორიას საგარეო პოლიტიკური წინადადებების ერთობლიობაში მხოლოდ 1.2% უკავია, ის მაინც ქმნის თანმიმდევრულ დისკურსულ ხაზს. ხუთი პრეზიდენტიდან ყველაზე ხშირად იდენტობის ამ კატეგორიას ზვიად გამსახურდია მოიხმობს (9.1%), შემდეგ კი სალომე ზურაბიშვილი (4%). უმნიშვნელო მაჩვენებლები აქვთ ედუარდ შევარდნაძეს (1.1%), გიორგი მარგველაშვილსა (0.5%) და მიხეილ სააკაშვილს (0.1%).

დიაგრამა #39: იდენტობის კატეგორიის ‘საქართველო, როგორც სამართლისა და ღირებულებების დამცველი’ პროცენტული წილი პრეზიდენტების მიხედვით



საქართველოს, როგორც სამართლის პრინციპებისა და ზნეობრივი ღირებულებების დამცველი ქვეყნის წარმოჩენა განსაკუთრებით ძლიერია ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მეტყველებაში. გამსახურდია ხაზს უსვამს, რომ საქართველოს შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა საერთაშორისო სამართლის ნორმებზე და პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული, მათ შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციაზე და ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებებზე. 1991 წლის გამოსვლაში პრეზიდენტი გამსახურდია იმეორებს, რომ ქვეყანა შეუერთდება ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებას „ერთიანი, მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში“. ყურადღებას იქცევს ზვიად გამსახურდიას ხედვები საგარეო პოლიტიკაში ზნეობრივი ღირებულებების როლის შესახებ. ამ თემაზე ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში, 1990 წელს საუბრობს. აქ, საქართველო გვევლინება, როგორც სამართლიანობისა და ზნეობრივ-რელიგიური იდეალების დამცველი, რომელმაც მაგალითი უნდა მისცეს დანარჩენ მსოფლიოს.

> დე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის, რამეთუ საქართველოს დიდი მისია დააკისრა განგებამ... [საქართველომ] ჭეშმარიტების მსახურება დაისახა თავის უზენაეს მიზნად, რისთვისაც მრავალგზის იგვემა და ეწამა ბარბაროსთაგან და წარმართთაგან. მაგრამ მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა, რათა დამდგარიყო ჟამი მისი აღდგომისა და აღზევებისა, მისი გაბრწყინებისა მსოფლიოს ხალხთა წინაშე, რათა კაცობრიობა ეზიაროს ნათელს საქართველოსას, ღვთით მომადლებულს. არ არის შორს ის დრო, როდესაც საქართველო იქცევა ზნეობრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხთათვის. (1991)

ღირებულებებზე დაფუძნებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმართვის საჭიროებაზე საუბრობს ედუარდ შევარდნაძეც. შევარდნაძის თქმით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები პოლიტიკაში „თვით პოლიტიკაზე მეტად უნდა ფასობდეს“ (1992). ამ ხედვის კიდევ ერთი ნაწილია მოსაზრება, რომ საქართველო პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს და წვლილი შეაქვს მსოფლიოში ამ ღირებულებების განმტკიცებაში. „[დემოკრატია] საკაცობრიო ღირებულებაა და ამ

იდეალის დამკვიდრებაში ჩვენმა პატარა ერმა შემლებისდაგვარი, მაგრამ ღირსეული წვლილი შეიტანა - როგორც სიტყვითა და ყალმით, ასევე სისხლითა და თავგანწირვით“, აცხადებს პრეზიდენტი 2001 წელს, ერთი წლის შემდეგ კი, ამბობს, რომ საერთაშორისო არენაზე ქვეყნის მხარდაჭერის მთავარი მიზეზი სწორედ დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებაა.

> დემოკრატიული მსოფლიოს მხარდაჭერა ჩვენ მოვიპოვეთ არა მხოლოდ და არა იმდენად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით, როგორც ხშირად ჩვენ ვსაუბრობთ ხოლმე... [არამედ] დემოკრატიული გარდაქმნებით, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფოს აშენებით, ყოველმხრივი რეფორმებითა და თავისუფალი, სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნებით.... ადამიანის უფლებათა საკაცობრიო იდეალები, ჩვენი საერთო ძალისხმევის შედეგად, საქართველოში პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ დომინანტებად იქცნენ. (2002)

საქართველოს ღირებულებების დამცველად წარმოაჩენს საქართელოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილიც. ის ამას, უმთავრესად ავღანეთსა და ერაყში განხორციელებულ მისიებში მონაწილეობის კონტექსტში ახდენს. ასე, მაგალითად, 2007 წლის გამოსვლაში ის ამბობს, რომ ამ კონფლიქტებში „წყდება სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის საკითხი, რამდენადაც სიკეთის მხარე უკან იწევს ბოროტი ძალები აქტიურდებიან“. 2010 წლის გამოსვლაში პრეზიდენტი სააკაშვილი იმეორებს, რომ ქვეყნის კურსია „კაცობრიობის ცივილიზებული და დემოკრატიული ფასეულობების დაცვა, იქნება ეს ერაყში თუ ავღანეთში“.

ედუარდ შევარდნაძის მსგავსად, საქართველოს სალომე ზურაბიშვილიც საკაცობრიო ღირებულებების დამცველად წარმოგვიდგენს. 2019 და 2020 წლების მოხსენებებში პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ შემწყნარებლობა, როგორც საქართველოსთვისა და კავკასიისთვის დამახასიათებელი საყრდენი ღირებულება, ყველგან, მათ შორის, საქართველოში, „რყევას განიცდის“ (2020). სწორედ ამიტომ, პრეზიდენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს შემწყნარებლობის იდეალების მსოფლიოში გავრცელების ხელშეწყობას, მათ შორის, საქართველოს შუამავლობით მისი მსოფლიო არამატერიალური ძეგლების სიაში შეტანის გზით. „საქართველოს შემწყნარებლობის

საკუთარი ტრადიცია გააჩნია, რომელიც უნდა გადავარჩინოთ და მსოფლიოს შევთავაზოთ“, აცხადებს პრეზიდენტი (2020).

8.24 პოსტ-საბჭოთა სივრცესთან ინტეგრირებული

საქართველოს საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა ‘საქართველო, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცესთან ინტეგრირებული’ ქვეყანა. ამ კატეგორიის წინადადებათა წილი ყველა პრეზიდენტის წინადადებების 0.9%-ს შეადგენს. საგულისხმოა, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცესთან თანამშრომლობაში წამყვანი ფაქტორი ეკონომიკური ურთიერთობებია. ცალკეულ სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკრაინასთან თანამშრომლობას. პრეზიდენტი შევარდნაძე არაერთხელ აღნიშნავს, რომ ამ ქვეყანასთან საქართველოს განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებს (1995; 1997; 1998; 2001), მათ შორის, ეკონომიკური მიმართულებით. უკრაინასთან მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს ემხრობა მიხეილ სააკაშვილიც (2006; 2007), ხოლო გიორგი მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი - უფრო მეტად პოლიტიკურ თანამშრომლობაზე ამახვილებენ ყურადღებას (2014; 2021). აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე საქართველოს შუა აზრიის ქვეყნების სავაჭრო პარტნიორადაც განიხილავს (1994; 1997; 1998; 2001).

8.25 აქტიური კავკასიური პოლიტიკის მქონე

მხოლოდ ედუარდ შევარდნაძისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა საქართველო, როგორც აქტიური კავკასიური პოლიტიკის მქონე ქვეყანა. ამ კატეგორიის წინადადებათა წილი საკუთრივ შევარდნაძის საგარეო პოლიტიკური წინადადებების 1.6%-ს შეადგენს, ხოლო ყველა პრეზიდენტის წინადადებების - 0.7%-ს. ამ იდენტობის მახასიათებელია ის, რომ საქართველომ კავკასიის რეგიონში აქტიური პოლიტიკური როლი უნდა ითამაშოს, როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. პრეზიდენტის თქმით, ამ უკანასკნელთან საქართველომ მჭიდრო და მრავალმხრივი ურთიერთობები უნდა წარმართოს (1995; 1997; 1999). „ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და შორსმჭვრეტელობით მოვეკიდოთ საქართველოსა და

ჩრდილო კავკასიის ხალხების ტრადიციული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების აღდგენასა და განვითარებას კეთილმეზობლობისა და სამართლიანობის საფუძველზე“, ამბობს იგი (1995). 1997 წელს პრეზიდენტი აცხადებს, რომ კავკასიის ხალხთა დაახლოებისა და დამეგობრებისთვის, საქართველომ ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა უნდა წამოიწყოს. ამასთანავე, შევარდნაძე არაერთხელ ამბობს, რომ ის ემხრობა ჩრდილოეთ კავკასიის ლიდერთა ჩართვას საქართველოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში (1992; 1995; 1997; 1998; 2000). პრეზიდენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ქვეყანამ გაითვალისწინა ჩეჩნეთის მშვიდობიანი მოსახლეობის ზარალი და 7000-მდე ლტოლვილს მისცა თავშესაფარი (2000). შევარდნაძის მოსაზრებით, საქართველოს აქტიური პოლიტიკა უნდა ჰქონდეს რეგიონული სამშვიდობო ინიციატივების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ჯერ „კავკასიური დიალოგის“ შექმნის ინიციატივით გამოდის (1995), შემდგომ კი „მშვიდობიანი კავკასიის“ ფორმატის შესახებ საუბრობს (1997; 1998; 1999; 2000; 2002).

8.26 სანდო პარტნიორი (სამეზობლო)

კავკასიის რეგიონთან დაკავშირებული კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა ‘საქართველო, როგორც სამეზობლოს სანდო პარტნიორი’. ამ კატეგორიის წინადადებები ყველა პრეზიდენტის მოხსენებებში გვხვდება, თუმცა, მათი პროცენტული მაჩვენებელი მინიმალურია, როგორც ცალკეული პრეზიდენტების მიხედვით (გამსახურდია - 1%; შევარდნაძე - 0.9%; სააკაშვილი - 0.4%; მარგველაშვილი - 1%; ზურაბიშვილი - 0.5%), ისე მთლიანად (0.8%). ამ კატეგორიის წინადადებებში ფართოდ გვხვდება საქართველოს, როგორც მეზობელი ქვეყნების - თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის - სანდო და პროგნოზირებადი პარტნიორის სახე-ხატი. პრეზიდენტები დამოუკიდებლობის დასაწყისშივე უსვამენ ხაზს, რომ სამეზობლოსთან ურთიერთობებს საქართველო მეგობრობისა და კეთილმეზობლობის პრინციპზე დაყრდნობით აწარმოებს (1991; 1992). განსაკუთრებული აქცენტი კეთდება თურქეთთან თანამშრომლობაზე, რომელთანაც, ედუარდ შევარდნაძის თქმით, ქვეყანას მეგობრული (1992), თბილი (1995), სამაგალითო (1999) და უმჭიდროესი (2000) ურთიერთობები აკავშირებს. საქართველო თურქეთის ეკონომიკურ პარტნიორად

გვევლინება მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის გამოსვლებში (2006; 2007; 2010; 2014). პრეზიდენტების თქმით, საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანარჩენ ორ მეზობელთან თანამშრომლობასაც (1992; 1995; 1999; 2000; 2005), თუმცა, საგულისხმოა, რომ გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის გამოსვლებში ქვეყანა მხოლოდ აზერბაიჯანის პარტნიორ სახელმწიფოდ გვევლინება (2014; 2019).

8.27 დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრირებული

პრეზიდენტების მოხსენებებში გვხვდება საქართველოს, როგორც დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრირებული/დანარჩენი სამყაროსადმი გახსნილი ქვეყნის წარმოჩენაც. იმის მიუხედავად, რომ იდენტობის ამ კატეგორიის წინადადებები 5-დან 3 პრეზიდენტის (შევარდნაძე, სააკაშვილი, მარგველაშვილი) მოხსენებებში გვხვდება, ის მაინც საკმაოდ სუსტად არის წარმოდგენილი საპრეზიდენტო დისკურსში. ამ კატეგორიის წინადადებები მთლიანი წინადადებების 0.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა გეოგრაფიული იდენტობებისგან განსხვავებით, ამ კატეგორიას იდეური დატვირთვა ნაკლებად აქვს. ნიშანდობლივია, რომ „დანარჩენ“ სამყაროსთან ურთიერთობაში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ისრაელთან კავშირებს. პრეზიდენტები ხაზს უსვამენ, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები არსებობს (1998; 1999; 2020). ამასთანავე, მათ სურთ ისრაელთან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებაც (1995; 2004). გვხვდება საქართველოს, როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (1994; 1995; 1998; 1999; 2004; 2010), აგრეთვე, ჩინეთისა (1995; 2000; 2015) და იაპონიის (2000; 2015), სავაჭრო და სატრანზიტო პარტნიორის წარმოჩენაც. აღსანიშნავია ისიც, რომ შევარდნაძეს სურს ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიისა და ავსტრალია-ოკეანიის „ჯერ კიდევ აუთვისებელ სივრცესთან“ კავშირების განვითარება (1995).

8.28 ცვლილებების კატალიზატორი

საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი იდენტობაა საქართველოს, როგორც ცვლილებების კატალიზატორი ქვეყნის წარმოჩენა. საგულისხმოა, რომ ამ კატეგორიის წინადადებები მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის

გამოსვლებში გვხვდება და მას თანმიმდევრული დისკურსული სახე არ მიუღია. შესაბამისად, მცირეა მისი პროცენტული მაჩვენებელი, როგორც საკუთრივ პრეზიდენტ სააკაშვილის საგარეო პოლიტიკურ წინადადებებში (1.6%), ისე მთლიანად, ყველა პრეზიდენტის წინანდებებში (0.4%). სააკაშვილი აცხადებს, მისი მმართველობისას, საქართველო სხვა ქვეყნებისთვის მისაბაძი სახელმწიფო გახდა - „მოვედით იქამდე, რომ დღეს საქართველოს მთელ მსოფლიოში სცემენ პატივს ... როგორც ქვეყანას, რომლის რევოლუციასაც სხვა რევოლუციები მოყვა" (2006). პრეზიდენტის თქმით, 2003 წლის „ვარდების" რევოლუციამ ბიძგი მისცა საპროტესტო მოძრაობებს უკრაინაში, ლიბანში, ყირგიზეთში, ბელარუსში და სხვა ქვეყნებში. „ყველა ამ ქვეყანაში ქართული რევოლუციის დროშა ააფრიალეს", ამბობს იგი (იქვე). პრეზიდენტი დასძენს, რომ ეს საქართველოსთვის „საპატიო", თუმცა, რთული მისიაა. „ეს, ერთი მხრივ, საპატიო, მეორე მხრივ კი, პრობლემების შემქმნელი ფაქტორია, თუმცა, ამაზე უარს ვერ ვიტყვით. ასეთია ჩვენი მძიმე ჯვარი", ამბობს იგი (იქვე). მომდევნო წელს პრეზიდენტი კვლავ ხაზს უსვამს, რომ საქართველო „მსოფლიოს ბევრ რეგიონში ცვლილებების კატალიზატორი გახდა" (2007). „თქვენ ყველამ იცით რამხელა აღტკინებაა საქართველოს გარშემო", ამბობს იგი.

8.29 საფრთხის წყარო და ჩამორჩენილი

დადებით იდენტობებთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლებში გვხვდება მცირე რაოდენობით უარყოფითი კატეგორიებიც. ამ კატეგორიათა უმრავლესობა ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდებს ემთხვევა და ქვეყანას ხან სხვადასხვა ხასიათის საფრთხის წყაროდ წარმოაჩენს, ხანაც წარუმატებელ/ჩამორჩენილ სახელმწიფოდ. საგულისხმოა, რომ უარყოფითი იდენტობების ხვედრითი წილი უმნიშვნელოა როგორც ცალკეული წლების, ისე პრეზიდენტების მმართველობის პერიოდების მიხედვით და არ წარმოადგენს რაიმე თანმიმდევრულ დისკურსს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ იდენტობათა აბსოლუტური უმრავლესობა პრეზიდენტებისთვის არასასურველი და მიუღებელია. როგორც წესი, ისინი ამ იდენტობებს მაშინ მოიხმობენ, როცა შესაბამისი მიმართულებებით სურთ პოლიტიკის ცვლილების საჭიროებაზე ყურადღების გამახვილება.

საქართველოს, როგორც საფრთხის წყაროდ წარმოჩენა ძირითადად ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. შევარდნაძისთვის ქვეყნიდან მომდინარე საფრთხეები მრავალგვარია, თუმცა, მათ შორის, წამყვანი მაინც ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობა. პრეზიდენტის თანახმად, ნარკობიზნესის განვითარებისთვის ქვეყანას ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. „შეიძლება ითქვას, რომ ექსტრემალური ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, კავკასია, და, პირველ რიგში, საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო გადაზიდვების ქვეყანა შეიძლება გახდეს“, ამბობს ის 1996 წელს. მისივე თქმით, საქართველომ ყველა ღონე უნდა იხმაროს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის გასამართად და საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის მისაღებად. ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში გვხვდება საქართველოს, როგორც საერთაშორისო დანაშაულებრივი ჯგუფების თავშესაფრისა და ტერორიზმის კერის წარმოჩენაც. „[ქართულ] მაფიათა დანაშაულებრივი საქმიანობა გასცდა საქართველოს საზღვრებს, მას უკვე ანგარიშს უწევენ ზოგიერთ ქვეყანაში“, აცხადებს შევარდნაძე 1995 წელს. 2001 წელს, შევარდნაძე პანკისის ხეობას ტერორიზმის კონტექსტში ახსენებს და ამბობს, რომ საქართველო მიიღებს ზომებს იქ მოქმედი „კრიმინალური დაჯგუფებების“ გასანეიტრალებლად. „საქართველო კატეგორიულად გმობს ტერორიზმს, აგრესიული სეპარატიზმისა და ექსტრემიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ყველაზე მეტად დაზარალდა“, ამბობს პრეზიდენტი პანკისის ხეობაზე საუბრისას (2001). საფრთხის წყაროდ საქართველოს თითო წინადადებით წარმოაჩენენ გიორგი მარგველაშვილი და მიხეილ სააკაშვილი. ეს უკანასკნელი 2006 წელს ამბობს, რომ ნარკოტიკების ვაჭრობის მთავარი გზა ავღანეთიდან საქართველოზე გადის, ხოლო მარგველაშვილი 2015 წელს შეშფოთებას გამოთქვამს, რომ საქართველოს მოქალაქეები ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში იბრძვიან.

საქართველოს, როგორც წარუმატებელი ქვეყნის წარმოჩენა თანაბრადაა დამახასიათებელი ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდებისთვის. შევარდნაძის შემთხვევაში, როგორც წესი, ამ იდენტობაზე საუბარი მაშინ მიდის, როდესაც მას სხვა ქვეყნებთან ან მსოფლიო სტანდარტებთან საქართველოს ამა თუ იმ სფეროში ჩამორჩენაზე ან შეუსაბამობაზე სურს ყურადღების გამახვილება. ასე, მაგალითად, 1992 წელს ედუარდ შევარდნაძე ამბობს, რომ

მოსახლეობის მომარაგებისა და პროდუქტების მოხმარების თვალსაზრისით, „ჩვენ დღეს ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ ევროპაში და ჩამოვრჩებით აზიის მრავალ ქვეყანას, ბევრ განვითარებად სახელმწიფოსაც კი“. 1995 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე წუხს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის გაანგარიშებით საქართველოს მაჩვენებელი საგრძნობლად არის გაუარესებული, ხოლო 1998 წელს ის ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის რეგისტრირებული ოდენობა არ შეესაბამება პარტნიორი ქვეყნების ოფიციალურ მონაცემებს. პრეზიდენტ სააკაშვილს ამავე სულისკვეთების გზავნილები აქვს 2004 წლის საპარლამენტო მოხსენებაში. ის ამბობს, რომ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში ბოლო ადგილზეა. „ქვეყანა, რომელიც ერთ დროს ყველაზე კარგად ცხოვრობდა, არ ჰქონდა არც გადაადგილების, არც განათლების, არც ბავშვების დაბინავების, არც სტუმართა გამასპინძლების [პრობლემა], დღეს გამათხოვრებული და დამცირებულია“, აცხადებს იგი (2004). საქართველოს, როგორც წარუმატებელი ქვეყნის იმიჯი სააკაშვილის შემდგომი წლების მოხსენებებშიც გვხვდება, თუმცა, ოდნავ სახეცვლილი ფორმით. ამჯერად, პრეზიდენტი ცდილობს იმის ხაზგასმას, რომ მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანამ წარმატებით დააღწია თავი ჩამორჩენილობასა და წარუმატებლობას. „საქართველო იყო ქვეყანა, რომელსაც საერთაშორისო ავტორიტეტი შელახული, ორიენტირი კი, დაკარგული ჰქონდა, არ გააჩნდა ეროვნული იდეოლოგია და პატივს აღარავინ სცემდა“, ამბობს ის 2005 წელს. მსგავსი გზავნილი აქვს 2006 წლის საპარლამენტო მოხსენებაშიც: „ჩვენ მართლაც დავიწყეთ იქედან, სადაც სახელმწიფოები და ერები არსებობას ასრულებენ, დავიწყეთ სრული უუფლებობიდან, საერთაშორისო სისტემაში უავტორიტეტობიდან“.

8.30 მრავალვექტორული და პრაგმატული

საქართველოს საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი ალტერნატიული ხედვაა მრავალვექტორულობა და პრაგმატულობა. აღნიშნული იდენტობის კატეგორიები უმთავრესად ედუარდ შევარდნაძის მმართველობისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, მსგავსი შინაარსის გზავნილები გვხვდება მიხეილ სააკაშვილის პირველ, 2004 წლის საპარლამენტო მოხსენებაშიც. აღსანიშნავია, რომ იდენტობის ეს სამი კატეგორია

მთლიანობაში იმდენად მცირეა (0.9%), რომ შეუძლებელია მათი, როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დამახასიათებელ მყარ დისკურსებად მიჩნევა. ამის მიუხედავად, შევარდნაძე და სააკაშვილი მრავალვექტორულობასა და პრაგმატულობას ხშირად მოიხმობენ იმის საჩვენებლად, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანი არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და, რომ დასავლური არჩევანი თბილისს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის წარმართვაში არ ზღუდავს.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მრავალვექტორულობის შესახებ საუბარს ედუარდ შევარდნაძე 1992 წლიდანვე იწყებს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თანდათანობით დასავლური ორიენტაციის გზაზე დგება, მისი არჩევანი არცერთი მესამე ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული არ უნდა იყოს. „ეს სრულებით არ ნიშნავს ტრადიციული მეგობრული კავშირების გაწყვეტას ისტორიულ მეზობლებთან. ჩვენ თუ ხელი ავიღეთ ისტორიულ მეზობლებთან ... თანაარსებობაზე, თვითონ ვერ ვიარსებებთ“, ამბობს იგი (1992). „დამოუკიდებელი საქართველო მთვარეზე ვერ გადასახლდება. უნდა მას ეს თუ არ უნდა, მან უნდა იცხოვროს რუსეთის და თურქეთის, სხვა მეზობლების გვერდით. ამიტომ კეთილმეზობლური ურთიერთობა გვმართებს ორივე დიდ ქვეყანასთან. კეთილ ურთიერთობას რუსეთთან და თურქეთთან, სხვა მეზობლებთან გონიერი ქართველისათვის ალტერნატივა არ გააჩნია“, დასძენს შევარდნაძე (იქვე).

დასავლეთთან დაახლოების კვალდაკვალ რუსეთთან ურთიერთობის შენარჩუნების საჭიროებას შევარდნაძე მომდევნო წლებშიც არაერთხელ უსვამს ხაზს. ასე, მაგალითად, 1995 წელს შევარდნაძე ღიად აცხადებს, რომ ევროპასთან ინტეგრაციის პარალელურად, „არ უნდა დაირღვეს წონასწორობა მეზობლებთან ურთიერთობაში“. მისივე თქმით, რადგან დასავლეთი ჯერჯერობით მზად არ არის, რომ საქართველო სრულუფლებიან პარტნიორად და მოკავშირედ აღიაროს, თბილისმა მრავალმხრივი და თანასწორუფლებიანი ურთიერთობები უნდა განავითაროს უშუალო მეზობლებთან, მათ შორის, რუსეთის ფედერაციასთან. „ვინაიდან რუსეთი მომავალშიც შეინარჩუნებს ერთ-ერთი გეოპოლიტიკური „ძალის ცენტრის“ სტატუსს, საქართველოს ინტერესებში იქნება, თუ იგი წარმატებით მოახერხებს ბალანსირებას, ინტერესთა შეხამებას“, აცხადებს შევარდნაძე (1995). 1997 წელს პრეზიდენტი ამბობს, რომ საგარეო პოლიტიკის დიქოტომიური გაგება ცივი ომის დროინდელი გადმონაშთია. ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მიმართ საზოგადოების გარკვეულ

ნაწილში გაჩენილი უნდობლობის პასუხად, იგი აცხადებს, რომ ამ უკანასკნელთა მიდგომა „ან რუსეთი და თანამეგობრობა, ან ევროპა“ „ძველი მენტალიტეტის“ გამოძახილია. შევარდნაძე იმავეს იმეორებს 2001 წლის საპარლამენტო მოხსენებაში: „სრულიად უსაგნოდ მიმაჩნია ყოველგვარი საქართველოს „პროდასავლური თუ პრორუსული“ ორიენტაციის თაობაზე გაუთავებელი დისკუსიები“, აგრეთვე, მომდევნო წლის საპარლამენტო მოხსენებაში: „კატეგორიულად ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, თითქოს აქ აუცილებელია ერთმნიშვნელოვანი არჩევანი. სინამდვილეში საქართველო უნდა იქცეს და … იქცევა კიდეც ამ ორი დიდი ქვეყნის არა პაექრობის, არამედ პარტნიორობის ასპარეზად“ (2002). მსგავსი გზავნილი აქვს მიხეილ სააკაშვილს 2004 წლის გამოსვლაში, სადაც ის ამბობს, იგი წინააღმდეგია საკითხის ასე დასმის „ან ამერიკა ან რუსეთი, ან ევროპა ან ამერიკა“. „ჩვენ გვინდა ყველაფერი, რაც ჩვენთვის კარგია. ჩვენ გვინდა ამერიკაც, რუსეთიც, ევროპაც და ახლო აღმოსავლეთიც, თუ ეს წაადგება საქართველოს ინტერესებს“, აცხადებს პრეზიდენტი (2004).

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მრავალვექტორულ ბუნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ე.წ. პრაგმატულობის იდენტობა, რომელიც საქართველოს მეორე პრეზიდენტისთვის არის დამახასიათებელი. წინას მსგავსად, აღნიშნულ საკითხზე საუბარი ედუარდ შევარდნაძემ მმართველობის ადრეული წლებიდან დაიწყო. მისი 1995 წლის მოხსენების თანახმად, რადგან საქართველო ერთგვარი ხიდია დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, მას ბუნებრივად უნდა ჰქონდეს გაწონასწორებული, ე.წ. „მიზანშეწონილობის“ პოლიტიკა. 2001 წელს შევარდნაძე კვლავ იმეორებს, რომ მისი გუნდის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი პრაგმატიზმი და მიზანშეწონილობის პრინციპია. „ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვინც დაგვეხმარება განვამტკიცოთ ქვეყნის დამოუკიდებლობა, საქმით შეუწყობს ხელს და რეალურად აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ისე როგორც ამას ჩვენი მეგობრები აკეთებენ“, ამბობს პრეზიდენტი (2001). იმას, რომ საქართველოს მიზანი რეგიონში მოქმედ სხვადასხვა „გეოპოლიტიკური ძალთა“ დაბალანსებაა, შევარდნაძე 2002 წლის საპარლამენტო მოხსენებაშიც იმეორებს. „საქართველოს პოლიტიკის ქვაკუთხედია სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობის პრინციპი, რაც ხორციელდება როგორც ინტერესთა თანხვედრის, ისე გეოპოლიტიკური წონასწორობის მეთოდის საფუძველზე“, ამბობს პრეზიდენტი და დასძენს, რომ ამ პოლიტიკის მიზანი რეგიონში ისეთი პირობების შექმნაა, რომელიც

ამ ძალებს არა პაექრობისკენ, არამედ თანამშრომლობისკენ უბიძგებს (2002). 1992 წელს შევარდნაძე ასევე საუბრობს საქართველოს სამხედრო მიუმხრობლობაზე, თუმცა, მომდევნო წლებში იდენტობის ეს ქვეკატეგორია აღარ ფიგურირებს.

8.31 სხვა იდენტობები

რაც შეეხება დანარჩენ იდენტობებს, მცირე რაოდენობით გვხვდება გარე და შიდა გამოცდილების შემკრების, გარე სამყაროზე დამოკიდებულის, ჩრდილო კავკასიასთან დაპირისპირებულის, საბჭოთა კავშირისადმი არაკონფრონტაციულის, გარემოზე მზრუნველის, სუვერენული/დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ანტი-ექსტრაქტივისტულის, სანდო პარტნიორის (საერთაშორისო დონეზე), უარყოფითი საერთაშორისო იმიჯის მქონეს, განვითარებადი ქვეყნის, კულტურათა გზაგასაყარის, პროტექციონისტული ეკონომიკის მქონეს, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი სკეპტიკურისა და საზღვაო ქვეყნის იდენტობები. ედუარდ შევარდნაძისთვის, ორის გარდა (პროტექციონისტული ეკონომიკის და საბჭოთა კავშირისადმი არაკონფრონტაციულის), ყველა ეს იდენტობაა დამახასიათებელი. გარე და შიდა გამოცდილების შემკრების, გარე სამყაროზე დამოკიდებულის, სუვერენული/დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ანტი-ექსტრაქტივისტულისა და პროტექციონისტული ეკონომიკის კატეგორიები გვხვდება ზვიად გამსახურდიას მოხსენებებში, ხოლო მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში - სუვერენული/დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სანდო პარტნიორისა (საერთაშორისო დონეზე) და განვითარებადი ქვეყნის იდენტობები. ჯამში ამ იდენტობათა რაოდენობა 85 წინადადებას აღწევს, რაც მთლიან წინადადებათა დაახლოებით 2.4%-ია.

9. კვლევის მიგნებების განხილვა

9.1 ძირითადი გეოპოლიტიკური ხედვები

საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საგარეო პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი ექვსი ძირითადი გეოპოლიტიკური ხედვა. პირველი ესაა **ქვეყნის დასავლურობა/დასავლეთთან დაახლოების სურვილი**. საქართველოს პრეზიდენტები, მართალია სხვადასხვა სიხშირითა და სიღრმით, მაგრამ მაინც თანმიმდევრულად აკუთვნებენ საქართველოს დასავლურ სამყაროს და მასთან ურთიერთობის გაღრმავებას ესწრაფვიან. ამ ხედვის საფუძველია მოსაზრება, რომ საქართველო ისტორიული თვალსაზრისით ევროპული სახელმწიფოა და რომ ის, ევროპაზე კურსის სწორებით, საკუთარი წინაპრების ნავსაყუდელს - „ევროპულ ოჯახს“ - უბრუნდება. პრეზიდენტები ამ მოსაზრების გამყარებას ისტორიის მოხმობით, მათ შორის, ქვეყნის ქრისტიანულ მემკვიდრეობაზე, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი განმანათლებლების საქმიანობასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობაზე ხაზგასმით ცდილობენ. ამ გზით, სახელმწიფოს მეთაურები ქართულ-ევროპულ კავშირებს უწყვეტ ჯაჭვად წარმოაჩენენ და ქვეყანას ევროპული ცივილიზაციური პროექტის განუყოფელ ნაწილად განიხილავენ.

ამავდროულად, უკლებლივ ყველა პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს თანამედროვე ევროპული საკითხების განხილვაში და გადაწყვეტაში. საგულისხმოა ისიც, რომ 1990-იანი წლების შუიდან საუბარი იწყება ევროკავშირში გაწევრების თაობაზე, ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისიდან - ნატოში გაწევრების შესახებ. პრეზიდენტები აცხადებენ, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზანი ამ ორ ორგანიზაციაში სრული ინტეგრაციაა, რასაც ისინი ქვეყნის განვითარების, კეთილდღეობისა და დაცულობის წინაპირობად განიხილავენ. ნიშანდობლივია, რომ ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ მსჯელობა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ხელშესახები ხდება. მაშინ როცა პირველ ორ ათწლეულში ამგვარი განცხადებები ზოგადი შეხედულებების დონეზე იყო, მესამე ათწლეულში წინ იწევს ისეთი თემები, როგორიც არის უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა, ერთობლივი წვრთნები, მაღალი დონის ვიზიტები და ა.შ.

პრეზიდენტებს აქვთ დასავლეთის ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავების სურვილიც, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს მეთაურებისთვის ევროპულობა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური არჩევანი, არამედ შიდა პოლიტიკის მოწყობის სასურველი მოდელი - ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნის საშუალებაც არის. ამ თვალსაზრისით, ევროპა გვევლინება მისაბაძ მაგალითად - ადგილად, სადაც საქართველოს მესვეურებს მმართველობის თანამედროვე და საუკეთესო გამოცდილება ეგულებათ. ეს კი, თავის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ პრეზიდენტები, ისტორიული ევროპულობის მიუხედავად, ქვეყანას თანამედროვე, ბოლომდე შემდგარ ევროპულ სახელმწიფოდ ვერ აღიქვამენ. ამას ადასტურებს პრეზიდენტების მუდმივი ხაზგასმა ევროპული სტანდარტების საქართველოში დანერგვის საჭიროებაზე, აგრეთვე, ევროპული განვითარების დონის მიღწევაზე და დემოკრატიული ღირებულებების განუხრელად დაცვაზე. ამ მოსაზრებას ამყარებს ნაშრომის ერთ-ერთი რაოდენობრივი მიგნებაც, რომლის თანახმად, სასურველ იდენტობებს შორის წამყვანი ადგილი სწორედ ევროპულობას/ევროპასთან ინტეგრაციას უკავია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყნის დასავლურობა/დასავლეთთან ინტეგრაცია ქართველი მეთაურებისთვის ჯერაც მიუღწეველი ამოცანაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტები დასავლურობის/დასავლეთთან ინტეგრაციის კონტექსტში სხვა საკვანძო იდენტობებსაც აყალიბებენ. ასე, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაურები დასავლეთთან ინტეგრაციის ჭრილში განიხილავენ გლობალური მშვიდობის დამცველის როლს; პრეზიდენტების თანახმად, საქართველოს გადაწყვეტილება გაიზიაროს დასავლეთის ქვეყნების წინაშე მდგარი გამოწვევები საერთო ინტერესების დაცვის სურვილით არის ნაკარნახევი. იგივე შეიძლება ითქვას გზაჯვარედინის/სატრანზიტო კვანძის იდენტობაზეც: აქ, საქართველო წარმოჩენილია, როგორც ევროპის ერთგვარი „კარიბჭე“ - აღმოსავლეთის ქვეყნების ევროპასთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი და უმოკლესი რგოლი. დასავლურობას/დასავლეთთან ინტეგრაციას ეხმიანება კავკასიასთან დაკავშირებული იდენტობის კატეგორიებიც. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტები საქართველოს ერთხმად „ათავსებენ“ კავკასიის რეგიონში, თუმცა, იქვე დასძენენ, რომ

თავად კავკასია არის ევროპის ნაწილი და იქ მიმდინარე მოვლენები საერთო-ევროპული პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი უნდა იყოს.

დასავლურობა/დასავლეთთან ინტეგრაცია მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. ამ რეგიონს, საქართველოს პრეზიდენტები დანარჩენ ევროპასთან საზიარო სივრცედ განიხილავენ და ყოველმხრივ ცდილობენ შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებას. ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო სურათს ქმნის შავი ზღვის ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობებიც. ამ მხრივ, საყურადღებოა ის, რომ თუ 1990-იან წლებში შავი ზღვა განიხილებოდა როგორც ერთიანი რეგიონი, 2000-იანი წლების შუიდან ის საქართველოსთვის ორი მიმართულებით „იყოფა". კერძოდ, ჩნდება საქართველო-უკრაინისა (შემდგომში საქართველო-უკრაინა-მოლდოვის) და საქართველო-თურქეთის მიმართულებები. აქედან, პირველი მიმართულება, ძირითადად, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან საქართველოს ინტეგრაციის თვალსაზრისით გვევლინება, ხოლო მეორე, უფრო ფართოდ, აზიის ევროპასთან დამაკავშირებელი რგოლის თვალსაზრისით ფიგურირებს. თუმცა, ორივე შემთხვევაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგადი ტრაექტორია შავი ზღვის გავლით დასავლეთის მიმართულებით არის მიპყრობილი.

დასავლურობის/დასავლეთთან ინტეგრაციის გეოპოლიტიკური ხედვა სრული საკვლევი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, ის უფრო აქტიურდება მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და პიკს აღწევს გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობისას.

საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი გეოპოლიტიკური ხედვაა **ინტერნაციონალიზმი/გარე სამყაროსადმი გახსნილობა**. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო მოხსენებებში საკმაოდ ხშირად გვხვდება გარე სამყაროს ცვალებად და საფრთხისშემცველ სივრცედ აღქმა, მთლიანობაში საპარლამენტო გამოსვლების ანალიზი აჩვენებს, რომ პრეზიდენტების გეოპოლიტიკურ აზროვნებაში ინტერნაციონალიზმისა და გარე სამყაროსადმი გახსნილობის იდეები საკმაოდ ძლიერია. ამ ხედვის მთავარი იდეური საყრდენი ის არის, რომ საქართველო უნდა იყოს გლობალური პროცესების აქტიური მონაწილე - სახელმწიფო, რომელსაც სურს საზღვარგარეთთან მჭიდრო პოლიტიკური,

ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარება და ამით, საკუთარი შესაძლებლობებისა და პოზიციების გაძლიერება. ეს კი, თავის თავში მოიაზრებს დამოუკიდებელი პოლიტიკური დღის წესრიგის ქონას და აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმართვას. პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ საქართველო აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო ორგანიზაციებში, რათა შეძლოს საერთაშორისო პროცესებში სრულფასოვანი ჩართვა და საკუთარი ინტერესების უკეთ გატანა. საგულისხმოა ისიც, რომ სახელმწიფოს მეთაურები მხარს უჭერენ საერთაშორისო აქტორების მეტ ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების პროცესში, როგორც შუამავლის როლში, ისე კონფლიქტისშემდგომი რეაბილიტაციის თვალსაზრისით. ამ გეოპოლიტიკური ხედვის ნაწილია მოსაზრებაც, რომ საქართველომ განუხრელად უნდა დაიცვას საერთაშორისო სამართლის ნორმები, დანერგოს მმართველობის საერთაშორისო სტანდარტები და გაითვალისწინოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი პარტნიორების რჩევები. პრეზიდენტები დიდ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებისა და შენარჩუნების საკითხსაც. მათთვის ეს არის ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და განვითარების ერთ-ერთი საშუალება, აგრეთვე, რუსეთთან დაპირისპირებაში საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მისთვის სასარგებლოდ შეცვლის ინსტრუმენტი. მსგავსი დამოკიდებულებაა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართაც; საქართველოს პრეზიდენტები ემხრობიან ქვეყნის ღიაობას უცხოური ინვესტიციებისთვის, სურთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეტი ვაჭრობა და მზადყოფნას გამოთქვამენ საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. ინტერნაციონალიზმის/გარე სამყაროსადმი გახსნილობის ხედვა სრული საკვლევი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, ის უფრო ფართოდ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებში იყო წარმოდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ გეოპოლიტიკურ ხედვას პრეზიდენტები უფრო სასურველი კატეგორიებით აყალიბებენ, ვიდრე არსებული ან წარსული კატეგორიებით.

ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა კიდევ ერთი წამყვანი გეოპოლიტიკური ხედვა - **საქართველო, როგორც განსაკუთრებული/წარმატებული ქვეყანა**. პრეზიდენტებისთვის საქართველოს გამორჩეულობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ქართველების კულტურული და რელიგიური იდენტობაა, რაც უკლებლივ ყველა

პრეზიდენტის მოხსენებაში გვხვდება, თუმცა, ის განსაკუთრებით ძლიერი დამოუკიდებლობის პირველ წლებში იყო, როცა სახელმწიფოს მეთაურები საქართველოს გამორჩეულობის ხაზგასმას ძირითადად წარსულის კონტექსტში, მისი ისტორიული გამოცდილებების მოშველიებით ცდილობდნენ. სახელმწიფოს მეთაურების თანახმად, ქართველ ერს აქვს ბუნებით ნაბოძები ისეთი სიკეთეები, როგორიცაა ხელსაყრელი მდებარეობა და უნიკალური კულტურა, აგრეთვე, ისეთი ადამიანური ღირებულებები, როგორიცაა სიმტკიცე და შემწყნარებლობა. საგულისხმოა, რომ თუ 1990-იანი წლების დასაწყისში კულტურული და რელიგიური არგუმენტები ჭარბობდა, ათწლეულის მიწურულს ძალას იკრებს საქართველოს, როგორც თანამედროვე და წარმატებული სახელმწიფოს სახე-ხატი. შედეგად, საქართველო თანდათანობით გვევლინება, როგორც დემოკრატიის, სახელმწიფოს მშენებლობის, ეკონომიკური რეფორმებისა და საზოგადოების მედეგობის სანიმუშო მაგალითი - ქვეყანა, რომელიც დაუღალავად ცდილობს საკუთარი თავის გაუმჯობესებას და ამით, შთაგონებას აძლევს სხვებსაც. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის დემოკრატიულ მიღწევებს; ამგვარ წინადადებებში საქართველო გვევლინება, როგორც დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დამცველი სამაგალითო სახელმწიფო. ამ უკანასკნელთან დაკავშირებული კიდევ ერთი იდენტობის კატეგორიაა საქართველო, როგორც დემოკრატიული ცვლილებების კატალიზატორი, რომელიც მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში გვხვდება და მას თანმიმდევრული დისკურსული სახე არ მიუღია. ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტები საქართველოს განსაკუთრებულობის გამოხატულებად მიიჩნევენ საქართველოსადმი დათმობილ მხარდაჭერასა და ყურადღებას, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს წარმატებულობის ხაზგასასმელად, პრეზიდენტები ხშირად მიმართავენ გარე სამყაროსთან/აქტორებთან შედარებებს - მათ მიმართ არსებული უპირატესობების გამოკვეთას. გეოგრაფიულ სივრცეებს შორის, ყველაზე ხშირად მსოფლიოსთან შედარებები გვხვდება, თუმცა, მცირე რაოდენობით იძებნება პოსტ-კომუნისტურ სივრცესთან, კავკასიასთან და ევროპასთან შედარებებიც. საგულისხმოა, რომ საქართველოს განსაკუთრებულობას/ წარმატებულობას არსებული იდენტობების ჩამონათვალში პირველი ადგილი უკავია, ხოლო წარსული იდენტობების ჩამონათვალში - მეორე ადგილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტები ამ გეოპოლიტიკურ ხედვას უკვე მიღწეულ

მახასიათებლად მიიჩნევენ. პრეზიდენტებს შორის, განსაკუთრებულობის /წარმატებულობის ხედვას ყველაზე ხშირად მიხეილ სააკაშვილი მოიხმობს.

რაც შეეხება რუსეთისადმი დამოკიდებულებას, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი საქართველოს გეოპოლიტიკური იდენტობის კიდევ ერთი საკვანძო კომპონენტია. საყურადღებოა, რომ საპრეზიდენტო გამოსვლების ანალიზი რუსეთის მიმართ ორ განსხვავებულ გეოპოლიტიკურ ხედვას გამოკვეთს. ერთი მხრივ, რუსეთი პოტენციური პარტნიორია, რომელიც შესაძლოა საქართველოს ინტერესებსა და მისი პოლიტიკის დღის წესრიგს წაადგეს, ხოლო მეორე მხრივ - ესაა იმპერია, რომელიც ქვეყნის დამორჩილებასა და მისი დასავლეთისგან დისტანცირებას ცდილობს. **საქართველოს, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული ქვეყნის იდენტობა** ყველა პრეზიდენტისთვის არის დამახასიათებელი (საბჭოთა კავშირი ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში), თუმცა, ამ იდენტობის კატეგორიის მაჩვენებელი საგრძნობლად იმატებს 2008 წლის ომის ფონზე. გამონაკლისია 1994-1996 და 2000-2002 წლები, როცა პრეზიდენტი შევარდნაძე, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური არასტაბილურობის ფონზე, საკმაოდ ამცირებს რუსეთისადმი კრიტიკის სიხშირეს. ორ ქვეყანას შორის არსებული უთანხმოების ძირითადი თემა კონფლიქტის ზონები - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონია. პრეზიდენტები აღნიშნავენ, რომ რუსეთი საქართველოს შიდა საქმეებში უხეშად ერევა და ამ ორ კონფლიქტს საქართველოს საწინააღმდეგოდ იყენებს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩნდება საქართველოს, როგორც ოკუპირებული ქვეყნის სახე-ხატიც, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ტერიტორიის მიტაცების სურვილში სახელმწიფოს მეთაურები რუსეთს ომამდეც ადანაშაულებდნენ. 2000-იანი წლების შუიდან ჩნდება რუსეთთან დაპირისპირების კიდევ ერთი საკითხი - საქართველოს დასავლური ორიენტაცია. სახელმწიფოს მეთაურები მიიჩნევენ, რომ კრემლი სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით უბიძგებს საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმისკენ. ამ სააზროვნო მიმართულების ნაწილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების პარადიგმაში განხილვაც. ეს მოსაზრება მესამე, მეოთხე და მეხუთე პრეზიდენტებისთვის არის დამახასიათებელი. უთანხმოების კიდევ ერთი წერტილია ეკონომიკური ურთიერთობები. პრეზიდენტები მიიჩნევენ, რომ რუსეთი ეკონომიკურ კავშირებს არაკეთილსინდისიერად, საქართველოზე ზეგავლენის მოსახდენად იყენებს. ნიშანდობლივია, რომ

საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ უთანხმოებაში ყველა პრეზიდენტი ამ უკანასკნელის ბრალს ხედავს. ამ ფონზე, საქართველო გვევლინება, როგორც მშვიდობისმოყვარე ქვეყანა, რომლის ინტერესიც ყველა მეზობელთან მეგობრული და სასარგებლო ურთიერთობების წარმართვაა, მათ შორის, რუსეთთან, თუმცა, ეს უკანასკნელი საქართველოს მცდელობებს სათანადოდ ვერ აფასებს. თვალშისაცემია ისიც, რომ იშვიათად გვხვდება საქართველოს რუსეთთან შეპირისპირების, მისი უპირატესობების გამოკვეთის შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან დაპირისპირებულის იდენტობა უფრო ძლიერი გეოპოლიტიკური ხედვაა, მისი საპირისპირო - **საქართველოს, როგორც რუსეთისადმი დადებითად/ნეიტრალურად განწყობილი ქვეყნის სახე-ხატი** - თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი ხუთივე პრეზიდენტის რიტორიკაში. აღნიშნული კატეგორიის წინადადებებში საქართველო გვევლინება, როგორც ქვეყანა, რომელსაც რუსეთთან კეთილმეზობლური და თანასწორი ურთიერთობის წარმართვა სურს. პრეზიდენტების თანახმად, საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რუსეთთან ურთიერთობა მოწესრიგდეს და ამისათვის, მზად არის მოსკოვთან დიალოგი წარმართოს. ამ ხედვის ნაწილია იმაზე ხაზგასმაც, რომ ქვეყნის დასავლური ინტეგრაცია არავის წინააღმდეგ მიმართული არ არის, და რომ საქართველო ეწინააღმდეგება ტერიტორიული პრობლემებისა და კონფლიქტების ძალისმიერი გზით მოგვარებას. სახელმწიფოს მეთაურების თანახმად, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული უთანხმოების მოგვარება არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონის ინტერესშია. საგულისხმოა, რომ ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მოხსენებებში რუსეთი გვევლინება აქტორად, რომელიც შესაძლოა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემის მოგვარებაში თბილისის ინტერესებს წაადგეს. აქედან პირველი იმედოვნებს, რომ რუსეთი კონფლიქტებში აქტიური ჩარევით შეცვლის ადგილზე არსებულ ვითარებას, ხოლო მეორე - მოელის, რომ რუსეთი მისი ჩაურევლობით გამოხატავს საქართველოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემას. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაურები მათი პრეზიდენტობის პირველ წლებში უფრო იმედიანად არიან რუსეთის მიმართ განწყობილნი, ვიდრე მმართველობის მიწურულს. ამასთანავე, ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთისადმი დამოკიდებულებებს შორის უფრო ნეიტრალური განწყობები ჭარბობს, ვიდრე დადებითი; საქართველოს რუსეთისადმი

კეთილგანწყობილ აქტორად წარმოჩენა მხოლოდ ედუარდ შევარდნაძისთვის არის დამახასიათებელი და ისიც, მინიმალურად. სხვა პრეზიდენტებისგან, მის მოხსენებებს მხოლოდ ის გამოარჩევს, რომ მეორე პრეზიდენტი აღიარებს რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებას და საუბრობს მისი, როგორც დიდი ქვეყნის კანონიერ როლსა და ინტერესებზე საქართველოსა და კავკასიაში. პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკური მეტყველების კიდევ ერთი მახასიათებელია ისიც, რომ იგი გამუდმებით ცდილობს დასავლეთ-რუსეთის დაპირისპირების პარადიგმის უარყოფას; შევარდნაძის თანახმად, საქართველოს საგარეო პოლიტიკური არჩევანი დასავლეთსა და რუსეთს შორის კი არ აქვს გასაკეთებელი, არამედ მან სწორედ რუსეთთან თანხვედრით, რუსეთთან ერთად უნდა განვლოს დასავლური ინტეგრაციის გზა. საგულისხმოა, რომ საქართველოს პრეზიდენტების მოხსენებებში ფართოდ გვხვდება რუსეთის სავაჭრო სფეროში პარტნიორად წარმოჩენაც.

საგარეო პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი გეოპოლიტიკური ხედვაა **საქართველო, როგორც კავკასიური სახელმწიფო**. იმის მიუხედავად, რომ ხსენებათა რაოდენობისა და მისთვის მინიჭებული მნიშვნელობის თვალსაზრისით კავკასია წამყვან გეოგრაფიულ ერთეულებს საგრძნობლად ჩამოუვარდება, ის მაინც თანმიმდევრულად ფიგურირებს პრეზიდენტების მოხსენებებში. საგულისხმოა, რომ ეს რეგიონი საგარეო პოლიტიკურ დისკურსში სამი სხვადასხვა, ხშირად წინააღმდეგობრივი სახით არის წარმოდგენილი; კავკასია და მისი ცალკეული პოლიტიკური ერთეულები გვევლინება როგორც საფრთხის წყარო, შესაძლებლობების ადგილი და განვითარების არასასურველი მოდელი. ბუნდოვანია მისი საზღვრების საკითხიც; ის ხან ერთიან რეგიონად წარმოდგება, ხანაც ვიწროდ - სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქვე-რეგიონებად. აღსანიშნავია, რომ თუ სამხრეთ კავკასია უფრო ფართოდ, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის ჭრილში განიხილება, ჩრდილოეთ კავკასიაზე საუბარი, ძირითადად, რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე გვხვდება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კავკასია მეტწილად დაცლილია იდეური შემადგენლისგან და ის უფრო გეოგრაფიულ-ტერიტორიულ არეალად გევლინება, ვიდრე საქართველოსთან დაახლოებულ კულტურულ ან პოლიტიკურ სივრცედ. საკმაოდ ჭრელია კავკასიასთან დაკავშირებული იდენტობის კატეგორიებიც; გვხვდება საქართველოს, როგორც

სანდო პარტნიორისა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნის, ისე დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლისა და წამყვანი სახელმწიფოს იდენტობები. ამგვარი მრავალფეროვნების მიუხედავად, ამ იდენტობათა გამაერთიანებელი ის არის, რომ უკლებლივ ყველა მათგანი საქართველოს კავკასიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად მოიაზრებს; საქართველო გვევლინება, როგორც კავკასიის ერთგვარი ბირთვი, რომელსაც რეგიონის გაერთიანება და გაძღოლა ძალუძს. ამ ხედვის ნაწილია ისიც, რომ პრეზიდენტების თანახმად, საქართველომ კავკასიაში აქტიური საგარეო პოლიტიკა უნდა უნდა აწარმოოს, როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. ამავე კონტექსტში ხდება კავკასიასთან საქართველოს უპირატესობების ხაზგასმაც. განსაკუთრებით საყურადღებოა კავკასიისადმი საქართველოს ურთიერთმიმართებისა და კუთვნილების საკითხი. გამოსვლების ანალიზი აჩვენებს, რომ პრეზიდენტები განასხვავებენ ევროპასა და კავკასიას, საქართველოს კი გეოგრაფიულად ამ უკანასკნელს მიაკუთვნებენ. ამის მიუხედავად, მათ ნათქვამში მაინც ნაგულისხმევია, რომ კავკასიის რეგიონი ევროპის ერთგვარი „განშტოება“, მისი გაგრძელებაა. მთლიანობაში კავკასია საქართველოს გეოპოლიტიკური იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია; საქართველო თავის თავს ამ სწორედ რეგიონის ნაწილად მოიაზრებს და საკუთარ მომავალსაც მის ფარგლებში ხედავს.

9.2 კვლევის მიგნებების სამეცნიერო ლიტერატურასთან შედარება

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკვლევ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კონსენსუსი ევროპულობის/დასავლურობის, როგორც თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობისა და საგარეო პოლიტიკური აზროვნების მთავარი კომპონენტის შესახებ (Nodia 1995; Nodia 1998; Jones 2003; Nodia 2009; Kakachia 2012; Kakachia 2013; Kakachia & Minesashvili 2015; German 2015; ბოგიშვილი და სხვები 2016; Brisku 2018; Lejava 2021), საპრეზიდენტო მოხსენებებშიც ფართოდ იკითხება. საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ქართული ეროვნული იდენტობის მკვლევართა უმრავლესობის მსგავსად, აღნიშნული ნაშრომიც იმ დასკვნამდე მიდის, რომ ევროპა და ზოგადად, დასავლეთი, ქართულ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში წინსვლასა და განვითარებასთან არის გაიგივებული, ხოლო მისკენ სწრაფვა - ისტორიული

სამართლიანობის აღდგენისა და საკუთარი თავის გაუმჯობესების საშუალებად განიხილება. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სხვა კვლევისგან განსხვავებით (Gavashelishvili 2012; ბათიაშვილი 2012; ბოგიშვილი და სხვები 2016; ჩხარტიშვილი 2019), აღნიშნულ ნაშრომში საერთოდ არ იძებნება დასავლეთის უარყოფითი წარმოჩენა. ამასთანავე, კვლევა ამყარებს მოსაზრებას, რომ საქართველოს „ეროვნული პროექტი" არასრულია, რადგან მისი ზოგიერთი ელემენტი, როგორიცაა ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება, ჯერაც მიუღწეველი ამოცანაა (Nodia 2009).

ნაშრომით ასევე გამოიკვეთა, რომ ქვეყნის ევროპულობის ხაზგასასმელად, პრეზიდენტები ხშირად მოიხმობენ ქრისტიანულ მემკვიდრეობას, რაც თანხვედრაშია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კვლევების უმრავლესობასთან (Jones 1989, Crego 1994; Jones 2003; Kolstø & Rusetskii 2012; Brisku 2018, Lejava 2021), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დისკურსული ხაზი საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაში იმდენად დომინანტური არ არის, რამდენადაც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიჩნეული. ევროპულობის არგუმენტებად, ქრისტიანობასთან ერთად, პრეზიდენტები თანაბრად ასახელებენ მეცხრამეტე საუკუნის ქართველი განმანათლებლების საქმიანობას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას. ამასთანავე, არ დგინდება მოსაზრება, რომ თანამედროვე საქართველოს თვითაღქმაზე დიდი გავლენა იქონია ისლამური ქვეყნების გარემოცვაში არსებობამ (Jones 1989; Crego 1994; Nodia 1995; Nodia 1998; Jones 2003; Brisku 2018; Lejava 2021), აგრეთვე, ის, რომ ქართული საგარეო პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელია აღმოსავლეთ-დასავლეთის სინთეზისა (Nodia 2009; თევზაძე 2009; Kolstø & Rusetskii 2012; Wivel 2016; Lejava 2021; Aprasidze 2022) და პან-კავკასიური იდეები (Nodia 1998; Jones 2003). ეს შეხედულებები საპარლამენტო მოხსენებებში ნამდვილად გვხვდება, თუმცა, იმდენად მცირე რაოდენობით, რომ რთულია მათ თანმიმდევრულ დისკურსულ ხაზად მიჩნევა.

კვლევით ასევე დასტურდება, რომ რუსეთი უმეტესად საფრთხედ და მტრულ სახელმწიფოდ აღიქმება (მაისაშვილი 2010; Kakachia 2012; Kolstø & Rusetskii 2012; Kakachia & Minesashvili 2015; ბოგიშვილი და სხვები 2016; Colmorgen 2020; Lejava 2021; Minesashvili 2021), აგრეთვე, ის, რომ დროდადრო ჩნდება რუსეთის შედარებით ნეიტრალური სახე-ხატებიც (Nodia 1998; Jones 2003; Nodia 2009; German 2015). რუსეთთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩატარებული კვლევით არ დასტურდება მოსაზრება, რომ ის ქართული იდენტობის „სხვას" - მის საპირისპირო

იდეურ სახეს - წარმოადგენს. მართალია, რუსეთთან შედარებები საპრეზიდენტო მოხსენებებში ნამდვილად იძებნება, განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას, მთლიანობაში პრეზიდენტები რუსეთს ევროპის იდეურ ალტერნატივად არ განიხილავენ. საგულისხმოა, რომ არ ხდება არც ევროპულობის სხვა მეზობლებისგან (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ირანი) განმასხვავებელ ნიშნად განხილვაც (Lejava 2021). შესაბამისად, ამ ყოველივეს თუ დასავლურობის/დასავლეთთან ინტეგრაციისა და გარე სამყაროსადმი გახსნილობის სასურველობასთან ერთად განვიხილავთ, გამოდის, რომ ქართული ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მდგენელი არის არა ის, თუ ვინ ვართ ან ვინ არ ვართ „ჩვენ“, არამედ ის, თუ ვინ გვსურს ვიყოთ/გავხდეთ მომავალში.

საგულისხმოა ისიც, რომ საპარლამენტო მოხსენებებში იძებნება სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული ხუთივე როლი: საქართველო, როგორც ქრისტიანობის დამცველი (Nodia 1995; Jones 2003; Lejava 2021), დემოკრატიის დამცველი (Jones 2003), სამეზობლოსთვის დემოკრატიული ნორმების შემქმნელი (Wivel 2016), აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი (Kolstø & Rusetskii 2012) და კავკასიაში მშვიდობის ხელშემწყობი (მაისაშვილი 2010). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საპრეზიდენტო მოხსენებებში ეს როლები, როგორც წესი, არათანმიმდევრულად - სხვადასხვა სიხშირითა და სიღრმით - ჩნდება.

რაც შეეხება სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ცოდნას ცალკეული პრეზიდენტების ხედვების შესახებ, აქ, შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მეტყველებაში დასტურდება დასავლეთ-აღმოსავლეთის შერწყმისა (ჩხარტიშვილი 2019) და დასავლეთის, როგორც მხარდამჭერის სახე-ხატის არსებობა (Brisku 2018), თუმცა, არ დასტურდება მისი მმართველობისას პან-კავკასიური (Nodia 1998; Jones 2003) და რუსეთთან დაპირისპირების (Jones 2003) იდეების დომინანტურობა. ამასთანავე, ჩანს, რომ ედუარდ შევარდნაძის შემთხვევაში, ფართოდ გვხვდება ქვეყნის ევროპულობის დისკურსი (ჩხარტიშვილი 2019), აგრეთვე, რუსეთის დუალისტური აღქმა (Nodia 1998; Jones 2003) და დასავლეთ-აღმოსავლეთის შერწყმის იდეა (თევზაძე 2009), თუმცა, ეს უკანასკნელი იმდენად უმნიშვნელოა, რომ რთულია მისი, როგორც შევარდნაძის საგარეო პოლიტიკური დისკურსის მახასიათებელ ელემენტად მიჩნევა. აღნიშნული ნაშრომით, დგინდება ისიც, რომ ევროპულობა (Batiashvili 2018; ჩხარტიშვილი 2019) ფართოდ გვხვდება მიხეილ სააკაშვილის

მოხსენებებში, მაგრამ, მოსაზრება, რომ სააკაშვილი ქრისტიანობაზე ხაზგასმით ცდილობდა ქვეყნის ევროპულობის დამოწმებას მის პოლიტიკურ მეტყველებაში მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება (Brisku 2018). კვლევით ასევე დგინდება, რომ სააკაშვილის მმართველობის ადრეულ წლებში რუსეთი დადებითად იყო წარმოჩენილი, მოგვიანებით კი - ის ცალსახად უარყოფითისკენ გადაიხარა (German 2015; Gamkrelidze 2019), აგრეთვე, ის, რომ მესამე პრეზიდენტი საქართველოს შავი ზღვის აუზის ქვეყნად პოზიციონირებას ცდილობდა (Kakachia 2012; Brisku 2019).

10. დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში მოხდა საქართველოს ეროვნული იდენტობის ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის - გარე სამყაროსა და მასში ქვეყნის ადგილის, როლისა და მისიის შესახებ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში არსებული წარმოდგენების პირველი სისტემური და ყოვლისმომცველი კვლევა. კვლევის ფარგლებში, გაანალიზდა საქართველოს პრეზიდენტების მიერ 1990 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს პარლამენტში წარმოთქმული საეტაპო გამოსვლები, კერძოდ, მათი განცხადებები ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის, საზღვარგარეთის ცალკეულ ქვეყნებთან ურთიერთობებისა და მისი გლობალური და რეგიონული როლის შესახებ. ამ გზით, ნაშრომმა პასუხი გასცა სამ საკვლევ კითხვას: როგორ და რა სიხშირით არიან წარმოდგენილი საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნები, აქტორები და სხვადასხვა გეოგრაფიული არეალები საქართველოს პრეზიდენტების მოხსენებებში; რა მნიშვნელობას ანიჭებენ ამა თუ იმ ქვეყანას, აქტორსა და გეოგრაფიულ არეალს ქართველი პოლიტიკური ლიდერები (რომელია მათთვის მტრული, მეგობრული, მისაბაძი ან არასასურველი აქტორები); და როგორ ახდენენ ისინი საქართველოს ადგილის, როლისა და მისიის წარმოჩენას გარე სამყაროსთან მიმართებით. ნაშრომში გამოყენებული თეორიული ჩარჩოა კრიტიკული გეოპოლიტიკა, სამეცნიერო ტრადიცია პოლიტიკური გეოგრაფიის, პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინების მიჯნაზე, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს გეოგრაფიული კონცეფციებისა და მახასიათებლების მეშვეობით სწავლობს, ხოლო საბაზისო ანალიტიკური მოდელი - „ჩვენ-სხვა“ დიადა, რომლის თანახმად, კოლექტიური იდენტობა, ანუ „ჩვენ“ გარე სამყაროსთან, „სხვებთან“ ურთიერთობის, „შეპირისპირების“ პროდუქტია. კვლევის პროცესში, ავტორმა მიმართა კონტენტანალიზისა და ინტერპრეტაციული დისკურსანალიზის მეთოდებს, კერძოდ, დათვლილია გეოგრაფიული სივრცეებისა და აქტორების ხსენებათა სიხშირე, აგრეთვე, ცალკეულ წინადადებებში გაცხადებულ და ნაგულისხმევ იდენტობათა რაოდენობა. მეტი თვალსაჩინოებისთვის, რაოდენობრივი მონაცემების მიმოხილვას თან დაერთო ტექსტების თვისებრივი ანალიზიც, მათ შორის, მოხდა დასკვნების საკვლევი კითხვების მიხედვით განხილვა და საქართველოს თვითაღქმის სადაო და კონსენსუსური კომპონენტების შეჯამება.

კვლევის შედეგად, გარე სამყაროსა და მისდამი საქართველოს მიმართების თაობაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება გამოიკვეთა. პირველი, ესაა საქართველოს, როგორც პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილის წარმოჩენა. ქართველი პოლიტიკური ლიდერები თანხმდებიან, რომ საქართველო აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო პოლიტიკაში, რათა შეძლოს გლობალურ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობა და საკუთარი პოზიციების გაძლიერება - მსოფლიოში მისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრება. სახელმწიფოს მეთაურები მიიჩნევენ, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი დღის წესრიგი და აქტიური საგარეო პოლიტიკა, მათ შორის, უნდა დაამყაროს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან. საქართველოს პრეზიდენტებისთვის გარე სამყარო ცვალებადი და საფრთხისშემცველია, თუმცა, ისინი მაინც მისდამი სრულ გახსნილობას ემხრობიან; სახელმწიფოს მეთაურებს სურთ თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო აქტორების მეტი ჩართულობა ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების საქმეში, მმართველობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი პარტნიორების რჩევების გათვალისწინება და ა.შ. მსგავსი დამოკიდებულებაა ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისითაც; საქართველოს პრეზიდენტები ემხრობიან ქვეყნის ღიაობას უცხოური ინვესტიციების მიმართ, სურთ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეტი ვაჭრობა და მზადყოფნას გამოთქვამენ საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობაზე. სახელმწიფოს მეთაურების თანახმად, საქართველო აქტიური უნდა იყოს რეგიონულ დონეზეც, განსაკუთრებით, პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის წახალისებისა და მშვიდობის ხელშეწყობის მხრივ.

ამავდროულად, საქართველოს პრეზიდენტების გეოპოლიტიკური აზროვნება საკმაოდ ევრო-ცენტრულია. პრეზიდენტების თანახმად, საქართველო ევროპულ ცივილიზაციას ეკუთვნის და ის მისი წინაპრების ნავსაყუდელს - „ევროპულ ოჯახს“ - უნდა დაუბრუნდეს. სახელმწიფოს მეთაურების თქმით, ქვეყანა აქტიურად უნდა იყოს ჩართული საერთო-ევროპული საკითხების განხილვაში და გადაწყვეტაში. საგულისხმოა, რომ 1990-იანი წლების შუიდან პრეზიდენტები საუბარს იწყებენ ევროკავშირში გაწევრების თაობაზე, ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისიდან - ნატოში

გაწევრების შესახებ. მათთვის, ეს ერთი მხრივ, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, ხოლო მეორე მხრივ - უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საშუალებაა. საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს მეთაურებისთვის ევროპულობა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური არჩევანი, არამედ შიდა პოლიტიკის მოწყობის სასურველი მოდელი - ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნის საშუალებაც არის. ამ თვალსაზრისით, ევროპა ეს არის მისაბაძი მაგალითი - ადგილი, სადაც საქართველოს მესვეურებს მმართველობის თანამედროვე და საუკეთესო გამოცდილება ეგულებათ. ეს კი, თავის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ პრეზიდენტები, ისტორიული ევროპულობის მიუხედავად, ქვეყანას თანამედროვე, ბოლომდე შემდგარ ევროპულ სახელმწიფოდ ვერ აღიქვამენ. ამ მოსაზრებას ამყარებს ნაშრომის ერთ-ერთი რაოდენობრივი მიგნებაც, რომლის თანახმად, სასურველ იდენტობებს შორის წამყვანი ადგილი სწორედ ევროპულობას/ევროპასთან ინტეგრაციას უკავია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყნის დასავლურობა/დასავლეთთან ინტეგრაცია ქართველი მეთაურებისთვის ჯერაც მიუღწეველი ამოცანაა.

კვლევის შედეგად, დადგინდა ისიც, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დისკურსში არსებობს რუსეთის ორგვარი აღქმა. ერთის თანახმად, რუსეთის მხარდაჭერა შესაძლოა საქართველოს პოლიტიკის დღის წესრიგს წაადგეს, ხოლო მეორის თანახმად - ესაა იმპერია, რომელიც ქვეყნის დამორჩილებასა და მის დასავლეთიდან მოწყვეტას ცდილობს. იმის მიუხედავად, რომ საპარლამენტო მოხსენებებში მეორე ხედვა უფრო დომინანტურია, რუსეთის, როგორც პოტენციური პარტნიორის წარმოჩენა ყველა პრეზიდენტის პოლიტიკურ მეტყველებაში გვხვდება. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმად, რუსეთი ქართულ საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაში იდეურ „სხვად“, იდეურ მოწინააღმდეგედ არის წარმოდგენილი, საპრეზიდენტო მოხსენებებში არ დასტურდება. იმის მიუხედავად, რომ რუსეთი დროდადრო მართლაც არის ნახსენები ქვეყნის მთავარ მოწინააღმდეგედ, არ ხდება მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ხაზგასმა არც ევროპასთან და არც საქართველოსთან - რაც „სხვასთან შეპირისპირების,“ ე.წ. othering-ის მნიშვნელოვანი ელემენტია.

საგარეო პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ელემენტია საქართველოს განსაკუთრებულ/წარმატებულ სახელმწიფოდ წარმოჩენაც. სახელმწიფოს მეთაურების თანახმად, ქართველ ერს აქვს ბუნებით ნაბოძები ისეთი სიკეთეები, როგორიცაა ხელსაყრელი მდებარეობა და უნიკალური კულტურა, აგრეთვე, ისეთი ადამიანური ღირებულებები, როგორიცაა სიმტკიცე და შემწყნარებლობა. 1990-იანი წლების ბოლოდან საქართველო თანდათანობით გვევლინება სახელმწიფოს მშენებლობის სანიმუშო მაგალითად - აქტორად, რომელიც დაუღალავად ცდილობს საკუთარი თავის გაუმჯობესებას და ამით, შთააგონებს სხვებსაც. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვეყნის დემოკრატიულ მიღწევებს; ამგვარ წინადადებებში საქართველო გვევლინება, როგორც დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების დამცველი სამაგალითო სახელმწიფო. საგულისხმოა, რომ საქართველოს განსაკუთრებულობას/წარმატებულობას არსებული იდენტობების ჩამონათვალში პირველი ადგილი უკავია, ხოლო წარსული იდენტობების ჩამონათვალში - მეორე ადგილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტები ამ გეოპოლიტიკურ ხედვას უკვე მიღწეულ მახასიათებლად მიიჩნევენ. უაღრესად საინტერესოა საქართველოს მდებარეობის საკითხიც. პრეზიდენტები საქართველოს გეოგრაფიული თვალსაზრისით კავკასიის და/ან შავი ზღვის რეგიონებს აკუთვნებენ, თუმცა, თავად ამ ორ რეგიონს განიხილავენ ევროპის ქოლგის ქვეშ, ევროპის ნაწილად. ამ მოსაზრების პარალელურად, პრეზიდენტები ავითარებენ „გზაჯვარედინის“ იდენტობასაც, თუმცა, ეს უკანასკნელი უფრო ტექნიკური თვალსაზრისით, ევროპა-აზიის ფიზიკური დაკავშირების ჭრილშია წარმოდგენილი, ვიდრე რაიმე იდეური დატვირთვის მატარებელი. საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურების „სინთეზის“ მიმართულება, სადაც საქართველო ორი დაპირისპირებული ცივილიზაციის შეხვედრის, შერწყმის ადგილად გვევლინება, მხოლოდ დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში არსებობდა და ისიც, უმნიშვნელო რაოდენობით. რაც შეეხება დანარჩენ სამყაროს, ნაშრომი აჩვენებს, რომ საგარეო პოლიტიკური აზროვნების გეოგრაფია არცთუ ისე მრავალფეროვანია. დასავლეთს/ევროპას, კავკასიას/შავ ზღვასა და პოსტსაბჭოთა სივრცის მიღმა არსებულ სახელმწიფოებზე საუბარს, პრეზიდენტები მინიმალური დროს და მნიშვნელობას უთმობენ.

მთლიანობაში, საქართველოს პრეზიდენტების საპარლამენტო გამოსვლების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი არა მიღწეულის შესახებ საუბარი, არამედ ჯერ კიდევ მიუღწეველი, „არასრული“ გეგმების თაობაზე მსჯელობაა. ამაზე მეტყველებს ის, რომ საქართველოს ორი მთავარი გეოპოლიტიკური ხედვა - დასავლურობა/დასავლეთთან დაახლოება და გარე სამყაროსადმი გახსნილობა უფრო სასურველი იდენტობაა, ვიდრე არსებული, აგრეთვე, ის, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა არსებული იდენტობების თანდათანობითი კლება და მომავალი იდენტობების ზრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის თავზე, საქართველოს იდენტობის მთავარი მდგენელი ის კი არ არის, თუ ვინ ვართ ან ვინ არ ვართ „ჩვენ“ ახლა, არამედ ის, თუ ვინ გვსურს ვიყოთ/გავხდეთ მომავალში.

თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომის მიგნებები რამდენიმე მიზეზის გამოა ყურადსაღები. პირველ რიგში, ის ხაზს უსვამს კრიტიკული გეოპოლიტიკისა და საგარეო პოლიტიკური რეპრეზენტაციების შესახებ მიმდინარე აკადემიურ დისკუსიაში პატარა ქვეყნების საკითხის წამოწევის საჭიროებას. საქართველოს მაგალითი ადასტურებს, რომ მცირე ზომის სახელმწიფოები, ზუსტად ისევე, როგორც რეგიონული და გლობალური ძალები, საერთაშორისო ვითარებას გეოგრაფიის თვალით უყურებენ; სხვების მსგავსად, ისინიც აყალიბებენ და ცვლიან საკუთარ თვითაღქმებსა და გარე სამყაროსადმი წარმოდგენებს. იმის მიუხედავად, რომ მათი უნარი ცხოვრებაში გაატარონ ეს წარმოდგენები საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული ძალთა განაწილების გამო საკმაოდ შეზღუდულია, ნაშრომი მაინც აჩვენებს ამ საკითხის კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას. ის ნათელყოფს, რომ ქართველი პოლიტიკური ლიდერები თანმიმდევრულ სურათს ხატავენ საკუთარი ქვეყნისა და გარე სამყაროს მიმართ და ამას ცალკეული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების დასაბუთებისთვის იყენებენ. ამიტომ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პატარა სახელმწიფოების ქცევის გაგებაში მათი ხელმძღვანელების მსოფლმხედველობის ანალიზი ისეთივე საჭირო და გამოსადეგია, როგორიც ეს დიდი სახელმწიფოების შემთხვევაშია.

ნაშრომი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ის გამოკვეთს ერისა და ეროვნული იდენტობის სივრცული მახასიათებლების მეშვეობით შესწავლის მნიშვნელობას. კერძოდ, ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოები სწორედ გარე სამყაროზე

დაკვირვებით/მასთან მიმართებით აყალიბებენ საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენებს. შესაბამისად, ერის კოლექტიური იდენტობის - მისი როლის, მისიისა და ადგილის - შესაცნობად, საგარეო პოლიტიკური დისკურსი მნიშვნელოვან საკვლევ რესურსს გვთავაზობს. ნაშრომი ხაზს უსვამს ეროვნული იდენტობის შესწავლის საქმეში რაოდენობრივი კვლევების ჩატარების საჭიროებასაც; კერძოდ, რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების შეხამება შესაძლებელს ხდის დასკვნების მეტი თავდაჯერებით განზოგადებას და იდენტობის სხვადასხვა კომპონენტის დროში გარდაქმნის დანახვას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური აზროვნების იდეური საფუძვლებისა და ეროვნული იდენტობის „საგარეო“ განზომილების შემდგომი შესწავლისთვის, მიზანშეწონილია მსგავსი კვლევის განხორციელება საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებზე დაყრდნობითაც (1990 წლიდან დღემდე). ეს საშუალებას მოგვცემს კვლევის შედეგები არა სახელმწიფოს მეთაურების, არამედ უფრო ფართოდ, მთლიანად პოლიტიკური ელიტის დონეზე განვიხილოთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საარჩევნო პროგრამების ანალიზით, შესაძლებელი გახდება პრეზიდენტების დისკურსს მიღმა დარჩენილი წარმოდგენების დანახვა, მათ შორის, ისეთი „ფარული“ იდენტობების გამოკვეთაც, რომელიც საკითხის მგრძნობიარობის გამო არ ან არასათანადოდ მოხვდა პრეზიდენტების პოლიტიკურ მეტყველებაში. ეს კი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური აზროვნებისა და იდენტობის შესახებ უფრო ნათელ და სრულ სურათს მოგვცემს. ნიშანდობლივია ისიც, რომ კვლევის მეთოდოლოგია შეირჩა ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო როგორც სხვა საკვლევ მასალაზე დაყრდნობით მისი გამოყენება, ისე სხვა ქვეყნებზე მორგებაც. შესაბამისად, ნაშრომის მეთოდოლოგიის საარჩევნო პროგრამებზე გავრცობასთან ერთად, შესაძლებელია მისი სხვა, საქართველოს მსგავსი პოლიტიკური მოწყობის ქვეყნების მაგალითზე გამოყენებაც.

11. გამოყენებული მასალები

გამსახურდია ზ. 1990. „საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა 1990 წლის 14 ნოემბრის სხდომაზე". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 14 ნოემბერი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH019fe3417ebc398d93820724

გამსახურდია ზ. 1991. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 7 ივნისი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH6207af43bb1184cdeba39e

გამსახურდია ზ. 1991ა. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა: პოლიტიკური ნაწილი". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 22 მაისი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH01601aad20be99b188452ff5

შევარდნაძე ე. 1992. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წინასაარჩევნო კრებაზე". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 9 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASHb1f5234f886571f2694412

შევარდნაძე ე. 1994. „საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის - სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა საქართველოს პარლამენტის 13 სექტემბრის სხდომაზე". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,

მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 13 სექტემბერი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH98dc4b4ad08013dd90ae80

შევარდნაძე ე. 1995. „ედუარდ შევარდნაძის ინფორმაცია რესპუბლიკის პარლამენტს საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის, კრიზისის დაძლევისა და რეფორმების პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 7 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH0bd8441922e9035e70ade8

შევარდნაძე ე. 1996. „საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 30 იანვარი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH0127269c50576c2b946a0366

შევარდნაძე ე. 1997. „საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 27 მაისის სხდომაზე". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 27 მაისი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASHab6886788389cdd0823490

შევარდნაძე ე. 1998. „საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1998 წლის 3 თებერვალს". საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მამარდაშვილის ციფრული ბიბლიოთეკა, 2022 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/preziden/document/HASH01214671facb38114a49801b;jsessionid=82E35924430AA4D54CB77903584C90D7

შევარდნაძე ე. 1999. „საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოხსენება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის

შესახებ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე 1999 წლის 16 თებერვალს". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 16 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://www.president.gov.ge/Files/ShowFiles?id=46f6d779-4c30-4aac-a766-a3b64c3384e6

შევარდნაძე ე. 2000. „საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ყოველწლიური მოხსენება 1999 წლის შედეგებისა და 2020 წლის საშინაო და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების შესახებ". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 9 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://www.president.gov.ge/Files/ShowFiles?id=b5b2d453-b37a-4002-a668-f6c129b040c5

შევარდნაძე ე. 2001. „საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ყოველწლიური მიმართვა პარლამენტისა და ხალხისადმი საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 13 მაისი, ხელმისაწვდომია აქ https://www.president.gov.ge/Files/ShowFiles?id=5797b0cb-e005-4538-8f3d-7fa77ef574a3

შევარდნაძე ე. 2002. „საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ყოველწლიური მიმართვა პარლამენტისა და ხალხისადმი საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 16 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია აქ https://www.president.gov.ge/Files/ShowFiles?id=9c12d0a2-a18b-4124-93b5-b829a3ff37f5

სააკაშვილი მ. 2004. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 22 აპრილი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=1b68e573-aad5-40c7-af22-4ae2f1f369cf

სააკაშვილი მ. 2005. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 10 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=7a3b1209-094a-412f-9e8b-94fb7d65c09d

სააკაშვილი მ. 2006. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 14 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=5ed7df63-6ef7-40a8-8022-8677f0eecc89

სააკაშვილი მ. 2007. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 15 მარტი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=0d2119cd-37c3-4365-b36a-71d7e09ddfe7

სააკაშვილი მ. 2008. „საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის დღეს". საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, 2022 წლის 20 იანვარი, ხელმისაწვდომია აქ http://www.saakashviliarchive.info/ge/President/Inauguration

სააკაშვილი მ. 2009. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 12 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=6bd1b72e-80d9-46ad-8347-25219eab46e4

სააკაშვილი მ. 2009. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 26 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=26be6081-8b35-437a-a5ff-721fb5c0c2c9

სააკაშვილი მ. 2011. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, 2022 წლის 11 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=d2355cfa-f1ed-469a-b5f1-16aada228086

სააკაშვილი მ. 2012. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 1 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ https://president.gov.ge/Files/ShowFiles?id=845dd0d7-1bce-440b-8fa8-cddac2ead0d2

სააკაშვილი მ. 2013. „საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, 8 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=8137&i=3

მარგველაშვილი გ. 2014. „საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 21 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ http://margvelashviliarchive.info/ka/News/Article/2014_tslis_saparlamento_mokhsenebа

მარგველაშვილი გ. 2015. „საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 31 მარტი, ხელმისაწვდომია აქ

http://margvelashviliarchive.info/ka/News/Article/2015_tslis_saparlamento_mokhsenebа

მარგველაშვილი გ. 2016. „საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 3 თებერვალი, ხელმისაწვდომია აქ http://margvelashviliarchive.info/ka/News/Article/2016_tslis_saparlamento_mokhsenebа

მარგველაშვილი გ. 2017. „საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 7 აპრილი, ხელმისაწვდომია აქ http://margvelashviliarchive.info/ka/News/Article/2017_tslis_saparlamento_mokhsenebа

მარგველაშვილი გ. 2018. „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 2022 წლის 2 მაისი, 2022 წლის ხელმისაწვდომია აქ http://margvelashviliarchive.info/ka/News/Article/2018_tslis_saparlamento_mokhsenebа

ზურაბიშვილი ს. 2019. „2019 წლის საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, 2022 წლის 6 მარტი, ხელმისაწვდომია აქ https://president.ge/?m=244

ზურაბიშვილი ს. 2020. „2020 წლის საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, 2022 წლის 4 მარტი, ხელმისაწვდომია აქ https://president.ge/?m=243

ზურაბიშვილი ს. 2021. „2021 წლის საპარლამენტო მოხსენება". საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, 2022 წლის 9 აპრილი, ხელმისაწვდომია აქ https://president.ge/?m=245

12. ბიბლიოგრაფია

აბაშიძე, ზ. 2011. ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბოგიშვილი, დ., ოსეფაშვილი, ი., გავაშელიშვილი, ე. და გუგუშვილი, ნ. 2016. ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ნეკერი.

ბოლქვაძე, თ. 2010. ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“. თბილისი: უნივერსალი.

თარგამაძე, ზ. 2019. ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე). სადისერტაციო ნაშრომი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თევზაძე, გ. 2009. ხუთი ესე თანამედროვე საქართველოს შესახებ. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

იაკობიშვილი, ლ. 2005. „ქართული კულტურის მითოლოგემები.“ ზ. კიკნაძე, რედ., საქართველო ათასლეულთა გასაყარზე. თბილისი: არეტე.

კეკელია, ე. 2019. მე-20 საუკუნის მონუმენტები და ნაციონალური ნარატივები საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კიკვიძე, ზ. 2010. ენა, გენდერი და ნაციონალიზმი. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბილისი: მერიდიანი.

კილანავა, ც. 2013. ქართული ნაციონალური დისკურსის ფორმირება: საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მარკირების მოდელები და ქართული ნაციონალური თვითიდენტიფიკაცია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. სადისერტაციო ნაშრომი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაისაშვილი, ხ. 2010. ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაცია 1990-1991 წლების ქართულ ბეჭდურ მედიაში. სადისერტაციო ნაშრომი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საბანაძე, გ. და ჯგერენაია, ე. 2017. "შესავალი: ევროპა როგორც მასწავლებელი." გ. საბანაძე და ე. ჯგერენაია, რედ., ევროპა როგორც მასწავლებელი. თბილისი: Nova Societas.

ჩიქოვანი, ნ., ჩხაიძე, ი., წერეთელი, ი., მაცაბერიძე, დ. და კაკიტელაშვილი, ქ. 2014. იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918). თბილისი.

ჩხაიძე, ი. 2009. ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორია და ქართული ნაციონალური პროექტი („თერგდალეულები"). თბილისი: ახალი აზრი.

ჩხარტიშვილი, მ. 2005. „ქართული იდენტობის მთავარი მარკერი." ზ. კიკნაძე, რედ., საქართველო ათასლეულთა გასაყარზე. თბილისი: არეტე.

ჩხარტიშვილი, მ. და მანია, ქ. 2011/2012. „ქართველი ერის კონცეპტუალიზაცია და ე.რენანის რა არის ერი?." *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XIII - XIV. თბილისი: უნივერსალი.

ჩხარტიშვილი, მ. 2021. „თანამედროვე ერი ღრმა ეთნიკური ფესვებით: ქართული იდენტობა longue duree პერსპექტივით." *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXIII. თბილისი: მერიდიანი.

ჯამაგიძე, მ. 2019. ნაციონალური ნიჰილიზმი და იდენტობის კრიზისი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. სადისერტაციო ნაშრომი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Agnew, J. 2013. "The Origins of Critical Geopolitics," in K. Dodds, M. Kuus and J. Sharp, eds., The Ashgate Research Companion to Critical Geopolitics. London: Routledge.

Agnew, J. and Corbridge, S. 1995. Mastering Space: Hegemony, Territory and International Political Economy. London: Routledge.

Allan, B. 2016. “Recovering Discourses of National Identity,” in T. Hopf and B. Allan, eds., Making Identity Count: Building a National Identity Database. Oxford: Oxford University Press.

Ambrosio, T. and Lange, W. A. 2014. “Mapping Kazakhstan’s Geopolitical Code: An Analysis of Nazarbayev’s Presidential Addresses, 1997–2014.” *Eurasian Geography and Economics*, 55:5, 537–59.

Ambrosio, T. and Vandrovec, G. 2013. “Mapping the Geopolitics of the Russian Federation: The Federal Assembly Addresses of Putin and Medvedev.” *Geopolitics*, 18:2, 435–66.

Ambrosio, T., Hoepfner, P., Thompson, K.E. and Watson, K. 2017. “The Geopolitical Discourse of Barack Obama’s State of the Union Addresses: Pursuing a Geopolitical Reorientation from the Middle East.” *Geopolitics*, 25:2, 479-509.

Andronikashvili, Z. 2021. “Georgian political romanticism in the Caucasus,” in H. Jahn, ed., Identities and Representations in Georgia from the 19th Century to the Present. Berlin: De Gruyter Oldenbourg.

Andronikashvili, Z. and Maisuradze, G. 2010. “Secularization and Its Vicissitudes in Georgia.” Ilia State University, Identity Studies, 2, 5-17.

Aprasidze, D. “In the Caucasus but toward the Black Sea: Georgia’s Regional Identity in Flux,” in T. German, S. F. Jones and K. Kakachia, eds., Georgia’s Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State. London: I.B. Tauris.

Atkinson, D. 2000. “Geopolitical imaginations in modern Italy,” in K. Dodds and D. Atkinson, eds., Geopolitical Traditions: A century of geopolitical thought. London: Routledge.

Atkinson, D. and Dodds, K. 2000. “Geopolitical traditions: a century of geopolitical thought,” in K. Dodds and D. Atkinson, eds., Geopolitical Traditions: A century of geopolitical thought. London: Routledge.

Batiashvili, N. 2012. “The ‘Myth’ of the Self: The Georgian National Narrative and Quest for ‘Georgianness’,” in A. Assmann and L. Shortt, eds., Memory and Political Change. Palgrave Macmillan Memory Studies. London: Palgrave Macmillan.

Batiashvili, N. 2018. The Bivocal Nation: memory and identity on the edge of empire. London: Palgrave Macmillan.

Batiashvili, N. 2021. “The liminal: Colonial identity on the margins of an empire,” in H. Jahn, ed., Identities and Representations in Georgia from the 19th Century to the Present. Berlin: De Gruyter Oldenbourg.

Baturo, A. and Mikhaylov, S. 2014. “Reading the Tea Leaves: Medvedev's Presidency through Political Rhetoric of Federal and Sub-National Actors.” *Europe-Asia Studies*, 66:6, 969-992.

Berg, E. and Oras, S. 2000. “Writing post-Soviet Estonia on to the world map.” *Political Geography*, 19:5, 601-625.

Billig, M. 1995. Banal Nationalism. London: SAGE Publications.

Blauvelt, T. And Vacharadze, A. 2021. “Iakob Gogebashvili and the natural method: Textbooks, modernity and nationalism in the late tsarist periphery,” in H. Jahn, ed., Identities and Representations in Georgia from the 19th Century to the Present. Berlin: De Gruyter Oldenbourg.

Brisku, A. 2013. Bittersweet Europe: Albanian and Georgian Discourses on Europe, 1878–2008. New York: Berghahn Books.

Brisku, A. 2018. “The Place of ‘Europe’ in the Post-Soviet Georgian Modernization Discourse,” in G. Zedania, ed., Modernization in Georgia: Theories, Discourses and Realities. New York: Peter Lang.

Buzogány, A. 2019: “Europe, Russia, or Both? Popular Perspectives on Overlapping Regionalism in the Southern Caucasus.” *East European Politics*, , 35:1, 93-109.

Cairo, H. 2006. “Portugal is not a Small Country”: Maps and Propaganda in the Salazar Regime." *Geopolitics*, 11:3, 367-395.

Campbell, D. 1992. Writing Security: United States Foreign Policy and the Politics of Identity. Minneapolis: University of Minnesota Press.

Chkhartishvili, M. 2019. “Conceptualization of the West in Georgian Identity Narrative.” *Georgian Source Studies*, XXI. Tbilisi: Universali.

Civil Georgia. 2005. “‘Beacon of Liberty’ Vows to Solve Conflicts Peacefully.” *Civil Georgia*, ხელმისაწვდომია აქ https://civil.ge/archives/108023.

Coene, F. 2014. “Instrumentalising Euro-Atlanticism: Euro-Atlantic Discourse in Georgia from the Rose Revolution to the Defeat of the United National Movement.” Ghent: Ghent University.

Colmorgen, P. 2020. “The Friends So Far, the Foes So Near? Ambiguities of Georgia’s Othering.” *Ideology and Politics Journal*, ხელმისაწვდომია აქ https://www.ideopol.org/wp-content/uploads/2020/10/ENG.-1.7.-Colmorgen-.pdf

Crego, P. 1994. “Religion and Nationalism in Georgia.” George Fox University, *Occasional Papers on Religion in Eastern Europe*, 14:3, Article 1.

Christophe, B. 2002. “When is a Nation? Comparing Lithuania and Georgia.” *Geopolitics*, 7:2, 147-172.

Culcasi, K. 2006. “Cartographically constructing Kurdistan within geopolitical and orientalist discourses." *Political Geography*, 25:6, 680-706.

Dalby, S. 1988. "Geopolitical Discourse: The Soviet Union As Other.” *Alternatives*, XIII, 415-442.

Dalby, S. 1990. "American Security Discourse: The Persistence of Geopolitics.” *Political Geography Quarterly*, 9:2, 171–88.

Dalby, S. and Ó Tuathail, G. 1996. “The critical geopolitics constellation: problematizing fusions of geographical knowledge and power.” *Political Geography*, 15:6-7, 451-456.

De Cillia, R., Reisigl, M. and Wodak, R. 1999. “The Discursive Construction of National Identities.” *Discourse & Society*, 10:2, 149-173.

De Leonardis, F., 2016. “Memory and Nation-Building in Georgia,” in R. Isaacs and A. Polese, eds., Nation-Building and Identity in the Post-Soviet Space. London: Routledge.

Dijkink, G. 1996. National Identity and Geopolitical Visions: Maps of Pride and Pain. London: Routledge.

Dodds, K. 2000. “Geopolitics and the geographical imagination of Argentina,” in K. Dodds and D. Atkinson, eds., Geopolitical Traditions: A century of geopolitical thought. London: Routledge.

Dodds, K. 2007. “Steve Bell's Eye: Cartoons, Geopolitics and the Visualization of the ‘War on Terror’.” *Security Dialogue*, 38:2, 157-177.

Dodds, K., Kuus, M. and Sharp, J. 2013. “Geopolitics and Its Critics,” in K. Dodds, M. Kuus and J. Sharp, eds., The Ashgate Research Companion to Critical Geopolitics. London: Routledge.

Doty, R. 1993. “Foreign Policy as Social Construction: A Post-Positivist Analysis of U.S. Counterinsurgency Policy in the Philippines.” *International Studies Quarterly*, 37:3, 297-320.

Doty, R. 1996. “Sovereignty and the nation: constructing the boundaries of national identity,” in T.J. Biersteker and C. Weber, eds., State Sovereignty as Social Construct. Cambridge: Cambridge University Press.

Ellis, D. 2007. “A Discourse Theory of Ethnic Identity,” in R. Mole, eds., Discursive Constructions of Identity in European Politics. London: Palgrave Macmillan.

Esparza, D. 2010. “National identity and the Other: imagining the EU from the Czech Lands.” *Nationalities Papers*, 38-3, 413–436.

Flint, C., Adduci, M., Chen, M. and Chi, S-H. 2009. “Mapping the Dynamism of the United States' Geopolitical Code: The Geography of the State of the Union Speeches, 1988–2008.” *Geopolitics*, 14:4, 604-629.

Gamkrelidze, T. 2018. “The Changing Image of Russia in the European Project of Post-Soviet Georgia in 2004–2012.” *EUCACIS Online Paper*, N8, ხელმისაწვდომია აქ https://www.cairn.info/revue-l-europe-en-formation-2018-1-page-26.htm

Gamkrelidze, T. 2019. The Role of Europe in the Identity Formation of Post-Soviet Georgia. Dissertation, Faculty of Arts and Sciences, Ilia State University.

Gavashelishvili, E. 2012. “Anti-Modern and Anti-Globalist Tendencies in the Georgian Orthodox Church”. Ilia State University, *Identity Studies*, 4, 118-137.

German, T. 2015. “Heading West? Georgia's Euro-Atlantic Path.” *International Affairs*, 91:3, 601-614.

Gibbins, J. 2014. Britain, Europe and National Identity: Self and Other in International Relations. London: Palgrave Macmillan.

Gvalia, G., Siroky, D., Lebanidze, B. and Iashvili, Z. 2013. “Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States.” *Security Studies*, 22:1, 98-131.

Henrikson, A. 1981. “The Geographical "Mental Maps" of American Foreign Policy Makers.” *International Political Science Review*, 1:4, 495–530.

Jones, S. F. 1989. “Religion and Nationalism in Soviet Georgia and Armenia,” in P. Ramet, ed., Religion and Nationalism in Soviet and East European Politics. Durham: Duke University Press.

Jones, S. F. 2003. “The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy.” *Journal of Communist Studies and Transition Politics*, 19:3, 83-110.

Jones, S. F. and Kakhishvili, L. 2013. “The Interregnum: Georgian Foreign Policy from Independence to Rose Revolution,” in K. Kakachia and M. Cecire, eds., Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security. Bonn: Konrad Adenauer Stiftung.

Jones, S. F. and Toria, M. 2021. “Rethinking Memory Sites and Symbolic Realms of Georgian National Identity.” *Caucasus Survey*, 9:3, 211-219.

Kakachia, K. 2012. “Georgia’s Identity-driven Foreign Policy and the Struggle for its European Destiny.” *Caucasus Analytical Digest*, 37, 4-7.

Kakachia, K. 2013. “Georgia: identity, foreign policy and the politics of a “Euro-Atlantic orientation”.” *Norwegian Peacebuilding Resource Centre*, ხელმისაწვდომია აქ https://www.files.ethz.ch/isn/162767/52b05938ffcd3ea8b9c6d499e1515b35.pdf

Kakachia, K., Lebanidze, B. and Dubovyk, V. 2019. “Defying Marginality: Explaining Ukraine’s and Georgia’s Drive Towards Europe.” *Journal of Contemporary European Studies*, 27:4, 451-462.

Kakachia, K. and Minesashvili, S. 2015. “Identity Politics: Exploring Georgian Foreign Policy Behavior.” *Journal of Eurasian Studies*, 6:2, 171-180.

Kekelia, T. 2012. “Modernization and Secularization – Georgian Case Study”. Ilia State University, *Identity Studies*, 4, 90-106.

Kolsto, P. and Rusetskii, A. 2012. “Power differentials and identity formation: Images of self and other on the Russian–Georgian boundary.” *National Identities*, 14:2, 139-155.

Ladaria, K. 2012. “Georgian Orthodox Church and Political Project of Modernization”. Ilia State University, *Identity Studies*, 4, 107-117.

Lejava, N. 2015. “Letter from Tbilisi.” *Carnegie Europe*, ხელმისაწვდომია აქ https://carnegieeurope.eu/strategiceurope/62251.

Lejava, N. 2021. “Georgia’s Unfinished Search for Its Place in Europe.” *Carnegie Europe*, ხელმისაწვდომია აქ https://carnegieeurope.eu/2021/04/06/georgia-s-unfinished-search-for-its-place-in-europe-pub-84253.

Mansvelt Beck, J. 2006. “Geopolitical Imaginations of the Basque Homeland." *Geopolitics*, 11:3, 507–528.

Mamadouh, V. and Dijkink, G. 2006. “Geopolitics, International Relations and Political Geography: The Politics of Geopolitical Discourse.” *Geopolitics*, 11:3, 349-366.

Megoran, N. 2004. “The Critical Geopolitics of Danger in Uzbekistan and Kyrgyzstan." *Society and Space*, 23:4, 555-580.

Mestvirishvili, N., Mestvirishvili, M. and Khoshtaria T. 2021. “National identity and perceptions of citizenship in Georgia over the last decade,” in H. Jahn, ed., Identities and Representations in Georgia from the 19th Century to the Present. Berlin: De Gruyter Oldenbourg.

Minesashvili, S. 2013. "How European Are We? Explaining Georgia's Westward Aspiration." Working Paper. Center for Social Sciences, ხელმისაწვდომია აქ http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/Salome_Minesashvili_2013.pdf

Minesashvili, S. 2021. "Europe in Georgia's Identity Discourse: Contestation and the Impact of External Developments." *Communist and Post-Communist Studies*, 54:1-2: 128–155.

Moisio, S. 2015. "Geopolitics/Critical Geopolitics," in J. Agnew, V. Mamadouh, A.J. Secor and J. Sharp, eds., The Wiley Blackwell Companion to Political Geography. Hoboken, NJ: Wiley Blackwell.

Mole, R. and Ciuta, F. 2007. "Conclusion: Revisiting Discourse, Identity and 'Europe'," in R. Mole, eds., Discursive Constructions of Identity in European Politics. London: Palgrave Macmillan.

Mole, R. 2007. "Discursive Identities/Identity Discourses and Political Power," in R. Mole, eds., Discursive Constructions of Identity in European Politics. London: Palgrave Macmillan.

Morozov, V. and Rumelili, B. 2012. "The external constitution of European identity: Russia and Turkey as Europe-makers." *Cooperation and Conflict*, 47:1, 28-48.

Muller, M. 2008. "Reconsidering the Concept of Discourse for the Field of Critical Geopolitics: Towards Discourse as Language and Practice." *Political Geography*, 27:3, 322-338.

Muller, M. 2013. "Text, Discourse, Affect and Things," in K. Dodds, M. Kuus and J. Sharp, eds., The Ashgate Research Companion to Critical Geopolitics. London: Routledge.

Neumann, I. 1999. Uses of the Other: "The East" in European Identity Formation. Minneapolis: University of Minnesota Press.

Nodia, G. 1995. "Georgia's Identity Crisis." *Journal of Democracy*, 6:1, 104-16.

Nodia, G. 1998. "The Georgian Perceptions of the West." In: B. Coppieters, A. Zverev, and D. Trenin, eds, Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia. London: Routledge.

Nodia, G. 2009. "Components of the Georgian National Idea: An Outline." *Identity Studies*, 1, 84-101.

Nodia, G. 2018. "Democracy and its Deficits: The path towards becoming European-style democracies in Georgia, Moldova and Ukraine". *CEPS Working Document*, ხელმისაწვდომია აქ http://aei.pitt.edu/92800/1/WD2017_12_GNodia_DemoAndDeficits.pdf

Omelicheva, M. 2012. "Russia's Foreign Policy toward Iran: A Critical Geopolitics Perspective." *Journal of Balkan and Near Eastern Studies*, 14:3, 331-344.

Omelicheva, M. 2016. “Critical geopolitics on Russian foreign policy: Uncovering the imagery of Moscow’s international relations.” *International Politics*, 53, 708–726.

Ó Beacháin, D. and Coene, F. 2014. “Go West: Georgia’s European Identity and its Role in Domestic Politics and Foreign Policy Objectives.” *Nationalities Papers*, 42:6, 923–941.

O’Loughlin, J. and Grant, R. 1990. “The Political Geography of Presidential Speeches 1946-87.” *Association of American Geographers*, 80:4, 504-530.

Ó Tuathail, G. 1996. Critical Geopolitics: The Politics of Writing Global Space. Minneapolis: University of Minnesota Press.

Ó Tuathail, G. 1999. “Understanding critical geopolitics: Geopolitics and risk society.” *Journal of Strategic Studies*, 22:2-3, 107-124.

Ó Tuathail, G. 2008. “Russia’s Kosovo: A Critical Geopolitics of the August 2008 War over South Ossetia.” *Eurasian Geography and Economics*, 49:6, 670-705.

Ó Tuathail, G. and Agnew, J. 1992. “Geopolitics and Discourse: Practical Geopolitical Reasoning in American Foreign Policy.” *Political Geography*, 11:2, 190-204.

Ó Tuathail, G. and Dalby, S. 1998. “Introduction: Rethinking geopolitics: towards a critical geopolitics,” in G. O Tuathail and S. Dalby, eds., Rethinking Geopolitics. London: Routledge.

Oskanian, K. 2016. “The Balance Strikes Back: Power, Perceptions, and Ideology in Georgian Foreign Policy, 1992–2014.” *Foreign Policy Analysis*, 12:4, , pp. 628-652.

Ouellette, M. and Weiss, T. 2015. ““This Marvelous Symbol of Our Identity”: The Czech Republic in American Practical Geopolitics.” *Geopolitics*, 20:2, 267-286.

Petersoo, P. 2007. “Reconsidering otherness: constructing Estonian identity.” *Nations and Nationalism*, 13:1, 117-133.

Reisner, O. 2009. “Travelling between Two Worlds - the Tergdaleulebi, their Identity Conflict and National Life.” Ilia State University, *Identity Studies*, 1, 36-50.

Richardson, P.B. 2008. “Geopolitical Visions, Globalisation, and the Remaking of Russia’s Eurasian Borders.” *Journal of Borderlands Studies*, 32:1, 7-21.

Rondeli, A. 2001. “The Choice of an Independent Georgia,” in G. Chufrin, ed., The Security of the Caspian Region. Oxford; Oxford University Press.

Sidaway, J. D. and Power, M. 2005. “The tears of Portugal': empire, identity, ‘race’, and destiny in Portuguese geopolitical narratives.” *Society and Space*, 23:4, 527-554.

Siroky, D., Gvalia, G. and Simmons, A. 2017. "Vodka or Bourbon? Foreign Policy Preferences Toward Russia and the United States in Georgia." *Foreign Policy Analysis*, 13:2, 500-518.

Smith, J. 2021. "Georgian nationalism and Soviet power: Between accommodation and revolt," in H. Jahn, ed., Identities and Representations in Georgia from the 19th Century to the Present. Berlin: De Gruyter Oldenbourg.

Smith, G., Law, V., Wilson, A., Bohr, A. and Allworth, E. 1998. Nation-building in the Post-Soviet Borderlands: The Politics of National Identities. Cambridge: Cambridge University Press.

Sulkhanishvili, I. 2012. "Struggle for Power: Religion and Politics in Georgia from the 90s to the Present". Ilia State University, *Identity Studies*, 4, 138-117.

Suny, R. 1996. "The Emergence of Political Society in Georgia," in R. Suny, ed., Transcaucasia, Nationalism and Change. Ann Arbor: The University of Michigan Press.

Swann-Quinn, J. 2019. "Mining the homeland: imagining resources, nation, and territory in the Republic of Georgia." *Eurasian Geography and Economics*, 60:2, 119-151.

Triandafyllidou, A. 1998. "National identity and the 'other'". *Ethnic and Racial Studies*, 21:4, 593-612.

Tamaki, T. 2020. Deconstructing Japan's Image of South Korea: *Identity in Foreign Policy.* London: Palgrave Macmillan.

Therborn, G. 1995. European Modernity and Beyond. The Trajectory of European Societies, 1945-2000. London: SAGE Publications.

Vachridze, Z. 2012. "Two Faces of Nationalism and Efforts to Establish Georgian Identity." Ilia State University, *Identity Studies*, 4, 82-88.

Wendt, A. 1999. Social Theory of International Politics. Cambridge: Cambridge University Press.

Wivel, A. 2016. "Living on the Edge: Georgian Foreign Policy Between the West and the Rest." *Third World Thematics: A TWQ Journal*, 1:1, 92-109.

Zedania, G. 2009. "National Form and the Question of Identity". Ilia State University, *Identity Studies*, 1, 75-83.

Zedania, G. 2011. "The Rise of Religious Nationalism in Georgia". Ilia State University, *Identity Studies*, 3, 120-128.

დანართი #1: პრეზიდენტების გამოსვლებში ნახსენები გეოგრაფიული/პოლიტიკური ერთეულები მათში შემავალი აქტორებისა და სივრცეების მიხედვით

ერთეულები	ერთეულებში შემავალი აქტორები/სივრცეები
დასავლეთი/ევროპა	საკუთრივ დასავლეთი, ევროპა, ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ევროპის ქვე-რეგიონები (აღმოსავლეთ ევროპა, დასავლეთ ევროპა, ცენტრალური ევროპა, აღმოსავლეთ ევროპა, ბალკანეთი, სკანდინავია, ბალტიისპირეთი) და ევროპის ქვეყნები (ბულგარეთისა და რუმინეთის გარდა).
მსოფლიო/საზღვარგარეთი	მსოფლიო, უცხოეთი, საზღვარგარეთი, საზღვარგარეთის/უცხოეთის ქვეყნები (კონკრეტული ქვეყნის მითითების გარეშე).
რუსეთი	რუსეთი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (კონკრეტული ქვეყნის მითითების გარეშე).
საერთაშორისო ორგანიზაციები	საერთაშორისო ორგანიზაციები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გაეროს სპეციალიზებული სააგენტოები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, კულტურის სფეროს ორგანიზაციები.
შავი ზღვის რეგიონი	შავი ზღვა, შავი ზღვის რეგიონი, თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი, მოლდოვა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (სუამი).
საერთაშორისო საზოგადოება	საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო თანამეგობრობა, მეგობარი ქვეყნები, ცივილიზებული სამყარო, მოწინავე დემოკრატიები, დემოკრატიული ქვეყნები, წამყვანი/მოწინავე ქვეყნები, პროგრესული ქვეყნები.
კავკასია	აზერბაიჯანი, სომხეთი, კავკასია, სამხრეთ კავკასია, ჩრდილოეთ კავკასია, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები.
საბჭოთა კავშირი	საბჭოთა კავშირი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.
აზია/ევრაზია	აზია, შუა აზია, ევრაზია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, აბრეშუმის გზა, შუა აზიისა და აღმოსავლეთ აზიის ცალკეული ქვეყნები.
სამეზობლო/რეგიონი	სამეზობლო, მეზობელი ქვეყნები, რეგიონი.

ახლო აღმოსავლეთი	ახლო აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნები (მათ შორის, ისრაელი, ირანი და ავღანეთი), ახლო აღმოასავლეთის არაბულენოვანი ქვეყნები, სპარსეთის ყურე.
პოსტ-საბჭოთა სივრცე	პოსტ-საბჭოთა სივრცე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები (კონკრეტული ქვეყნის მითითების გარეშე).
სხვა	ცალკეული ქვეყნები ამერიკის, ოკეანეთის და აფრიკის კონტინენტებზე, ან ისეთი ზოგადი გეოგრაფიული ერთეულები, როგორიცაა სამხრეთი, აღმოსავლეთი და ა.შ.

დანართი #2: იდენტობის კატეგორიები ანალიზის სხვადასხვა ეტაპის მიხედვით

იდენტობის კატეგორიები (საბოლოო)	იდენტობის კატეგორიები (შუალედური)	იდენტობის კატეგორიები (ნედლი)
განსაკუთრებული/წარმატებული	განსაკუთრებული/წარმატებული	გამორჩეული/განსაკუთრებული ერი
		წარმატებული სახელმწიფო
დასავლური/დასავლეთთან ინტეგრირებული	დასავლეთთან/ევროპასთან ინტეგრირებული	დასავლეთთან ინტეგრირებული
		ევროპასთან ინტეგრირებული
		ევროკავშირთან ინტეგრირებული
		ევროპის საბჭოსთან ინტეგრირებული
		ნატოსთან ინტეგრირებული
		ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორი
	დასავლური/ევროპული/--სტანდარტების მქონე	დასავლური
		ევროპული
		დასავლური სტანდარტების მქონე
		ევროპული სტანდარტების მქონე
ღია/კონკურენტული ეკონომიკა	ღია/კონკურენტული ეკონომიკა	ღია ეკონომიკა
		კონკურენტული ეკონომიკა
		ტურიზმის ცენტრი
ინტერნაციონალისტური/გარე სამყაროსადმი გახნილი	საერთაშორისო ფინანსური დახმარების მიმღები	საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარების მიმღები
		დასავლეთის ქვეყნების ფინანსური დახმარების მიმღები
		ცალკეული ქვეყნების დახმარების მიმღები
	საგარეო რჩევების/საერთაშორისო სტანდარტების გამტარებელი	საერთაშორისო სტანდარტების მქონე
		უცხოელ ექსპერტთა რჩევების გამტარებელი
		საერთაშორისო ორგანიზაციების რჩევების გამტარებელი
		საერთაშორისო გამოცდილების გამტარებელი
		საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე

	საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე	საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მომხრე
		საერთაშორისო კულტურულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მომხრე
		საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მქონე
		საერთაშორისო თანამეგობრობის/ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრი
	კოსმოპოლიტური/გარე სამყაროსადმი გახსნილი	კოსმოპოლიტური/გარე სამყაროსადმი გახსნილი
	კონფლიქტებში საერთაშორისო ჩართულობის მომხრე	კონფლიქტებში საერთაშორისო ჩართულობის მომხრე
		კონფლიქტებში მესამე ქვეყნების ჩართულობის მომხრე
	საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე - კონფლიქტები	საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე - კონფლიქტები
	საერთაშორისო მხარდაჭერის/ყურადღების მქონე	საერთაშორისო ყურადღების მქონე
		საერთაშორისო მხარდაჭერის მქონე
		დასავლეთის მხარდაჭერის მქონე
რუსეთთან დაპირისპირებული/ოკუპირებული	რუსეთთან დაპირისპირებული/რუსეთის მიერ ოკუპირებული	რუსეთთან დაპირისპირებული
		რუსეთის მიერ ოკუპირებული
რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური	რუსეთისადმი დადებითი/ნეიტრალური	რუსეთისადმი კეთილგანწყობილი
		რუსეთისადმი ნეიტრალური
		დსთ-სადმი კეთილგანწყობილი
საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი	საფრთხეში/ცვალებად სამყაროში მყოფი	საფრთხეში მყოფი
		ცვალებად სამყაროში მყოფი
გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი	გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი	გზაჯვარედინი/სატრანზიტო კვანძი
		აქტიური საგარეო პოლიტიკის მქონე

აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე	აქტიური/ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე	ერთიანი საგარეო პოლიტიკის მქონე
ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი	ანტი-საბჭოთა/იმპერიასთან მებრძოლი	ანტი-საბჭოთა
		იმპერიასთან მებრძოლი
		იმპერიის მიერ ჩაგრული
გლობალური მშვიდობის დამცველი	გლობალური მშვიდობის დამცველი	გლობალური მშვიდობის დამცველი
წამყვანი სახელმწიფო კავკასიაში/რეგიონში	წამყვანი სახელმწიფო კავკასიაში/რეგიონში	კავკასიის პოლიტიკური ცენტრი
		კავკასიის სამედიცინო ცენტრი
		კავკასიის ეკონომიკური ცენტრი
		კავკასიის საგანმანათლებლო ცენტრი
		შუამავალი კავკასიაში
		კავკასიური
დიასპორული/გლობალური ერი	დიასპორული/გლობალური ერი	დიასპორული/გლობალური ერი
სხვა	რეგიონული თანამშრომლობის მომხრე	რეგიონული თანამშრომლობის მომხრე
		შავი ზღვის აუზის ქვეყნების თანამშრომლობის მომხრე
	მშვიდობისმოყვარე	მშვიდობისმოყვარე
	სამართლისა და ღირებულებების დამცველი	ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი/დამცველი
		დემოკრატიული ღირებულებების დამცველი
		საერთაშორისო სამართლის პრინციპების დამცველი
	წარუმატებელი/ჩამორჩენილი	წარუმატებელი სახელმწიფო
		ჩამორჩენილი სახელმწიფო
		მწირი რესურსების მქონე სახელმწიფო
	მრავალვექტორული/მიუმხრობელი/ პრაგმატული	მრავალვექტორული
		მიუმხრობელი/ნეიტრალური
		პრაგმატული

		გაწონასწორებული
	პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან ინტეგრირებული	უკრაინის პარტნიორი
		შუა აზიის ქვეყნების პარტნიორი
	აქტიური კავკასიური პოლიტიკის მქონე	აქტიური კავკასიური პოლიტიკის მქონე
	სანდო პარტნიორი (სამეზობლო)	სომხეთის პარტნიორი
		აზერბაიჯანის პარტნიორი
		თურქეთის პარტნიორი
	დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრირებული	დანარჩენი სამყაროსთან ინტეგრირებული
		ისრაელის პარტნიორი
		ირანის პარტნიორი
		ჩინეთის პარტნიორი
		იაპონიის პარტნიორი
	საფრთხის წყარო	საფრთხის წყარო
	გარე და შიდა გამოცდილების შემკრები	გარე და შიდა გამოცდილების შემკრები
	ცვლილებების კატალიზატორი	ცვლილებების კატალიზატორი
	ჩრდილო კავკასიასთან დაპირისპირებული	ჩრდილო კავკასიასთან დაპირისპირებული
	გარე სამყაროზე დამოკიდებული	გარე სამყაროზე დამოკიდებული
	საბჭოეთისადმი არაკონფრონტაციული	საბჭოეთისადმი არაკონფრონტაციული
	გარემოზე მზრუნველი	გარემოზე მზრუნველი
	სუვერენული/დამოუკიდებელი	სუვერენული
		დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი
	ანტი-ექსტრაქტივისტული	ანტი-ექსტრაქტივისტული

	განვითარებადი/განვითარებადი ქვეყნების მსგავსი	განვითარებადი/განვითარებადი ქვეყნების მსგავსი
	სანდო პარტნიორი (საერთაშორისო)	საერთაშორისო ორგანიზაციების სანდო პარტნიორი
		უცხოეთის ქვეყნების სანდო პარტნიორი
	უარყოფითი საერთაშორისო იმიჯის მქონე	უარყოფითი საერთაშორისო იმიჯის მქონე
	კულტურათა გზაგასაყარი	კულტურათა გზაგასაყარი
	პროტექციონისტური ეკონომიკა	პროტექციონისტური ეკონომიკა
	საზღვაო ქვეყანა	საზღვაო ქვეყანა
	საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი სკეპტიკური	საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი სკეპტიკური